N22 (573) 2/VI-8/VI-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული ვაჟა-ფშაველა

ხუთტომეული ტომი III

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ ვაჟა-ფშაველა ტომი IV

დარბევის თვითმხილველი ექიმის ექსკლუზიური ინტერვიუ

„საშინელი სურათის მომსწრე გავხდი“...

„პირველ რიგში, სპეცრაზმელებს უნდა დავხმარებოდით“...

მარტოხელა მამების რთული ცხოვრება

სად წავიდნენ დედები?

„ჩემი მომავალი მეუღლე იურისტია“

„ყველა კაცი იდიოტი არაა! ანუ როგორ გავთხოვდეთ“

„ბედურებად“ ქცეული ბავშვები

ფინალს მიღმა დარჩენილი კონკურსანტი

როდისაა სოფო ნიჭარაძის გაოცება ყალბი

ISSN 1987 - 5029

რამდენად უსაფრთხოა მეორადი ტანსაცმელი?

როგორ დავძლიოთ პრობლემები – N-line-ს თქვენს სამსახურში

„გზის“ წინა ნომერში ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკურ ცენტრ N-line-ის შესახებ მოგიყევით — კლინიკაზე, რომელიც ქალბატონების გალამაზებას ემსახურება და სადაც ყველაზე მისაღები ფასებია. კოსმეტოლოგია, ლაზერული ეპილაცია, სხეულის კორექცია, თმის ცვენის მკურნალობა, ხელისა და ფეხის მოვლა — მოგეხსენებათ, N-line უამრავ მომსახურებას გთავაზობთ.

ზაფხულის დადგომისთანავე ქალბატონები ყველაზე მეტად ლაზერული ეპილაციის გაკეთებაზე ზრუნავენ. ალექსანდრიტის ლაზერის საშუალებით ეპილაცია უმტკივნეულო და ეფექტურია. ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკურ ცენტრში მომსახურების ფასი სასიამოვნოდ გაგაოცებთ.

- **ხელები — 30 ლ + იმპულსი — 6 თ.**
- **ფეხები — 180 ლ (მუხლამდე 55 ლ.)**
- **იღლია — 45 ლ.**
- **ტუჩი — 15 ლ.**
- **კისერი — იმპულსი — 60 თ.**
- **ბიკინი — 45 ლ. + იმპულსი 60 თ.**

მეორე სერიოზული პრობლემა ქალბატონებისთვის — ჭარბი წონაა. დადგა ზაფხული და წონის პრობლემით შეწუხებული სუსტი სქესი ყველაზე შეზღუდული ჩაცმაშია. არაფერი არ მიხდება! — ხშირად აღმოხდებათ სარკესთან და ამიტომ ზაფხულის გატარება ხშირად შავი ფერის ტანსაცმლით უწევთ. ზღვის სეზონის დადგომისთანავე კი ყველაზე დიდ პრობლემად საცურაო კოსტიუმის ჩაცმა იქცევა. ამიტომ დაივიწყეთ პრობლემები და გაიხალისეთ ცხოვრება — N-line-ი ხომ ამჯერადაც თქვენს სამსახურშია. კვალიფიციური მასაჟისტები კირილ ზაიაკინი და ნინო ფურცელაძე თქვენს წონასა და ჯანმრთელობაზე იზრუნებენ.

ესთეტიკურ ცენტრში მეზოპრეპარატების და ოზონ-ჟანგბადის ნარევის გამოყენებით, ლოკალურად ხდება ცხიმის დაშლა. ამის შემდეგ, პროფესიონალები თქვენთვის სწორად შერჩეულ მასაჟის კურსს დაგინიშნავენ.

არის ერთი საინტერესო სიახლეც. გარდა გასახდომისა, N-line-ი მასაჟის რამდენიმე სახეს გთავაზობთ:

1. სამკურნალო — თავის ტკივილის, ხერხემლის, მკერდის და ფეხის ფოკუსის.
2. გასახდომი — ფრანგული „სლიმ“ მასაჟი, ანტიცელულიტი — ლომი-ლომი, ჰავაის მასაჟი.

შეფუთვები: თაფლი, ტალახი, ანტისტრესი, ესპანური, ეგვიპტური, რელაქსი.

ცენტრში ასევე ეფექტურად მკურნალობენ თმის ცვენას, ხოლო ფეხებისა და ხელების მოვლის საშუალებებში შედის: პედიკიური, მანიკიური, პარაფინოთერაპია.

დამატებითი ინფორმაციისთვის ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკური ცენტრ Nlines-ს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნომრებზე: 22-12-11, 51-99-71. თენგიზ აბულაძის #30, ვაკის ეკლესიის უკან.

franco fontana
italy

Ismeri!

ყველაზე განსხვავებული,
ყველაზე დახვეწილი,
საუკეთესო დიზაინის,
ვენეციური სტილის საქორწილო
ბეჭდების დიდი არჩევანი
franco fontana-ში.

franco fontana
გთავაზობთ ცნობილი
იტალიური ბრენდების
ოქროსა და ვერცხლის
ნაკეთობების
ახალ კოლექციას!

franco fontana გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎18-10-47; პეკინის 7 ☎30-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎18-10-46;
დადიანის 7,☎18-14-15 (ქარვასლა I სართული)

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ:

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EPI Economic Prosperity Initiative

GEORGIAN WINE ASSOCIATION

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ:

106,9 FM FORTUNA ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ

Yellow Pages Tbilisi

www.vinoge.com

MYVIDEO.GE

№22 (573)
2 — 8 ივნისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ მინიატურები 5
ბიცოლა-დეიდა, ნუ შეჭამ მაგ ქათამს, კაი ქათამია...

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ფაქტი და კომენტარი 7

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 8

■ საავტორო უფლებები 17
„გამოუცდელი“ ბაზარი და ბრძოლა ქართული ბრენდების დასაცავად

■ კარიერა 18
ფრაზების „ნჯღრევით“ შექმნილი მონოლოგები

■ პერსონა 20
„ვფიქრობდი, რომ თეატრში ჩემი მისვლით ძალიან ბევრი მსახიობის კარიერა დასრულდა“...

■ მარცხი 22
მხატვრულ ტანვარჯიშში არსებული ხელოვნური ბარიერები

■ რეპერი 23
მასტერისა და ბერას ინტერნეტპაექრობა

■ დებიუტი 25
„ზოგს რუსკა მაყაშვილის და ვგონივარ“

■ ვარსკვლავები 26
რობერტ დე ნირო

■ თემა 28
მარტოხელა მამები

ქვეყანა

დარბევა — ყველა სტანდარტის დარღვევით

„ამ ადამიანის შესამოწმებლად ექიმები მხოლოდ სილვერმანის აღშფოთებისა და დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოვიდნენ. მიუხედავად ამისა, უკვე გვიანი იყო და ადამიანი გარდაცვლილი გახლდათ. მას არ გაეწია არანაირი სამედიცინო დახმარება, ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი“...

7

სახე

„ვფიქრობდი, რომ თეატრში ჩემი მისვლით ძალიან ბევრი მსახიობის კარიერა დასრულდა“...

„ძალიან მაინტერესებს, როგორ ვითამაშებ მანიაკს. ბატონო რეჟისორებო, თუ შემომთავაზებთ, სიამოვნებით ვითამაშებ“.

20

ცხოვრება

მარტოხელა მამები

„ვერაფრით წარმოვიდგენდი, საქართველოდან თუ წავიდოდა და მცირეწლოვან შვილებს დატოვებდა. დავუშვათ, მე არ ვუნდოდი, შვილები როგორ მიატოვა?!“

28

გზა ვნილები

„გოგონებს არ მისცე უფლება, დაქალად აღგიქვან“

„დღე არ გავა, რომ არ ვუსაყვედურო, — ქალივით რატომ მზრდიდი-მეთქი. ვიცი, ამით გულს ვტკენ, მაგრამ ჩემს უბედურებაში ხომ სწორედ ისაა დამნაშავე?“

66

■ **პრობლემა** 30
„ბეღურების“ სევდიანი ამბავი

■ **სამოსი** 33
რამდენად უსაფრთხოა მეორადი ტანსაცმელი?

■ **ეთნოსი** 34
„დამეხმარე, შენი თვალების ჭირიმე...“

■ **პროფესია** 35
„ოკეანეში ყველაფრისთვის მზად უნდა იყო“

■ **თინეიჯერული პონტები** 37
მასწავლებელზე უიმედოდ შეყვარებული მოსწავლე და შეურაცხყოფილი მშობლები

■ **საგანძური** 41
გოკიელის ანტიკვარები და ძვლისგან დამზადებული ნამუშევრების გამოფენა

■ **ტაძარი** 43

■ **ანტიდეპრესანტი** 44

■ **ავტო** 44

■ **ერუდიტი** 46
„ავტორების წაკითხული ლექსები მომწონს“

■ **საკითხავი ქალებისათვის** 48

■ **ჯანმრთელობა** 50

■ **წვეთი პოეზია** 52

■ **რეალური** 53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ **მისტიკური დეტექტივი** 56
რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (დასასრული)

■ **გზავნილები** 64
ფულით ნაყიდი სიყვარული

■ **ყველა ერთისათვის** 66
„გოგონებს არ მისცე უფლება, დაქალად აღგიქვან“

■ **მობილი-ზაცია** 68

■ **ეს სამყარო** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **საფირმო კროსვორდი** 82

სამყარო

ფერთა პალიტრა — სახლის ხასიათი

მყუდრო ინტერიერის შესაქმნელად, ავეჯი კარგად უნდა ეხამებოდეს კედლების ფერს. ამიტომ აუცილებელია, წინასწარ გქონდეთ შერჩეული, თუ როგორი იქნება ავეჯი, კედლის სურათები.

48

ბიბლუსი

ხაფანგი

— გამომძიებელი ოთარ ორდენიძე გახლავართ, — სხიერელს საბუთი აჩვენა გამომძიებელმა.

— გამომძიებელი? — გაუკვირდა თემოს. — მოხდა რამე?

— იონა იოსებიძის მკვლელობასთან დაკავშირებით უნდა დაგელაპარაკოთ.

— რაო? — თვალები გაუფართოვდა თემოს.

56

ტაიმ-აუტი

მსოფლიოს საუკეთესო ზოოპარკები

ზოოპარკი ტროპიკულ ტყეში, 28 ჰექტარზეა გადაჭიმული. იქ არ არის გალიები და ვოლიერები და ყველა ცხოველი თავისუფლად დასეირნობს. მათთვის იდეალური პირობებია შექმნილი.

77

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ბიცოლა-დეიდა, ნუ შეჭამ მაგ ქათამს, ესი ქათამია...

შესავლის ნაცვლად ძალიან ვნანობ იმას, რაც წინა ხუთშაბათის „პროვოკაციაში“ დავწერე... ძალიან ვნანობ, რომ მაისის მოვლენებზე წინასწარ ვმახვილსტყვაობდი...

რა მექნა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ამდენად გათახსირდებოდა ხელისუფლებაც და პარლამენტის წინ მდგარი, უკაცრავად პასუხია და, ოპოზიციაც, რომ იმ შედეგს მივიღებდით, რაც მივიღეთ...

ძალიან დიდი ხანია, ასე არ შემზიზღებია ტელევიზორის ყურება. არა — წრეგადასული ტყუილები და დიდი „ლაფატკებით“ თვალებში ნაცრის შეყრა ყოველთვის ჩვენი ტელეარხების მთავარი საქმიანობა იყო, მაგრამ ადრე იმისთვის მაინც ვუყურებდი, რომ მათი ამ მოკლეფეხება ტყუილებიდან „საკბილო“ მაინც ამომერჩია და მერე მეშაყირა ხოლმე; დღეს კი, რა შაყირი და რის სატირა-იუმორი — გაშაყირებულიც ვართ, გაროზგილიც, გათახსირებულიც და გაუპატიურებულიც!!!

ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც პოლიტიკოსებს ხალხის ნაწილად არ მიაჩნიათ თავი, ხოლო ხალხი პოლიტიკოსებს ვერ იტანს მხოლოდ იმიტომ, რომ ის პოლიტიკოსია...

რა ვქნა, ძალიან მინდა, კორექტული ვიყო... ძალიან მინდა, რომ ისედაც შოკირებული ადამიანები კიდევ უფრო არ გავაღიზიანო... ძალიან ვცდილობ, ხელისუფლების მიმართ ვიხმარო ტერმინი „ძალის გადამეტება“ და არა „ჩათლახობა“; ანდა ოპოზიციის (მის ერთ კონკრეტულ ნაწილს) „უპასუხისმგებლო“ ვუწოდო და არა „ნაბიჭვარი“... მაგრამ მიჭირს, ძალიან მიჭირს — ვერ ვარ ისე კარგად აღზრდილი, როგორც — შოთა უტიაშვილი, ამიტომ სულ ასეთი „შავგვრემანი“ სიტყვები მახსენდება, როდესაც „მაღაზიის სახურავზე დენდარტყმულ“ ახალგაზრდა კაცსა და მის გულგახეთქილ მამაზე ვფიქრობ, რომელიც შვილის დაკრძალვამდე გარდაიცვალა...

არც „ბიცოლა-დეიდა“ ბურჯანაძესა და „ბიძია-ბაბუა“ ბიწაძესავით (განსაკუთრებით ამ უკანასკნელივით) რაფინირებული „ინწილიგენტი“ ვარ და ამიტომ ვილანძღები „რაგატკებზე“ და „რუსეთისადმი 50%-ზე ნაკლები მოსახლეობის ზიზღზე“ საუბრების მოსმენისას...

მოკლედ, ნერვები არ მივარგა, სამკურნალო ვარ. სამაგიეროდ ჩვენი პრეზიდენტია ჯანზე: აღლუმი ჩაიბარა; მერე ბათუმში გაიქცა — იუსტიციის სახლი გახსნა; მერე უკრაინის ტელევიზიას ჩაერთო პირდაპირ ეთერში შუაღამისას; მეორე დღეს „მოყვრები“ ჩამოუვიდნენ — ჰოლანდიის განათლების სამინისტროდან, შაშკინის გამოცდილება უნდა გაიზიარონო; მერე ჯანდაცვის მინისტრი დატუქსა — დედოფლისწყაროში გველის ნაკბენის საწინააღმდეგო შრატი რატომ არ აქვთო; მერე ისა, მერე ესა... მოკლედ, ვითომ არაფერი მომხდარა! ვითომ მაგის „ბულტერიერებს“ ვიღაც მართლა ჩათლახების მიერ მოტყუებული ხალხი არ დაეგლიჯოთ (თანაც მოტყუებული რას მიქვია, სულელები კი არ იყვნენ — მაგან და მაგისმა „სასტავმა“ რომ ცხოვრება მოუწყო, იმ ცხოვრებით გულგაწვრილებულები ენდნენ პირველივე ვიგინდარას, ვინც არგუმენტირებულად გამოლანძღა ხელისუფლება)!

არა, ეკვადორის კულტურის დღეებზეც რომ მივიდა?! ინდიელების ცეკვის ნახვა მოუნდა — აღლუმზე არ უცეკვეს სუხიშვილებმა და რა ექნა...

ჰმ, ეკვადორის კულტურის დღეები... ჩვენი „ჩინგაჩგუკებისთვის“ ვერ მიგვიხედავს... ერთი, მაგ „კულტურის დღეების“ ხარჯთაღრიცხვაში ჩაგახედათ! არ გესმის შენ, ეკვადორს უნდა მივეფეროთ, თორემ აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებსო, — ასე მითხრა ერთმა „პოლიტიკოსმა“! იდიოტებო, დედამიწაზე 200-ზე მეტი სახელმწიფოა და ყველას მიფერებას, აფხაზებს რომ მივეფეროთ, ხომ არ აჯობებს?! „ოღონდ მართლა“ — როგორც „დეიდა-ბიცოლას“ უყვარს ხოლმე თქმა...

ამ „დეიდა-ბიცოლებისთვის“ და „ბებია-მამიდებისთვის“ კი ქვეყანას იმაზე ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე იმ ცნობილი „ბიძია-ბაბუასთვის“ ჰქონდა შავ დედალს — ერთაოზმა ერთხელ სთხოვა, არ შეჭამოო და არ შეჭამა. ესენი კი ხრავენ, ხრავენ, ხრავენ!!!

P.S. „დეიდებსა“ და „ბიძიებზე“ იმდენი ვისაუბრე, „ბაბუც“ გამახსენდა (შევარდნაძეს ვგულისხმობ)... პრინციპში, ვიტყუები — კი არ გამახსენდა, თვითონ გამახსენა თავი: დღეს რუსულ „იზვესტიას“ მისცა ინტერვიუ, სააკაშვილი ცუდად მოიქცაო, ოპოზიციაშიც შემთხვევითი პოლიტიკოსები არიანო... ყოველთვის აღტაცებული ვიყავი ამ კაცის თავხედობით — თითქოს მაგის „ბარტყები“ არ იყვნენ ან ბურჯანაძე და ან სააკაშვილი...

მეორე მხრივ, შევარდნაძე რომ სანატრელი გაგიხდება კაცს...

„ბიძიებო, დეიდებო, თქვენი ლამაზი თვალების ჭირიმე, გეხვეწებით, ნუ შეჭამთ ამ ქვეყანას, კარგი ქვეყანაა, ნუ შეჭამთ, თორემ ხალხი აზრზე მოვა და დედას გიტირებთ!“

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

ქეით მიდლტონი პლაგიატობაში გამოიჭირეს

ქეით მიდლტონის კაბა პლაგიატი აღმოჩნდა. თურმე ნუ იტყვით და, კემბრიჯის ჰერცოგინიას კაბა ძალიან ჰგავს იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის შვილიშვილის საქორწილო კაბას. იზაბელა ორსინი, რომელსაც იტალიელი ჟურნალისტები პრინცესას უწოდებენ, 2 წლის წინ გათხოვდა. მისი რჩეული — ბელგიელი პრინცი ედუარდ დე ლინ დე ლა ტრემუილი გახდა. მოდის ექსპერტთა აზრით, მართალია, იზაბელას კაბა ბელგიელმა დიზაინერმა ჯერალდინა ვატელემ შექმნა, ქეითის კაბა კი — Alexander McQueen-ის მოდის სახლის დიზაინერმა სარა ბარტონმა, მაგრამ მათ შორის მსგავსება ნამდვილად, თვალში საცემია. ორივე დიზაინერმა მხრებისა და ხელების დასაფარავად, გამჭვირვალე მაქმანებიანი ქსოვილი, მჭიდრო კორსეტი და გრძელი ქვედაბოლო გამოიყენა; ორივე კაბას ერთნაირად ამოჭრილი დეკოლტე აქვს. იზაბელა ორსინის ეჭვიც არ ეპარება, რომ სარა ბარტონმა ჯერალდინა ვატელეს კაბის ასლი შექმნა, თუმცა უკმაყოფილო არ არის. თავად სარას ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. ■

ირანმა მერკელს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა

ირანმა ანგელა მერკელს, რომელიც სამთავრობო თვითმფრინავით ინდოეთში მიემგზავრებოდა, საჰაერო სივრცე ჩაუკეტა. თვითმფრინავი ირანის საჰაერო სივრცეში შევიდა თუ არა, პილოტმა ამ ქვეყნის საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახურისგან ფრენის შეწყვეტის შესახებ მოულოდნელი ბრძანება მიიღო. სამსახურმა ბრძანების მიზეზად, სათანადო ნებართვის უქონლობა დაასახელა. ნებართვის მოლოდინში მერკელის თვითმფრინავმა ირანის თავზე წრე ოთხჯერ შემოარტყა, შემდეგ კი ამ ქვეყნის საჰაერო სივრცე დატოვა და 1 საათის განმავლობაში თურქეთის აღმოსავლეთით მდებარე ვანის ტბის თავზე იფრინა. მერკელთან ერთად, ნიუ-დელიში მოლაპარაკებებზე შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ტრანსპორტისა და განათლების მინისტრები და ბიზნესდელეგაციის წევრები მიემგზავრებოდნენ. ბოლოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ირანის გავლით ფრენის ნებართვა მოიპოვეს. მერკელი ნიუ-დელიში ორი საათით გვიან ჩაფრინდა. ■

დოლჩე და გაბანა ერთმანეთს დაშორდნენ



არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე დიზაინერების სასიყვარულო ურთიერთობა დასასრულს მიუახლოვდა. 48 წლის დოლჩე იტალიის ყველაზე ელიტურ კურორტზე — პორტოფინოზე უცნობი ახალგაზრდა მამაკაცის გვერდით შენიშნეს. სასტუმროს თანამშრომლებმა ვებსაიტის — Life Showbiz ჟურნალისტს უამბეს, რომ დოლჩეს საკუთარი იახტით პორტოფინოში უცნობ მამაკაცთან ერთად ხშირად ხედავენ. სასტუმროს თანამშრომლებმა მისი ვინაობა არ იციან, თუმცა არ მალავენ, რომ ის დოლჩესთან ერთად სასტუმროს ნომერში ხშირად იკეტება. ■

რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

მახინჯების კონკურსში გამარჯვებული ბედნიერია

ზიმბაბვეში მახინჯების კონკურსი ჩატარდა. მისი მიზანი — ქვეყნის ყველაზე შეუხედავი ადამიანის გამოვლენაა. კონკურსის შედეგების მიხედვით, ზიმბაბვეს ყველაზე მახინჯ მკვიდრად, ქალაქ ბულავაიოში მცხოვრები 30 წლის ოსტინ მბევე დაასახელეს. მბევე წარმატებით კმაყოფილია. მისი თქმით, სიმახინჯის გამო მთელი ცხოვრება დასცინოდნენ, ახლა კი გარეგნობამ წარმატება მოუტანა. შეჯიბრებაში სპეციალურად შერჩეული 15 მახინჯი მამაკაცი მონაწილეობდა. ჟიური ქალებისგან შედგებოდა. კონკურსის მხარდამჭერები ზიმბაბვეს ტურიზმის სამინისტრო და ეროვნული ხელოვნების საბჭო იყვნენ. აღნიშნული კონკურსი ზიმბაბვეში წელს მესამედ ჩატარდა. ■

ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲗ

„ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲧᲕᲔᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ“

„საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ძალის მასობრივი დემონსტრაციით ზეიმობდა“, — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია ერთ-ერთ ევროპულ ინტერნეტგამოცემაში — Open Democracy. ჟურნალისტი იან კარვერი წერს, რომ თბილისში პროდემოკრატიული პროტესტის სასტიკი დარბევის მომსწრე გახდა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ აღლუმი იმ ტანკებით, რაკეტებითა და თვითმფრინავებით ჩაატარა, რომლებსაც 2008 წელს რუსეთთან წარუმატებელ ომში იყენებდა. დასავლური ინტერნეტგამოცემა დეტალურად აღწერს მომიტინგეების სასტიკი დარბევის სურათებს და იმის შესახებაც წერს, რომ სპეცრაზმელებმა ის ადამიანებიც კი არ დაინდვეს, რომლებიც ქაშუეთის ეკლესიას აფარებდნენ თავს. აღნიშნავს იმასაც, რომ სამართალდამცველების გადამეტებულ ძალადობას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

თამარ როგავაძე

ევროპელი თუ ამერიკელი ჟურნალისტები და პოლიტიკური ექსპერტები გაოცებასა და აღშფოთებას გამოხატავენ ქართველი სამართალდამცველების ქმედების გამო და აღნიშნავენ, რომ მათ აქცია კი არ დაშალეს, არამედ სადამსჯელო ღონისძიება ჩაატარეს. საინტერესოა, როგორი იქნება მსოფლიო საზოგადოების პოზიცია მას შემდეგ, როდესაც ქართველი სპეცრაზმელების მიერ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებსაც შეიტყობენ.

სამართალდამცველების გადამეტებული ძალადობის შესახებ ის ადამიანები გვესაუბრებიან, რომლებიც თავად აღმოჩნდნენ მათი მსხვერპლნი.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲒᲔᲒᲘᲫᲔ, *ყოფილი მორაგბე:*

— ხელისუფლებამ „ბართლომეს ღამე“ მოგვიწყო. ასეთ რამეს ვერასდროს წარმოვიდგენდი. სპეცრაზმელები სასტიკად სცემდნენ ყველას — განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ძალიან ვწუხვარ, რომ ქალბატონებისა და მოხუცების დასაცავად ვერაფერი გავაკეთე. ჩემს მეგობრებთან ერთად დამაკავეს და დამამწყვდიეს (სხვას ვერაფერს დავარქმევ მდგომარეობას, რომელშიც მე ვიყავი). ბორკილებდადებული მცემეს და ფეხები დამიმტვრიეს. მოგვიანებით, ნაცემი, მოწამლული და შეურაცხყოფილი ხალხი პოლიციის სამმართველოში წაგვიყვანეს. სამმართველოში ჩვენ წინააღმდეგ კიდევ ერთხელ განახორციელეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორი. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ფსიქოლოგიურ ტერორში იმას გულისხმობთ, რომ რუსეთის აგენტებს გიწოდებდნენ?

— არა, მაგას აქციაზევე გვეძახდნენ. სამმართველოში უარესი ტერორი მოგვიწყვეს. ამას ვერც გავიმეორებ... ძალიან მაინტერესებს, ვინ დაგეგმა ასეთი შემზარავი სპეცოპერაცია.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, *მურმან დუმბაძის მეუღლე:*

— ჩემს მეუღლეს აქციის დარბევის შემდეგ, პოლიციის სამმართველოში 8 საათის განმავლობაში სცემდნენ და აღიარებით ჩვენებას სთხოვდნენ, თითქოს სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა. იმასაც კი ეუბნებოდნენ, როგორ გვიძლებ, რა სულისკვეთება გაქვსო!.. მიყენებული ტრავმების გამო ცალი თვალით ვერ ხედავს. ასევე, სასტიკად აქვს დაზიანებული მთელი სხეული.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲭᲙᲐᲓᲣᲐ, *სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი:*

— სხვა ჟურნალისტებთან ერთად, კინოთეატრ „რუსთაველთან“ ვიდექი. როდესაც სპეცრაზმმა წყლის ჭავლისა და გაზის ყუმბარების გაშვება დაიწყო, ოთხი კაცი ფურცელაძის ქუჩისკენ გავიქეცით. დავინახეთ, რომ იქ სპეცრაზმელები იდგნენ და გაქცეულ მომიტინგეებს სასტიკად სცემდნენ. თაბუკაშვილის ქუჩისკენ გადავინაცვლეთ. 5 თუ 6 სპეცრაზმელი გამოგვეკიდა, რომლებიც გზადაგზა რეზინის ტყვიებს გვესროდნენ. როდესაც მოგვიმწყვდიეს, ჯერ გინება დაგვიწყეს და „ბურჯანაძის მონები“ გვეძახეს, შემდეგ კი ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ.

— არ უთხარით, რომ ჟურნალისტები ხართ?

— გულზე ყველას „პრესკარტა“ გვეკიდა, კამერები და სხვა ჩამწერი აპარატურაც გვქონდა. ჩვენი ამოცნობა რთული ნამდვილად არ იყო. რომ გავრბოდით, მაშინაც ვყვიროდით, ჟურნალისტები ვართ-თქო. არც იმან გაჭრა, რომ „პრესკარტა“ წარვუდგინე, ჯერ თავის არეში ჩამარტყეს ხელკეტი, მერე ორმა კაცმა მიწაზე დამაგდო, ხელბორკილი დამადო და ცემა დამიწყო. უშვერი სიტყვებით მაგინებდნენ. ერთი მეტისმეტად გაერთო ჩემი ცემით; საბედნიეროდ, მეორემ შეაჩერა: ხომ ხედავ, კლავ, თავი დაანებეო... სხვა დაკავებულ ჟურნალისტებთან ერთად, თაბუკაშვილის ქუჩაზე ახალაშენებულ შენობაში შემიყვანეს და იატაკზე დამაგდეს. ერთხანს იქ ვეგდე, შემდეგ კი დასაკითხად წამიყვანეს.

— რას გეკითხებოდნენ?

— ნამდვილად ჟურნალისტი ვარ თუ — არა?.. როგორც შემეძლო, ვარწმუნებდი, რომ მართლა ჟურნალისტი ვარ, გზაში ყველაფერი (ჩამწერი აპარატი და „პრესკარტა“) მე კი წამართვეს, მაგრამ ერთ-ერთ ჩემს კოლეგას ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა „პრესკარტა“. მოგვიანებით დიღმის

ᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲡ ᲓᲝᲜᲝᲠᲝᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲣᲠᲝᲒᲐᲢᲘ ᲓᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ

ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲚᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐᲡ Ქ.2/6 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ: 868 40 50 50

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ (10:00-ᲓᲐᲜ 17:00-ᲛᲓᲔ)

პოლიციის სამმართველოში გადაგვიყვანეს. იქ არ ვუცემივართ, მაგრამ გინებას არ გვაკლებდნენ. გვაყვედრიდნენ, — თქვენ გამო 3 კვირა არ გვძინებია. ერთ-ერთი პოლიციელი შემეკითხა, — სადაური ხარო? რომ ვუპასუხე, — ზუგდიდელი ვარ-მეთქი, მითხრა, — მერე აქ რას მოეთრეოდიო?!. გავიგეთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად გვიპირებდნენ გასამართლებას და ვიკითხეთ, კონკრეტულად რაში გვედებოდა ბრალი, რის გამო ვიყავით დაკავებულები, მაგრამ არავინ არაფერი აგვიხსნა. მოგვიანებით, ოთახში 30-ოდე წლის მამაკაცი შემოვიდა და გვკითხა, — თქვენ ხართ ჟურნალისტებიო? როდესაც დავუდასტურეთ, შენობიდან გამოგვიყვანა. როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემმა რედაქციამ შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელს, შოთა უტიაშვილს მიმართა დახმარებისთვის.

— ყველა სპეცრაზმელი ერთნაირად აგრესიული იყო?

— არა, მე ერთი სპეცრაზმელი მოკვლას მიპირებდა, მაგრამ მეორემ შეაჩერა. ჩემს ზოგიერთ კოლეგას უფრო მეტად გაუმართლა ანუ შედარებით მსუბუქად მოხვდა.

— ნაცემ ჟურნალისტებს შორის, „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ წარმომადგენლები თუ იყვნენ?

— ბევრი ნაცემი ჟურნალისტი ვნახე. ინტერნეტტელევიზია „აი ტი ვის“ ოპერატორს ძალიან მაგრად მოხვდა, ფეხი აქვს მოტეხილი. ასევე სასტიკად გაუსწორდნენ „მაესტროს“ ოპერატორს. „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ წარმომადგენლებისთვის კი თითიც არავის დაუკარებია.

დარეჯან პაატაშვილი, *„პლიტრა ტი-ვი-ჯის“ ჟურნალისტი:*

— როდესაც გაზი გაუშვეს, მე პარლამენტის წინ ვიდექი. დავაპირე, ისეთ ადგილზე დავმდგარიყავი, რომ კადრების გადაღებაც მომეხერხებინა და მეც არ დავზიანებულიყავი. ძალაუნებურად ხალხის ნაკადს გავყევი. სპეცრაზმის შეტევისას მომიტინგეები გაქცევას შეეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს — ყველა ქუჩა და ჩიხი ჩაკეტილი იყო. ბოლოს ხალხი მეტროს სადგურ „თავისუფლებისკენ“ დაიძრა. ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ გაქცევის მსურველი მომიტინგეებისთვის იქით მხარეს დატოვეს გასასვლელი; სინამდვილეში, იქ ყველაზე მეტი სპეცრაზმელი იმყოფებოდა. დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ ალყაში მოგვაქციეს. აქციის მონაწილეებთან ერთად, სპეცრაზმელებმა ხელკეტები მეც მომარტყეს, გაზის ყუმბარა ფეხებში სამჯერ ამიფეთქეს, რეზინის ტყვიები თავზე მაწვიმდა... დავინახე, რომ თავისუფლების მოედანზე ხელბორკილდადებული ხალხი პირქვე ეყარა, ზოგი მუხლებზე იყო დაჩოქილი. ქალებსა და კაცებს — განურჩევლად სცემდნენ. ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა ფარი გამკრა და დაჩოქილ მომიტინგეებთან მიმაგდო. ვუყვირე, — ჟურნალის-

თვითმხილველის ნაამბობი

...შეშფოთებული მოხუცი მამაკაცი, ორ სპეცრაზმელს ეკლესიის ტერიტორიიდან მოჰყავდა; მან გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა. თავდაპირველად პოლიცია მე და სხვა ჟურნალისტებს ადგილს არ გვაკარებდა, გვერდით იდგა და არაფერს აკეთებდა მოხუცის დასახმარებლად, რომელიც მიწაზე ეგდო და როგორც ჩანს, გულის შეტევის გამო კონვულსიებში ბორგავდა. ამ დროს მეგობარი ამერიკელი ჟურნალისტი (ჯეფრი სილვერმანი) და მე მოხუცის გადარჩენას შევაცადეთ და დაჟინებით მოვითხოვეთ სასწრაფო დახმარების გამოძახება.

დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, თავისუფლების მოედნიდან სასწრაფო დახმარების ესკორტი გამოჩნდა. ეს მძიმე აღნაგობის მამაკაცი მანქანამდე ექიმმა, სილვერმანმა და მე გადავიყვანეთ, მაშინ, როდესაც პოლიცია სასტიკად ესხმოდა თავს მამაკაცების ჯგუფს, რომლებიც სასოწარკვეთილები ცდილობდნენ პარლამენტის შენობის დატოვებას... პოლიციას აშკარად ნებისმიერი წინააღმდეგობის მოსპობა უფრო აღელვებდა, ვიდრე იმ დაკავებული მომიტინგეების ან მოწმეების მოწოდებები დახმარებაზე, რომლებსაც გატეხილი თავებიდან სისხლი სდიოდათ...

საპროტესტო აქცია უკვე მთლიანად დარბეული იყო და პოლიციელთა მრავალრიცხოვანი კორდონი ტერიტორიას ჯერ არ ტოვებდა, რომ სილვერმანმა მიწაზე დაცემული, უყურადღებოდ მიტოვებული ადამიანი დაინახა, რომელიც ერთი შეხედვით, ან კვდებოდა, ან უკვე გარდაცვლილი იყო. ეს მომიტინგე კინოთეატრთან ახლოს, რუსთაველის გამზირზე, ტროტუართან იწვა.

ამ ადამიანის შესამოწმებლად ექიმები მხოლოდ სილვერმანის აღშფოთებისა და დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოვიდნენ. მიუხედავად ამისა, უკვე გვიანი იყო და ადამიანი გარდაცვლილი გახლდათ. მას არ გაეწია არანაირი სამედიცინო დახმარება, ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი, პირიქით — ექიმებიც და პოლიციელებიც ჩვენ გვემუქრებოდნენ და იმაზე იყვნენ კონცენტრირებულები, რომ როგორმე ჩვენ და სხვა ჟურნალისტებს ამ გარდაცვლილი ადამიანის ფოტო არ გადაგვეღო.

შემდეგ ექიმებმა სასწრაფო დახმარების მანქანას გადაადგილება სთხოვეს ისე, რომ მედიას ვერ დაენახა ის, თუ როგორ გადაჰყავდათ გარდაცვლილი ადამიანი საკაცეზე, რადგან ის უკვე ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ჩანს, განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ სილვერმანის სიტყვები ვერავის გაეგო; ის გარდაცვლილისკენ მიუთითებდა და ქართულ და რუსულ ენებზე გაყვიროდა: „ის ადამიანია და არა ნაგავი. რამე გააკეთეთ!“

იან კარვერი, OPEN DEMOCRACY

ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ

*ამერიკის ყოფილი მოქალაქე, ჯეფრი სილვერმენი საქართველოში 1991 წლის ოქტომბრიდან ცხოვრობს, ჰყავს ქართველი მეუღლე და აქვს ძველი ქართული პასპორტი. როგორც თავად აცხადებს, საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობითაა დაკავებული და ძირითადად, იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ვაჭრობის ფაქტებს იძიებს. რამდენიმე წლის წინ იგი ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტგაზეთის, **humanrights.ge**-ს ინგლისური ვერსიის რედაქტორი იყო. მისი ავტორობით ჩვენს საიტზე გამოქვეყნებული სტატიები მართლაც სიმწვავით და კრიტიკული პათოსით გამოირჩევა. წარმოშობით რაკი ამერიკელია, ჯეფრი სილვერმენი დახმარებას აშშ-ის საელჩოს სთხოვს და საყვედურსაც გამოთქვამს, რომ აქამდე საელჩო ვერაფრით დაეხმარა.*

„20 თებერვალს ღამის პირველ საათზე სასტიკად მცემეს, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არ იყო“, — აცხადებს ჯეფრი სილვერმენი ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას. — პირველად როცა მცემეს, 47 ნაკერი მქონდა თავალთან. ამერიკის საელჩო მაშინაც არ დამეხმარა. არადა, საქართველოში ამერიკელს არავინ სცემს, თუ ეს ვიღაცას არ უნდა და ამის მოთხოვნა არ არის. ერთხელ წამიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვაჟა-ფშაველაზე, ე.წ. „მოდულის“ შენობაში. ხელებზე ბორკილები დამადეს, მცემეს და მითხრეს, რომ თუ ვინმეს ვეტყოდი ამის შესახებ, მომკლავდნენ. მე იქიდან ამერიკის საელჩოში მივედი და ნაიარევები ვაჩვენე. მათ კი მითხრეს, რომ ვერაფერს ხედავდნენ. მესამედ 2007 წელს იყო. ჩემი პრობლემები საქართველოში 2002-03 წლიდან დაიწყო, როცა პანკისის ხეობაზე გამოძიება დავიწყე.

2007 წლის 7 ნოემბერსაც მცემეს „იმედის“ ტელევიზიის წინ. ამ ქვეყანაში არ არსებობს ადამიანის უფლებები და სამართალი. დიქტატურაა ირგვლივ და ამას მხარს ამერიკის შეერთებული შტატები უჭერს. თუ არ შეიცვლება რამე, აქაც იგივე მოხდება, რაც ხდება ტუნისსა და ეგვიპტეში“.

ᲯᲔᲤᲠᲘ ᲡᲘᲚᲕᲔᲠᲛᲔᲜᲘ, humanrights.ge

ტი ვარ-მეთქი! მან კი, — ჟურნალისტი რომ ხარ, იმიტომ მოგარტყავ, თუ ფეხზე ადგები, დაიჩოქეო! — და წავიდა. ცოტა ხანში სხვა სპეცრაზმელი მოვიდა, ამაყენა და მირჩია, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რიკულებს მოვფარებოდი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, ახლა სხვა სპეცრაზმელი გამომეკიდა ხელკეტით, მაგრამ მისმა კოლეგამ დაუყვირა — გაუშვი, ჟურნალისტიაო! ერთ-ერთმა ნიღბიანმა თავადვე შემომთავაზა, — ამომეფარე და სამშვიდობოს გაგიყვანო. საბოლოოდ, „ქორთიარდ მერიოტთან“ აღმოვჩნდი. დაჩოქილი, რიგში ჩამწკრივებული ხალხი დავინახე. ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში, გერმანელების საკონცეტრაციო ბანაკებში მქონდა ნანახი. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები სპეცრაზმელებს თითით ანიშნებდნენ, თუ ვინ უნდა ეცემათ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები სპეცრაზმელებს იმათზე მიანიშნებდნენ, რომლებიც საპროტესტო აქციებზე აქტიურობდნენ. სხვათა შორის, კადრების გადაღება არ დამიშალეს, უბრალოდ მითხრეს, რომ მათი სახეები არ გადამეღო. თან დაჩოქილ და ნაცემ ადამიანებს ვიღებდი და თან უკან-უკან ვიხევდი. ამასობაში სპეცრაზმელების ალყაში აღმოვჩნდი. უეცრად ერთ-ერთი მათგანი მომვარდა და მიღრიალა, — შენი დედაც, ვინ ხარ და აქ რა გინდაო? გულზე დაკიდებული, ჟურნალისტის საბუთი ვუჩვენე. ნიღბიანმა მოწმობას ხელი დაავლო და ისე ჩამომგლიჯა, რომ ლამის კისერიც ზედ მიაყოლა. მერე კამერას დაეჯაჯგურა. ვეცადე, კამერა მისთვის არ დამეთმო და რაც ძალა და ღონე მქონდა, აპარატურას ჩავებღაუჭე. ამასობაში, მეორე სპეცრაზმელიც მოვიდა და ისიც დამეჯაჯგურა. კამერას ცოცხალი თავით, ხელს არ ვუშვებდი. უცებ ვიგრძენი, რომ უკნიდან ვიღაცამ კისერში მკლავი ამომდო. ვიფიქრე, ფეხს ამოვარტყამ-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ ფეხებიც გაკავებული მქონდა. ვიღაცამ დაუყვირა, — რას შვებით, ქალია, თავი დაანებეთო! მათ კი უპასუხეს, — თუ ქალია, სახლში წაეთრიოს, აქ რას დაეთრევა, ამის დედაცო!.. ერთი-ორი ჩამარტყეს და კამერა წამართვეს. მერე ერთ-ერთმა მათგანმა ფეხზე ამაყენა, — წამოდი, გაგაცილებო. უკან რომ ვბრუნდებოდი, ხელგაკავებულ, დასისხლიანებულ, მიწაზე დაყრილ ადამიანებს ვხედავდი. ისე უმოძრაოდ იწვნენ, რომ ზოგიერთი მათგანი მკვდარი მეგონა. ყველგან სისხლის გუბეები იდგა. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. დღემდე სპეცრაზმელების გულშემატკივარი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ მათი ფუნქცია უდანაშაულო ხალხის დაცვა იყო; რას წარმოვიდგენდი, რომ მათი ხელკეტი მეც მომხვდებოდა?!. ერთხანს მიწისქვეშა გასასვლელში გავჩერდი. დავინახე, რომ ხალხი იდგა და გამოველაპარაკე. იცით, რას ამბობდნენ? ჩვენ აქ ბურჯანაძის მხარდასაჭერად კი არა, ქვეყანაში არსებული უსამართლობის გამო მოვედითო. მგონია, რომ აქციის ორგანიზატორი ვინც უნდა ყოფილიყო, ხალხი მაინც გამოვიდოდა.

— ვინმე თუ უწევდა წინაალმდეგობას სპეცრაზმს?

— მე ასეთი რამ არ შემინიშნავს. მხოლოდ მოგვიანებით ვნახე ინტერნეტით გავრცელებული კადრი, თუ როგორ ეფარიკავება აქციის მონაწილე ნიღბიანს. მგონი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო. სპეცრაზმელები მომიტინგეებს ექვსჯერ მაინც აღემატებოდნენ. ერთ კაცს 10 სპეცრაზმელი მაინც მოსდევდა.

— ლიდერების დაკავების ფაქტს ხომ არ შესწრებიხართ?

— კი, დავინახე რუსთაველის თეატრიდან როგორ გამოიყვანეს დიმიტრი ჯაიანი, მურმან დუმბაძე და გოგი ქავთარაძე.

— ნაცემები იყვნენ?

— დუმბაძე — კი, ქავთარაძე — არა; ის თითქოს ერთგვარი მოწიწებითაც გამოჰყავდათ სპეცრაზმელებს. აი, ჯაიანი კი სულ ჯიკავ-ჯიკავით გამოიყვანეს.

— ისიც ხომ არ შეგინიშნავს, ბურჯანაძემ და მისმა ოჯახმა როდის დატოვა აქცია?

— ძალიან მალე — ალბათ აქციის დარბევამდე.

გიორგი ბერიძე, *ჟურნალისტი:*

— მე რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვიყავი „გამაგრებული“. 20-ზე მეტი დაზარალებული ვნახე, პირიდან და ცხვირიდან სისხლი მოსდიოდათ. ბევრ მათგანს ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. როგორც გავარკვიე, ეს დაჟეჟილი ხალხი დიღომში მდებარე პოლიციის სამმართველოდან მოჰყავდათ. შევეცადე, დაზარალებულებისგან გამერკვია, რა გადახდათ თავს, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ ლაპარაკობდა; ზოგს ლაპარაკი შეეძლო, მაგრამ ფსიქოლოგიური შოკი ჰქონდა მიღებული და ისიც კი არ იცოდა, სად იყო. ამ დროს მოიყვანეს უცნობი, რომელსაც ფეხები დამტვრეული ჰქონდა, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული და ვერ ლაპარაკობდა. დაზარალებულებს შორის სოდის თანამშრომლებიც იყვნენ. თუმცა მათ ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდათ; სავარაუდოდ, გაზით იყვნენ მოწამლულები.

— მათთან დალაპარაკება არ სცადეთ?

— ვცადე, მაგრამ კითხვებზე პასუხი არ გამცეს.

— საავადმყოფოში ჩვენი კოლეგებიც ხომ არ გინახავს?

— კი, „აი ტი ვის“ ჟურნალისტი ვნახე. სასტიკად იყო ნაცემი.

აქციის დარბევის შემდეგ, სახალხო დამცველმა მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სამართალდამცველებმა ევროსაბჭოსა და გაეროს მიერ დადგენილი ყველა სტანდარტი დაარღვიეს. ამ სტანდარტების მიხედვით, პოლიციის მიერ დაკავებულ პირს აქვს: ახლობლებთან სატელეფონო ზარის განხორციელების, ადვოკატის აყვანისა და სამედიცინო მომსახურების უფლება. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის პრეზიდენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნათია იმნაძე ამბობს, აქციის დარბევის შემდეგ, სახალხო დამცველის ოფისმა შს სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით, დაკავებული მომიტინგეებისთვის მიეცათ ოჯახთან დაკავშირების საშუალება, გაეწიათ სამედიცნო დახმარება და შეეშვათ მათთან ადვოკატები. „როდესაც ჩვენ თბილისის იზოლატორში დაკავებული პირები მოვინახულეთ, მათი ადგილსამყოფელი საიას (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ადვოკატებს დაუყოვნებლივ შევატყობინეთ. მაგრამ როგორც გაირკვა, ჩვენი წამოსვლისთანავე პატიმრები სხვა იზოლატორებში გადაიყვანეს. შესაბამისად, ადვოკატებმა ისევ ვერ შეძლეს თავიანთ კლიენტებთან დაკავშირება“, — განცხადა ნათია იმნაძემ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლება საკუთარ ხალხს ისე გაუსწორდა, როგორც მოსისხლე მტერს. ქართველების სისხლით მორწყულ მიწადან-ზე კი იმ დღესვე აღლუმი ჩატარდა. აი, როგორ შეაფასეს ევროპული პრესის წარმომადგენლებმა 2011 წლის ქართული აღლუმი: „თბილისში სამხედრო აღლუმი გეგმის მიხედვით ჩატარდა და ქართველები აკვირდებოდნენ იმას, თუ როგორ ჩაიარა მისმა ერთ დროს დამარცხებულმა არმიამ იმ ქუჩაზე, რომელზეც იმავე ღამით გამარჯვებული პოლიცია გარემოებათა ტყვეობაში მყოფ, პროდემოკრატიულ მანიფესტანტებს სასტიკად გაუსწორდა“. ■

თვითმხილველის ნაამბობი

ბატონი გიორგი *(სახელი შეცვლილია), „სასწრაფო დახმარების“ ექიმი:*

— 25 მაისს დილიდანვე ვიყავით მობილიზებული. ყველამ ვიცოდით, რომ მძიმე მორიგეობა გვექნებოდა. ჩემი აზრით, ძალოვნებმა ზუსტად იცოდნენ, რომ იმ ღამით მომიტინგეებს აუცილებლად დაარბევდნენ. აგვკრძალა ჟურნალისტებთან ყოველგვარი ურთიერთობა. პირველ რიგში, სპეცრაზმელებს უნდა დავხმარებოდით (თუ ამის საჭიროება იქნებოდა) და შემდეგ — მომიტინგეებს. საშინელი სურათის მომსწრე გავხდი. თანაც, მხოლოდ იმის შემდეგ შეგვეძლო დაჭრილების დახმარება, როცა საამისოდ ოფიციალურ ბრძანებასა და ნებართვას მივიღებდით. როგორც ვიცი, „სასწრაფო დახმარებაში“ უამრავი მომიტინგე რეკავდა და შველას ითხოვდა. მათ ეუბნებოდნენ, რომ ბრიგადები გასული იყვნენ და აუცილებლად მივიდოდნენ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ შევძელით მოვლენების ცენტრში მისვლა, როცა კორდონმა გზა გაგვიხსნა. იქიდან წამოსული ხმაურით ვხვდებოდი, რომ საშინელება ტრიალებდა რუსთაველზე. მიწაზე სისხლიანი ხალხი იყო დაყრილი და მათთან მიახლოების საშუალებას არ გვაძლევდნენ. როგორც მივხვდი, ჩვენ გვამების გამოსატანად უფრო ვჭირდებოდით... მე ყოველთვის მიშას მომხრე ვიყავი და მის მოწინააღმდეგეებთან მუდმივად კამათი მქონდა, მაგრამ ამ დღის შემდეგ შემზიზღდა მთავრობაც და მათი მომხრეებიც, თუმცა არც ოპოზიციის მოქმედებით ვარ აღფრთოვანებული. „სასწრაფო დახმარების“ ყველა მანქანას და ექიმს მიჩენილი ჰყავდა რამდენიმე სპეცრაზმელი და ჩვენც გვაკონტროლებდნენ. თუ მათ დირექტივას არ შევასრულებდით და ჟურნალისტებს გარდაცვლილების ან დაზარალებულების გადაღების საშუალებას მივცემდით ან დაველაპარაკებოდით, არც ჩვენ დაგვინდობდნენ. იყო კიდეც ისეთი ფაქტები, როცა ჩემს კოლეგას დაემუქრნენ. ყველანი იძულებული ვიყავით, ისე მოვქცეულიყავით, როგორც მათ სურდათ. პირადად მე, როდესაც ერთ-ერთი მამაკაცისკენ დასახმარებლად გავიწიე, სპეცრაზმელი წინ გადამიდგა, — სად მიდიხარ, მანქანას რატომ მოშორდიო („სასწრაფო დახმარების“ მანქანას გულისხმობდა)?! — უნდა დავეხმარო-მეთქი, — ვუთხარი და თითი გავიშვირე ქალისკენ, რომელიც ბორდიურზე თავჩაღუნული იჯდა და ვერ გავარკვიე, დაშავებული იყო, გულის შეტევა ჰქონდა თუ რა სჭირდა. სპეცრაზმელმა ხელი მკრა, — ადგილზე დაეტიე და როცა მე გეტყვი და ვისთანაც მე გეტყვი, იმასთან მიხვალო. ჩვენი მანქანა რამდენიმე ათეული მეტრით გადაადგილდა. დავინახე, როგორ შეჰყავდათ სხვა მანქანაში გარდაცვლილი. შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომელსაც სახეზე სისხლი სდიოდა და ხელებიც მთლიანად სისხლით ჰქონდა მოსვრილი. როგორც ჩანს, მხედველობა ჰქონდა დასუსტებული ან თავში ძლიერი დარტყმებისგან — დაკარგული. ხელებს აცეცებდა და შველას ითხოვდა. ყველას ეხვეწებოდა, — 2 მცირეწლოვანი შვილი მყავს, ნუ მომკლავთ, მიშველეთ, ექიმი მომიყვანეთ და გადამარჩინეთო. კარგად დავინახე, როგორ ტიროდა და სისხლი და ცრემლი ერთმანეთში ერეოდა. არც მასთან მიმიშვეს სპეცრაზმელებმა. არ მოკვდება, ნუ ღელავო, — ცინიკურად მითხრა ერთ-ერთმა. ჩვენმა ბრიგადამ ერთი დაშავებული გადაიყვანა საავადმყოფოში და ამით დასრულდა დაშავებულებისთვის ჩვენი დახმარება. ადგილზევე შეგვეძლო ბევრისთვის შველა, მაგრამ ნიღბიან, ჯან-ღონით სავსე კაცებს ვერ გავუმკლავდებოდი, ისინი კი ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ. ჩემი აზრით, გარდაცვლილთა რიცხვი გაცილებით მეტია, რადგან რაც მე იქ საკუთარი თვალით ვნახე, შეუძლებელია, იმ ამბავს მეტი მსხვერპლი არ მოჰყოლოდა.

ფასდაკლება წიგნებზე, თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული მწერალი და 4 თვის „მკითხველი“

წიგნის ფესტივალი რამდენიმე წელია, უკვე ტრადიციად იქცა. გარდა იმისა, რომ ფესტივალზე ყველა საგამომცემლო სიახლის შესახებ ინფორმაციას იღებ, იქ წიგნების სოლიდური ფასდაკლებით შეძენაა შესაძლებელი და ბევრი ადამიანი საკუთარ ბიბლიოთეკას შესამჩნევად ამდიდრებს.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲫᲘᲕᲘᲫᲔ

ვიდრე საგამოფენო კომპლექსამდე მივიდოდი, გზაში ვფიქრობდი, — ნეტავ ამ ფესტივალს ხალხი მოდის გამო სტუმრობს თუ მართლა ამდენი ადამიანი კითხულობს წიგნსმეთქი?.. გზად სამ მოზარდს წამოვეწიე — ერთს ბიჭსა და ორ გოგონას, დაახლოებით მეცხრე-მეათეკლასელები იქნებოდნენ. ერთ-ერთმა გოგონამ მეორეს ხმამაღლა ჰკითხა, — წიგნის ფესტივალზე შევეხეტოთ თუ სადმე სხვაგან გავისეირნოთო? სწორედ ამით მიიპყრეს ჩემი ყურადღება... მეგობარმა უპასუხა, — დღეს რაღა გვინდა ფესტივალზე, ფული მაინც არა მაქვს, მაგრამ ხვალ იმ წიგნს აუცილებლად ვიყიდიო.

— რომელს? — ხმა ამოიღო ბიჭმა. — „ტყვიის ქაღალდი“? სანამ მოვიფიქრებდი, თუ რა ნაწარმოები იყო ეს „ტყვიის ქაღალდი“, გოგონამ დამასწრო და ბიჭს უპასუხა:

— „ტყვიის ქაღალდი“ კი არა, „ქაღალდის ტყვია“ ჰქვია მაგას. არ გახსოვს, ტელესერიალი რომ გადიოდა? ის ნაწარმოებია. ძალიან მაგარი სერიალი იყო და ამ წიგნის ყიდვაც ამიტომ მინდა. დარწმუნებული ვარ, წიგნიც ძალიან მომეწონება...

— მაშინ, რომ წაიკითხავ, მერე მეც მათხოვე, — სთხოვა ბიჭმა და გასასვლელისკენ გადაუხვიეს.

ეჰ, რა ტყუილად გამიხარდა, ბავშვებმა წიგნებზე რომ დაიწყეს ლაპარაკი: თურმე სერიალების მიხედვით სჯიან, თუ რომელი წიგნი უნდა წაიკითხონ. ღმერთს მადლობას ვწირავ, „მონა იზაურას“ ძებნა რომ არ დაიწყეს...

ზუსტად პავილიონის შესასვლელთან, ორი ზრდასრული გოგონას საუბარმაც მიიქცია ჩემი ყურადღება. ერთი მეორეს ეკითხებოდა, რა წიგნი იყიდეო? მეორემ ცელოფანის პარკიდან ახალშეძენილი წიგნი დაანახვა და უპასუხა: ბალზაკის „შაგრენის ტყავიაო“.

— ვისი ტყავი? — ვერ გაიგო პირველმა. მეგობარმა ავტორის სახელი და ნაწარმოების დასახელება გაუმეორა.

— ბალზაკი კი გამიგონია, მაგრამ მისი არაფერი წამიკითხავს. ეგ „რაღაცის ტყავი“ სასიყვარულო რომანია?

— არ ვიცი, ჯერ არ წამიკითხავს. ჩემმა ჯგუფელებმა ახსენეს, რომ მაგარი რომანი ყოფილა და ახლა რომ დავინახე, იმიტომ ვიყიდე.

— შაგრენი რას ნიშნავს, არც ეგ იცი?

— არა. აი, წავიკითხავ და მერე გეტყვი, რასაც ნიშნავს...

მოკლედ, პავილიონში შესვლამდე ვიფიქრე, — აქ მოსულთა უმრავლესობა „მოდას“ აყოლილი იქნება-მეთქი...

გამომცემლობის სტენდებს გავუყევი და გამოფენილი წიგნების თვალიერება დავიწყე. არც კი მეგონა, საქართველოში ამდენი გამომცემლობა თუ არსებობდა... ჩემი ყურადღება გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებმა — „სამოსელი პირველი“ მიიპყრო. იმის გამო, რომ ეს წიგნი შინ არ მაქვს, კარგა ხანია, არ წამიკითხავს და გადავწყვიტე, საფესტივალო ფასდაკლებით მესარგებლა.

— რა ღირს ეს წიგნი? — ვკითხე სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა გოგონას.

— 22 ლარი და 50 თეთრი, — მიპასუხა „დაზეპირებული“ ღიმილით.

— საფესტივალო ფასდაკლება თქვენ არ მოგიხდენიათ?

— როგორ არა?! თავისი ფასი 25 ლარია, დღეს კი თითქმის 22 ლარად ვყიდით.

— დიდი შეღავათია!.. — ჩავიბურტყუნე უკმაყოფილოდ და საბავშვო გამოცემებთან გადავინაცვლე. გადავწყვიტე, ჩემი შვილისთვის რაიმე საინტერესო და სასარგებლო წიგნი შემერჩია, მაგრამ — ნურას უკაცრავად: ყველაზე იაფფასიანი ზღაპრების წიგნი 20 ლარი ღირდა.

ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ “ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ” ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲒᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘ
“ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲗᲘ”

ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ

ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ 14Ბ ✆ 38 88 11
Ც. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ 7, “ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐ”, I ᲡᲐᲠ. ✆ 66 10 50 www.classica.com.ge
ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ Classicá

შემდეგ რიგში გადავინაცვლე. უცხოური გამოცემების სტენდთან შევჩერდი და საზღვარგარეთული ლიტერატურის თვალიერება დავიწყე. ამ



მოკლედ, პავილიონში შესვლამდე ვიფიქრე, – აქ მოსულთა უმრავლესობა „მოდას“ აყოლილი იქნება-მეთქი...

დროს იქვე მჯდომი გოგონა სკამიდან წამოდგა და ხელში პატარა ლექსების ბროშურა მომაჩეჩა; თან დასძინა, — მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენთან რაიმე წიგნს შეიძენთ თუ არა, ეს წიგნი საჩუქრად მიიღეთო. მადლობა გადავუხადე და ბროშურა გადავფურცლე. „რომეო დასენი, „დაბადება“ — ამოვიკითხე გარეკანზე. მაპატიოს ბატონმა რომეომ, მაგრამ ნამდვილად პირველად წავაწყდი მის სახელს. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ბროშურის წინასიტყვაობას გადავხედე (სხვათა შორის, ის დათო ტურაშვილს ეკუთვნის) და შევიტყვე, რომ რომეო დასენი „ქართველი“ ქურთი ყოფილა, რომელსაც ლექსების წერა დაპატიმრების შემდეგ დაუწყია. კიდევ უფრო განვცვიფრდი, როცა შემდეგ გვერდზე ამოვიკითხე: „სადაც უნდა იყო, როგორც უნდა იყო, ამ წიგნს შენ გიძღვნი, ძმაო, გომელაურო ნიკო...“ ფესტივალზე ამ ლექსების გაცნობის დრო ნამდვილად არ იყო, ამიტომ ეს საქმე სამომავლოდ გადავდე და დარბაზის ცენტრში, ხალხმრავალ ადგილს მივაშურე. დავინტერესდი, იქ რას ყიდდნენ ასე საინტერესოს.

„პალიტრა L“-ის დიდი სტენდის წინ აღმოვჩნდი. მასთან იმდენი ადამიანი ირეოდა, წიგნებამდე ძლივს მივაღწიე. არ მინდა, მიკერძოებაში ჩამომერთვას, მაგრამ ყველაზე მეტი ხალხი ნამდვილად ჩვენი გამომცემლობის პავილიონის გარშემო ირეოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან მსურველს 2-3 ლარად შეეძლო კარგი წიგნის შეძენა, ხოლო მაგარყდიანი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნების ფასი 7 ლარი გახლდათ. „პალიტრა L“-ის სტენდის გვერდით ვაჟაფშაველას კუთხე იყო მოწყობილი, სადაც ყველა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა, მწერლის შემოქმედებიდან მისთვის სასურველი ნაწყვეტი წაეკითხა და საჩუქრად მიეღო ვაჟას რჩეულ ნაწარმოებთა კრებული...

მოგეხსენებათ, „ლიტერატურული პალიტრის“ ინიციატივით, ამ ჟურნალთან ერთად, თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნები გამოდის. პირველი — დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნი“ და თერთმეტი მოთხრობა“ გახლდათ. რასაკვირველია, მწერლის ეს წიგნიც წარმოდგენილი იყო ფესტივალზე და საკმაოდ იაფად — 3 ლარად იყიდებოდა. ვერ გეტყვით, რამდენი ეგზემპლარი გაიყიდა, მით უმეტეს, რომ თავად მწერალიც იქ გახლდათ და ნებისმიერ მსურველს საკუთარ კრებულზე ავტოგრაფს ურთავდა.

დათო ტურაშვილის წინ უშველებელი რიგი დადგა. დავინტერესდი, ეს ხალხი რამდენად კარგად იცნობდა მის შემოქმედებას და რამდენიმეს გამოველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას ტურაშვილის არც ერთი ნაწარმოები წაკითხული არ ჰქონდა. მითხრეს, — ახლა „გურჯი ხათუნი“ შევიძინეთ და აუცილებლად გავეცნობით, რადგან როგორც პიროვნება, ბატონი დათო ძალიან მოგვწონსო. ნაწილი კი მისი შემოქმედებიდან მხოლოდ „ამერიკულ ზღაპრებსა“ და „ჯინსების თაობას“ იცნობს. რასაკვირველია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არა მხოლოდ დათოსი, არამედ ყველა კლასიკოსისა თუ თანამედროვე მწერლის შემოქმედებაში კარგად ერკვეოდნენ.

სურათი, რომელიც ჩემ თვალწინ „პალიტრა L“-ის სტენდის წინ გადაიშალა, „ყველაზე ნორჩმა მკითხველმა“ დააგვირგვინა: ეს გახლდათ სპეციალურ კალათაში მოთავსებული პაწაწინა ბიჭუნა, რომელიც მშობელს მოეყვანა, რათა პირველად „ზიარებოდა“ წიგნის სამყაროს. მას ხელში „გურჯი ხათუნი“ ჩავუდე და მისი კალათის გარშემო ფოტოკამერიანი ადამიანების რიგი დადგა. 4 თვის ლუკა კედია ერთ წუთში ყველაზე პოპულარულ „მკითხველად“ გადაიქცა...

5 წიგნი თავადაც შევიძინე (მათ შორის, „გურჯი ხათუნიც“, რომელიც სხვებისგან განსხვავებით, არაერთხელ მაქვს წაკითხული და მწერალს ავტოგრაფიც გაცილებით თამამად ჩამოვართვი) და ფესტივალი იმ იმედით დავტოვე, რომ გაისად საინტერესო წიგნებს არა მხოლოდ „პალიტრა L“ გაყიდის ხელმისაწვდომ ფასად, არამედ მას სხვა გამოცემებიც მიჰბაძავენ... ■



ნაწილი კი მისი შემოქმედებიდან მხოლოდ „ამერიკულ ზღაპრებსა“ და „ჯინსების თაობას“ იცნობს

წიგნი გასათხოვრებისთვის და არა მარტო...

„თუ ღმერთი კიდევ ერთ შვილს მომცემს, რატომაც არა?!“

სულ ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ, რომ ცნობილ ჟურნალისტს, ლალი მოროშკინას კიდევ ერთი წიგნი დაუწერია, რომლის პრეზენტაციაც 3 ივნისს შედგება. წიგნის გამომცემელი „პალიტრა L“-ია და შესაბამისად, მისი რეალიზებაც მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“ მოხდება. ამ ოპუსს ერთობ დამაინტრიგებელი სახელწოდება აქვს — „ყველა კაცი იდიოტი არ არის! ანუ როგორ გავთხოვდეთ“ და განსაკუთრებით, გასათხოვარ ქალებს დააინტერესებს. თუმცა გათხოვილებიც ბევრ საგულისხმო ამბავს შეიტყობენ. დანარჩენს თვად ლალი მოროშკინას გამოვკითხავ...

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲫᲘᲕᲘᲫᲔ

— რატომ გადაწყვიტე მსგავსი შინაარსის წიგნი დაგეწერა? მგონი, გათხოვების პრობლემა არასოდეს გქონია...

— წიგნებს ორ-სამ თვეში ვწერ... არსებობს რუსული და ამერიკული ფსიქოლოგიური ნაშრომები — თუ როგორ შეიძლება გათხოვდეს ქალი. საგულისხმო მაგალითია — ამერიკელი ავტორის, კენტის დაწერილი ასეთი წიგნი რუსებმა არ მიიღეს... ამიტომაც გადავწყვიტე, ქართული ვარიანტი დამეწერა. ამისკენ ჩემმა დეკანატმაც მიბიძგა: საქართველოს ეროვნულ ინსტიტუტში (სეუ) ვასწავლი, სადაც მთელი დღის განმავლობაში დაახლოებით 20 თანამშრომელთან ურთიერთობა მიწევს. რატომღაც, ყველა მათგანი გაუთხოვარია. დავიწყე მათზე დაკვირვება, რომ გამეგო, რატომ არ თხოვდებიან. დასკვნები რომ გავაკეთე, მათ ვუთხარი, — ყველა თქვენს მინუსს წიგნში აღვწერ-მეთქი. ასეც მოვიქეცი. მივხვდი, თუ რატომ თხოვდება ამ ქალაქში ერთი და იგივე ადამიანი. წიგნი ასე იწყება: ორი ქალბატონი შარდენზე, ერთ-ერთ კაფეში ყავას სვამს. მათ წინ წყვილი გაივლის. გოგონას თითზე ნიშნობის ბეჭედს შენიშნავენ და ჩაილაპარაკებენ, — ეს უკვე მერამდენედ! ამ ქალაქში მხოლოდ ერთი და იგივე ქალები თხოვდებიანო... ჩემი აზრით, პირველ პაემანზე ქალი ისე უნდა იქცეოდეს, როგორც მზვერავი უცხო ქვეყანაში ანუ — აუცილებლად უნდა შეიტყოს, რა წარსული აქვს იმ მამაკაცს, ვინ არიან მისი მეგობრები, როგორი მატერიალური მდგომარეობა აქვს და ა.შ. თუ დაზვერვის შედეგად მიხვდი, რომ ეს ადამიანი მოგწონს, მერე უნდა გაიგო, თუ რა ფსიქოტიპია, შენ კი აბსოლუტურად საწინააღმდეგოს უნდა მიეკუთვნებოდე, რადგან არ შეიძლება, ერთ სუფრაზე ორი თამადა იყოს. ასე, ტიპაჟებად მყავს დაყოფილი მამაკაცები.

— ეი. არ ეთანხმები მოსაზრებას — „ყველა კაცი ერთნაირია“?

— არავითარ შემთხვევაში. ყველა კაცი ინდივიდუალურია. უბრალოდ, თუ ქალს გადაწყვეტილი აქვს, რომ უნდა

თუ გათხოვდები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავი ქუდში გაქვს

გათხოვდეს, უნდა შეარჩიოს ფსიქოტიპი და თვითონაც უნდა დაიწყოს მოქმედება. ჩემს წიგნში ასევე არის რჩევები. მაგალითად: ქალი უნდა იყოს დღისით — მამაკაცის ბიზნესპარტნიორი, საღამოს — მზარეული და დამლაგებელი, ხოლო ღოგინში — უკანასკნელი კახპა. ძალიან მარტივი რეცეპტია. თუ ქალი ასეთი იქნება, მამაკაცი არც თავის ბიზნესპარტნიორებში დაიწყებს ქალის ძებნას, არც დამლაგებელთან გააბამს ფლირტს და არც კახპებთან სიარულის სურვილი ექნება. ბევრი ისეთი წვრილმანია, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, გათხოვება ძალიან ადვილია. ჩემს წიგნში, შეიძლება ითქვას, ყველაზე ნაკლებად ფიგურირებს სიტყვა „სიყვარული“. ეს წიგნი პატარა გოგონებისთვის არ არის — ის მორგებულია ქალებზე, რომლებმაც ბევრი რამ ნახეს ცხოვრებაში და უფრო სხვანაირად უყურებენ ამ ყველაფერს. წიგნის ბოლოში არის ცარიელი ფურცლები, რადგან ქალებს ძალიან საინტერესო ჰოროსკოპსა და ფსიქოლოგიურ ტესტებს ვთავაზობ და მათ შეუძლიათ, ამ ცარიელ ფურცლებზე იმუშაონ. მოკლედ, ეს წიგნი ქალებისთვის საინტერესო საზაფხულო საჩუქარია.

— შენი წიგნი გათხოვილი ქალებისთვის საინტერესო არ იქნება?

— როგორ არა. მათზეც მიწერია. თუ გათხოვდები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავი ქუდში გაქვს, რადგან ერთ მამაკაცზე 12 ქალი მოდის. ასე რომ, კონკურენცია დიდია და შენი ქმარი უნდა შეინარჩუნო. თუ როგორ, ამას ამ წიგნში წაიკითხავთ.

— ლალი, გავიგეთ, გათხოვებას აპირებსო, მართალია?

— ამ წიგნის დაწერის შემდეგ არა მაქვს მორალური უფლება, არ გავთხოვდე. სექტემბერში ვგეგმავთ ქორწილს.

— შენმა მომავალმა მეუღლემ თუ წაიკითხა ეს წიგნი?

— ჩემი მომავალი მეუღლე იურისტი გახლავთ. მის ვინაობას ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ, მხოლოდ სახელს გეტყვით — დათო ჰქვია. მეორე წიგნის („უსექსობა პატარა ქალაქში“) წერისას ის აქტიურად მეხმარებოდა — იქ რაც იურიდიული საკითხები იყო გასამართავი, სწორედ მისი მეშვეობითაა გამართული. გარდა ამისა, ამ წიგნის მთავარი პერსონაჟების — სოფოსა და დიტოს რომანი, ჩვენი რომანია, რომელიც 15 წლის წინ გერმანიაში დაიწყო...

— ლალი, ქორწილში თეთრი კაბა უნდა ჩაიცვა?

— რა თქმა უნდა. წინა ორ შემთხვევაში არ მცმია და ცხოვრებაში ერთხელ მეც ხომ უნდა ვიყო პატარძალი!

— როგორც თქვი, შენ და დათომ ერთმანეთი 15 წლის წინ გაიცანით. ამდენ ხანს რატომ არ ჩამოყალიბდა თქვენი ურთიერთობა? მაინცდამაინც ამ წიგნის დაწერას ელოდებოდი?

— დათო გერმანიაში ცხოვრობდა, იქ სწავლობდა და როცა სამშობლოში დაბრუნდა, მე უკვე მეორედ გათხოვილი გახლდით ანუ — მან ვერ მოასწრო ჩემი დაჭერა ქორწინებასა და ქორწინებას შორის. ამიტომ, ახალ წელს მომადგა და მითხრა, — სანამ კიდევ სადმე გაიქცევი, ახლავე ჩაგიჭერ და ახლავე გადავწყვიტოთ ეს ამბავიო.

— მესამე ქორწინებაში მესამე შვილის გაჩენასაც ხომ არ აპირებ?

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მას ჩემამდე ცოლი არ ჰყოლია და შესაბამისად, არც შვილი ჰყავს (რატომღაც, სულ ასეთ კაცებს ვიბარებ...), მასაც სჭირდება მომავალი; თუ ღმერთი კიდევ ერთ შვილს მომცემს, რატომაც არა?! თანაც, უკვე რამდენი ხანია, მინდა, დავწერო წიგნი — „როგორ გავზარდოთ ბავშვი“. ქართველებს ასეთი წიგნი არა გვაქვს და ფეხმძიმობის პირველი თვიდანვე დავიწყებ მასზე მუშაობას.

■

„რუსული ხელი“ თუ ბუნებრივი სიკვდილი?!

მიზეზები, რის გამოც რუსეთმა ერთ დროს მისი ფავორიტი აითვალწუნა

ლალი პაპასკირი

„მკვეთრად პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, სერგეი ბაღაფშმა თავი ვერ მოაბა რუსეთის ტერიტორიული ამბიციების დაკმაყოფილებას; აფხაზეთის ეკლესიის რუსეთის ეპარქიისთვის მიერთებას; არაერთი მცდელობისა და რუსეთის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ვერ მოაგვარა რუსეთის მოქალაქეებისთვის ქონების რესტიტუციის საკითხი; ბოლო დროს ხშირად დადიოდა თურქეთში და მუჰაჯირებს მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებას ჰპირდებოდა. ამავდროულად ცდილობდა, თურქ ინვესტორებს აფხაზეთის ქალაქებში თავი დაემკვიდრებინათ და ბიზნესი გაეფართოებინათ, რაც რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა... საბჭოთა კავშირის დროს და უფრო ადრე აშენებული სანატორიუმები რუსეთის სამხედრო ბაზებად გადაკეთდა. შეუსრულებელი დაპირებების კვალდაკვალ, აფხაზი საზოგადოება მას სასტიკად აკრიტიკებდა. მისი „რბილი და დამთმობი“ მმართველობის პოლიტიკური სტილით ძალზე უკმაყოფილო იყო რუსეთი... ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ მიზეზებისა, თუ რატომ შეიძლებოდა, რუსეთი მას სიკვდილში „წახმარებოდა“, — ამბობს ჟურნალისტი, „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი. აფხაზეთში ეჭვს იწვევს ე.წ. პრეზიდენტის მიერ შერჩეული 83-ე საავადმყოფო, რომელიც „არც ისე კვალიფიციური ექიმებით არის ცნობილი“...

აფხაზ საზოგადოებაში საუბრობენ იმაზე, რომ ის რუსეთში რამდენჯერმე გააფრთხილეს, ქართველებსა და აფხაზებს შორის გაჩაღებული ბიზნესი, ადმინისტრაციულ საზღვარზე მიმოსვლა და ბოლო დროს ისევ გააქტიურებული არასამთავრობო სექტორი გაეკონ-

ტროლებინა... რუსეთის უკმაყოფილებას იწვევდა ენგურს გადმოღმა საქართველოში სამკურნალოდ გადმოსული აფხაზები, რომელთა რიცხვიც დღითი დღე „სახიფათო მასშტაბებს იძენს“...

ინალ ხაშიგი:

— ყველასთვის ცნობილია, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი მოსკოვის ცენტრალურ კლინიკაში მკურნალობდა, შემდეგ კი მოულოდნელად გაირკვა, რომ მოსკოვის 83-ე საავადმყოფოში გარდაიცვალა. თან, როგორც ექიმები აცხადებენ, ოპერაციის შემდგომ ის პალატაში გადაიყვანეს და სამი დღის განმავლობაში პაციენტის მდგომარეობა სტაბილური იყო... აფხაზეთში ამბობენ, რომ რუსებმა სერგეი ბაღაფში გაგრის მიმდებარე ტერიტორიას გადააყოლეს, — თქვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, მან რუსებს სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიები არ დაუთმო... ბოლო ხანებში რუსი მაღალჩინოსნები მას დაუნდობლად აკრიტიკებდნენ, რაც განსაკუთრებით, მისი თურქეთში ბოლო ვიზიტის შემდეგ გახშირდა. რუსეთში აცხადებდნენ, რომ სერგეი ბაღაფშმა მათ ხელისუფლებას იმედი გაუცრუა... კულტურული ინფორმაციით, ბაღაფში, სხვა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან ერთად, აფხაზეთში „როსნეფტის“ შემოსვლასა და ტყვარჩელში ქვანახშირის მომპოვებელი ჭაბურღილის გახსნას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ამ შემთხვევაში სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნებოდა. ეს არის რამდენიმემილიონიანი კომპანია, რომელიც მთელი აფხაზეთის მონოპოლიზებას აპირებს და არც ერთ სხვა (თურქულ, სომხურ) ბიზნესს ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევს... ახალი არ არის, რომ ყველა აფხაზ პოლიტიკოსს რუსეთში თავისი „კრიშა“ ჰყავს, — აფხაზეთის ლიდერს კრემლში ლობირებას მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი უწევდა. მისი გათავისუფლების შემდეგ კი მას სერიოზული პრობლემები შეუქმნეს.

— სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებისთანავე, მის შემცვლელზე ალაპარაკდნენ. თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე რეალური კანდიდატი?

— სავარაუდო ოთხ კანდიდატს — რაულ ხაჯიმბას, სერგეი შამბას, ალექსანდრე ანქვაბსა და ბესლან ბუთბას შორის, ხალხისთვის ყველაზე მისაღები ალექსანდრე ანქვაბია, რადგან მას სხვებისგან განსხვავებით, სუფთა პოლიტიკური წარსული აქვს. მას აფხაზეთის მოსახლეობაში ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს, მაგრამ აქედანვე ნათელია, რომ ნაციონალი პოლიტიკოსი რუსეთისთვის თავის ტკივილად იქცევა... ჩვენი კანდიდატები საბოლოო გადაწყვეტილებას სულ რაღაც ორ თვეში რუსეთისგან გაიგებენ, მაგრამ იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ შეხვდებიან აფხაზეთში რუსეთის რჩეულს, ძნელია... ფაქტია, რომ აფხაზეთის მეორე პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მკვეთრ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ — ანუ საქართველოსთვის ამ კუთხით არაფერი შეიცვლება.

გოჩა გვარამია, *„თბილისის ექსპერტთა კლუბის“ წევრი:*

— კრემლს თავისი ცოდვები ეყოფა და ბაღაფშის სიკვდილში მას ვერ დავადანაშაულებთ... რამდენიმე წლის წინ ბაღაფშს ექიმებმა ურჩიეს, სიგარეტისა და ალკოჰოლური სასმელებისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ მან მედიკოსებს არ დაუჯერა. დიაგნოზის დასმის შემდეგ, ბაღაფშს მარჯვენა ფილტვზე სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. როგორც ამ სფეროში ჩახედულ, პროფესიონალ

გაგრძელება იხ. გვ. 16

რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ხელოვნური განაყოფიერების კლინიკა „ინ ვიტრო“

გთავაზობთ სამედიცინო მომსახურების ფართო არჩევანს: უშვილობის მკურნალობა (როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა), IVF „ინ ვიტრო“ განაყოფიერება, ICSI - ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინექცია, TESA - ტესტიკულური სპერმის ექსტრაქცია, დონაციასუროგაციის პროგრამა, საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია, ემბრიონების კრიოპრეზერვაცია, ბლასტოცისტის კულტივაცია, გინეკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგი და მკურნალობა და სხვა. თქვენს განკარგულებაშია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორია.

მისამართი: ლუბლიანას 2 / 6
ტელ: 15 77 77, 8 (68)405050
e-mail: info@invitro.ge
ვებ-გვერდი: invitro.ge

ის გამორჩეული იყო

იმ დღეს მართლმადიდებლური სამყარო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდა...

ერთი პატარა ბიჭი ციდან მოვლენილმა ანგელოზებმა ზეცაში აიტაცეს და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა იქ აუწყეს...

ის ევროპული სკოლის IV კლასის წარჩინებული მოსწავლე იყო. ოცნებობდა ცოდნის დონე აემაღლებინა და სპორტის სამყაროში თავისი სიტყვა ეთქვა.

25 აპრილს 10 წლის შესრულდა...

ვეღარ დაინთო 10 სანთელი...

იოვანედ მონათლული ღმერთთან წავიდა, რამეთუ სიკვდილის წინ სიმღერით უხმობდა მას — „ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა“...

აღდგომიდან ამაღლებამდე უშენოდ ჩავლილი 40 გაუსაძლისი დღე

რა უცებ გაფრინდა და რა ნელა გაიძურწა, ტკივილით, ლოდინით, დარდში და ცრემლში ჩამხრჩვალი 40 დღე.

რა უსაშველო და გაუსაძლისი გახდა მდუმარებასა და მშფოთვარებაში, მოგონილ სიმშვიდესა და ლოცვა-ვედრებაში გალეული 40 დღე. ქარიშხალივით დაგვატყდა თავს სიკვდილის მეხი და ერთიანად გაგვანადგურა.

ეს არ იყო ქარს მოყოლილი ქარიშხალი, რომლის განკურნებაც დროს შეუძლია. ეს მეხთატეხა იყო უსამართლოდ მართალთა კერაზე გაბნეული.

შენ რომ შეგეძლოს გაიგონო, დილაადრიან ივერი ბაბუა რა შემზარავი გოდებით გიხმობს: „სადა ხარ, ჩემო ჯიგარო ბიჭო, მე ლოგინში უნდა მეძინოს და შენ მიწაში უნდა მეგულებოდე?!“ შენ რომ იცოდე, როგორ გეძებს, დილით სკოლაში რომ წაგიყვანოს, შემდეგ ფეხბურთზე... გეძებს, გეძებს და ამ დროს, როცა ამაოა ეს ყველაფერი, მისი შემზარავი გოდება დაჭრილი ხარივით ასკდება ექოს, და ამ ყველაფერს შენ რომ გრძნობდე, ბნელეთს გაარღვევდი და ბაბუასთან გამოიქცეოდი.

შენი მამიკო ყოველი წუთი და წამი შენს სურათებს ესაუბრება. ხან ეფერება, ხან გსაყვედურობს, — რატომ მიმატოვე მამი, რატომ გამექეცი. გარკვეული დრო მწარე რეალობიდან გაქცევა მოინდომეს და მონასტერს მიაშურეს...

შინ დაბრუნებული შენი დედიკო შენს ოთახში შენს ლოგინს ასველებს მწარე ცრემლით. შენი მამიკო კი დაჭრილი ხარივით ბორგავს... „დაბრუნდი სახლში და ისევ ის კოშმარი დამხვდა, ივიკო ისევ ვერ ვიპოვე“. როცა ერთად არიან შენი მშობლები, ერთმანეთს ანუგეშებენ, წუთით განმარტოვდებიან და მათი ცოდვით შენი ანგელოზებიც ტირიან ალბათ...

შენ რომ ხედავდე, ეთერი ბებია შუაღამით როგორ მიიპარება შენს ოთახში, რა უსაშველო მონატრებით გიხმობს და გეძახის, აუცილებლად გასცემდი ხმას... მდუმარებაში კლავს შენი მონატრებით გამოწვეულ მწარე ტკივილს შენი უთქმელი მარიამი. პატარა დათა კი მოწყენილი დაბაჯბაჯებს და წამდაუწუმ იძახის — „ივი, ივიკო“. გულდათუთქული ტირის და გეძებს შენი მაიკო. უსაშველო ტკივილი სჭირს ხათუნა დეიდას და ყველას, ყველას, ვისი გულიც შენი სიკვდილის მეხმა დაფლითა...

ჭაღარანარევი წვერით შეიმოსა შენი საგვარეულო, გმინავენ ვაჟკაცები, პატარა მურყვამი წაგვექცაო, გვარის ჯილა თბილი და მოსიყვარულე, კეთილი და სამართლიანი პატარა გმირი, რომლის სიკვდილმა მთელი საქართველო შეძრა.

28 აპრილს ვაკე-საბურთალოს გადასახვევიდან ჯვართ ამაღლების ეკლესიამდე საათობით იდგა ხალხი რიგში, თავად უნდოდა ეხილა ყველას, თეთრ ჩოხაში გამოწყობილ პატარა შავლეგოს, როგორ უთბობდა კოცნით უბედური დედა პაწია ტუჩებს და ცხვირს, როგორ უწეწავდა ქოჩორს, როგორ ეფერებოდა, არ დამტოვო, არ მიმატოვო, შვილოო!

ბოლო წუთამდე უკვირდა უთქმელ მამას — ამ ზღვა ცრემლმა ეს პატარა ბიჭი როგორ ვერ უნდა გამიცოცხლოსო...

როგორ კოცნიდა და ეჩურჩულებოდა ივერი ბაბუა თავის ჯიგარო ბიჭს — „ეს რა მიქენი ბაბუ, ჩემი ადგილი როგორ წამართვი“. როგორ შეატორტმანა სივრცე მთების გულიდან ამოხეთქილმა სვანურმა ზარმა, მთაკაცები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ტაძარში თუ გარეთ და როგორ ვერ შეძლო მუხლმოკვეთილმა ძალაგამოცლილმა დედამ სამუდამო ტაძრამდე, თავად მიეცილებინა თავისი შვილი...

შებინდებამდე იდგა ხალხი ტაძრის ეზოში და ელოდებოდა ვიღაც ალბათ რაღაც სასწაულს, „იქნებ წამოდგეს ეს მძინარე თეთრჩოხიანი პატარა ბიჭი და თავის მწვრთნელს და თავის თანატოლ ფეხბურთელ ბიჭებს, მათგან საჩუქრად მირთმეული ბურთი თავადვე გაუგოროს თვალებანთებულ ცეცხლოვან „ჭელომ“... იქნებ გაანგრიოს კაკლის სასახლე და შინდაბრუნებულ, მხრებჩამოყრილ ივერი ბაბუს წამოეწიოს და უთხრას — „აქა ვარ, ბაბუ“. სასწაულები სიკვდილს თურმე ვერ ამარცხებენ. შენი ეკა, განმარტოებული, შენს ოთახში ტირის, ქვითინებს, გეძახის — „ჩემი შვილი მენატრება, ჩემი ქოჩორა შვილი“ და ეს სულისშემძვრელი დედაშვილური და მამაშვილური მონატრება 40 დღეა აღარ დასრულდა.

შენი ოჯახის თავს დატეხილი უბედურება, უწმინდესმა და უნეტარესმა ჩვენმა პატრიარქმა როცა გაიგო, თავისთან იხმო შენი ოჯახის წევრები სანუგეშებლად, შენს სურათს როცა დახედა, თქვა: უფლის რჩეულია და უფალმა თავისთან წაიყვანაო. მან კი შენი სურათი დაიტოვა, რათა შენი სულის სადიდებლად ლოცვები აღავლინოს.

მშვიდად განისვენე ცათა სასუფეველსა შინა, შენ — ნელი ბებიას და ჯემალ ბაბუას წილხვედრო. ამიერიდან ისინი იზრუნებენ, ისინი გაგიკვლევენ გზას ლაბირინთებიდან მარადიულ სასუფევლამდე...

ეთერ ჭელიძე

ივიკო ჭელიძის ხსოვნას

ეს რა მიყავი, ბაბუა,
რისხვა დამტეხე ღვთისაო,
სვანეთში მთები ატირდნენ,
ენგურიც აღმა დისაო!...
რად დაამწუხრე მამული,
რად ათქმევინე ზარიო,
ბაბუს ჯიგარო ვაჟკაცო,
რად შემიმცირე გვარიო...
ჩემო იმედო, ნუგეშო,
არ გამიციო კერია,
ნუ წახვალ, მიშხვილადექსი,
ჯერ ხომ ბაბუას ჯერია!
თავი დევგმირი გეგონა,
ან რა იფიქრე, ვინ იცის?
შეძარი დედასვანეთი,
ძაძით შემოსე თბილისიც...
შეხსენი სამოთხის კარი,
ანგელოზები მღერიან,
ბებო წინ შემოგეგება
იქ წინაპრებიც გელიან...
რაღაა ჩემი სიცოცხლე,
რა გამიმართლებს გულსაო...
მშვიდობით იყავ, ბაბუა,
ნათელ გეფინოს სულსაო!...

ზურაბ ლეშკაშვილი

დასაწყისი იხ. გვ. 14

მედიკოსებთან შემდგომ გავარკვიე, იგი სასიკვდილოთ განწირული იყო, უბრალოდ, ერთი კვირა იცოცხლებდა თუ ერთი თვე, არავინ იცოდა... საბჭოთა სამედიცინო პრაქტიკაში, პაციენტისთვის რეალური დიაგნოზის დამალვა ჩვეული მეთოდია. ალბათ ამ შემთხვევაშიც მსგავსი რამ მოხდა.

— თქვენ ვარაუდით, ვის ერგება დე ფაქტო პრეზიდენტის სავარძელი?

— დღეისათვის ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, თუ ვინ იქნება აფხაზეთის „პრეზიდენტი“ ძნელია. ახლა აფხაზეთში 2005 წლისგან სრულიად განსხვავებული სიტუაციაა... სათავეში ყოფნის პერიოდში ბაღაფშმა შეძლო, კრემლი დაერწმუნებინა იმაში, რომ მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო და შედეგიც მიიღო, — მეორე არჩევნების დროს, მოსკოვიდან წინააღმდეგობა არ ჰქონია... 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რასაც რუსეთის მხრიდან ყველანაირი საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარება მოჰყვა, აქტიურად დაიწყო „დამოუკიდებელ აფხაზეთში“ კრემლის ბიზნესინტერესების გატარება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუსეთმა იმ საკურორტო ობიექტების მისთვის გადაცემა მოითხოვა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ე.წ. საკავშირო დაქვემდებარებაში იყო მოქცეული. მოგვიანებით, რუსმა პოლიტიკოსმა, კონკრეტულად კი კონსტანტინე ზატულინმა, რომელსაც აფხაზი ხალხის „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“ „დამსახურებული წვლილი“ მიუძღვის, გაგრის ზონაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მიწის ნაკვეთის პირად საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა. ამ ფაქტს აფხაზეთის მოსახლეობაში საპროტესტო ტალღა მოჰყვა, რასაც ოპოზიციონერი რაულ ხაჯიმბა უდგას სათავეში... ანუ თუ ადრე რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ აგორებულ ტალღაზე, ბაღაფშმა რაულ ხაჯიმბას არჩევნები მოუგო, ახლა იმავე ტალღაზე არჩევნების მოგებას რაულ ხაჯიმბა აპირებს: მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ რაულ ხაჯიმბამ პირველად არჩევნები სწორედ იმიტომ წააგო, რომ პუტინის ფავორიტად მიიჩნეოდა. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთის ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა მას სოჭში, რუსეთის ეფ-ეს-ბეს გენერლის სამხრეები პირადად გადასცა.

— სხვა კანდიდატებზე რას იტყვით?

— ხაჯიმბას გარდა, კიდევ ორი რეალური კანდიდატურა იკვეთება: ამჟამად „პრეზიდენტის“ მოვალეობის შემსრულებელი, „ვიცე-პრეზიდენტი“ ალექსანდრე ანქვაბი, რომელსაც პირადი ავტორიტეტიდან გამომდინარე, საკმაო რაოდენობის მხარდამჭერი ჰყავს, ისევე, როგორც მარიონეტული რეჟიმის დღევანდელ „პრემიერ-მინისტრს“ — სერგეი შამბას. ამავე დროს, არ არის გამოსარიცხი აფხაზეთის ეკონომიკური აღორძინების პარტიის ლიდერი ბესლან ბუთბა, რომელსაც საკმაოდ სტაბილური ელექტორატი ჰყავს... მან კარგად იცის, რომ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს და შესაძლოა, ხელისუფლებაში მოსასვლელად რომელიმე კანდიდატთან ალიანსში ვიხილოთ. სავარაუდოდ, იგი რაულ ხაჯიმბას გუნდში იქნება. ამის თქმის საფუძველს მათ მიერ ერთობლივად გამართული არაერთი საპროტესტო ღონისძიება, პოლიტიკური ყრილობა თუ სხვა ღონისძიებები მაძლევს... ამიტომ, თუ შამბა და ანქვაბი ბედს ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცდიან, სავსებით შესაძლებელია, რომ ხაჯიმბა-ბუთბას სავარაუდო ალიანსმა გაიმარჯვოს. თუმცა, თუ ისინი ერთმანეთში მორიგდებიან და გავლენის სფეროების გადანაწილებაზე წინასწარ შეთანხმდებიან, თითოეული მათგანის პირადი ავტორიტეტისა და მათ ხელთ არსებული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, ამ დუეტის გამარჯვება გარდაუვალი იქნება... ■

ფაქტი და კომენტარი

აქცია პოლიტიკოსების გარეშე

თუ ახალი ფარსი პოლიტიკური რეინკარნაციისთვის?!

საპროტესტო აქციის დარბევისა და აღლუმის ჩატარების შემდეგ საზოგადოების ყურადღების ცენტრში „ჰდუმარე აქციები“ მოექცა. „არა — ძალადობას!“, „არ გვინდა პოლიტიკოსები, ახლა ჩვენ ვაპროტესტებთ“, „გაიგოს ყველამ, რომ საქართველო ჩვენია და არა სააკაშვილის, რომელმაც საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო“, „დღეს ჩვენ თავად ვიწყებთ ბრძოლას, ჩვენ თავად უნდა მივხედოთ ჩვენს თავს“ — ასეთი ტრანსპარანტები იყო წარმოდგენილი პოლიტიკოსების გარეშე ჩატარებულ საპროტესტო აქციებზე, რომლებშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, სტუდენტები მონაწილეობდნენ... როგორია საზოგადოების პოზიცია ამ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით?

თამარ როგავაძე

გია მანსურაშვილი, *მეწარმე:*

— მივესალმები ქვეყანაში ახალი პროცესის დაწყებას პოლიტიკოსების გარეშე. ამ კასტას ხალხისა და ქვეყნის ბედი საერთოდ არ ანაღვლებს. ეს 25 მაისსაც გამოჩნდა. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ექსტრემისტებივით მოიქცნენ. ბურჯანაძე და სააკაშვილი თანაბრად არიან დამნაშავეები. ბურჯანაძემ სისხლის ღვრის პროვოცირება მოახდინა, სააკაშვილმა კი გადაჭარბებული ძალა გამოიყენა მომიტინგეთა წინააღმდეგ. მსხვერპლის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მაგრამ ეს ხელისუფლების ინტერესში არ შედიოდა. მმართველი გუნდის მიზანი — ბურჯანაძის მომხრეებისთვის დარტყმის მიყენება იყო. გამოუვიდათ კიდეც. როგორც ბურჯანაძე, ისე სააკაშვილი ძალაუფლებით დაავადებული „ცხოველი ადამიანების“ ვიწრო კატეგორიას მიეკუთვნებიან. ეს ორი ადამიანი ერთად მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ მერე გავლენის სფეროები ველარ გაინაწილეს. ისინი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავენ და ხალხი საერთოდ არ აინტერესებთ.

ნიკა მაისურაძე, *სტუდენტი:*

— ძალიან კარგი იდეაა საპროტესტო აქციების პოლიტიკოსების გარეშე დაწყება. სააკაშვილმა თავის ამომრჩეველს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გაუცრუა იმედი, ოპოზიციამ კი 2007 წლის შემოდგომაზე დაკარგა ავტორიტეტი. ახლა კარგი იქნება, თუ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ განწირული ერის გადარჩენისთვის თავადვე ვიზრუნებთ.

მაგული თვალჭრელიძე, *ექიმი:*

— შესანიშნავი იდეაა, მომწონს ეს აზრი, მაგრამ მოძრაობას სათავეში ვინმე ხომ უნდა ჩაუდგეს? თუ ასე არ მოხდა, ხალხის მოთხოვნებს ვინ გააცნობს მთავრობას?

ნუცა გერსამია, *ეკონომისტი:*

— მიტინგის დასაშლელად, წყლის ჭავლიც კი საკმარისი იქნებოდა. ჯანდაბას, ცრემლსადენი გაზი და რეზინის ხელკეტებიც გამოეყენებინათ ურჩი მომიტინგეებისთვის, მაგრამ ხალხის ალყაში მოქცევა და სასიკვდილოდ გამეტება რალა იყო?! ამ საუკუნეში, არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ კლავენ ადამიანებს პროტესტის გამოხატვის გამო. ჩვენ მხოლოდ ოთხი ადამიანის მკვლელობის ამბავი ვიცით. ვინ იცის, სინამდვილეში რამდენი კაცია მოკლული?!. ჩემი აზრით, სააკაშვილი და ბურჯანაძე იმ ძალამ უნდა გაასამართლოს, რომელიც თავად არ არის გასვრილი.

ძმირნო სამხარაძე, *ფიზიკოსი:*

— ჩემი აზრით, ჩვენი ოპოზიცია უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკას. სანამ ეგენი იქნებიან, ამ მთავრობასაც გარანტირებული აქვს უმრავლესობაში ყოფნა. ■

„გამოუცდელი“ ბაზარი
და ბრძოლა ქართული ბრენდების დასაცავად

„საქპატენტის“ დანიშნულება ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, ეს რამდენად მნიშვნელოვანი სფეროა, საავტორო უფლებების ახსნა და გაგებაც ბევრს უჭირს, მაგრამ ის დრო, როცა ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების მითვისება ქურდობად არ მიიჩნეოდა, წარსულს უნდა ჩაჰბარდეს“, — ამბობს „საქპატენტის“ თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე. მას ინტერვიუს ჩასაწერად ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში ვესტუმრეთ.

თამუნა ქვინიკაძე

— ბატონო ირაკლი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი უწყება თბილისიდან მცხეთაში გადადის.

— დიახ, მცხეთა შემთხვევით არ აგვირჩევია. იქ მხოლოდ ოფისი არ იქნება, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გვერდით მოეწყობა ინტელექტუალური საკუთრების მუზეუმი. გვინდა, გავაკეთოთ დიდი მარანი — საქართველო ხომ ღვინის სამშობლოა. სიტყვა „ღვინო“ ქართული წარმოშობისაა, ღვინის ქვევრში დაყენების ხელოვნებას უცხოელები ახლა სწავლობენ, ქართული თიხის (რომლითაც ქვევრი მზადდება) შემადგენლობას ეცნობიან. ამ ყველაფერს უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ. მცხეთაში სავარაუდოდ გაისად გადავალთ.

— ეს იდეა თქვენ გეკუთვნით?

— დიახ. სხვა ქვეყნებში ასეთი ოფისები ქალაქგარეთ, წყნარ ადგილებშია.

— ბოლო პერიოდში აქტიურად ჩაებით საავტორო უფლებების დაცვის საქმეში. ამ მხრივ რა სიახლეა?

— საქართველოში საავტორო უფლებების დაცვა წლების მანძილზე არ ხდებოდა. ამ სფეროში ბევრი რამ მოსაწესრიგებელია. მთელ მსოფლიოში საავტორო უფლებების დაცვას კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ახორციელებენ.

— ასეთი ორგანიზაციები ჩვენთანაც არსებობს?

— დიახ. 29 მარტს დაფუძნდა „ხელოვან შემსრულებელთა საზოგადოება“, რომლის მიზანია ქართულ ბაზარზე დისტრიბუციის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და ლიცენზირებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა; ის აგრეთვე, შემსრულებელთა უფლებების არალეგალური გამოყენების აღკვეთაზე იზრუნებს. საზოგადოების დამფუძნებლები არიან: მერაბ სეფაშვილი, დათო გომართელი, დუტა სხირტლაძე და შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლები. გარდა ამისა, დიდი ხანია, არსებობს „ავტორთა საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ ცოტა ხნის წინ, „საქპატენტის“ წარდგენილი კანდიდატი გიგა კობალაძე აირჩიეს. ერთი წელია, ამ საზოგადოებასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ბევრი სემინარი ჩავატარეთ, უცხოელებიც მოვიწვიეთ. მთავარია, მსახიობები, მომღერლები, საპროდიუსერო კომპანიები, ხმის ჩამწერი სტუდიები თავთავიანთ უფლებებში ერკვეოდნენ.

— კონკრეტული ნაწარმოებისთვის გადასახდელ თანხას „საქპატენტი“ ადგენს?

— აქამდე, კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ადგენდნენ. ახლა მათ შევთავაზეთ, რეგისტრაცია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს. ეს ის საკითხია, რომელიც ხშირად სადავო იყო: „ავტორთა საზოგადოება“ რესტორნის მფლობელთან რომ მიდიოდა და ეუბნებოდა, ამდენი ლარი უნდა გადამიხადოო, ედავებოდნენ, რისთვის? ეს რა მეთოდით დაიანგარიშეთო? მერე მიდიოდა მოლაპარაკება, — თუ გინდათ, ამდენს გადაგახდევინებთო, — და ა.შ. ასეთი გაუგებრობა ყოველთვის უნდობლობას იწვევს და უნდა აღმოიფხვრას.

— თქვენ რას გვთავაზობთ?

— მკაფიოდ იქნება განსაზღვრული, საფასურის დაანგარიშება რა პრინციპით უნდა მოხდეს; დასახელდება კონკრეტული ციფრი, რესტორნის მეპატრონესაც ეცოდინება — თუ უნდა, რომ მის დაწესებულებაში მუსიკა ჟღერდეს, ამ მუსიკის შემქმნელს ფული უნდა გადაუხადოს. საკანონმდებლო ცვლილებების მთელი პაკეტი გვაქვს მომზადებული, რაც გულისხმობს, რომ საფასურის განსაზღვრის ზოგად მეთოდიკას დაადგენს „საქპატენტი“.

— არაერთ ქვეყანაში ხართ ნამყოფი და საპატენტო უწყების საქმიანობას გაეცანით. რომელ ქვეყანაშია ამ სფეროში საქმე ყველაზე კარგად აწყობილი?

გაგრძელება იხ. გვ. 75

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე

ფრაზების „ნჯღრევით“ შექმნილი მონოლოგები



ზესტაფონელი მამუკა ჟუმბურიძე, იგივე — შლიგინა, დიდი ხანია, იუმორის სფეროში მუშაობს. ახლახან „რუსთავი 2“-ზე, „თქვენს შოუშიც“ გამოჩნდა, სადაც მაყურებლის გამხიარულებას „ინტუიციით აღებული ფრაზებით“ შექმნილი მონოლოგებით ცდილობს...

ეთო ყორღანაშვილი

— ჩემი სტუდენტობის პერიოდში, ქუთაისში „კავეენის“ სტილის კლუბი შეიქმნა, რომელიც კონცერტებსა და შეჯიბრებებზე ინსტიტუტის სახელით გამოდიოდა. მაშინ თითქმის ყველა ღარიბი და გაჭირვებული იყო. ამიტომ კლუბს „ღარიბები“ დავარქვით. ერთხელ აბაშაში გასტროლზე მიმავალმა სტუდენტებმა ავტობუსს წინ ჩვენი კლუბის სახელწოდება მივაწერეთ. გზად ვიღაც მგზავრმა გაგვაჩერა — აინტერესებდა, „სოფელი“ თუ „ქალაქი“ „ღარიბები“ სად იყო (*იცინის*)... „ჩაინიკა“, ვართე და ნიკა არაბიძეც „ღარიბებში“ იყვნენ.

— შემდეგ თქვენი გზები რატომ გაიყო? დიდი ხანია, ნიკა, კობა და ვართე ტელევიზიაში მუშაობენ.

— არ ვიცი. ალბათ, ჩემი ნაკლები აქტიურობის გამო.

— ინსტიტუტში რა ფაკულტეტზე სწავლობდით?

— ისტორიის მასწავლებელი ვარ. ეს პროფესია მშობლების დაჟინებული მოთხოვნით ავირჩიე — მაშინ პრესტიჟულად მიიჩნეოდა, მერე ეფექტი დაკარგა. თითქოს ახლა ისევ „წინ წამოიწია“. ვნახოთ, რა იქნება. შეიძლება, ჩემი პროფესიით მუშაობაც დავიწყო.

— ისტორიის მასწავლებლად არასოდეს გიმუშავიათ?

— თავდაპირველად, პრაქტიკა გავიარე — გაკვეთილებს ვატარებდი. სულ ეს იყო... მერე კერძო სამსახურებში ვმუშაობდი. ამასობაში, იუმორის სფეროში სოლო შემსრულებლად გადავიქეცი — ინდივიდუალური ნომრები მქონდა და კონცერტებზე მიწვევდნენ.

— ოდესმე იუმორი თქვენი შემოსავლის ძირითადი წყარო თუ ყოფილა?

— არა, ამ სფეროში სტაბილური სამსახური არასოდეს მქონია. ამჟამად, „თქვენს შოუში“ ვარ. ჯერ-ჯერობით, ყველაფერი რიგზეა — საქმე წინ მიდის.

— „თქვენს შოუში“ როგორ მოხვდით?

— წინათ „რუსთავი 2“-ზე იუმორისტულ ფესტივალში ვმონაწილეობდი, რომლის საფუძველზეც „იუმორისტული კლუბი“ შეიქმნა. იქ ვიყავი. მერე „იმედზე“ „ტელეკომიკში“ პირველი ადგილი დავიკავე... შემდეგ „თქვენი შოუს“ პროდიუსერები დამიკავშირდნენ და ვმუშაობთ. ვნახოთ, გადაცემას როგორი რეიტინგი ექნება. ჩემი შემოსავალი ამაზეა დამოკიდებული.

— ამჟამად ჰონორარს იღებთ?

— კი, გარკვეულ თანხას ვიღებ. იუმორის სფეროში გადაცემა თუ რა ადგილს დაიკავებს, ეს ჩვენს შრომაზეა დამოკიდებული.

— თქვენი მონოლოგები როგორ იქმნება?

— ინტუიციით რაღაც ფრაზას ავიღებ და იმდენ ხანს „ვანჯღრევ“, სანამ „შუტკას“ არ მივიღებ.

— დიდხანს „ანჯღრევთ“ ხოლმე?

— ინტუიციით არჩეულ ფრაზას, მუზას გააჩნია. ზოგჯერ თემებს საზოგადოება მაწვდის — რაღაცას მოვკრავ ყურს, რაც დიდ მონოლოგად შეიძლება გადაიქცეს.

— მონოლოგში რეალურ ამბებს იყენებთ?

— ძირითადად, რეალურ ამბებს არ „მივდევ“, რადგან მინდა, შემოქმედებითად განვვითარდე.

— გადაცემის ჩაწერაზე ყოველთვის ზესტაფონიდან დადიხართ?

— ყოველთვის: დილით სახლიდან 7 საათზე გამოვდივარ, 12-ზე უკვე თბილისში ვარ. მერე რეპეტიციები, მონოლოგის გარჩევა იწყება... მანამდე მონოლოგს ბიჭებს ინტერნეტით ვუგზავნი. ტექსტს ხვეწენ, განიხილავენ — ეთერში რომელი ხუმრობა უნდა მოხვდეს და რომელი — არა. თბილისში ჩამოსულს გამზადებულ „მასალას“ მაძლევენ. ვმეცადინეობ, 1-2 რეპეტიციის შემდეგ კი ჩაწერას ვიწყებთ.

— მონოლოგში ამბობთ ხოლმე

— პირველი სიყვარული არ მქონია, ეგრევე მეორე მეწვიაო...

— დაოჯახებამდე შეყვარებულიც მყავდა, ახლო ურთიერთობებიც მქონდა. შეიძლება, ვინმეს გული ვატკინე კიდეც... დღეს ბედნიერი ვარ, თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ!..

— მშობლიურ ზესტაფონში როგორ ცხოვრობთ?

— სოფელში ვცხოვრობ. მყავს მეუღლე და 2 თვის შვილი — მათე. სოფლის მეურნეობას ვეწევი. ზოგჯერ სხვა საქმითაც ვარ დაკავებული. გადაცემა ჩემთვის შემოსავლის დამატებითი წყაროა.

— თაყვანისმცემლები თქვენდამი ყურადღებას როგორ გამოხატავენ ზესტაფონში, თბილისში?

— ძალიან სასიამოვნო შეგრძნება მეუფლება, როცა თბილად მხვდებიან. ისეთი ცნობილიც არ ვარ, რომ ბომონდში ვიყო „გათქვეფილი“, მაგრამ ქუთაისში მცნობენ. მთელი შეგნებული ცხოვრება სწორედ ამ ქალაქში გავატარე... მეტ-ნაკლებად თბილისშიც მიცნობენ: „თქვენს შოუში“ გამოჩენისას, ზოგს გავახსენდი, ზოგმა ახლა გამიცნო და ა.შ. ზესტაფონში ჩემს დანახვაზე ასე ამბობენ: შეხედე, ის არ არისო! ზოგი თავისთვის იცინის, ზოგი გადმომილაპარაკებს, — შლიგინა, შლიგინაო! თბილისში ჩემდამი ყურადღებას ღიმილით გამოხატავენ. დიდი აღფრთოვანებით არ მხვდებიან — მაიკლ ჯექსონი არ ვარ.

— შლიგინა რატომ დაგარქვეს?

— მოგეხსენებათ, ჩემი სტუდენტობის დროს (1992-97 წლები) „უძრაობის პერიოდი“ იდგა. ტრანსპორტიც არ იყო. ფეხით სიარული გვიწევდა. ინსტიტუტიდან შორს ვცხოვრობდი და ჩქარი ნაბიჯებით დავდიოდი. ამის გამო, ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა შლიგინა დამარქვა. ისე სწრაფად დავდიოდი, მეტსახელი ძლივს დამაწიეს (*იცინის*)...

— თუ არ ვცდები, აუდიოკასეტებსაც უშვებთ, არა?

— დიახ. მაშინ იმდენი იუმორისტული პროგრამა არ იყო, რამდენიც — ახლა. თენგიზ ჩანტლაძეს არაჩვეულებრივი მონოლოგები, სატელევიზიო სკეტჩები ჰქონდა. ვუსმენდი ხოლმე. ალბათ, ჩემს გემოვნებასა და შემოქმედებაზეც გავლენა იქონია. ჩემი კასეტები ახლაც არსებობს, მაგრამ ისეთი ინტენსივობით აღარ იყიდება — „ბაზარი“ იუმორისტული პროგრამებითაა გაჯერებული და კონკურენციაც დიდია. ეს საქმე ჩემი შემოსავლის წყარო არაა.

— აუდიოკასეტების გამოცემის იდეა საიდან დაგებადათ ან ვინ დაგაფინანსათ?

— ქეთი მერკვილაძის მამას — თემურს ქუთაისში „აუდიოცეხი“ ჰქონდა. მან იუმორისტულ ფესტივალზე მნახა და მითხრა, შენი პროგრამა ჩავწეროთო. შევთანხმდით, რომ შემოსავლის ნაწილი მე შემხვდებოდა, ნაწილი — მას.... ასე გამიცნო ჯერ ქუთაისმა, შემდეგ კი — ალბათ, მთელმა საქართველომ.

— ზოგი ამბობს, რომ თქვენს ხუმრობებს „მარილი“ აკლია...

— მსგავსი რამ არასოდეს გამიგონია, პირიქით — ყველა აღნიშნავს, კარგი იუმორი გაქვსო. შეიძლება, იმ ხალხის აზრს ჩემამდე არ მოუღწევია, ვისაც ჩემი ხუმრობები არ მოსწონს.

— როცა თქვენს მონოლოგებში კორექტივები შეაქვთ ან თქვენი აზრით, კარგ ხუმრობას საეთეროდ არ იყენებენ, გული არ გწყდებათ?

— არა, პროფესიონალი ბიჭები მუშაობენ. მათი გადაწყვეტილება ჩემთვის მისაღებია. ყოფილა შემთხვევა, როცა ხუმრობა კარგი მეგონა, მაგრამ მასში კორექტივები შეუტანიათ.

— მგზავრობისას ისეთი „მარგალიტები“ თუ გხვდებათ, რომელსაც მონოლოგში იყენებთ?

— არა, მონოლოგს ჩემი ფანტაზიით ვქმნი, თუმცა მგზავრობისას ბევრ უცნაურობას ვაწყდები: ამას წინათ, მცირე ზომის ავტომობილი გაჩერდა. წინა მინის ნახევარს წარწერა „თბილისი“ ფარავდა. მძღოლი ძლივს ჩანდა. მკითხა: თბილისში მოდიხარო? ფულის „გაკეთება“ უნდოდა. მანქანაში კიდევ 5 კაცი დამხვდა. — სადღა ჩავჯდე-მეთქი? — ვიკითხე. — აბა, რა გინდაო? — ისე მითხრა მძღოლმა, თითქოს „ლიმუზინით“ მომაკითხა... მიკროავტობუსით იშვიათად ვმგზავრობ, თბილისისკენ მომავალი მგზავრები მანქანას მიჩერებენ ხოლმე და მათ მოვყვები... ვიდრე დავოჯახდებოდი, თბილისში ხშირად ვრჩებოდი, მაგრამ ახლა შინ მეუღლე და პატარა ბავშვი მელოდებიან. ამიტომ გადაცემის ჩაწერის შემდეგ, ზესტაფონში ღამით, დიდუბიდან მივემგზავრები. იქ სასაცილო არაფერი ხდება, ყველას სძინავს, ხანდახან — მძღოლსაც... ■



„ვფიქრობდი, რომ თეატრში ჩემი მისვლით ძალიან ბევრი მსახიობის კარიერა დასრულდა“...

როგორც მსახიობი მშობლების შვილების უმრავლესობა, ისიც კულისებში გაიზარდა. ზიზი ზალდასტანიშვილისა და გოგი ტატიშვილის ვაჟიშვილი — დიმიტრი, ახლა თავად არის ცნობილი მსახიობი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დგას, მაყურებელმა სერიალ „დეტექტივებიდან“ გაიცნო. თავადვე ამბობს, რომ გმირმა ანუ დეტექტივმა აკაკიმ, ხასიათიდან რაღაც-რაღაცები მოჰპარა. მაგალითად, „მაწაკი ენა“... ამბობს, რომ რომანტიკულია, მაგრამ არ უყვარს პოეზია. ლექსი შეყვარებულისთვისაც კი არ დაუწერია. ბავშვობაში დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებებს კითხულობდა, ახლა მელოდრამა უფრო ხიბლავს. ჰყავს მეუღლე და ტყუპი ქალიშვილი, რომელიც სულ მალე 21 წლის გახდება. ისვენებს, როდესაც მეგობრებთან ერთად მყუდრო გარემოში ილხენს. სვამს კარგ ღვინოს, ვისკის, ლუდს. ამბობს, რომ სასმელების დაყენების წესები კარგად იცის, მაგრამ — მხოლოდ თეორიულად. უყვარს ავტომობილით სწრაფად ქროლა და გატაცებულია ფეხბურთით, კალათბურთით და ჰოკეით.

ხათუნა ბახტურიძე

— მსახიობის პროფესია ოჯახური ტრადიციის გამო აირჩიეთ?

— შეიძლება ითქვას, რომ ასეა. მშობლების გარდა, უფროსი დაც მსახიობია. მხოლოდ შუათანა და აღმოჩნდა სერიოზული ქალი და ფილოლოგი გახდა. ბავშვობაში მეგონა, რომ კანონზომიერების თანახმად, მეც მსახიობი უნდა გამოვსულიყავი. ისე, ბავშვობაში კალათბურთზე დავდიოდი. ათი სანტიმეტრით მაღალი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება კი გავყოლოდი ამ სპორტს. წარმოგიდგენიათ, რას დაკარგავდა სცენა?

— თუ გახსოვთ, პირველად რომელ სპექტაკლში ითამაშეთ?

— გიორგი გამსახურდიას პიესაში — „მუნჯის სიზმრები“ — ერთ-ერთი მთავარი როლი ვითამაშე. ერთი გენახათ, რა ამაყი ვიყავი... ძალიან დიდ იმედს ვამყარებდი ამ სპექტაკლზე. მიმაჩნდა, რომ თეატრში ჩემი მისვლით ძალიან ბევრი მსახიობის კარიერა დასრულდებოდა, რადგან ამიერიდან ყველა წამყვან როლს მე მომცემდნენ (*გულიანად იცინის*). გული მეწვებოდა ჩემი უფროსი კოლეგების ცოდვით. ვფიქრობდი, ნეტავ ამ საწყლებს რა ეშველებათ-მეთქი?! რა თქმა უნდა, ეს ასე არ აღმოჩნდა...

— ამას მალევე მიხვდით?

— საკმაოდ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ აკაკის როლი თქვენს კარიერაში ყველაზე წარმატებულია?

— კი, ასეა. ხალხმა მაგ როლით გამიცნო. კარგი ტიპია, არა, აკაკი?

— კი, ძალიან. აკაკის მსგავსად, თქვენც ხომ არ უწყობთ ოინებს თქვენ გარშემო მყოფებს?

ქალიშვილებთან ერთად

— არა, აკაკი კი მგავს, მაგრამ მაინც სხვანაირი კაცია. მე მასეთი ბოროტი ხუმრობები და ადამიანების ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება არ მიყვარს.

— თქვენი გმირი საკუთარი ინიციატივთ დაიმსგავსეთ თუ სცენარისტების დამსახურებაა?

— სხვათა შორის, თავდაპირველად სცენარისტების იდეის მიხედვით, აკაკი ცოტა სხვა ტიპის ადამიანი იყო. პირველი ორი სერიის გადაღების დროს, მის ხასიათში სარკაზმული ელემენტები გავურიე, ცოტა „ვამაწაკე“, მერე რეჟისორმა ლაშა ცერიაშვილმა და სცენარისტებმაც იფიქრეს, რომ აჯობებდა, თუ ამ გმირს იუმორისტული ელემენტებით ცოტათი გააცოცხლებდნენ.

— პოლიციელის ამპლუაში ყოფნა მოგეწონათ?

— კი, ძალიან. ამ სერიალზე მუშაობისას დეტექტივების ყოველდღიურ ცხოვრებას გავეცანი და აღმოჩნდა, მათი პროფესია არც ისეთი იოლი ყოფილა, როგორიც ადრე მეგონა.

— სერიალი ნამდვილად რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით არის გადაღებული?

— კი, ქურდობა, სერიული მკვლელობა, ოჯახური ძალადობა, დანაშაული არასრულწლოვნებს შორის, ნარკოტრეფიკი, ტრეფიკინგი, მანიაკური დანაშაული, ყველა ეს პრობლემა საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს.

— მანიაკის როლი თუ შეგისრულებიათ?

— ჯერ არა. არადა, ძალიან მაინტერესებს, როგორ ვითამაშებ მანიაკს. ბატონო რეჟისორებო, თუ შემომთავაზებთ, სიამოვნებით ვითამაშებ.

— თქვენი გახმოვანებული პერსონაჟებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო — ექიმი ჰაუსი შემთხვევით აკაკის ხომ არ ჰგავს?

— (*იცინის*) კი ჰგავს, მაგასაც მოუხდა ჩემი მაწაკი ხმა. ისე, ასეთ გმირსაც სიამოვნებით განვასახიერებდი.

— თქვენც ხომ არ იზიარებთ იმ მსახ-

იობების პოზიციას, რომლებიც ამბობენ, რომ სერიალებში მხოლოდ ფინანსური დაინტერესების გამო თამაშობენ?

— არა, მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით მე ნაბიჯსაც არ გადავდგამ. უნდა მომწონდეს ის საქმე, რასაც ვაკეთებ. ფილმი მხატვრული იქნება, დოკუმენტური თუ სერიალი, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს — ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. თავის დაზოგვა ნამდვილად არ მჩვევია. ეს კარგიც არის. რაც უფრო ღრმად ამოისუნთქავ, უფრო მეტ ჰაერს ჩაისუნთქავ. ე.ი. ბოლომდე რომ დავიცლები, მერე თითქოს რაღაც სასწაულის ძალით, ახალი ენერგიითა და იდეებით ვივსები.

— თქვენი მეუღლეც მსახიობი ხომ არ არის?

— არა, მაიკო ფილოლოგია — ჩემი დის კურსელი იყო. ჩემს სახლში ხშირად დადიოდა სტუმრად და ბევრი რომ არ ეწვალა აქეთ-იქით სიარულით, ბარემ დავიტოვე.

— დატოვება არ გაგიჭირდათ?

— სულაც არა, დიდი ძალისხმევა არ დამიხარჯავს, ყველაფერი თავისთავად მოხდა. ზუსტად ვერ ავხსნი, როგორ, მაგრამ ერთმანეთი მალევე შეგვიყვარდა და 2 წლის შემდეგ შევუღლდით კიდეც. ყვავილებით ხელში არ მირბენია, არც ფანჯრების ქვეშ დამინთია ცეცხლი და არც სერენადები მიმღერია.

— ეი. მიზნებს იოლად აღწევთ?

— არა, არც მასეა საქმე, კარგი ბიჭი ვიყავი და იმიტომ გამიმართლა სიყვარულში, თორემ ისე, უამრავი დაბრკოლება და პრობლემა შემხვედრია ცხოვრებაში. მშობლები ადრე დამეღუპა — 12 წლის ვიყავი, დედა ავადმყოფობის შედეგად რომ გარდაიცვალა. 17 წლის რომ გავხდი, მამას წნევამ დაარტყა და მე ორ დასთან ერთად, მარტო დავრჩი. მაიკოსაც მარტო დედა ჰყავდა. შესაბამისად, დამოუკიდებლად გვიწევდა ცხოვრებისეულ სირთულეებთან შეჭიდება. ჩვენი ოჯახი საკმაოდ რთულად შენდებოდა. ამ ყველაფერს ის წლებიც დაემთხვა, ცივილიზაციის მონაპოვარი — გაზი, შუქი და წყალი რომ გაქრა ჩვენი ცხოვრებიდან... ღვთის წყალობით გავუძელით, გოგონები გავზარდეთ და ნორმალური განათლებაც მივეცით. მე და ჩემი მაიკო სულ ვმუშაობთ...

— გოგონები ერთმანეთს თუ ჰგვანან?

— საერთოდ არ ჰგვანან არც გარეგნობით, არც ხასიათით და არც ინტერესებით. ერთი ფინანსისტია, მეორე — იურისტი. სხვადასხვა ინტერესი აქვთ. ორივეს ერთად გაზრდა კი გაგვიჭირდა, მაგრამ ახლა კმაყოფილები ვართ, სულ ერთად არიან, საერთო მეგობრები ჰყავთ...

— როგორი მამა ხართ?

— მგონია, რომ ჩემი შვილების კარგად მესმის. უფრო სწორად, ერთმანეთის გვესმის. მეც ხომ ვიყავი მათ ასაკში? კარგად მახსოვს, როგორი იყო მაშინ ჩემი შინაგანი სამყარო, რა მიხაროდა, რა მინდოდა. ამიტომ ჩვენ შორის გაუგებრობები არ არის. ერთმანეთთან გულახდილებიც ვართ.

— თაყვანისმცემლების შესახებ თუ გიამბობენ?

— კი, როგორ არა.

— ხომ არ იცნობთ კიდეც მათ თაყვანისმცემლებს?

— სერიოზული არავინ ჰყავთ, თორემ გამაცნობდნენ. არა მგონია, ძალიან მომთხოვნი ვიყო. უბრალოდ მინდა, რომ ჩემი გოგონები ყველაფერს წესისა და რიგის მიხედვით აკეთებდნენ — ქართულად და ტრადიციულად.

— წარმოშობით რომელი კუთხიდან ხართ?

— ქართლიდან. სხვათა შორის, პაპაჩემს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე აქვს ხელი მოწერილი. ივანე ალექსის ძე ტატიშვილი ჟორდანიას მთავრობის წევრი იყო.

— როგორ მოხდა, რომ ემიგრაციაში არ წავიდა?

— მამა 1984 წელს ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე გარდაიცვალა. გასაგები მიზეზების გამო, მამამისზე ლაპარაკს ერიდებოდა... ამიტომ ბევრი რამე არ ვიცი. თუმცა მსმენია, რომ პაპა არც ჟორდანიას მთავრობას გაჰყვა ემიგრაციაში და არც ბოლშევიკების სამსახურში ჩადგა. საერთოდ გაემიჯნა პოლიტიკას. საკმაოდ დიდი მამული ჰქონდა სოფელ გალავანში და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. მისი კარგად მესმის. შარშან მივლინებით ევროპის 14 ქვეყანა მოვიარე, — ბრიტანეთი, იტალია... ბევრი რამ მომეწონა და ბევრი რამით აღვფრთოვანდი, მაგრამ მივხვდი, რომ საქართველოს გარდა არც ერთ ქვეყანაში არ შემიძლია ცხოვრება.

— მამათქვენზე რას იტყვით?

— მამა სოფელში არ წასულა, სულ თბილისში იყო. როდესაც პაპა გარდაიცვალა, ის უკვე მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა — მამულს ვეღარ მიხედა და გაყიდა. ძალიან უყვარდა ოპერა. ჩვენს სახლში გამუდმებით ჟღერდა კლასიკური მუსიკა. ამან ჩემზეც იქონია გავლენა, როდესაც ყმაწვილი ვიყავი (მაშინ სიტყვა „თინეიჯერი“ არ ვიცოდით), „დიფ ფარფლს“, „პინქ ფლოიდსა“ და „ლედ ზეპელინს“ ვუსმენდი. მუსიკა გამუდმებით თან მდევს. როდესაც ემოცია მეუფლება, დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი, თავში მუსიკა მომდის. რეპეტიციების დროსაც მუსიკაზე ვფიქრობ. ჩემი ნათამაშები ყველა როლი გონებაში ჩემი საკუთარი მუსიკით მაქვს გაფორმებული.

— კომპოზიტორობა არ გიცდიათ?

— იცით, მერიდება ამის თქმა. მსახიობი კაცი რომ მივიდე რეჟისორთან და ვუთხრა, მუსიკას მე დავწერ-მეთქი, იტყვის, ცანცარა ყოფილა ეს ტატიშვილიო. ერთხელ კი მომეცა ამის საშუალება — ჩემი მეგობარი დიმა ღვთისნიაშვილი დგამდა სპექტაკლს, რომელსაც მწირი დაფინანსება ჰქონდა. კომპოზიტორმა მუსიკისთვის საკმაოდ ბევრი ფული სთხოვა. გავბედე და ვუთხარი, რომ ამ საქმეს ჩემს თავზე ავიღებდი. დიმას მოეწონა ჩემი მუსიკა... აფიშაზეც ეწერა, კომპოზიტორი დიმიტრი ტატიშვილიო.



— ალბათ მუსიკალური განათლება გაქვთ...

— კი, მაქვს — არასრული სამი კლასი...

— როგორ ფიქრობთ, დასახულ მიზანს უკვე მიაღწიეთ?

— არა! და ასე მგონია, რომ მისაღწევი ბევრი მექნება. ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, გაუმაძღარი ვარ, მიღწეულზე ვერ ვჩერდები. ზუსტად ვიცი, თუ გავჩერდები, ჩემი კარიერა დამთავრდება. ვფიქრობ, რომ ჯერ ჩემი საუკეთესო როლი არ მითამაშია. ალბათ ყველაფერი წინ არის. ■

მხატვრულ ტანვარჯიშში არსებული ხელოვნური ბარიერები

და „ნიჭიერის“ ფინალის მიღმა დარჩენილი, თავდაჯერებული კონკურსანტი

წლევანდელი „ნიჭიერის“ ჟიურის ერთ-ერთ წევრს, სოფო ნიჟარაძეს, კონკურსანტების ნომრების ნახვისას „ტანში ხშირად ბურძგლავს“ (როგორც თავად აღნიშნავს ხოლმე) და გაოცებულ-აღფრთოვანებული, პირს ფართოდ აღებს. თათია დონაძის სასცენო ნომრის ხილვისასაც (ნახევარფინალში) ასე დაემართა, თუმცა საიმედო წყაროსგან შევიტყვე, რომ საქართველოში სოფო ნიჟარაძის ერთადერთი პოპულარული სიმღერით — Shine — გაფორმებული მხატვრული ტანვარჯიშის ლამაზი სასცენო ნომერი მომღერლისთვის სიურპრიზი სულაც არ ყოფილა: ყველაფერი შოუს ნაწილი იყო — თათიას ლამაზი ნომრით დაწყებული და „გაოცებისგან“ პირდაღებული „სცენის ფერიით“ დამთავრებული. უფრო მეტიც, თურმე გოგონას თავისი ნომრისთვის სხვა სიმღერა ჰქონდა შერჩეული, მაგრამ როგორც ჩანს, „ნიჭიერის“ წარმომადგენლები სოფო ნიჟარაძის რეპერტუარის პიარითაც არიან დაკავებულები. თავად თათიამ ეს ფაქტი უარყო, თუმცა ეტყობოდა, რომ ამჯერად გულწრფელობას ვერ დაიკვეხნიდა...

ყველა გაოგნებული იყო, რომ ფინალის მიღმა აღმოჩნდი

ეთო ყორღანაშვილი

— „ნიჭიერის“ ნახევარფინალისთვის მზადებისას თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში გადავიდოდი. შედეგით გული ძალიან არ დამწყვეტია, რადგან ჩემი საქმე გავაკეთე: ხალხმა გამიცნო და ჩემი შესაძლებლობები ნახა. გამიხარდა, რომ ფინალში ნატალია ვეფხვაძე გადავიდა. „აკროსტაილსაც“ ვგულშემატკივრობდი... ყველა გაოგნებული იყო, რომ ფინალის მიღმა აღმოვჩნდი, თუმცა რას ვიზამ? გულგატეხილი არ ვარ.

— შესარჩევ ტურზეც დარწმუნებული იყავი საკუთარ თავში?

— საერთოდ, ნერვიულობა არ მჩვევია. ბავშვობიდან სცენაზე ვდგავარ, სპორტში დიდი გამოცდილება მივიღე. „ნიჭიერის“ კასტინგზე თავისუფლად ვიყავი, მაყურებლის წინაშე სადა სამოსით წარვდექი, ნომერიც შედარებით უბრალო მოვამზადე (თუმცა მაყურებელი ამითაც ძალიან მოიხიბლა, რამაც თავდაჯერება შემმატა), რათა ნახევარფინალში უფრო ეფექტური ვყოფილიყავი.

— სოფო ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ წინათ არ გიცნობდა, თორემ „ევროვიზიის“ კონკურსისთვის მისი სიმღერის გაფორმებას შენ მოგანდობდა. მისგან ან სხვა შემსრულებლისაგან საინტერესო შეთავაზება ხომ არ მიგიღია?

— სოფოსთან ამაზე ჯერ არ მისაუბრია. სხვა მომღერლებისაგან შეთავაზება მივიღე, მაგრამ ჯერჯერობით, ამაზე არ ვისაუბრებ — პროექტის დასრულებას დაველოდები.

— „ნიჭიერის“ მონაწილეებს შორის ფავორიტი გყავს?

— ჩემმა ერთ-ერთმა ფავორიტმა — ლუკა ყარმაზანაშვილმა პროექტი უკვე დატოვა. ახლა „აკროსტაილს“ ვგულშემატკივრობ.

— აღნიშნე, — სპორტში დიდი გამოცდილება მაქვს, შეჯიბრებების ფინალშიც ბევრჯერ მოვხვედრილვარო. მხატვრულ ტანვარჯიშს გულისხმობ?

— კი, 12 წლის განმავლობაში ვვარჯიშობდი. მხატვრულ ტანვარჯიშზე 8 წლის ასაკში, დედამ მიმიყვანა. სპორტის ეს სახეობა საერთოდ არ მაინტერესებდა, ერთი-ორი წელი „ძალით“ დავდიოდი — არ მომწონდა, ვიტანჯებოდი, მერე კი ეს საქმე ისე შემიყვარდა, რომ კვირადღეს ვწუხდი — ვარჯიში რატომ დღესაც არ მაქვს-მეთქი? 11 წლის ასაკში საქართველოს ნაკრების წევრიც გავხდი. მრავალ საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობდი, გამიმარჯვია კიდეც. საქართველოს ორგზის ჩემპიონი ვარ. სამწუხაროდ, სპორტის ამ სახეობას დიდი ყურადღება არ ექცევა, რომ ეს საქმე გამეგრძელებინა. ტანვარჯიშს უკვე დროის უქმად კარგვას ვეძახდი. ბევრი ხელოვნური ბარიერი მექმნებოდა. ამ ყველაფერს ნერვები სჭირდება... მიმაჩნია, რომ მხატვრული ტანვარჯიშის სფეროში საქართველოში მაქსიმუმს მივაღწიე და გადავწყვიტე, სხვა საქმისათვის მიმეხედა.

— მოდელობისთვის?

— მოდელობისთვის, სწავლისთვის, „ერისიონისთვის“.

— დიდი ხანია, რაც „ერისიონის“ მოცეკვავე ხარ?

— 2 წელია, სპორტს თავი დავანებე. შემდეგ 1 წელი ისე უცებ გავიდა, თითქოს არაფერი გამიკეთებია. ერთხელ, რუსთაველზე რომ ვიყავი, „ერისიონის“ სტუდიაშიც „შევისეირნე“. მანამდე ქართული ცეკვებით სერიოზულად დაკავებული არ ვყოფილვარ, უფრო მეტიც — წარმოდგენაც კი არ მქონდა (*იცინის*)! ბატონმა ჯემალმა მითხრა: ნუ გეშინია, უნიჭო ხალხისთვის უარის თქმა არ გვიჭირს, ძალიან მოგვწონხარ და ვფიქრობთ, რომ ჩვენთან მომავალი გაქვსო... მას მერე 1 წელი გავიდა და უკვე „ერისიონის“ ძირითად ანსამბლში ვარ — დღეს ამით ვცხოვრობ! ცეკვა ჩემი დღის გრაფიკში „ჩაჯდა“ — დილის 10-დან დღის 2 საათამდე. როცა სპორტით ვიყავი დაკავებული, დილიდან საღამომდე ვვარჯიშობდი. დარ-

ბაზში „დახოცილი“ ბავშვები ვიყავით, მაგრამ შეიძლებოდა, მწვრთნელს მაინც ეთქვა — დღეს ცოტა ივარჯიშეთო. ამიტომ ჩემი დღევანდელი გრაფიკი არც ისე დამღლელია.

— 2-წლიანი პაუზის შემდეგ, „ნიჭიერისთვის“ მხატვრული ტანვარჯიშის გარკვეული ილეთების გახსენება შენთვის იოლი იყო?

— ბევრისგან გამიგონია — ტანვარჯიშში გაცილებით რთული მოძრაობებიაო. მე შოუ უნდა გამეკეთებინა და არა — სპორტული ნომერი. მოძრაობების გახსენება ცოტათი გამიჭირდა, რადგან 2 წელი მართლა „არ გავნძრეულვარ“, მაგრამ ბუნებრივად, კარგი მონაცემები მაქვს, „რბილი“ ვარ. მოძრაობების აღდგენაში ეს დამეხმარა.

— დამოუკიდებლად მუშაობდი?

— დიახ. მეორე ტურში გვერდში ბევრი ადამიანი მედგა, მაგრამ დახმარება არ დამჭირვებია.

— თათია, სად სწავლობ?

— სპორტთან სწავლის შეთავსება ძალიან რთული იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდი. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელება მინდოდა. ამჟამად, ილიას უნივერსიტეტში, მაგისტრატურის პირველ კურსზე ვარ. ბიზნესის ადმინისტრირებას ვსწავლობ. ძალიან საინტერესო და დღესდღეობით გამოსადეგი პროფესიაა. მინდა, რომელიმე სერიოზული კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი ვიყო, თუმცა ასეთი სამსახურის მოძებნა არ მიცდია — სერიოზული სამუშაოსთვის დრო არ მაქვს. ახლა „ერისიონით“ ვარ გატაცებული. ვფიქრობ, ეს ქალისთვის ძალიან კარგი სამსახურია.

— დღეს აქტიური მოდელი ხარ?

— თავისუფალი მოდელი ვარ. სექტემბრიდან ამ სფეროში აქტიურად მუშაობის გაგრძელებას ვაპირებ. მოდელობა სერიოზულ საქმედ არ მიმაჩნია. ეს ჩემთვის ჰობი უფროა, ვიდრე — პროფესია. ■

მასტერისა და ბერას ინტერნეტპაექრობა

რატომ უჩიოდა შორენა ბეგაშვილი რეპერს?

მასტერი თუ ბერა? ამ ორ შემსრულებელთან დაკავშირებით, ინტერნეტ-ფორუმებზე ხშირად კამათობენ. მიუხედავად იმისა, რომ მასტერს, იმავე გიორგი პავლიაშვილს ისეთი დიდი რეკლამა არ უკეთდება, როგორიც — ბერა ივანიშვილს, რამდენიმე დღის წინ, მისი ახალი მუსიკალური კლიპი — BIRTHDAY ბერას კლიპს — FAVORITE THINGS 16000 ხმით უსწრებდა (ამჟამად, მასტერმა საიტის მთავარი გვერდიდან კლიპი ამოიღო, მაგრამ კონკურენტს ხმების სოლიდური რაოდენობით მაინც წინ უსწრებს)...

ეთო ყორღანაშვილი

მასტერი:

— ამერიკიდან რომ ჩამოვედი, კაბუსა და ძვალთან ერთად პირველი კლიპი გადავიღე. მას შემდეგ არ გავჩერებულვარ — ია ჩანტლაძესთან დუეტი ჩავწერე — „არ მიყვარხარ“, რომელიც იმ დროს ერთ-ერთი პოპულარული სიმღერა იყო. ამის შემდეგ მცირე პაუზა მქონდა, რადგან ახალ ალბომზე ვმუშაობდი. ბოლო პერიოდს რაც შეეხება, 6 თვის განმავლობაში 3 კლიპი გადავიღეთ, რომლებსაც ინტერნეტში დიდი გამოხმაურება აქვს; ახლახან კი — BIRTHDAY. მას ინტერნეტით დღეში 56000 ადამიანი ნახულობს. სიმღერას — „რეიბანები“, 10000-მდე „ლაიქი“ აქვს. რომელ კლუბშიც გამოვსულვარ, ყველგან მღეროდნენ. ხშირ შემთხვევაში, „რეიბანების“ მეორედ შესრულებასაც ითხოვდნენ. ეს სიმღერა ბევრმა ბავშვმა „ბოლო ზარზეც“ კი იმღერა (*იცინის*)... ამ ყველაფრის შემდეგ, ერთ-ერთი პოპულარული ტელეარხის გადაცემაში — „დერვიშები“ მიიწვიეს და „ინტერნეტგმირების“ წოდება „მიანიჭეს“, რადგან თურმე წლის განმავლობაში, მათი კლიპი 59000-მა ადამიანმა ნახა, ჩემს კლიპს კი 6 თვეში 90000 „ნახვა“ აქვს. ბოლო კლიპმა საერთოდ, „რეკორდი მოხსნა“! ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ამ ინფორმაციის სიზუსტეში დარწმუნდეს... კონკრეტულად, „დერვიშებთან“ არანაირი პრობლემა არ მაქვს. უბრალოდ, ეს ყველაფერი რეალობის „არდანახვაა“, სხვა — არაფერი.



— შენი ახალი კლიპის ტელეპრემიერა რატომ არ შედგა? ამის სურვილი არ გაქვს?

— დღეს კლიპი „მუზიკბოქსზე“ მივიტანე და ხვალიდან „დატრიალდება“. მინდოდა, პრემიერა „ნანუკას შოუში“ ყოფილიყო. 2 კვირის განმავლობაში მათგან პასუხს ველოდი. გვეუბნებოდნენ, რომ მოუცლელობის გამო, კლიპი ჯერ ნანახი არ ჰქონდათ. მერე გვითხრეს, რომ მოეწონათ, მაგრამ გადაცემაში თემატურად ვერ „სვამდნენ“. რატომღაც მგონია, რომ კლიპი პირადად ნანუკამ არ ნახა ან „მასალა“ ნანუკამდე ვერ მივიდა.

— სამაგიეროდ, ამავე შოუში ახლახან ბერას კლიპის პრემიერა შედგა. ერთ-ერთ პოპულარულ საიტზე შენი და ბერას კლიპები გვერდიგვერდ იყო განთავსებული, ფორუმებშიც ხშირად კამათობენ — მასტერი თუ ბერა? თქვენს საიტებსაც ერთმანეთის მსგავსი სახელწოდებები აქვს... მოკლედ, შენ და ბერა სერიოზულად პაექრობთ, არა?

— ალბათ, საიტის სახელწოდებების მსგავსება უბრალო დამთხვევაა, რადგან ასეთ შემთხვევებში სიტყვა „ოფიციალურს“ ბევრი რეპერი იყენებს. გასაკვირი არაა, რომ ბერას მაღალხარისხიანი კლიპი აქვს. გარდა ამისა, ამ ადამიანს ისეთი სტატუსი აქვს, რომ პრემიერაზე უარს არ ეტყოდნენ. ფორუმებზე კამათთან დაკავშირებით კი ვიტყვი: მე ჩემი მსმენელი მყავს, მას — თავისი. მიხარია, რომ „რეპინდუსტრიას“ მისი სახით ღირსეული, ნიჭიერი ადამიანი შეემატა. გულით ვუსურვებ წარმატებას, რომელსაც დარწმუნებული ვარ, მიაღწევს კიდეც.

— ბერას პირადად იცნობ?

— სიმართლე რომ გითხრათ — არა, მაგრამ რამდენიმე საერთო მეგობარი გვყავს. ალბათ, ერთმანეთს პირადადაც გავიცნობთ.

— თქვენს სფეროში ჯანსაღი კონკურენციაა?

— კონკურენცია საერთოდ არ არის (*იცინის*)! რეალურად, არავინ არაფერს აკეთებს.

— ანუ მხოლოდ შენ, ბერა და ლექს-სენი ხართ?

— შეიძლება, ვიღაც სახლში ზის და სიმღერებს წერს... სამწუხარო ფაქტია, რომ უხარისხო, ძველებური „პროდუქცია“ კეთდება. ამიტომ, მთლიანად ქართულ რეპს ძალიან ცუდი სახელი აქვს.

— მიგაჩნია, რომ შენი „პროდუქტი“ ხარისხიანია? მართალია, ბევრს მოსწონს, მაგრამ მდარე ხარისხის ზოგ სიმღერასაც ბევრი მსმენელი ჰყავს, გადაცემას — ბევრი მაყურებელი...

— ჩემი „პროდუქცია“ ხარისხიანი რომაა, ამას ნებისმიერი ადამიანი მიხვდება: MAINSTRIM-ს „ვაკეთებ“ ანუ იმ სტილს მივდევ, რაც ახლა ამერიკაშია და არა — 90-იანი წლებისას.

— წელან ლექს-სენზეც გკითხე. მისი სიმღერები მოგწონს?

— სხვაზე საუბარი არ მიყვარს, მით უმეტეს — კრიტიკა. ერთ რამეს მართლა გულით ვურჩევ: „ინსტრუმენტალები“ ანუ მუსიკა, რომელზეც რეპავს, შეცვალოს, რადგან „ხმოვანებები“ ძალიან დაბალი ხარისხისაა. შეგვიძლია, დისკი ჩვენ მივაწოდოთ, რომელშიც ისეთი ჟღერადობის ხმებია ჩაწერილი, რომ „მარიოს“ საუნდტრეკებს არ დაემსგავსება. ცინიზმით არ ვსაუბრობ. ეს მართლა მეგობრული, კოლეგიალური რჩევაა, რადგან მახსოვს, ლექს-სენი წინათ რას აკეთებდა და ახლა რას აკეთებს...

— მასტერ, თუ არ ვცდები, შორენა ბეგაშვილი სასამართლოში ჩივილით დაგემუქრა. იქნებ ამის შესახებ კონკრეტულად გვიამბო?

— ამ თემასთან დაკავშირებულ ინტერვიუზე რამდენჯერმე უარი ვთქვი, რადგან არ მინდა, ხალხმა იფიქროს, რომ ამას ჩემ სასარგებლოდ — „პიარისათვის“ ვიყენებ... ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა: დაახლოებით ერთი წლის წინ, შორენაზე სიმღერა ჩავწერე. სხვათა შორის, კლუბებში დასაკრავად მართლა კარგი გამოვიდა. დიჯეებო, გაითვალისწინეთ (*იცინის*)! ამ სიმღერის გავრცელებას ნამდვილად არ ვაპირებდით, რადგან ალბომში შეგვქონდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ „გაბაზრდა“ და ვიღაც „ნიჭიერმა“ სიმღერას შორენას ვიდეოკადრები „დაადო“ და ჩემი ერთ-ერთი კლიპის კადრებიც დაამონტაჟა... მერე ერთ-ერთი გაზეთიდან შევიტყვე — შორენას სურდა, ჩემთვის ეჩივლა, მაგრამ თვითონვე განაცხადა, რომ ამ საქმეს ვერ მოიგებდა და ეს ნაბიჯი აღარ გადადგა. ყოველ შემთხვევაში, გაზეთში ასე ეწერა. შორენა ძალიან კარგი გოგოა, პირადად მე, მის გარეშე კინემატოგრაფს არ ვაღიარებ (*იცინის*)! არა, შორენა მართლა მომწონს...

— შენ და შორენას ამ სადავო საკითხზე პირადად არ გისაუბრიათ?

— სხვათა შორის, მისი გაცნობა ძალიან მინდა და აი, ჩემი ტელეფონის ნომერი (*ნომერს მკარნახობს*)...

— წელან თქვი, — ამერიკიდან რომ ჩამოვედიო... იქ ცხოვრობდი?

— სკოლა იქ დავამთავრე, იუნიორთა ლიგაში ფეხბურთს ვთამაშობდი, ვერთობოდი, ახალი კულტურით ვტკბებოდი... იქ ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე.

— რეპში მუშაობა რამ გადაგაწყვეტინა?

— რეპი იქ შემიყვარდა. ეს გასაკვირი არაა, რადგან ამერიკა რეპის „სამშობლოდ“ მიიჩნევა, თუმცა სოულს, ჯაზსა და მუსიკის ყველა იმ მიმართულებას ვუსმენ, რაც აფროამერიკულ კულტურასთან ახლოსაა.

— რაიმე მუსიკალური განათლება გაქვს?

— მუსიკალური შვიდწლედი დავამთავრე. კლავიშზე, გიტარაზე ვუკრავ... ჩემი საქმე ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, ქართულ შოუბიზნესში პრინციპულად არ მუშაობენ. როგორ შეიძლება, ამდენი მომღერალი გვყავდეს, მაგრამ ვებსაიტი არ ჰქონდეთ?! ბოლოს და ბოლოს, XXI საუკუნეა და არსებობს რაღაც „ნორმატივები“, რომლებიც შოუბიზნესის ყველა წარმომადგენელმა უნდა ჩააბაროს.

— თუკი შოუბიზნესში მართლა არაფერი ხდება, მომღერალს ვებსაიტი რად უნდა, იქ ზღაპრებს ხომ არ დაწერს?

— ჰოდა, მაგას ვამბობ: არც სიმღერას წერენ, არც კლიპს იღებენ და შესაბამისად, ვებსაიტის შექმნის სურვილიც არ უჩნდებათ. მოკლედ, შოუბიზნესს „სძინავს“, სამაგიეროდ, ქართული „ფეშენი“ „ხვრინავს“, „ცვეტშია“ — ბიჭოლა (*იცინის*)...

— გარდა იმისა, რომ მღერი, კიდევ რას საქმიანობ?

— მაგისტრატურაში ვსწავლობ, ბიზნესადმინისტრირებისა და მენეჯმენტის განხრით. მიყვარს ფეხბურთი და ჩვენი ნაკრების დიდი გულშემატკივარი ვარ!

— სამომავლოდ რას აპირებ?

— დაახლოებით ერთ თვეში საფრანგეთში მივემგზავრები, იქიდან — იტალიაში. სიმართლე რომ გითხრათ, დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ „ჩემს რეპს“ 2 კვირითაც ვერ ვუღალატებ: უცხოეთში ყოფნის პერიოდში, კლიპის გადაღებასაც ვაპირებ.

— ისლა დამრჩენია, წარმატება გისურვო. კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდა?

— ყველას დიდ მადლობას ვუხდი, ვინც ჩემს სიმღერებს უსმენს, ობიექტურად მაკრიტიკებს... გპირდებით, ვიაქტიურებ, რომ ქართული რეპის შენებისას, 1 ან მაქსიმუმ, 2-3 აგური დავდო... ■

„ზოგს რუსკა მაყაშვილის და ვგონივარ, ზოგს — ნათესავი“

სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ ახალი პერსონაჟი — ირინკა გამოჩნდა და საზოგადოების ყურადღება უმალვე მიიპყრო. ის რუსკა მაყაშვილის გმირის — ანჩოს დის როლს ასრულებს და რუსკას არა მხოლოდ გარეგნულად, მანერებითაც ძალიან ჰგავს. ეს პატარა გოგონა 14 წლის ანი ლებანიძე გახლავთ, ეს კი მისი პირველი ინტერვიუა, რომელიც პირველი როლის გამო შედგა.

თამუნა კვინიკაძე

— ანი, როგორ მოხვდი ამ სერიალში?

— სერიალს გამოსვლის დღიდან აქტიურად ვუყურებდი. მე და რუსკა მაყაშვილმა ერთმანეთი ინტერნეტით გავიცანით, ეს მსახიობი ყოველთვის მომწონდა და დავუმეგობრდი. ერთ დღეს მომწერა, რომ კასტინგი ტარდებოდა, „ღამის შოუს“ სტუდია მისი დის როლის შემსრულებელს ეძებდა. ტელევიზიაში მამასთან ერთად წავედი და კასტინგი გავიარე.

— ბევრი ბავშვი იყო?

— დიახ, მე ბოლო ვიყავი. იმდენად ვნერვიულობდი, ფეხები მიკანკალებდა, მაგრამ მერე ნერვიულობა მომეხსნა და მგონი, ყველაფერი კარგად გავაკეთე.

— რა დავალება მოგცეს?

— დაწერილი ტექსტი მომცეს, რომელიც რუსკასთან ერთად უნდა მეთქვა. თავიდან თითქოს არ გამომივიდა, ბოლოს უფრო „გავიხსენი“. პასუხი არ უთქვამთ, 3-4 დღეში შეგატყობინებთო. ეს საშინელი პერიოდი იყო, ღამე არ მეძინა, მერე რუსკამ მომწერა, დაგამტკიცესო და ოჯახში ყველამ ძალიან გავიხარეთ. მალე პროდიუსერი დამიკავშირდა და მითხრა, ტელევიზიაში როდის უნდა მივსულიყავი, იქ კი პირველი ნიკა წულუკიძე (ერთ-ერთი სცენარისტი) გამესაუბრა. მითხრა, მაწაკი და მავნე გოგოს როლი უნდა შეასრულოო. თან გამამხნევა. ჩემს გმირზე ისე მელაპარაკა, როლის შესრულება გამიადვილა. მინდა, მას ამისთვის მადლობა გადავუხადო.

— გადასაღებ მოედანზე პირველად გახვედი. ალბათ ძალიან ნერვიულობდი...

— ძალიან. ეს წუთები არასდროს დამავიწყდება. იქ რუსკას გარდა არავის ვიცნობდი, მასაც ახლოს — არა. ყველაზე მეტად ტექსტზე ვნერვიულობდი, თან არ მინდოდა, დაძაბულობა შემტყობოდა. ვიცოდი, თავისუფალი და ლაღი უნდა ვყოფილიყავი. გადაღება დაიწყო, როლში შევედი და უცბად, გონება გამეთიშა — აღარ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, დავიბენი და ჩემთვის ჩავილაპარაკე — „დამავიწყდა“. ყველამ სიცილი დაიწყო. არა უშავს, თავიდან გადავიღოთო. ისიც კი არ ვიცოდი, დუბლებს თუ იღებდნენ. გადაღება რომ დავასრულეთ, რუსკამ კიბეზე ტაშით ჩამომაცილა, ძალიან კარგი იყოო.

— შემოქმედებითმა ჯგუფმა როგორ მიგიღო?

— ძალიან თბილად. მათი დიდი ოჯახის წევრი გავხდი და მიხარია. გამოცდილება არ მაქვს, ასაკით პატარა ვარ, მაგრამ რეჟისორები სცენარისტები, მსახიობები მხარში მიდგანან...

— მსახიობები პროფესიულ რჩევებს გაძლევენ?

— რა თქმა უნდა. რუსკა, თინა მახარაძე და მამუკა მუმლაძე ხშირად მელაპარაკებიან, მათ რჩევებს

„გოგონა გარეუბნიდან“ რომ დაიწყო, პირველი სერიის გასვლისთანავე მითხრა, ანჩოს გამსგავსებო

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ვითვალისწინებ.

— ანჩოს მიმიკებზე ბევრი იმუშავე?

— არა, როცა ვიცი, რომ მე იმ წუთში ანა კი არა, ანჩოს და ვარ, ეს ყველაფერი თავისით მოდის, რუსკა მახსენდება და ვაკეთებ, მაგრამ მინდა, საზოგადოებამ გამიცნოს, როგორც ანი ლებანიძე და არა — როგორც რუსკას ორეული.

— ფილმში შენი პირველი პარტნიორი ვინ იყო?

— რუსკა. სცენარის მიხედვით, ჩვენი მშობლები საზღვარგარეთ წავიდნენ და მე ანჩოს იმედად დამტოვეს.

— რა შეცვალა ამ სერიალმა შენს ცხოვრებაში?

— ბევრი რამ. ახალი მეგობრები შევიძინე. სერიალი პარასკევს გავიდა, ორშაბათს სკოლაში რომ მივედი, ყველა მეუბნებოდა, კარგად თამაშობ, ძალიან მოგვეწონეო. ზოგს რუსკა მაყაშვილის და ვგონივარ, ზოგს — ნათესავი.

— არც არის გასაკვირი, მას მართლა ძალიან ჰგავხარ.

— ეს პირველად ჩემმა დამ აღმოაჩინა. „გოგონა გარეუბნიდან“ რომ დაიწყო, პირველი სერიის გასვლისთანავე მითხრა, ანჩოს გამსგავსებო. მერე, როცა ეს სერიალი პოპულარული გახდა, ჩვენ შორის მსგავსება სხვებმაც დაინახეს.

— სინამდვილეში ერთი და გყავს?

— დიახ, მარი 11 წლისაა, მაგრამ მე სულ არ მგავს.

— შენს პერსონაჟს რით ჰგავხარ?

— ცოტათი ცანცარა ვარ (*იცინის*), მაგრამ ჩემს დას ირინკასავით არ ვეჩხუბები.

— ირინკა ინტრიგანიც არის.

— არა, ინტრიგანი ნამდვილად არ ვარ.

— მომავალში შენი პერსონაჟისგან რა სიახლეს უნდა ველოდეთ?

— მალე ირინკა შეყვარებული იქნება... სხვას ვერაფერს გეტყვი.

— თეატრალურ წრეზე დადიხარ?

— არა. ცეკვაზე დავდივარ, ანსამბლ „გიორგობაში“.

— მომავალი პროფესია არჩეული გაქვს?

— დიდი ხანია, ვამბობ, ექიმი უნდა გამოვიდე-მეთქი. სამედიცინოზე აუცილებლად ჩავაბარებ, მაგრამ ამავე დროს მსახიობობაც მინდა, აქამდე ამაზე დიდად არ ვოცნებობდი, მაგრამ ახლა ეს პროფესიაც მიზიდავს.

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობთ. ■

რობერტ დე ნირო

ძნელია, ლეგენდა იყო!

მას შეუძლია, ქარიზმატული განგსტერისა და ლუციფერის როლი ითამაშოს, შემდეგ კი მშვიდობისმოყვარე, კეთილ კაცად, ან აღფრთოვანებულ კაპიტნად გარდაისახოს. რობერტ დე ნირო ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მცირერიცხოვან მსახიობთა შორის, რომელთაც სტანისლავსკი გულწრფელად ეტყოდა: „მჯერა!“

2011 წლის კანის ფესტივალის ჟიურის რობერტ დე ნირო თავმჯდომარეობდა. აღიარებულ მსახიობს, რეჟისორს, ბიზნესმენსა და პროდიუსერს სრული უფლება აქვს, პატივმოყვარე, დიდების მაძიებელთა კინოქმნილებები შეაფასოს. გარდასახვის საოცარი ნიჭისა და ემოციების დაფარვის უნარის გამო, ჰოლივუდში დე ნიროს ქამელეონი შეარქვეს, ხოლო მასთან ერთად გადასაღებ მოედანზე მუშაობას უდიდეს პატივად მიიჩნევენ.

რობერტ დე ნირო 1943 წლის 17 აგვისტოს დაიბადა. შემოქმედებითი ბუნების მქონემ მშობლების მერყეევი ხასიათი საკუთარ ტყავზე მაშინვე გამოცადა. დედ-მამა ერთმანეთს მაშინ დაშორდა, როდესაც რობერტი 2 წლის იყო. ვირჯინიას ვაჟიშვილის აღზრდის დრო არ ჰქონდა. დედის ნაცვლად ეს საქმე ქუჩამ გააკეთა. ნიუ-იორკის იტალიურ კვარტალში ჭეშმარიტი სიცილიური ვნებები ბობოქრობდა. ბედის ანაბარად მიტოვებული მოზარდები ხელჩართულ ბრძოლებს მართავდნენ, ბანდებად იკვრებოდნენ და წვრილმანი ქურდობით ერთობოდნენ. საოცარია, მაგრამ მოკრძალებულმა ახალგაზრდამ დამწყებ განგსტერთა სამყაროში თავი კომფორტულად იგრძნო. მასში იტალიურმა გენებმა გაიღვიძა — რობერტის ბაბუამ, ჯოვანი დე ნირომ მზიანი იტალია მრავალი წლის წინ დატოვა და ამერიკელი დე ნიროების დინასტიას დაუდო სათავე.

მჩქეფარე ბავშვობა და ადგილობრივ „ავტორიტეტებთან“ ახლობლობა, მოგვიანებით შესანიშნავი საფუძველი შეიქნა დე ნიროსთვის ძალზე საყვარელი, განგსტერების როლების შესაქმნელად. საბედნიეროდ, დანაშაულებრივ მომავალს მამა, უფროსი რობერტ დე ნირო გადაეღობა, რომელიც სწორედ მაშინ ჩაერია შვილის ცხოვრებაში, როდესაც ბანდა, რომელშიც დე ნირო იყო გაწევრებული, პირველი სერიოზული საქმის — მაღაზიის გასაძარცვავად ემზადებოდა. იმ დღიდან ბობის ცხოვრება შეიცვალა. მან ბოროტებასა და სიკეთეს შორის არჩევანი გააკეთა, მოზარდისთვის დამახასიათებელი მეამბოხეობა და დანაშაულებრივი სამყარო წარსულში დატოვა და ხელოვნების გზაზე მყარად შეაბიჯა.

გარდასახვის ნიჭი ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში აღმოაჩნდა, როდესაც საბავშვო სპექტაკლში მშიშარა ლომის როლი ითამაშა. ბავშვმა ადრეულ ასაკში გააცნობიერა, რომ როლის თამაშისას ნებისმიერ ადამიანად შეეძლო გარდასახვა, ისეთადაც კი, როგორიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში არასდროს იქნებოდა. რობერტმა სტელა ადლერის კურსებზე დაიწყო სიარული, მოგვიანებით კი ლი სტრასბერგის სამსახიობო სტუდიაში განაგრძო სწავლა. ორივე მათგანი სტანისლავსკის მოსწავლე იყო. დე ნიროსთვის დამახასიათებელი პერფექციონიზმი დიდი რუსი რეჟისორის ცნობილ სამსახიობო სისტემას მშვენივრად ერწყმოდა. მსახიობი როლში სკრუპულოზურად და დაჟინებით შედიოდა. მოგვიანებით გადაღებების წინ გმირის ცხოვრებით ცხოვრობდა. მომავალში შესანიშნავი გარდასახვის ნიჭის გამო ჰოლივუდში „ქამელეონს“ შეარქმევენ, მაგრამ მანამდე წინ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი.

კურსების დამთავრების შემდგომ, პირველი წლები კარგი როლებით მეტისმეტად ღარიბი იყო. ახალგაზრდა რობერტ დე ნირო ნიუ-იორკის ქუჩებში დანჯღრეული მოპედით დაქროდა და კასტინგების უსასრულო რიგებში იდგა, ვიდრე შელი უინტერსი არ გაიცნო. ცნობილი მსახიობი ქალი მოუხეშავი ჭაბუკის მიმართ სიმპათიით განიმსჭვალა და პიესაში როლის მიღებაში დაეხმარა, მაგრამ მათი ნაზი მეგობრობა ჩანასახშივე ჩაკვდა. ჰოლივუდის ვარსკვლავი დე ნიროს ძალზე აშკარად მფარველობდა, მას კი სურდა, ყველაფრისთვის თავად მიეღწია, ამიტომ შელისთან ურთიერთობა გაწყვიტა და კარგი როლების ძიება დაჟინებით განაგრძო, მაგრამ მისი ნიჭი კვლავ შეუმჩნეველი რჩებოდა.

დრო გადიოდა, კინოსთვის შეწირული 10 წლის შემდეგ სანატრელი წარმატება არსად ჩანდა. დე ნირო იმედგაცრუებას ჯიუტად მალავდა, არ ნებდებოდა. ბოლოს ფორტუნამ მსახიობის მოთმინება დააფასა და მასაც მოწყალედ გაუღიმა. რობერტი ძველ მეგობარს, სიცილიელ მარტის შეხვდა, რომელსაც იტალიური კვარტალის ქუჩებში ხშირად ხვდებოდა. ახლა დე ნიროს წინაშე დამწყები, მაგრამ ამბიციებით სავსე რეჟისორი, მარ-

ტინ სკორსეზე იდგა, რომელიც მზად იყო, ამერიკული კინოს ყველა კანონი თავდაყირა დაეყენებინა. სკორსეზეს ფილმში „ბოროტი ქუჩები“, რომელშიც განგსტერთა რეალური ცხოვრება იყო აღწერილი, ჯონ-ბოის როლს დე ნირო იდეალურად მოერგო. ფილმმა კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა და ორი გენიოსის ხანგრძლივ შემოქმედებით თანამშრომლობას დაუდო სათავე. დე ნირო ბანდიტების როლებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს იმით ხსნის, რომ ამგვარი გმირების განსახიერება საინტერესოა ან იქნებ ეს სიყვარული მღელვარე ქუჩური ცხოვრების ერთგვარი ნოსტალგიის გამოვლინებაა?! ასეა თუ ისე, რობერტ დე ნირო ფრენსის ფორდ კოპოლას შემოთავაზებას დათანხმდა, „ნათლიას“ მეორე ნაწილში ითამაშა და პრემიერის მეორე დილას სახელგანთქმულმა გაიღვიძა! მისი შექმნილი ახალგაზრდა ვიტო კორლეონეს სახე მარლონ ბრანდოს გმირს არაფრით ჩამოუვარდებოდა. დე ნიროს დაკვირვებული, ფრთხილი კორლეონე „ბოროტი ქუჩების“ გაუწონასწორებელი ჯონისგან კარდინალურად განსხვავდებოდა. რობერტ დე ნიროს ნიჭმა მსოფლიო აღაფრთოვანა — 1974 წელს მსახიობმა პირველი „ოსკარი“ მიიღო.

80-90-იანი წლები უამრავი ნომინაციითა და პრემიით იყო მდიდარი. დე ნიროს სახელი დიდებით შეიმკო და დღემდე ასე გრძელდება. ჰოლივუდი ორ „შეშლილს“, სკორსეზესა და დე ნიროს გაოგნებული შესცქეროდა. ერთი მათგანი სრულყოფილებამდე მისული ფილმების შექმნას პედანტურად ცდილობდა, მეორე კი ყოველი ახალი როლის სიღრმეებს მანიაკური სიჯიუტით იკვლევდა. მათი ერთობლივი ნამუშევრები — „ტაქსის მძღოლი“, „ცოფიანი ხარი“, „შიშის კონცხი“ დიდი ხნის განმავლობაში კინოხელოვნების ეტალონად იყო მიჩნეული. რობერტი საჭესთან საათობით იჯდა და ტაქსის მძღოლობას სწავლობდა, მოკრივის როლში შესასვლელად რინგზე ვარჯიშობდა. წონაში 27 კილოგრამი მოიმატა, რომ მოწიფული ასაკის გმირს დამსგავსებოდა. ფილმში — „ცოფიანი ხარი“ — შექმნილმა მოკრივის როლმა მსახიობს მეორე „ოსკარი“ და „ოქროს გლობუსი“ მოუტანა.

რობერტ დე ნირომ დაძაბული მუშაობის 20 წლის განმავლობაში 36(!) ფილმში ითამაშა, მათ შორის: „კომედიის მეფე“, „შეყვარებულნი“, „ერთხელ, ამერიკაში“, „ხელშეუხებელნი“, „გამოღვიძება“, „ფრანკენშტეინი მერი შელი“, „კაზინო“, „შერკინება“, „ფანატი“, „ცბიერება (კუდი ძაღლს აქიცინებს)“... იგი ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორებთან მუშაობდა. მარტინ სკორსეზე, სერჯიო ლეონე, ტერი გილიამი, ბრაიან დე პალმა, ალან პარკერი, რონ ჰოვარდი, კენეტ ბრანა, ბარი ლევინსონი, კვენტინ ტარანტინო... გადასაღებ მოედანზე პარტნიორობას ნამდვილი ვარსკვლავები უწევდნენ: ჯეინ ფონდა, შერონ სტოუნი, ალ პაჩინო, ბილ მიურეი, უმა თურმანი, მერილ სტრიპი, ჯეიმს ვუდსი, ჯერემი აირონსი, შონ კონორი, მიკი რურკი, შარლოტა რემპლინგი, შონ პენი, ჟან რენო, ჯო პეში, რობინ უილიამსი, დასტინ ჰოფმანი...



90-იანი წლების ბოლოს შემოქმედებითი ცეცხლი ოდნავ განელდა. ჩავარდნები და ფინანსური წარუმატებლობა გახშირდა, მაგრამ ამ პერიოდისთვის დე ნიროსთვის სამსახიობო კარიერა პირველ პლანზე უკვე აღარ იდგა. იგი წინდახედული იტალიელი წინაპრების კვალს გაჰყვა და გადაწყვიტა, მატერიალური მდგომარეობა უფრო სერიოზული საქმით, ბიზნესით გაემყარებინა. საქვეყნოდ ცნობილ შეფ-მზარეულ ნობუიუკი მაცუხისასთან ერთად იაპონური რესტორნების ქსელი გახსნა და საკუთარი საპროდიუსერო ცენტრი Tribeca Productions დააარსა. ამჟამად რობერტ დე ნირო ელიტარული რესტორნის Rubicon, სასტუმროსა და სხვა დაწესებულებების თანამფლობელია. დღეს მსახიობს ძლიერი ფინანსური მდგომარეობა აქვს, მაგრამ კარგ როლზე უარს მაინც არ ამბობს, რადგან კინოხელოვნებისადმი სიყვარული არ განელებია. ბოლო ხანს მისი შექმნილი გმირები, მაგალითად, კაპიტანი შექსპირი („ვარსკვლავური მტვერი“) და ეჭვიანი მამა („მშობლების გაცნობა“) უფრო პოზიტიურნი და მხიარულნი არიან.

რობერტ დე ნირო პირად ცხოვრებას მომაბეზრებელ პრესას საგულდაგულოდ უმალავს. მისი რომანების შესახებ ლეგენდებს ჰყვებიან, მაგრამ მსახიობი მომხიბვლელად იღიმება, ხუმრობს და საუბარი სხვა, ნაკლებად ინტიმურ თემაზე გადააქვს.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში რობერტს გრძელფეხება, ქერა გოგონები მოსწონდა, რომლებიც მაშინ ტანდაბალ, მოკრძალებულ ყმაწვილს ზედაც არ უყურებდნენ. ახლა, როდესაც ქერა ლამაზმანთა უმრავლესობა მზადაა, სახელგანთქმულ მსახიობს ფიანდაზად დაეგოს, იგი უპირატესობას შავკანიან ქალებს ანიჭებს. თავის დროზე მთელმა მსოფლიომ შეიტყო რობერტ დე ნიროსა და ნაომი კემპბელის რომანის შესახებ. „შავმა ავაზამ“ რობერტის კანონიერ ცოლად გახდომა და მისთვის სანატრელი ვაჟიშვილის გაჩენა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ მოდელ ტუკი სმიტთან რობერტ დე ნიროს ტყუპი ვაჟიშვილი შეეძინა და იგი შვილებით ძალიან ამაყობს.

მისი პირველი ოფიციალური მეუღლე დაიან ებოტი იყო. განქორწინების შემდგომ მსახიობმა მასთან ჩინებული ურთიერთობის შენარჩუნება მოახერხა. ამ ქორწინებამ დე ნიროს ნაშვილები გოგონა, დიანა და ვაჟიშვილი რაფაელი აჩუქა. მეორე ცოლმა, სტიუარდესა გრეის ჰაიტაუერმა ვაჟიშვილი, ელიოტი გაუჩინა. გრეისისთვის ცოცხალ ლეგენდასთან ერთად ცხოვრება, რომელიც მთელ ძალებს კინოხელოვნებას უძღვნის, იოლი არ არის. ერთხელაც მოთმინებამ უღალატა და ქმარს პრეტენზიები წაუყენა. დე ნირო, რომელიც ზეწოლას სასტიკად ვერ იტანს, მაშინვე განქორწინებაზე ალაპარაკდა. გრეისი იძულებული გახდა, ბედს შეჰგუებოდა. აშკარაა, რომ ქალებისთვის ამ ქარიზმატული, შრომისმოყვარე მსახიობის ხელში ჩაგდება ქორწინების მეშვეობითაც კი შეუძლებელია!

■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

მარტოხელა მამები

მარტოხელა დედების ცხოვრებას ხშირად ვაშუქებთ ხოლმე, მარტოხელა მამებზე კი იშვიათად ვლაპარაკობთ. არადა, გარშემო არაერთი მარტოხელა მამა ცხოვრობს, რომელთა გაცნობასაც ახლა ვაპირებთ. ჩემი რესპონდენტები მარტოხელა მამობის ტვირთზე გულახდილად ლაპარაკობენ.

თამუნა ჯვინიკაძე

მამუკა კუჭაშვილი 34 წლის არის, ის შემთხვევით გავიცანი, მეფაეტონეა. ცოტა ხნის წინ „გზაში“ მასთან ინტერვიუ დავბეჭდეთ. მაშინ პირად საუბარში მითხრა, რომ მარტოხელა მამაა, საკუთარ ოჯახზე გულახდილად მელაპარაკა, მისი მონათხრობის მოსმენის შემდეგ, გამიჩნდა სურვილი მარტოხელა მამებზე თემა მომემზადებინა. მამუკას დავუკავშირდი და ჩემი ჩანაფიქრი გავანდვე. ის რედაქციაში შვილებთან ერთად მესტუმრა.

მამუკა, *34 წლის:*

— 9 წლის წინ, გაცნობიდან 5 თვეში დავქორწინდით, მეუღლე ჩემზე 9 წლით უმცროსი იყო... ახალი წლის ღამეს გავიპარეთ. წარმოშობით კახეთიდან ვარ. ჯერ სოფელში ვცხოვრობდით, 2 ბიჭი შეგვეძინა, მერე თბილისში სამსახური ვიშოვე და ცოლშვილიც ჩამოვიყვანე. ქირით ვცხოვრობდით. მეუღლეს მუშაობა საბავშვო ბაღში დავაწყებინე.

— ეი. ბედნიერად ცხოვრობდით, არა?

— როგორც ყველა ოჯახს, პატარ-პატარა უსიამოვნებები ჩვენც გვქონდა, განსაკუთრებით, თბილისში გადმოსვლის შემდეგ. როცა თანამშრომლებთან ერთად სადმე წავიდოდა და მოსვლა დააგვიანდებოდა, ვურეკავდი. მეჩხუბებოდა, — რატომ მირეკავ და მკითხულობო? ამის უფლება არ მქონდა?! არაფერს ვაკლებდი, პატივს ვცემდი, ის კი ჩემს აზრს ანგარიშს არ უწევდა.

— ეჭვიანობდი?

— ეჭვიანობის საბაბს ნამდვილად მაძლევდა. ერთ დღეს, მორიგი ჩხუბის შემდეგ, მეზობელთან შევედი, უკან რომ დავბრუნდი, აღარც ბავშვები დამხვდნენ და აღარც — მეუღლე. ძებნა დავიწყე. გავიგე, მამიდაშვილთან წასულიყო. მერე იქიდანაც წავიდა და სხვაგან დამემალა. ბაღსა და სკოლაში ბავშვებსაც მივაკითხე, მაგრამ მათი საბუთები იქიდან გატანილი დამხვდა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, საქართველოდან თუ წავიდოდა და მცირეწლოვან შვილებს დატოვებდა. დავუშვათ, მე არ ვუნდოდი, შვილები როგორ მიატოვა?!

— სად წავიდა?

— საბერძნეთში, დედასთან... აქ საკუთარი შვილები დატოვა და იქ ვიღაცის 2 ბავშვს უვლის...

— შვილები ვის დაუტოვა?

— მისი დეიდაშვილისგან შევიტყვე, რომ ბავშვები, სოფელში, მამიდასთან ჰყავდა დატოვებული. მამიდამისს დაველაპარაკე, ბავშვების წამოყვანაზე სასტიკი უარი მივიღე, — მათმა დედამ მე ჩამაბარაო. პატარებიც ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იყვნენ, 4-ჯერ ჩავაკითხე, მაგრამ მამიდის ოჯახის წევრები წინააღმდეგობას მიწევდნენ; ბოლოს მაინც წამოვიყვანე, რომ არ გამოეტანებინათ, სასამართლოში ვუჩივლებდი. ახლა ჩემს შვილებთან ერთად ვარ, ვმუშაობ და ვცდილობ, მათ არაფერი მოვაკლო. უფროსი — ლუკა 7 წლის არის, გიორგი — 5-ის.

— ძნელია მარტოხელა მამობა?

— ...ზოგჯერ ნათესავი ქალი მეხმარება. ძირითადად, ღამე მიწევს მუშაობა, ქუჩაში საღამოს, ფაეტონით გავდივარ და უმეტესად შინ გამთენიისას ვბრუნდები — ბავშვებს ვაწესრიგებ, ლუკას — სკოლაში, გიორგის ბაღში ვუშვებ, მერე ცოტა ხნით ვიძინებ, და პატარები უკან მომყავს.

— ღამე მარტოებს ტოვებ?

— არა, ერთი მოხუცი კაცია — მიხეილ ვერულაშვილი, მის სახლში ვცხოვრობ, ფაეტონიც მას ეკუთვნის, ღამე რომ გავდივარ, ბავშვებს ყურადღებას ის აქცევს.

ლუკა და გიორგი (მამუკას შვილები) ამბობენ, რომ დედა ენატრებათ. უნდათ, რომ მამიკო შეურიგდეს და ერთად იცხოვრონ.

ლუკა:

— ერთ დილას რომ გავიღვიძეთ, დედა სახლში აღარ იყო.

— ტელეფონით რომ ელაპარაკები, რას გეუბნება?

— ველოსიპედს გამოგიგზავნიო...

— ველოსიპედი უფრო გინდა თუ მის გვერდით ყოფნა?

— მინდა, რომ დედიკო ჩემთან იყოს.

გიორგი:

— მე ვეუბნები, მალე ჩამოდი-მეთქი და არ ჩამოდის; მალე ვერც ჩამოვა, აქედან შორს არის...

მამუკა:

— საღამოს სახლიდან რომ გავდივარ, მეუბნებიან, შენც ისე არ მიგვატოვოო. ვუხსნი, რომ ეს არასდროს მოხდება.

— მეუღლეს ბავშვების გამო მაინც არ შეურიგდები?

— არა, ეს რომ გავაკეთო, ჩემს სიტყვას ფასი აღარ ექნება. სახლიდან სხვა დროსაც წასულა და მომიბრუნებია.

მამუკა და მისი ვაჟები — ლუკა და გიორგი

ახლა ასე აღარ მოვიქცევი. შემიძლია, სხვა მოვიყვანო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმაც არ მინდა, ეს ბავშვებისთვის მძიმე გადასატანი იქნება. რამდენიმე დღის წინ, ჩემ გვერდით ახალგაზრდა ქალი იჯდა, ლუკა არ მშორდებოდა, მოდიოდა და მეხვეოდა, მკოცნიდა, ვგრძნობდი, რომ ეჭვიანობდა და ნერვიულობდა. ასეთი რამ თვითონაც გამოვცადე, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ; 14 წლის ვიყავი და მამას სხვა ქალთან ერთად რომ ვხედავდი, ჩემთვის ეს უდიდესი სტრესი იყო. არ მინდა, ჩემმა შვილებმაც იგივე განიცადონ.

ოთარი პროფესიით ინჟინერია, მისი სიყვარულის ამბავი წინა რესპონდენტისგან განსხვავებულია; 20 წლის იყო, როცა მომავალი მეუღლე — მაკა გაიცნო. დანარჩენს თავად გიამბობთ:

ოთარი, *38 წლის:*

— მაკა საერთო მეგობართან გავიცანი. ჩემზე 2 წლით უმცროსი იყო. ძალიან მომეწონა, ვიმეგობროთ-მეთქი, — შევთავაზე, მაგრამ გულში სხვა რამეს ვფიქრობდი. ჩვენი მეგობრობა მალე სიყვარულში გადაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ დედამისი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო, მაინც დავქორწინდით.

— წინააღმდეგი რატომ იყო?

— მაშინ რაიონში ვცხოვრობდი, თბილისში ბინა არ მქონდა; მაკას მშობლები შეძლებულად ცხოვრობდნენ, ალბათ, უნდოდათ, შვილიც ვინმე შეძლებულზე გაეთხოვებინათ, მაგრამ მაკა ამას ყურადღებას არ აქცევდა. ვგრძნობდი, ვუყვარდი, თან, მშობლებსაც ვერ უწევდა წინააღმდეგობას, ვუთხარი, — შენებთან მოვალ და დაველაპარაკები-მეთქი. მათ ჩემი ნახვა არ ისურვეს. 17 აპრილს ჩემი დაბადების დღე იყო. მეგობრებმა მოლოცვები დილიდანვე დაიწყეს, მაგრამ ყველას ვეუბნებოდი, — ქალაქიდან გასული ვარ-მეთქი; მინდოდა, ის დღე მხოლოდ მაკასთან ერთად გამეტარებინა. ერთმანეთს 4 საათზე შევხვდით, ჯერ ერთ პატარა რესტორანში შევედით, მერე გვიანობამდე ქუჩაში ვისეირნეთ, ხომ ხედავ, ერთმანეთს ვეღარ ვშორდებით და მოდი, დღესვე დავქორწინდეთ-მეთქი, — შევთავაზე. მაკას ბევრი არ უფიქრია, ხელები შემომხვია და ჩურჩულით მითხრა, — თანახმა ვარო. პირველივე გამვლელი ტაქსი გავაჩერეთ და რაიონში წავედით. ჩვენმა მშობლებმა ჩვენი ამბავი მეორე დღეს გაიგეს, მიხვდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. ერთი თვეში დიდი ქორწილი გადაგვიხადეს და ბედნიერი ცხოვრება დავიწყეთ. ბიზნესი წამოვიწყე, გამიმართლა, მაკას მშობლებიც დაგვეხმარნენ და თბილისში ბინა ვიყიდეთ, 2 შვილი შეგვეძინა — თეკლა და ნიკოლოზი, მესამესაც ველოდებოდით, მაგრამ... ამ დღის გახსენება მიჭირს...

— მესმის, ეს ის დღეა, როცა მაკა...

— (*მაწყვეტინებს*) იმ დღეს მაკა დავკარგე...

— როგორც ვიცი, ავარიაში მოყვა.

— საჭეს მისი ნათესავი მართავდა, ვერც ის გადაარჩინეს. სიცოცხლე აღარ მინდოდა, მაგრამ თავი ვერ მოვიკალი. ცხოვრება ჩემმა შვილებმა გამაგრძელებინეს. იმ დღიდან უკვე 12 წელი გავიდა, მაშინ თეკლა 3-ის, ხოლო ნიკოლოზი 2 წლის იყო. ჩემთან საცხოვრებლად დედაჩემი გადმოვიდა, ბავშვების გაზრდაში ის მეხმარებოდა, მაგრამ 5 წელიც არ იყო გასული, დედაც გარდამეცვალა. მას შემდეგ დამოუკიდებლად ვზრდი, ჩემი შვილების გარეშე ერთი ღამეც კი არ გამითენებია. თეკლა უკვე 15 წლის არის და დედამისს ძალიან ჰგავს...

— მეორე ცოლის მოყვანაზე არ გიფიქრია?

— ჩემი მეგობრები, ახლობლები, ნათესავები ყველანი მირჩევდნენ, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა, — შვილები გაიზრდებიან, ოჯახებს შექმნიან და მარტო ხომ არ დარჩებიო? რა ვქნა, მაკას ადგილზე სხვა ადამიანი ვერ წარმომიდგენია; დარწმუნებული ვარ, მე რომ დავღუპულიყავი და მას ეცოცხლა (ნეტავ, მართლა ასე მომხდარიყო), ბოლომდე ჩემი ერთგული იქნებოდა — არ გათხოვდებოდა. მადლობა ღმერთს, რომ კარგი შვილები მყავს, მათთვის ვცოცხლობ, დავდივარ მშობელთა კრებებზე, რამდენიმე დღის წინ ექსკურსიაზეც ვიყავით, ზაფხულობით ზღვაზე, აგარაკზე მივდივართ. ვცდილობ, მათ მიმართ ორმაგად თბილი ვიყო, თეკლას და ნიკუშას საუკეთესო მეგობარი ვარ, ჩვენ შორის ტაბუდადებული თემები არ არსებობს...

— თეკლას თაყვანისმცემლები ეყოლება, მათ შესახებ გიყვება?

— რა თქმა უნდა. თეკლა ყველაფერს ისე მიყვება, როგორც დედას ეტყოდა. გუშინწინ დაბადების დღე ჰქონდა, ჩემს დას ყველაფერი გავამზადებინე, თვითონ კი მაკას საფლავზე წავედი (ამ დღეს ყოველთვის ასე ვიქცევი, მის საფლავზე მივდივარ და ჩვენი შვილების ამბებს ვუყვები). სახლში რომ დავბრუნდი, თეკლას მეგობრებს დავურეკე, მოვიპატიჟე. ჩემი შვილი შინ რომ დაბრუნდა, ის ადამიანები დავახვედრე, რომლებიც უყვარს. როგორც თავად თქვა, — ამ სიურპრიზით გავახარე. მსოფლიოში საუკეთესო მამიკო მყავსო, — მთელი საღამო გახარებული ამბობდა...

— მარტოხელა მამობა ძნელი არ არის?

— რა თქმა უნდა, ძნელია და დიდი პასუხისმგებლობაცაა. ჩემი შვილების ცხოვრებით ცხოვრება ვისწავლე, ვეცდები, ეს დიდი ტვირთი ღირსეულად ვატარო.

პატონი ნოდარი უკვე 67 წლის არის, 2 შვილისა და 1 შვილიშვილის პაპუაა. 35 წლის იყო, როცა მეუღლეს დაშორდა, მეორედ არც მან იქორწინა. სიბერეში ამ თემაზე ასე საჯაროდ ლაპარაკი თუ მომიწევდა, არ მეგონა, — მითხრა და სანამ თხრობას დაიწყებდა, მთხოვა, — არ ვიცი, ეს ჩემს შვილებს მოეწონებათ თუ არა, ამიტომ გვარით ნუ წარმადგენო.

ნოდარი:

— ის ქალი (მისი სახელის ხსენებაც არ მინდა), ჩემგან რატომ წავიდა, დღემდე არ ვიცი. ჩვეულებრივი ოჯახი გვქონდა, 2 შვილს ვზრდიდით, ერთ დღეს სამსახურიდან მოსულს, შინ მეუღლის ნაცვლად მისი წერილი დამხვდა, რომელშიც ეწერა: „ნოდარ, შენ კარგი ადამიანი ხარ, იმედია, გამიგებ, მე სხვა ადამიანი შემიყვარდა და მასთან ერთად ცხოვრება გადავწყვიტე. არ მომძებნო“. გაოგნებული დავრჩი.

— იმ დროს თქვენი შვილები სად იყვნენ?

— ზაფხული იყო და სოფელში, დედაჩემთან ისვენებდნენ; მაშინ ბიჭები 11 და 13 წლისანი იყვნენ...

— მერე როგორ მოიქეცით?

— როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ძებნას ხომ არ დავუწყებდი? ეს, რა თქმა უნდა, დიდი ტკივილი იყო, მაგრამ არა ისეთი, რომ ვერ მოვრეოდი. ერთი კვირის შემდეგ, ბავშვებთან სოფელში წავედი და ყველაფერი ვუამბე,

უმცროსმა ტირილი დაიწყო. მეორე დღეს მისი ძმა დამიკავშირდა, თავის დაზე საშინლად გაბრაზებული იყო, — მისი დანახვა არ მინდა, ჩემი საყვარელი სიძე ხარ და არ დაგკარგავო. 1-ელი სექტემბრისთვის შვილებთან ერთად თბილისში დავბრუნდი. ბავშვები დათრგუნვილები იყვნენ, სკოლაში წასვლაზეც უარი თქვეს. სათამაშოდ ეზოშიც აღარ ჩადიოდნენ. იძულებული გავხდი, ისინი კვლავ სოფელში, დედაჩემთან დამებრუნებინა. თბილისში სამსახურს ვერ ვტოვებდი, მხოლოდ შაბათ-კვირას ჩავდიოდი და ამას განვიცდიდი. ვგრძნობდი, ბავშვებს ისე ვჭირდებოდი, როგორც არასდროს. მალე ახლობლის დახმარებით, სამსახური რაიონში ვიშოვე და საცხოვრებლად იქ გადავედი. დილით ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ, მე — სამსახურში. შინ რომ ვბრუნდებოდი, მათ ყველაფერს თვითონ ვუკეთებდი, — სარცხს ვურეცხავდი, ვუუთოებდი, გაკვეთილების მომზადებაში ვეხმარებოდი. შაბათ-კვირას ბებიასთან მიდიოდნენ.

— თქვენი მეუღლის შესახებ, რაც სახლიდან წავიდა, აღარაფერი იცოდით?

— არა და არც მაინტერესებდა. 2 თვის შემდეგ, მისი ერთი მეგობარი მოვიდა და მითხრა, — მეგის ბავშვების ნახვა უნდა და ნუ დაუშლიო; სანამ პასუხს გავცემდი, ბავშვებმა დამასწრეს და დედასთან შეხვედრაზე უარი თქვეს. ქალს, რომელიც საკუთარ შვილებს ვიღაც კაცში გაცვლის, შეიძლება, გამართლება მოუძებნო? მისი საქმე კარგად არ წასულა, ის კაცი ყოველდღე თვრებოდა და სცემდა; ალბათ, მისი ნაადრევი გარდაცვალებაც ამის ბრალი იყო.

— ისე, რომ შვილები არ უნახავს?

— არა, მაგრამ მათ დედის ნათესავებთან ურთიერთობა აქვთ. ვფიქრობ, ჩემს შვილებს კარგი მამობა გავუწიე.

— მეორედ დაქორწინებაზე აღარ გიფიქრიათ?

— ცოლის მოყვანა კიდევ მინდოდა, მაგრამ ამაზე ისევ შვილების გამო ვთქვი უარი. ვიფიქრე, ამ ბავშვებს დედამ არ უერთგულა და სხვა ქალი რომ არ მოეფეროს-მეთქი?! არ მინდოდა, მათთვის კიდევ ერთი ტკივილი მიმეყენებინა და მარტო ამიტომაც დავრჩი; მაგრამ არ ვნანობ, არაჩვეულებრივი რძლები შემხვდნენ. ახლა შვილიშვილს ვზრდი, ჩემი რძალი მუშაობს და პატარა ნუციკო დილის 11 საათიდან 4 საათამდე ჩემთან რჩება. ბედნიერი ვარ. იმ სითბოსა და ყურადღებას, რომელიც მე ჩემს შვილებს მივეცი, უკან ათმაგად მიბრუნებენ, ჩემი ამაგი დააფასეს... ■

„ბელურების“ სევდიანი ამბავი

ბავშვთა უფლებების დაცვის თემაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა. ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაწესრიგებელია. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ბავშვებზე თვითონ მშობლები ძალადობენ — მცირეწლოვანი ზოგიერთს შემოსავლის წყაროდ ჰყავს გადაქცეული, ამათხოვრებს, ჯართს აგროვებინებს... „ბავშვი და გარემო“ არის პირველი ორგანიზაცია, რომელმაც ამ პრობლემაზე ლაპარაკი და მის აღმოსაფხვრელად მუშაობა დაიწყო, ხოლო ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრმა „ბელურები“ არაერთი მოზარდი ქუჩაში ცხოვრებისა და ძალადობისგან იხსნა. ახლა ცენტრში 25-მდე ბავშვი ირიცხება, 15 მუდმივად იქ ცხოვრობს, იღებენ განათლებას, მათზე ფსიქოლოგები და პედაგოგები ზრუნავენ. მწირი შემოსავლის გამო, ყველაფერი ისე არ არის, როგორც საჭიროა, არც ის პირობებია დამაკმაყოფილებელი, რომელშიც ცხოვრობენ, მაგრამ მათ ახლა „ქუჩის ბავშვების“ ნაცვლად „ბელურები“ ჰქვიათ.

თამუნა კვინიკაძე

ნანა როგავიძე, *სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელი:*

— ეს შენობა მერიამ გამოგვიყო, აქვეა ჩვენი ორგანიზაციის — „ბავშვი და გარემო“ დღის ცენტრი „ცისარტყელა“, რომელიც ბავშვებს დღის განმავლობაში ემსახურება. ჯანდაცვის სამინისტრო გვაფინანსებს. „ბელურებში“ 15-მდე ბავშვი მუდმივად ცხოვრობს, სკოლაშიც აქედან დადიან. ჩვენი პატარების 90%-ს ბიოლოგიური მშობელი ჰყავს, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი მოძალადეა, აქაც მოდიან, გვეჩხუბებიან, რომ შვილებს ვართმევთ, შეურაცხყოფას გვაყენებენ. ხშირად ბავშვებისთვის დაბადების მოწმობების აღებაც ჭირს, ზოგჯერ მოზარდი პატრულსაც მოჰყავს, 11-12 წლის არიან და არ იციან წერა-კითხვა. თითოეულზე დიდ ენერგიას ვხარჯავთ, ინდივიდუალურად ვმუშაობთ. აქ ჩაკეტილი სივრცე არ არის, თავისუფლად ჩადიან ეზოში, ურთიერთობენ მეზობლებთან. ვიცით, როდის მიდიან მშობლებთან, გვერდში ვუდგავართ, რომ ოჯახებთან კონტაქტი არ გაწყვიტონ.

ანასტასია მარგინოვა

— ბავშვები თქვენთან რა ასაკამდე რჩებიან?

— 17 წლამდე.

— მერე სად მიდიან?

— მიდიან იქ, საიდანაც მოვიდნენ და ამაშია მთელი უბედურება.

— სახელმწიფოს მხრიდან ბოლოდროინდელ ინიციატივაზე — ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში აღზრდაზე, რა აზრის ხართ?

— ინიციატივა კარგია, ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, მაგრამ საზღვარგარეთ საქართველოსგან განსხვავებით, ის ოჯახი, რომელიც ბავშვის მინდობით აღზრდის პროგრამაში ერთვება, სახელმწიფოს მხრიდან, სერიოზული შეღავათებით სარგებლობს, — კომუნალური გადასახადები, ბავშვის ჩაცმა, კვება, განათლება ამ ყველაფერზე სახელმწიფო ზრუნავს. გვქონდა ასეთი მაგალითი, ქალბატონი, რომელსაც ტრენინგი გავლილი ჰქონდა და ბავშვის მისაღებად მომზადებულად მიიჩნეოდა, ჩვენგან ბავშვის წაყვანა უნდოდა. მას ვკითხე, — ამ ბავშვმა რომ გაგაბრაზოთ, როგორ მოიქცევით-მეთქი? — არ მომეწონება და ისევ იქ ჩავაბარებ, საიდანაც წამოვიყვანეო. თურმე მას აყვანილი ჰყოლია პატარა ბიჭი, სოფელში დიდი მეურნეობა ჰქონია, სადაც ამ ბავშვს ამუშავებდა, ნახირში კვირაობით უშვებდა. ბუნებრივია, უარით გავისტუმრე. პატარა ოჯახში უნდა გაიზარდოს, მაგრამ ისეთ ოჯახში ყოფნას, სადაც ერთი მშობელი მაინც

ნათია საღლიანი
და ნინო კობაიძე

მოძალადეა, სჯობია, ბავშვი მათგან იზოლირებული იყოს.

— **მშობლებთან თუ მუშაობთ?**

— ჩვენთან არის დედების კლუბი, სადაც ფსიქოლოგთან, სოცმუშაკთან ერთად ვიკრიბებით, მაგრამ ბევრ დედას ეს არ აინტერესებს. ზოგი შვილის სანახავად 4 თვეში ერთხელაც არ მოდის. ჩვენთან დედმამიშვილებიც ცხოვრობენ.

„ბეღურებში“ გაზრდილი ერთი გოგონა — ლიკა მარტინოვა ფილმში — „კაცი საელჩოდან“ გადაიღეს. ახლა გერმანიაშია, ფილმის პროდიუსერმა წაიყვანა და იქ სწავლობს. ჩვენთან ცხოვრობს ლიკას და — ანასტასია, რომელსაც წლების მანძილზე დავდევდით და ვცდილობდით, ბოშებისგან დაგვეხსნა. ჩვენთან არ მოდიოდა, მაგრამ საახალწლოდ თავისი ფეხით მოვიდა. ანასტასია დღესაც აქ არის; წერა-კითხვა არ იცოდა, ქუჩაში იზრდებოდა. ახლა ეს პრობლემა დაძლეულია. აქ გაზრდილმა არაერთმა ბავშვმა წარმატებას მიაღწია.

ისინი, ვინც ოჯახებში ჯერ არ დაბრუნებულან, „ბეღურებში“ რჩებიან. გასაუბრებაზე ზოგი უარს ამბობს, ზოგი პირიქით, მთხოვს, რომ ჩავწერო და ჩემ წინ ცოცხალ რიგში დგება, მოსაყოლი და გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვთ.

ანასტასია მარტინოვა:

— სანამ „ბეღურებში მოვიდოდი, „ციგნებთან“ ვცხოვრობდი. ისინი მცემდნენ, მამათხოვრებდნენ, მაწამებდნენ, ზოგჯერ ჩემი და — ლიკა ქალაქში მხვდებოდა და ცენტრში დაბრუნებას მთხოვდა, მაგრამ არც კი ვიცი, რატომ არ მოვდიოდი... დედა სომეხი მყავს. ერევანში არეულობა რომ დაიწყო, საქართველოში წამოვიდა, ბათუმში ბოშები შეხვდნენ და თბილისში მათ გამოჰყვა. ლიკა უკვე ჰყავდა, მერე ერთ-ერთ ბოშაზე გათხოვდა და მე გამაჩინა. მამა მალე გარდაიცვალა, მისი პირველი ცოლი — აზა ციხეში ჩასვეს, ერთი შვილი — გრიშა დარჩა. ის ჩემზე 15 წლით უფროსია. გრიშა ხშირად მცემდა.

— **რატომ გცემდა?**

— დღეში 70 ლარი უნდა მოიტანოო. ვაკეში, რუსთაველზე, ხან საბურთალოზე ვმათხოვრობდი.

— **მერე, 70 ლარს აგროვებდი?**

— ზოგჯერ ვაგროვებდი, როცა ამას ვერ ვახერხებდი, მცემდა. დილის 9 საათიდან ღამის 12 საათამდე ქუჩაში ვიყავი, ღამე მეშინოდა, მაგრამ რა მექნა? 70 ლარს თუ ვერ შევაგროვებდი, სახლში არ მივდიოდი.

— **ღამეს სად ათევდი?**

— ქუჩაში... ცემას იქ ყოფნა მერჩივნა.

— **გრიშა რომ გცემდა, იმ დროს დედაშენი სად იყო?**

— მასაც ურტყამდნენ და როგორ დამიცავდა? მიკვირს, რომ ამის შესახებ პატრულს რატომ არ ეუბნებოდა?!

— **მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში რით იკვებებოდი?**

— ცოტა ფულს როცა შევაგროვებდი, დასახარჯავად არ ვიმეტებდი, მერე სახლში რა უნდა მიმეტანა? ზოგჯერ რესტორნებშიც შევდიოდი. თუ რამეს მომცემდნენ, ეგ იყო ჩემი საჭმელი.

— **რამდენი ხანია, რაც „ბეღურებში“ ცხოვრობ?**

— 2 წელია და ვნანობ, რომ აქამდე არ მოვედი. რამდენ რამეს ვისწავლიდი, წერა-კითხვაც არ ვიცოდი.

— **ლიკაზეც მიამბე.**

— ლიკა ახლა გერმანიაშია და იქ სწავლობს, მასაც ასეთი ცხოვრება აქვს გამოვლილი, მას გრიშას დედა სცემდა.

— **ახლა დედაშენი სად არის?**

— ისევ იქ არის, საიდანაც გამოვიქეცი, მათხოვრობს. როგორც ჩანს, მას თავისი ცხოვრება მოსწონს...

— **მასთან სახლში აღარ მიდიხარ?**

— იქ მისვლის მეშინია.

— **თავად მოდის შენს სანახავად?**

— რამდენჯერმე შემთხვევით ქუჩაში შევხვდი. ბოლოს 3-4 თვის წინ ვნახე. ერთხელ გავიგე, გრიშას უცემიაო, შემეცოდა, მეტროში ჩავედი და მისი ძებნა დავიწყე. ვნახე, მართლა ნაცემი იყო, ცხვირიც გატეხილი ჰქონდა.

— **დედას არავინ ჰყავს?**

— არ ვიცი, ერევნიდან რომ წამოვიდა, მხოლოდ ლიკა წამოიყვანა, ისიც პატარა იყო.

— **რაზე ოცნებობ?**

— მინდა, მსახიობი გამოვიდე და ჩემი და კარგად იყოს... მსახიობობა იმიტომ მინდა, რომ ჩემი ცხოვრება „მსახიობობა“ იყო, ცუდ როლს ვთამაშობდი.

— **ახლა რა შეგრძნება გაქვს, როცა ქუჩაში მათხოვარი ბავშვები გხვდებიან?**

— ჩემი თავი მახსენდება. მეცოდებიან და მინდა, ყველას დავეხმარო, მაგრამ ჯერ არ შემიძლია. ნეტავ, მდიდარი გავხდე, რომ ბევრი სიკეთე ვაკეთო. მტერსაც კი სიხარულს ვუსურვებ.

ნათია საღლიანი, *10 წლის:*

— ერთი წელი არ არის, რაც „ბეღურებში“ ვცხოვრობ. დედიკო ვერ მუშაობდა, გვიჭირდა. ზოგჯერ სახლიდან რომ გადიოდა, ეზოს კარს ჩაგვიკეტავდა, ვინმე რომ არ შემოსულიყო და საღამოს 7 საათამდე მარტო ვიყავით. რომ მოდიოდა, საჭმელი მოჰქონდა. ერთი 11 წლის ძმა მყავს, ისიც აქ ცხოვრობს, რომანი ჰქვია...

— **რაზე ოცნებობ?**

— მინდა, პოლიციელი გამოვიდე, მომწონს პოლიციელი გოგოები, ლამაზები არიან.

ნინო კობაიძე, *11 წლის:*

— 5 წელია, აქ ვცხოვრობ, დედიკოს ფული არ ჰქონდა, უჭირდა. 2 თვის რომ ვიყავი, მამამ მაშინ მიმატოვა, აქ ბესო მასწავლებელმა მომიყვანა, ლილოში მიპოვა, ოღონდ, არ ვმათხოვრობდი. აქ ყოფნა მომწონს.

— **და-ძმა არ გყავს?**

— არა. დედიკო მუშაობს, კერავს, მასთან პარასკევს მივდივარ ხოლმე და კვირას უკან ვბრუნდები. მინდა, მოდელი გამოვიდე.

ის „ბეღურების“ აღმზრდელ-პედაგოგია, თავდაპირველად მობილური ჯგუფის წევრი იყო, დადიოდა ქუჩაში, ბავშვებთან საკვები მიჰქონდა, სახატავი საშუალებები და მათთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა.

ბესო მჟელლიშვილი:

— ბავშვების ნდობის მოპოვება ადვილი არ იყო, ზოგჯერ აგრესიასაც გამოხატავდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში გვეჩვეოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მათ რეაბილიტაციას ქუჩიდანვე ვიწყებდით, გარ-

კვეული დროის შემდეგ, რომლებიც ცხოვრების შეცვლის სურვილს გამოთქვამდნენ, თავშესაფარში მოგვყავდა. ჩემს ხელში ბევრმა ბავშვმა გაიარა. არასდროს დამავიწყდება ერთი ზრდილობიანი, მოწესრიგებული, კეთილშობილი ბიჭი — არტურა. დიღმის პუნქტში გავიცანი, იქ ბევრი ტოქსიკომანი იყო, უმეტესობას ჯიხურების თავზე ეძინა, ზამთარში ათოვდათ.

ბატონი ბესო ახლა პატარა „ბეღურებს“ გაკვეთილების მომზადებაში ეხმარება, თითოეულ მათგანს დიდი ტრავმა და სტრესი აქვს გადატანილი, ამიტომ მათთან ინტენსიურად მუშაობს ფსიქოლოგი. ბავშვები ჰყვებიან, თუ როგორ უჭირდათ მათ მშობლებს, ხშირად პურის ფულიც არ ჰქონდათ და მშივრები იძინებდნენ. ის იყო, ცენტრიდან გამოსვლას ვაპირებდი, ერთი პატარა ბიჭი გადამეღობა და გამეცინა,

— მე პაატა ჩხეიძე ვარ, 7 წლის. აქ იმიტომ მოვედი, რომ საჭმელი არ მქონდა. ახლა კი დედიკო მენატრება. რომ გავიზრდები, „ბოქსიორი“ უნდა გამოვიდე, რომ ყველას ვცემო.

— **რატომ უნდა სცემო?**

— იმიტომ, რომ თავი დავიცვა.

— **ქუჩაში ცხოვრობდი?**

— კი.

— **მერე იქ ვინმე გეჩხუბებოდა?**

— კი. კიდევ გითხრა, რა მინდა?

— **გისმენ.**

— მინდა, დიდი რომ გავიზრდები, ცოლი მოვიყვანო. აი, ეს ცქნაფა ჩემი შეყვარებულია, — მითხრა და გოგონას, რომელიც მის გვერდით იდგა და გვისმენდა, ხელი გადახვია.

ცქნაფა:

— ჩემთან დედიკო მოდის ხოლმე და მივყავარ, მაგრამ ახლა ცუდად არის და ვეღარ მომაკითხა. რომ გავიზრდები, ექიმი უნდა გამოვიდე, რომ ცუდადმყოფები მოვარჩინო.

ასეთია პატარა „ბეღურების“ ამბავი. როცა მათ ვუსმენდი, აღმოვაჩინე, რომ ისინი სიტყვას — „დედიკოს“ ყველაზე ხშირად ამბობენ; რა ქნან, ისინი ხომ მეტად უყვართ და ენატრებათ. სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, ბავშვთა სახლების მცირე საოჯახო ტიპის სახლებით შეცვალოს. რა უპირატესობას ხედავენ ამ რეფორმაში, რას ნიშნავს მათი მინდობით აღზრდა და რით დაეხმარება სახელმწიფო იმ ოჯახებს, რომლებიც მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩაერთვებიან? ამ კითხვებით ჯანდაცვის სამინისტროს მივმართე.

ირაკლი ნადარეიშვილი, *ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი:*

— ბავშვებზე ზრუნვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა, მათი რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახებში მოხდეს. ამ მიმართულებით არსებობს პრევენციული სერვისები, რაც გულისხმობს მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდას, ხოლო ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერების შემდეგ, მოხდება რეინტეგრაცია. ამ პროექტების განხორციელებას ვიწყებთ დონორ ორგანიზაციებთან ერთად. ეს ევროპული მოდელია, რომელმაც იქაურ ქვეყნებში გაამართლა. 2012 წლის ბოლოსთვის იმედი გვაქვს, ბავშვების ნაწილი საოჯახო ტიპის სახლებში იქნება. ნაწილი — მინდობით აღზრდაში, ან მოხდება მათი ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაცია. დღეისთვის მინდობით აღზრდაში უკვე 500-მდე პატარაა.

— **ოჯახი, რომელიც სურვილს გამოთქვამს, მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩაერთოს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?**

— ამ ოჯახს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სოციალური მუშაკი სწავლობს. ოჯახის წევრებს შორის როგორი ურთიერთობაა, როგორი ეკონომიური მდგომარეობაა და ა.შ. მინდობითი აღზრდის დროს ბავშვს ენიშნება კომპენსაცია, თითოეულ ბავშვზე დღეში 15 ლარის ოდენობით. ყველა ბავშვის ცხოვრებას თვალს ადევნებს სოციალური მუშაკი, სისტემატურად ხდება მონიტორინგი, ბავშვის მონახულება, მასთან საუბარი. მინდობით აღზრდაში მოტივაცია არ უნდა იყოს, ის რომ მას თანხა მოჰყვება.

პაატა ჩხეიძე
და ცქნაფა

— **ბავშვი ოჯახში რა ასაკამდე რჩება?**

— 18 წლამდე.

— **მერე სად უნდა წავიდეს?**

— ეს დიდი პრობლემაა. დღეს 18 წლამდე მიღწეული ასეთი ბავშვებისთვის კონკრეტული პროექტები არ არსებობს. ჩვენი სააგენტო ამ მიმართულებით დეტალებს ამუშავებს.

— **მაგალითს ევროპული ქვეყნებიდან იღებთ. იქ ეს საკითხი როგორ არის მოგვარებული?**

— ვსწავლობთ გამოცდილებას, შეუძლებელია, ყველა ბავშვს სახლი ვუყიდოთ, დაახლოებით 1 თვეში დაიდება კონკრეტული პროექტი, რომელიც ასეთი ბავშვების მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლის.

— **მინდობითი აღზრდისას მათ სამედიცინო დაზღვევა აქვთ?**

— დიახ, ყველა ბავშვი 18 წლამდე დაზღვეულია.

— **მინდობითი აღზრდის პროგრამაში შეიძლება, ქუჩის ბავშვებიც მოხვდნენ?**

— ეს კიდევ ერთი თემაა, რომელიც მისახედია. ამ კატეგორიის ბავშვებთან დაკავშირებით კიდევ ერთ პროექტს ვამუშავებთ, ბავშვი ქუჩიდან პირდაპირ მინდობით აღზრდაში ვერ მოხვდება, რადგან უმეტესობას რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა აქვს. სავარაუდოდ, ჯერ მათი ბავშვთა სახლებში გადაყვანა მოხდება, თითოეულთან ინდივიდუალურად იმუშავებს ფსიქოლოგი, შემდეგ კი შეიძლება მოხდეს მათი მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართვა ან რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში. რეფორმის მიზანია, ბავშვი სწორ გარემოში გაიზარდოს.

— **ბევრ ბავშვს, რომლებიც დღეს ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ, მშობლები ჰყავთ, მინდობითი აღზრდის დროს, მათთან მოლაპარაკება ხდება?**

— თუ მშობლის უფლება ჩამორთმეული არა აქვს, მისი თანხმობა აუცილებელია. რეინტეგრაციის შემთხვევაში, ბიოლოგიურ მშობლებს საკუთარი შვილის უკან დაბრუნებაში კომპენსაციას ვუხდით, ერთ შვილზე თვეში 90 ლარის ოდენობით, ვაძლევთ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს. გარდა ამისა, მშობლებს ვთავაზობთ გადამზადებას, რომ დასაქმდნენ; ბავშვების პროფსასწავლებლებში მომზადების საკითხზეც აქტიურად ვმუშაობთ, რათა 18 წლისანი რომ გახდებიან, ცხოვრების გაგრძელება შეძლონ და ვინმეზე არ იყვნენ დამოკიდებულები. ■

რამდენად უსაფრთხოა მეორადი ტანსაცმელი?

საქონელი ძირითადად, ევროპის ქვეყნებიდან შემოდის

მეორადი ტანსაცმლის (იგივე second hand) შეძენა მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, რომელმაც თბილისშიც მოიკიდა ფეხი და მომგებიან ბიზნესადაც იქცა. ცენტრალური სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარდაფებში განლაგებულ „მაღაზიებს“ კლიენტი არასდროს აკლია. იქ მისულებს, განსაკუთრებით „თინეიჯერები“ მოგხვდებათ თვალში, რომლებიც განსხვავებულ და ორიგინალურ სამოსს ეძებენ.

ლევან ჟორჟოლიანი

ანა, *19 წლის, სტუდენტი:*

— მეორად ტანსაცმელს ხშირად ვყიდულობ და ამის სულაც არ მრცხვენია. არჩევანიც დიდია და ფასიც მისაღები. ყოველთვის ვპოულობ ისეთ სამოსს, რომელიც ჩემს გემოვნებაში ჯდება. თბილისის მაღაზიებში ტანსაცმელი ძალიან ძვირია, მე კი სტუდენტი ვარ და ამდენი შესაძლებლობაც არ მაქვს. თან, მხოლოდ ფასით არაა საინტერესო, აქ ისეთ რაღაცებს ვყიდულობ, რასაც ბაზრობაზე ვერ ნახავთ. ხშირად მქონია შემთხვევა, რომ „მეორადებში“ შეძენილი ტანსაცმელი თბილისის სხვა მაღაზიაში, გაცილებით ძვირად მინახავს. სექტემბერში ქუსლიანი, მწვანე ფეხსაცმელი შევიძინე. მეორე დღეს უნივერსიტეტში კურსელმა მითხრა: უი, რა მაგარია „კაროლინა ჰერერას“ ფეხსაცმელი, საიდან გამოიწერეო? თავდაპირველად მამაჩემი მეჩხუბებოდა, ეგონა, რომ მეორადი ტანსაცმლით მხოლოდ მათხოვრები იმოსებოდნენ, მაგრამ გადავარწმუნე, თან, იცის, როდესაც რამის შეძენა მინდა, ბევრ ფულს არ მოვთხოვ (*იცინის*).

ლუკა, *21 წლის:*

— აქ საძილე ტომრის შესაძენად მოვედი. როგორც იქნა, ამინდები გამოვიდა და მეგობრებმა სალაშქროდ წასვლა გადავწყვიტეთ. თბილისის რამდენიმე მაღაზიაში ვიყავი და ფასი მეძვირა — 60 ლარი დამიფასეს. ბოლოს აქ მირჩიეს მოსვლა. გამიკვირდა, ფასში სხვაობა აშკარაა, 25 ლარად საძილე ტომარას თავისუფლად შეიძენ. ოღონდ, კარგი გარეცხვა კი ნამდვილად სჭირდება.

გადავწყვიტე, მცირე ექსპერიმენტი ჩამეტარებინა და დამედგინა, საშუალოდ რა დაუჯდება ადამიანს (ამ შემთხვევაში, 20 წლის ბიჭს) გაზაფხულზე მეორადი ტანსაცმლით შემოსვა. სადა, ყოველდღიურ მაისურს 6 ლარად შეიძენთ, თხელ ჟაკეტს — 10 ლარად, ჯინსს — 30 ლარად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბრენდი აქაც ძვირად ფასობს. მაგალითად: „დოლჩეგაბანას“ გახუნებულ ქურთუკში 95 ლარი მომთხოვეს, „ლევისის“ ჯინსში — 50 ლარი.

— **საიდან შემოდის პროდუქცია და რა ასაკის მომხმარებელი გყავთ?**

კესო ხეცურიანი, *გამყიდველი:*

— საქონელი ძირითადად, ევროპის ქვეყნებიდან შემოდის. ინგლისიდან შემოსული სამოსი ყველაზე ხარისხიანია. ჩვენთან ყველა ასაკის ადამიანისთვის იძენენ ტანსაცმელს: ბავშვით დაწყებული, მოხუცით დამთავრებული. განსაკუთრებით „თინეიჯერები“ აქტიურობენ და ფასზე მგრძნობიარენიც არიან. მუდამ ითხოვენ, რომ სამოსი ორიგინალური იყოს. ბევრს რცხვენია, რომ ტანსაცმელს აქ იძენს და წინასწარ თითქოს თავს იმართლებს: „ჩემთვის არ მინდა, ახლობელს უნდა ვაჩუქო“, ან „მხოლოდ სახლში ჩასაცმელად მინდა“.

— **რამდენად უსაფრთხოა მეორადი ტანსაცმლის ტარება? დეზინფექცია უტარდება?**

— როგორც ვიცი, საქონელს დეზინფექცია თავისივე ქვეყანაში უკეთდება და კონტეინერებით საქართველოში ამის შემდეგ იგზავნება. ამიტომაცაა, ტანსაცმელს სპეციფიკური სუნი რომ აქვს. 6 წელია, „მეორადებით“ ვვაჭრობ და ამის გამო პრეტენზიით არავინ მოსულა, კარგად გარეცხავ და პრობლემაც მოგვარებულა.

— **ცნობილი ადამიანები თუ ყიდულობენ მეორად სამოსს?**

— კი, ძირითადად მსახიობები, თუმცა სახელსა და გვარს ვერ გეტყვით.

ინტერნეტში ძებნისას აღმოვაჩინე, რომ მეორადი ტანსაცმლის ტარებას არც ჰოლივუდელი ვარსკვლავები თაკილობენ. მსახიობი გვინეტ პელტროუ, პაპარაცებმა არაერთხელ დააფიქსირეს second hand-ის შეძენისას. ბრიტანელი სუპერმოდელი — კეიტ მოსი კი მეორადი ტანსაცმლის გადაკეთებითაა გატაცებული.

ჰოლივუდელი ვარსკვლავების შემდეგ, ქართველი მსახიობებითაც დავინტერესდი.

თინა მახარაძე, *სერიალის „გოგონა გარეუბნიდან“ მსახიობი:*

— მე ყოველთვის მეორად ტანსაცმელს ვიძენ და სამოსს სხვაგან არასდროს ვყიდულობ.

— **ამის მიზეზი რა არის? ფასი თუ ხარისხი?**

— ფასი და ის, რომ იქ შეძენილი სამოსი არ არის სტანდარტული და ყველას არ აცვია.

ნოდიკო ტატიშვილი, *მომღერალი:*

— **მეორადი ტანსაცმელი თუ შეგიძენია?**

— კი, როგორ არა, „თინეიჯერობის“ პერიოდში. ნაცნობი მყავდა, რომელსაც ჩამოჰქონდა და ახალი რაღაცებიც იყო. თუ ადამიანი, ამ ტანსაცმელში თავს კომფორტულად გრძნობს, რატომაც არა?! მეორადი სამოსის ტარებაში პრობლემას ვერ ვხედავ. ■


სამოსს სხვაგან არასდროს ვყიდულობ

მეორადი სამოსის ტარებაში პრობლემას ვერ ვხედავ

„დამეხმარე, შენი თვალების ჭირიმე...“

ანუ როგორები არიან „ქართველი“ ბოშები

ცოტა ხნის წინ, თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ბოშათა ფესტივალი გაიმართა. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ბოშური სიმღერის მოსასმენად და ხელნაკეთი ნივთების სანახავად ხალხი მაინც მივიდა. ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენაზე, ფერად-ფერადი კაბებით შემოსილმა ბოშა გოგონებმა ნამდვილი ცეცხლი დაანთეს. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდნენ.

ლევან ჟორჟოლიანი

ლამარა მარტინენკო, *მოცეკვავე:*

— ფესტივალზე სოფელ ლენინოვკიდან ჩამოვედი. მიხარია, რომ ამდენი ხალხი შეიკრიბა და ასე მოსწონთ ჩვენი კულტურა.

ბოშათა ფესტივალი მთელ მსოფლიოში იმართება, თბილისში კი პირველად ჩატარდა.

საქართველოში 1000-მდე ბოშა ცხოვრობს. მათ ყველგან შეხვდებით: ქუჩებში მოწყალებას ითხოვენ, ბაზრებში — წვრილმანებით ვაჭრობენ, მიწისქვეშა გადასასვლელებში კი საკუთარი მომავლის გაგებას 1 ლარად გთავაზობენ. „დამეხმარე, შენი თვალების ჭირიმე,“ — ამ სიტყვებითაც, ალბათ, ბევრი თქვენგანისთვის მოუმართავთ და ბაზარში „ძვირად ღირებული“ საათიც ხშირად შემოუთავაზებიათ. თუმცა საზოგადოების უმრავლესობას მათ პრობლემებზე, ცხოვრებასა და ტრადიციებზე არაფერი სმენია.

ბოშათა ტრადიციები

ბოშათა ადათ-წესები ყველასგან განსხვავებული და მრავალფეროვანია. მართალია, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციები ქრება, თუმცა ქორწინების რიტუალს, დღესაც ისე ზედმიწევნით ასრულებენ, როგორც საუკუნეების წინ.

ბოშები, ადრეულ ასაკში, 12-15 წლის ქორწინდებიან. ამისათვის აუცილებლია ნეფე-პატარძალს მშობლების ნებართვა და მათი კურთხევა ჰქონდეს.

ბოშა მამაკაცი ქალის მშობლებთან მრგვალი მაგიდით მიდის, რომელიც ტკბილეულობით, ერთი ბოთლი არყითა და „კალიმითაა“ გაწყობილი. „კალიმი“ ფულია, რომლითაც კაცმა საცოლე მშობლებისგან უნდა გამოისყიდოს, ქართულად მას „რძის ფულს“ უწოდებენ. თუ პატარძლის მამას ფულის რაოდენობა აკმაყოფილებს, არყის ბოთლს თავს ხდის. ეს თანხმობის ნიშანია.

ქორწილის დღეს ალუბლის ხის ტოტს ჭრიან, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს. მას ათასგვარი ჭრელი ლენტით რთავენ და მარილმოყრილ პურში არჭობენ. ნეფე-პატარძალი და სხვა დაუოჯახებელი ახალგაზრდები ერთ ოთახში სხდებიან, უფროსები — კი მეორეში. პატარძლის ოთახს ორი მამაკაცი სდარაჯობს, არავინ რომ არ შეავიდეს.

კიდევ ერთი ტრადიცია, რომელსაც ბოშები მკაცრად იცავენ, — პატარძალი აუცილებლად ქალწული უნდა იყოს. პატარძლის ქალწულობას, სტუმართა დასანახავად გამოფენილი სისხლიანი ზეწარი ამტკიცებს. გათხოვების შემდეგ ქალმა თავშალი და გრძელი კაბა უნდა ატაროს და ქმრის მორჩილი გახდეს.

ბოშათა ყველა თემს ბარონი ჰყავდა. კანონებს სწორედ ბარონი ადგენდა და მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა, საქართველოში ეს ტრადიცია უკვე აღარ არსებობს. უკანასკნელი ბარონი სოფელ ლენინოვკაში 30 წლის წინ გარდაიცვალა.

ბოშებს დამნაშავის ამოცნობის ძალზე უცნაური ტრადიცია აქვთ, რომელსაც საქართველოში დღესაც ასრულებენ. ისინი ეზოში ორმოს თხრიან, სადაც ქრისტიანულ ხატს დებენ. შემდგომ ეჭვმიტანილები ხატთან მიდიან და სათითაოდ იფიცებენ, რომ დანაშაული მათ არ ჩაუდენიათ.

მათი ტრადიციები ნელ-ნელა ქრება

ამ ადამიანების ცხოვრება სულაც არ არის ისეთი ლაღი, როგორიც ფილმში „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“. მათი ტრადიციები ნელ-ნელა ქრება. საქართველოში მცხოვრებ ბევრ ბოშას საშუალო განათლებაც არ აქვს მიღებული, ამიტომ ხელმოწერის ნაცვლად ჯვარს სვამს. ქალები სახლებში მშობიარობენ, ამიტომ ახალშობილებისთვის დაბადების მოწმობის აღებას ვერ ახერხებენ.

მაკეევკელი აქსენტე

67 წლის ზინა აქსენტე თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობს. ის თავს მკითხაობითა და წვრილმანების გაყიდვით ირჩენს. მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა იცის და საუბარს რუსულად ამჯობინებს.

ზინა აქსენტე:

— ბავშვობა უკრაინაში გავატარე, ქალაქ მაკეევკის გარეუბანში. კარვებში ვცხოვრობდით, საღამოობით ყველანი ცეცხლთან ვიკრიბებოდით და დიდ სუფრას ვშლიდით. ყველას ის საჭმელი გამოჰქონდა, რაც დღის განმავლობაში იმათხოვრა ან მოიპარა. მამაჩემი ბარონი იყო და 17 კარავი ებარა. მისი სიტყვა ფასობდა და ყველა რჩევას ეკითხებოდა. ზოგადად, ბოშებში ასეთი ტრადიციაა — ყველა საქმეს ქალები აკეთებენ, მამაკაცები მთელ დღეს კარტის თამაშში ატარებენ. მე და დედა ყოველ დილით მაკეევკის ბაზარში მივდიოდით ფულის საშოვნელად. დედა კარგი მკითხავი იყო და მსურველებს 20 კაპიკად კარტზე მარჩიელობდა. 14 წლის ასაკში მამამ თავის მეგობარს მიმათხოვა. ვოვა ჩემზე 20 წლით უფროსი იყო, თუმცა პატივს მცემდა, არასდროს ვუცემივარ. 15 წლის ასაკში დავორსულდი და გოგონა გამიჩნდა. ახლა 7 შვილი და 18 შვილიშვილი მყავს. 4 მათგანი გაჩიანში (დასახლება რუსთავის მახლობლად) ცხოვრობს.

— საიდან და როგორ მოხვდით საქართველოში?

— ბოშებს ერთ ადგილას გაჩერება არ შეგვიძლია, ეს სისხლში გვაქვს. ადრე საზღვრები ღია იყო და გადაადგილება თავისუფლად შეიძლებოდა. საქართველომდე გროზნოსა და ნალჩიკში ვცხოვრობდით. 28 წლის ვიყავი, როცა სოხუმში ჩამოვედით. ახლა ყველაფერი შეიცვალა, საზღვრები ჩაკე-

ტილია და ხეტიალიც გართულდა. წერა-კითხვა არ ვიცი, არც საბუთები მაქვს. ახლა უკვე დავბერდი, სადღა წავიდე? მივეჩვიე აქ ყოფნას. მინდა, ჩემმა შვილებმაც აქ გააგრძელონ ცხოვრება.

— რა შეიცვალა ბოშების ტრადიციებსა და ცხოვრების წესში?

— ხომ გითხარი, ჩემს ბავშვობაში საღამოს ყველანი ერთად ვიკრიბებოდით, ცეცხლს ვანთებდით და საჭმელს ვაკეთებდით. ახალგაზრდებიდან ზოგი ცეკვავდა, ზოგი გიტარაზე უკრავდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა, ბოშები ერთად აღარ იკრიბებიან, ყველა თავის თავში ჩაიკეტა. აღარც ფერადი ტანსაცმელი გვაცვია. ადრე ქალი ცოლად რომ შეგერთო, „კალიმი“ მშობლისთვის უნდა მიგეტანა. ახლა კი — ვისაც „კალიმის“ გადახდა არ უნდა და ქალი ქორწინებაზე თანახმაა, იპარებიან. ადრე ამას ვერავინ გაბედავდა. ბოშებს გვწამს, რომ თუ გოგო სკოლაში წავა, მას ავი სული აჰყვება და ველარ გათხოვდება. ახლა ეს არავის აშინებს და სკოლაში სწავლის სურვილი ბევრს აქვს.

გაჩიანელი ბოშები

სოფელი გაჩიანი ქალაქ რუსთავის მახლობლად მდებარეობს. ის დიდი სოფელია და უმეტესწილად ეთნიკური აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. თუმცა აქვე გორაზე, ბოშები ცხოვრობენ.

რაია ტაგიევა 3-ოთახიან ქოხში მეუღლესთან და 5 შვილთან ერთად ცხოვრობს. სახლში სინათლე მომცრო ფანჯრიდან შემოდის, რომელზეც ცელოფანია აკრული. ოთახში 3 საწოლი, ერთი მაგიდა და 4 სკამი დგას. კედელზე, საპატიო ადგილას ბაფთიანი გიტარაა ჩამოკიდებული. რაიას ჩემი დანახვა არ უკვირს, გაჩიანს ჟურნალისტები ხშირად სტუმრობენ.

რაია ტაგიევა:

— ცუდ პირობებში ვცხოვრობთ, სამუშაო არ გვაქვს. არადა, დღეში 8 პური მაინც გვჭირდება. შვილებიდან უფროსი 15 წლისაა, ყველაზე პატარა კი 1,5 წლის. არავინ გვეხმარება, რადგან საბუთები არ გვაქვს.

— თავს რითი ირჩენთ?

— შვილები მეხმარებიან, უფროსი სახლს ალაგებს, პატარები კი რუსთავსა და თბილისში მათხოვრობენ. მე ბაზარში დავდივარ, ასანთებს, „კალგოტკებს“ და საპნებს ვყიდი.

ალინა, *14 წლის (რაიას შვილი):*

— არ მინდა მათხოვრობა, სურვილი მაქვს, სკოლაში დავდიოდე და ვსწავლობდე. ვოცნებობ, რომ კარგი სახლი მქონდეს... ■

„ოკეანეში ყველაფრისთვის მზად უნდა იყო“

პირველად გემზე რომ მოხვდა, 40 დღის იყო. ოჯახში ის და მისი ძმები მესამე თაობის მეზღვაურები არიან და ოკეანეში ნახევარ წელიწადს მაინც ატარებენ. საშა ხაიდაროვი ჯერ საქართველოს სასაზღვრო ძალებში მსახურობდა, იყო საზღვაო ფლოტის ჯარისკაცი, შემდეგ სამხედრო სამსახური მიატოვა და ტანკერზე მეზღვაურად მოეწყო. მას შემდეგ უკვე 7 წელი გავიდა და ამბობს, რომ ზღვის გარეშე ცხოვრება გაუჭირდებოდა. დღეს იგი 32 წლისაა და მისი ცხოვრების დიდი ნაწილი ზღვას უკავშირდება.

ელენე გასილიძე

— ბათუმში დავიბადე. მამაჩემი სამხედრო საზღვაო ძალებში მსახურობდა. მისი ბიძაც მეზღვაური გახლდათ და ჩვენც მეზღვაურის ტრადიციას ვაგრძელებთ. 3 ძმა ვართ და ყველა ზღვასთან „ვმეგობრობთ“... ხშირად მეკითხებიან, — დედათქვენი რა ჭკუაზეა, სამივე შვილი ზღვაში რომ ჰყავს გაშვებული?! არადა, დედა მაშინ არ არის ჭკუაზე, როცა სამივე სახლში ვყავართ (*იცინის*). შეიძლება ითქვას, რომ სიხარულისგან დაფრინავს.

— რატომ გადაწყვიტე, მეზღვაური გამხდარიყავი?

მეზღვაურობა თითქოს უკვე სისხლში მაქვს გამჯდარი

— თავდაპირველად სანქტ-პეტერბურგში დავამთავრე სამხედრო საზღვაო რაზმის უმაღლესი სკოლა. შემდეგ ფოთში ჩამოვედი და სამხედრო ოფიცრის თანამდებობაზე ვმსახურობდი. მერე ნატოს სტანდარტის ენის სკოლაში ვისწავლე უნგრეთში, სადაც სამხედრო ინგლისური შევისწავლე. რამდენჯერმე ვიყავი ამერიკაში სასწავლებლად. ვმსახურობდი როგორც ამერიკაში, ასევე — საქართველოშიც... მერე სამოქალაქო ფლოტში გადმოვედი და უკვე 7 წელია, ტანკერზე ვმუშაობ, სადაც კაპიტნის მეორე თანაშემწე ვარ.

— პირად საუბარში ახსენე, მთელი ცხოვრება გემებს ვუყურებდი და როცა პირველად ზღვაში გავედი, განსაკუთრებული არაფერი მიგრძნიაო...

— მამა სამხედრო მეზღვაური იყო და ბავშვობაში ხშირად დავდიოდი მასთან ერთად... 40 დღის ვიყავი, როცა დედამ მამასთან წამიყვანა. მაშინ ის მურმანსკთან ახლოს, წყალქვეშა გემზე მსახურობდა. მას შემდეგ, მართლაც მთელი ბავშვობა გემებსა და წყალქვეშა ნავებს ვუყურებდი და არც გამჩენია სურვილი, სხვა

ზღვას ხუმრობა არ უყვარს და ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული...

საქმეს დავუფლებოდი. მთავარია, რომ ჩემი საქმე კარგად ვიცი, კარგად გამომდის და დიდი სიყვარულითაც ვმუშაობ. მეზღვაურობა თითქოს უკვე სისხლში მაქვს გამჯდარი.

— **როგორც ვხვდები, შენი თანამდებობა საკმაოდ საპასუხისმგებლოა...**

— კი... გემზე კაპიტანი, I, II, III და IV თანაშემწე მუშაობენ... თავდაპირველად, თანაშემწე ვიყავი, გემის მართვა მევალებოდა; 24 საათის განმავლობაში 8 საათი ვისვენებდი, სხვა დროს ვახტაზე უნდა ვყოფილიყავი. ამ 8 საათის განმავლობაში დასვენება, სადილობა, საქმეების მოგვარება უნდა შემძლებოდა... გემის მართვის გარდა, სხვა მოვალეობებიც მქონდა. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაც მევალებოდა. ეს საქმე დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მით უმეტეს, ტანკერზე მუშაობისას, სადაც ტონობით საწვავია. ამასთან, ადმინისტრაციული საკითხებიც მე მეხებოდა (ხელფასის გაცემა, სახელფასო უწყისების მომზადება). დღეს მეორე თანაშემწე ვარ და პასუხისმგებლობაც მეტი მაქვს — ნავიგაციას განვაგებ. ვადგენ კურსს, რუკას, თუ როგორ და რა გზით უნდა ჩავიდეს გემი ერთი პუნქტიდან მეორემდე. ჩვენი მიზანია, უსაფრთხოდ ჩავაღწიოთ იმ დროში, რომელიც გამოთვლილი მაქვს.

— **წინასწარ იცით, ამა თუ იმ პორტში რომელ საათზე შეხვალთ?**

— კი, რა თქმა უნდა. მაგალითად, თუ ევროპაში ვართ, უნდა გამოვთვალო და დაახლოებით 2 კვირით ადრე ვაუწყო ეკიპაჟს, რომელ საათზე ვიქნებით ნიუიორკში. როგორც წესი, არის გაუთვალისწინებელი შემთხვევები, ზღვაზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ დროის გამოანგარიშება პლუს-მინუს 1 საათის გათვალისწინებით ხდება და არ ვცდები. გემზე საქმე მუდამაა, რასაც შენ მაგივრად სხვა ვერ გააკეთებს. ოკეანეში ყველაფრისთვის მზად ვართ: ოკეანის ფსკერი წყლის ქვეშ, 5 კილომეტრის დაშორებითაა. ყველანაირად ვცდილობთ, რომ ფსკერზე არ დავეშვათ. ამიტომაც, გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებთ. ზღვას ხუმრობა არ უყვარს და ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული... გაუთვალისწინებელი შემთხვევა ხშირად არ ხდება, მაგრამ ხიფათისთვის სულ მზადყოფნაა საჭირო. ხშირად არის შემთხვევა, როცა ფიქრობ, ახლა გემს ტალღა გადააბრუნებს და ვეღარაფერი გვიშველისო. არის შემთხვევა, როცა რიფს ვეჯახებით, მაგრამ ამ დროს მთავარია, პანიკაში არ ჩავარდე. უნდა იბრძოლო, გადაარჩინო გემი და შენც გადარჩები. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს.

— **დღეს რომელი ქვეყნის მეზღვაურებთან ერთად მუშაობ?**

— დღესდღეობით კომპანია „ვიშიპსში“ ვმუშაობ, რომელიც შოტლანდიას ეკუთვნის. ისე, გემზე მხოლოდ ერთი ქვეყნის მეზღვაურები არასდროს არიან.

— **საშუალოდ წელიწადში რამდენ თვეს ატარებ ოკეანეში?**

— ადრე ბევრს ვმუშაობდი, წელიწადში დაახლოებით 8 თვეს მაინც ვატარებდი ზღვაში. დროთა განმავლობაში „დოზა“ შევამცირე... გემზე ყოფნისას, დღის განმავლობაში შესაძლოა, რამდენიმე კლიმატური სარტყელი გადავკვეთოთ, ეს კი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ჯანმრთელობას. მიუხედავად ამისა, ზღვის მიტოვება არასოდეს მიფიქრია. დროთა განმავლობაში, როცა წლები მომემატება და არც ჯანმრთელობა შემიწყობს ხელს, ვეცდები, სამსახური მიწაზე მოვძებნო, მაგრამ მაინც ზღვასთან ახლოს ვიქნები. მანამდე კაპიტანი უნდა გავხდე და „წყნარ საამუშაოზე“ მერე ვიზრუნებ (*იღიმის*).

— **მაინც რამდენ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?**

— მოდი, იმ ქვეყნებს დაგისახელებ, სადაც არ ვყოფილვარ — იაპონია, ახალი ზელანდია და ავსტრალია... თითქმის ყველა კონტინენტი მაქვს მოვლილი.

— **ახლა როგორც ვხვდები, ისვენებ, მალე აპირებ გამგზავრებას?**

— ჯერ არ ვიცი, შესაძლოა, იმაზე ადრე გავემგზავრო, ვიდრე ვგეგმავდი... მანამდე კი — მეგობრებთან ერთად ვერთობი, ვთამაშობ ჩემს საყვარელ თამაშს — აირსოფტს... ■



წელიწადში დაახლოებით 8 თვეს მაინც ვატარებდი ზღვაში

მასწავლებელზე უიმედოდ შეყვარებული მოსწავლე და შეურაცხყოფილი მშობლები

„გზის“ №20-ში შემოგთავაზეთ თემა: „ჩემი პედაგოგი“ და გთხოვეთ გაგეხსენებინათ ის მასწავლებლები თუ ლექტორები, რომლებმაც თავი რაღაცით დაგამახსოვრეს. რატომღაც, მკითხველების უმეტესობას მათთან დაკავშირებული სასიყვარულო ამბები უფრო გაახსენდა და ამიტომაც, პირველ რიგში, პედაგოგზე შეყვარებული მოსწავლეების ამბებს შემოგთავაზებთ.



ლიკა ქაჯაია

ნიკა, *20 წლის:*

„მეცხრე კლასში ვიყავი, როცა სკოლაში ნინო მასწავლებელი „გაიჩითა“. რა გასაკვირია, რომ არაჩვეულებრივი ფეხების მქონე ახალგაზრდა და გასათხოვარი ქალი, რომელიც გამუდმებით მოკლე კაბითა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოდიოდა, ბიჭებს ტვინს გვიმღვრევდა?! კლასში შემოსულს, სტვენით ვეგებებოდით და ასევე ვაცილებდით. ის ჩვენს თავხედობას მოთმინებით იტანდა, მეტიც — ცდილობდა, უხერხული სიტუაცია ანეკდოტების დახმარებით განემუხტა ანუ ყოველდღე ახალ-ახალ სასაცილო ამბებს გვიყვებოდა... ერთ დღეს, როცა ის ჩვეულებისამებრ, ოთახში შემოვიდა და ჩვენც, სტვენით შევეგებეთ, სხვანაირი მომეჩვენა — მას თვალები არ უბრწყინავდა და რაღაცით დადარდიანებულს, ანეკდოტიც არ მოუყოლია; მოწყენილმა გვითხრა, — დასხედითო. ჰოდა, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ეს ქალი სიგიჟემდე მიყვარდა და როცა მას ჩემმა ერთ-ერთმა ძმაკაცმა უკმეხად ჰკითხა: რა იყო, როგორ ხასიათზე ხართ, შეყვარებულმა უარი ხომ არ გითხრათო? მეგობარს თავში წავუთაქე, შემდეგ წიხლიც ვუთავაზე და... ბიჭები დამესივნენ, — ხომ არ გაგიჟდი, რაებს აკეთებო, მაგრამ მე სიგიჟემდე მართლაც, ცოტაღა მაკლდა: არ შემეძლო ნინო მასწავლებლის ლამაზ თვალზე ცრემლების დანახვა და ვინაიდან მისი შეშრობის უფლებას არავინ მომცემდა, ჯავრი ძმაკაცზე ვიყარე, ამის გამო მეგობარი საცემრადაც კი გავიმეტე... შემდეგ რა მოხდა? ნინო მასწავლებელმა გაგვაშველა, მერე შერიგება გვთხოვა და ცხადია, მისი ხათრით, წყენაც იოლად დავივიწყეთ... მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე იმ დღეს მასწავლებელს XI-კლასელმა ბიჭებმა შეურაცხყოფა მიაყენეს — ფეხებქვეშ სარკე დაუგდეს და როცა ნინომ სარკეს ჩაუარა, ბიჭებმა, მისი საცვლის დანახვისას ერთი ამბავი ატეხეს, მაგრად დასცინეს და ცუდი რაღაცებიც შესთავაზეს. ჰოდა, ეს ამბავი რომ გავიგე, თავზარი დამეცა, საძმაკაცო „ავყარე“ და უფროსკლასელები მაგრად მივბეგვეთ. თუმცა, ამით სიტუაცია კიდევ უფრო დავამძიმე — ამ ყველაფრით კიდევ უფრო შეურაცხყოფილმა პედაგოგმა გადაწყვიტა, სკოლიდან წასულიყო და მას აზრი უკვე ვერავინ და ვერაფერმა შეაცვლევინა. წასვლის წინ საკლასო ოთახში დამიბარა, თავგანწირვისთვის მადლობა გადამიხადა და მითხრა: ჩემს გულში ყოველთვის დარჩები, როგორც ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი. მინდოდა, სიყვარულში გამოვტყდომოდი, მისთვის ჩემი გრძნობების შესახებ ყველაფერი მეთქვა, მუხლებში ჩავვარდნოდი და მეთხოვა, — ცოლად გამომყევი-მეთქი, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე; თითქოს ენა დამება და საცოდავად ისღა ამოვილუღღუღე: მადლობა საჭირო არაა-მეთქი... იმ დღის შემდეგ ნინო მასწავლებლის შესახებ არაფერი მსმენია. არ ვიცი, მას კიდევ ვახსოვარ თუ არა, მაგრამ ფაქტია, მისი სახე, თვალები, ხმა არასდროს დამავიწყდება, მე ის დღესაც მიყვარს, ჰოდა, ინგლისურ ენასაც სწორედ მისი ხათრით ვსწავლობ ასე საფუძვლიანად!..“

უცნობი:

„ამ ამბის მოყოლა ძალიან მიჭირს და არ ვიცი, საიდან დავიწყო... ერთი წლის წინ გადავწყვიტე, ცეკვა მესწავლა და „მოყვარულებში“ ჩავეწერე. ცეკვის მასწავლებელი დანახვისთანავე მომეწონა. ის ისეთი საყვარელი გახლდათ, რომ მალევე შემიყვარდა და მისი ტელეფონის ნომერიც გავიგე. თავიდან მხოლოდ ლექსებს ვწერდი, ოღონდ მან არ იცოდა, ვინ ვიყავი; რაღაც პერიოდის შემდეგ ისიც ამყვა, მესიჯებს მწერდა და მთხოვდა, საკუთარი ვინაობა გამემხილა. თურმე, იმ შტერს ჩემი მეგობარი — თამო ეგონა. ჰოდა, ერთ დღეს რეპეტიციიდან გაიყვანა და ჰკითხა: რა ვქნათ, ახლა ჩვენო? საწყალი თამო დაიბნა და კითხვა შეუბრუნა: „რა? რა უნდა ვქნათ, მასწ?“ ჩემი რჩეული გაუჯავრდა, — მასწს ნუ მეძახი და თავს ნუ იშტერებ. ახლავე მითხარი, „ესემესებს“ რატომ მწერო? თურმე, თამო დიდხანს უმტკიცებდა, არაფერს გწერთო და ბოლოს, ძლივს დაურწმუნებია, რომ ის არაფერ შუაში იყო. ცხადია, მეგობარმა ეს ყველაფერი იმ დღესვე მითხრა. ჰოდა, მეც ცხელ გულზე, პედაგოგს სახლში მისვლისთანავე დავურეკე და მივახალე, რომ მისი იდუმალი თაყვანისმცემელი მე ვიყავი. იცით, როგორი რეაქცია ჰქონდა? გაკვირვებისგან ენა ჩაუვარდა, მერე კი — როცა გონს მოეგო, მითხრა: — ახლა დამშვიდდი, რეპეტიციაზე დაგელაპარაკებიო. ღმერთო, ვერ წარმოიდგენთ, მეორე დღეს იქ მისვლა როგორ გამიჭირდა, გასახდელში მყოფმა ერთი სიკვდილი გადავიტანე, მერე კი თამომ დარბაზში ძალით შემათრია და... შესვლისთანავე „მას“ შევეჩეხე, თუმცა, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მასწავლებელს ჩემს დანახვაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონია. მერწმუნეთ,

რეპეტიციაზე გატარებულ 2 საათს მართლა სიკვდილი მიჯობდა. საბედნიეროდ, „ის“ დარბაზიდან ბოლოს გამოვიდა და მეც, როგორღაც გამოვეპარე...“

ქეთა:

„უი, ეს რა ამბავი გამახსენეთ... მოკლედ, VIII კლასში ვიყავი, როცა ფიზიკური აღზრდის პედაგოგი შემიყვარდა. მის კუნთებს რომ ვუყურებდი, ვდებილდებოდი და ყბა იატაკზე მივარდებოდა; მის გაკვეთილზე შესულს საკუთარი სახელიც კი მავიწყდებოდა და ამიტომაც იყო, რომ წლის ბოლოს ლამის, ორიანი დამიწერა. ამ სირცხვილისგან იმან მიხსნა, რომ ფრიადოსანი გახლდით, სხვა საგნების პედაგოგებმა ჩემი „გაფუჭება“ არ მოისურვეს და ვიტალი მასწავლებელს სთხოვეს: ამ ბავშვს ნიშნებს ნუ გაუფუჭებო. მოკლედ, მან ოთხიანი დამიწერა, მაგრამ იმის სათქმელად, რომ ზარმაცი ვიყავი და მომავალ წელს მაინც უნდა გამოვსწორებულიყავი, კაბინეტში დამიბარა. ჩემს გაკიცხვას მორჩა თუ არა, პირდაპირ „ვაჯახე“: — ის, რომ მთელი წელი არაფერი გამიკეთებია, თქვენი ბრალია-მეთქი! გაკვირვებულმა შემომხედა: — რას გულისხმობო? — რას და, მიყვარხართ, დამაშტერეთ და ახლა, ლექციასაც რომ მიკითხავთ თემაზე — „ძირს სიზარმაცე!“ — არ გრცხვენიათ-მეთქი? ჩემს ნათქვამზე ბევრი იცინა. მეგონა, დამცინოდა და ამ ახმახი კაცის ისე შემრცხვა, რომ შინ მისულმა მშობლებს ვთხოვე: — სხვა სკოლაში გადამიყვანეთ-მეთქი... სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ვიტალი მასწავლებელს ქუჩაში შევხვდი. მან თბილად მომიკითხა და მკითხა: — სკოლა რატომ შეიცვალეო? ვუსაყვედურე: — თქვენ რატომ დამცინეთ? სიყვარული ხომ ცოდვა არ არის, ასე არ უნდა მომქცეოდითმეთქი. იცით, რა მიპასუხა? — ახლა დიდი ხარ და გეტყვი, რატომაც ვიცინე: — ის სიცილი, ასე რომ შეურაცხგყო, სიმწრისა იყო, რადგან მეც მიყვარდი, მაგრამ თავს ვერ მივცემდი უფლებას, მოსწავლეს საკუთარ გრძნობებში გამოვტყდომოდი და თანაც, შენ ხომ ჩემზე ბევრად პატარა ხარო. არც ვაციე, არც ვაცხელე და, — ახლა ხომ აღარ ვარ თქვენი მოსწავლე? ჰოდა, გისმენთ, მზად ვარ, თქვენი სიყვარულის მისაღებად-მეთქი! დღესდღეობით მე და ასე ვთქვათ, პატივცემული ვიტალი შეყვარებულები ვართ და სულ მალე დაოჯახებასაც ვაპირებთ, თუმცა ამის შესახებ ჩვენი ოჯახის წევრებმა ჯერჯერობით, არაფერი იციან და შეიძლება, ეს ახალი, ცხელ-ცხელი ამბავი თქვენი მეშვეობითაც შეიტყონ. ასე რომ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება...“

გიორგი, *39 წლის:*

„მეც მომინდა, ჩემი პედაგოგის შესახებ მომეწერა და იმედია, დამიბეჭდავთ. მოკლედ, გარკვეული მიზეზების გამო სკოლაში ვერ დავდიოდი და მასწავლებლები შინ მაკითხავდნენ. თითოეული პედაგოგის მოსვლა მახარებდა, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ყოველთვის გამორჩეულად ხალისიანად ვეგებებოდი — ის მუდამ მოკლე კაბას იცვამდა და მეც მომწონდა სექსუალურ მასწავლებელთან ურთიერთობა. მასთან საუბრისას დროს სწრაფად, შეუმჩნევლად გადიოდა. მის საგანს თითქმის არ ვსწავლობდი, რადგან მერჩივნა, მასთან ერთად სულ სხვა თემაზე მესაუბრა და ისიც, როგორც ჩემი უფროსი მეგობარი (ვერ ან არ ხვდებოდა, რომ მასთან მეგობრობა კი არა, სულ სხვა რამ მინდოდა) ჩემს ამ სურვილს გაგებით ეკიდებოდა, ათას რამეს მიყვებოდა და ცხოვრებას მიხალისებდა... სამწუხაროდ, დღესდღეობით მასთან ურთიერთობა აღარ მაქვს, მაგრამ მისი ჩატარებული „გაკვეთილები“ ჩემს მეხსიერებაში სასიამოვნო მოგონებად დარჩა“.

წუწუნა:

„ერთი უჯიშო ლექტორი მყავს, რომელიც ყველა სტუდენტს, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, სისხლს უშრობს, მაგრამ ყველაზე მეტად ლამაზ გოგონებს ემტერება — თავად გაუთხოვარს სხვების შურს და ცდილობს, ლამაზმანები ცუდი ნიშნებით გაამწაროს. ჰოდა, მოვუწოდებ ყველა სასწავლებლის რექტორს თუ დირექტორს: შინაბერებს ნუ მისცემთ მოსწავლეების უსაფუძვლოდ დასჯის უფლებას. ის, რომ ვიღაც ვერ გათხოვდა და შვილი არ ჰყავს, სხვების ბრალი ნამდვილად არაა... ჰო, ჩემმა ლექტორმა, ვისზეც ახლა გწერთ, ერთ-ერთ ჩემს ჯგუფელ ბიჭს ჩათვლა იმიტომ არ აღირსა, რომ რაღაც მოეჩვენა, ეგონა, რომ ის „სხვანაირად“ უყურებდა და, — აბა, ეგრე შემოხედვა როგორ მაკადრე, შენხელა შვილები უნდა მყავდესო. არადა, გეფიცებით, მართლა რაღაც მოეჩვენა — ის ბიჭი გეია და ამას აღიარებს კიდეც. ისე, ნორმალური ორიენტაციის მქონეც რომ იყო, ვის რად უნდა „მოძონძილი“ ქალი? მისნაირებს კი არა, დღეს ბიჭები ანგელოზებივით გოგონებსაც იწუნებენ...“

ზურას კნეინა:

„ჩემს ერთ-ერთ მასწავლებელს, თანაც — ქალბატონს ვერ ვიტანდი, რადგანაც ის გამუდმებით, ორიანებს მიწერდა, ამით მამწარებდა, მაგრამ რატომ, ნამდვილად არ ვიცი, მისთვის არაფერი დამიშავებია. კიდევ კარგი, მერე სკოლიდან „გააბუნძულეს“. ცნობისათვის, ის სხვებსაც უშრობდა სისხლს...“

სანია, *15 წლის:*

„გეოგრაფიის მასწავლებელი მყავს ფულის ხამი — ღარს თუ დაანახვებ, ნემსის ყუნწში გაძვრება და დებილსაც კი „ათიანს“ დაუწერს, ჰოდა, ამიტომაცაა, რომ მის საგანს არავინ ვსწავლობთ, მასთან ნიშანს მაინც „ვყიდულობთ“ და თავის შეწუხება არავის გვინდა. ეს მასწავლებელი არასდროს დამავიწყდება, რადგანაც ერთხელ, როცა ფული ვერ მივუტანე ანუ პატივი ვერ ვეცი, საშემოდგომო გამომაყოლა...“

უცნობი:

„მოგესალმებით. მინდა, მოგიყვეთ იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც 15 წლის წინ გადამხდა თავს; მაშინ ჩემი შვილი მეორე კლასში იყო (ის №-14 საშუალო სკოლაში სწავლობდა). მოკლედ, 8 მარტი ახლოვდებოდა და დაწყებითი კლასის ერთ-ერთმა პედაგოგმა „კონფიდენციალურად“ შემატყობინა, რომ ჩემი შვილის მასწავლებელს ვერცხლის „გრეხილი“ ძეწკვი გაახარებდა. მოკლედ, მშობლებმა შეკვეთა მივიღეთ და სამზადისს შევუდექით. 1996 წელი იყო. ნაომარ, თანაც — უმუშევრად დარჩენილ ხალხს არ ულხინდა და რა გასაკვირია, რომ 18 გაცრეცილი ლარიანი ძლივს შეგროვდა, ვერცხლის ყელსაბამი კი 33 ლარი ღირდა. ვინაიდან მის შესაძენად ფული არ გვეყო, ინდირა მასწავლებელს ფენი და შამპანურის ჭიქები მივართვით, მან კი მადლობის მომლოდინე მშობლებს შეურაცხყოფა მოგვაყენა, საჩუქრები თავზე დაგვაყარა, რადგანაც თურმე, სახლში 5 ფენი და უფრო მეტი ბოკალი ჰქონდა... ჰოდა, ყოველთვის, როცა ამაყად ყელმოღერებულ ინდირა მასწავლებელს მოვკრავ ხოლმე თვალს, ეს ამბავი მახსენდება და მის ნაცვლად, მე მრცხვენია!“

ხეპრე:

„აუ, მათემატიკის მასწავლებელი მყავდა ანგელოზივით ქალი, მაგრამ მე, ხეპრემ ბევრჯერ ვაწყენინე. ქალბატონი ნინელის გასამწარებლად ათასგვარ ხრიკს ვიგონებდი და ისიც, ისეთი გულუბრყვილო გახლდათ, რომ ჩემს დაგებულ მახეში ყოველთვის იოლად ებმებოდა. ერთხელ სკამზე ლურსმნებიც კი დავუჭედე, რომ გაკვეთილზე ვერ დამჯდარიყო, ის საცოდავი კი სკამზე ისე „დაეხეთქა“, არც დაუხედავს და... ექსკურსიაზე ვიყავით, გზად რომელიღაც მდინარესთან შევჩერდით. ისე ცხელოდა, ცდუნებას ვერ გავუძელით და ყველანი წყალში ჩავხტით; მასწავლებლებმაც დაძლიეს სიმორცხვე და გაგრილება გადაწყვიტეს, თუმცა, ოდნავ მოშორებით გავიდნენ. მათ შეუმჩნევლად მივეპარე, ქალბატონი ნინელის ტანისამოსი მოვიპარე და საწყალი ქალი კარგა ხანს, თითქმის შიშველი ვატანტალე... ახლა ამ ყველაფრის გამო გული მწყდება, მრცხვენია და ჩადენილს ვნანობ, მინდა, პედაგოგს ყველაფრისთვის ბოდიში მოვუხადო, მაგრამ ის ცოცხალი აღარაა. ვიცი, მიუხედავად ყველაფრისა, მას ვუყვარდი და ბავშვურ ანცობასაც ამიტომ მაპატიებდა ხოლმე, მე კი ამ ყველაფერს ბოროტად ვიყენებდი...“

პარიჟანკა:

„მარინა მასწავლებელი ჩემთვის უბრალოდ პედაგოგი არ იყო, ის გახლდათ ბავშვების მოყვარული, სამყაროს სიყვარულისა და ადამიანური სიკეთის შთამაგონებელი ქალბატონი. მას ჩემი ამქვეყნად მოვლინების პირველივე დღეებიდან ვიცნობდი და არასდროს დამავიწყდება ის სითბო, რასაც მისგან ვგრძნობდი. ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც შემაცნობინა თოვლის ფიფქების, გაზაფხულის, იების მშვენიერება და თავადაც, სულითა და ხორცით მშვენიერმა, პირველმა მატკინა გული ამ ქვეყნიდან ზეციურ სასუფეველში წასვლით... მან შემაყვარა პოეზია, დამანახვა ქართული სიტყვის ძალა და საკუთარი თავის რწმენაც შემმატა. არასდროს დამავიწყდება მისი ცრემლიანი თვალები, როდესაც ჩემი წარმატებებით ამაყობდა და მჯერა, რომ მისი აღსაზრდელები მის მიერ დალოცვილი გზით ვივლით მუდამ! ყოველთვის ვგრძნობ, რომ ჩემი ერთი წინ გადადგმული ნაბიჯით ის იმ ქვეყნად, სიხარულს განიცდის და მინდა, გულწრფელად მადლიერმა ვთქვა, რომ მას ჩემი სულიერების ჩამოყალიბებაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის. მარინა მასწავლებელს ისე, როგორც არავის, შეეძლო ეგრძნობინებინა, რომ ამქვეყნად ყველაფერი უფლის ნებაა და უკურნებელ სენსაც ამ განცდით, გმირულად შეხვდა... თუმცა, ასეთ კეთილშობილ პიროვნებებს სიკვდილიც ვერ ამარცხებს და მარინა მასწავლებელიც მუდამ იცოცხლებს ჩემს მეხსიერებაში, თავისი სათნო ღიმილითა და დედაშვილური დარიგებებით; გავა წლები და ამ პედაგოგის სახელი ასეთივე სათუთი და ძვირფასი იქნება ჩვენთვის, მისი მოსწავლეებისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მარინა მასწავლებლის სპეტაკი სული...“

P.S. ამჯერად, გთავაზობთ თემას: სიყვარულის გამო დანგრეული მეგობრობა. თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ, მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com. ■

„არ მინდა, მეუღლეს შეურაცხყოფა მივაყენო“

უცნობი:

„გამარჯობა. მინდა, ჩემ შესახებ გიამბოთ. ვარ 23 წლის. მყავს 3 წლის შვილი და მეუღლე, რომელიც ძალიან მიყვარს, მაგრამ... იმ პრობლემის დაძლევაში, რომელიც ასე მაწუხებს, მხოლოდ თქვენ თუ დამეხმარებით. მოკლედ, როცა მეუღლე მკოცნის ან ხელს გადამხვევს ხოლმე, ვერაფერს ვგრძნობ. უკვე 4 წელია, ამის გამო ვიტანჯები, მაგრამ ამ ამბავს ვერავის ვუმხელ; უკვე დეპრესიაში ვარ და ხასიათიც შემეცვალა. მერწმუნეთ, თავის მოკვლაც ბევრჯერ ვცადე, მაგრამ მაშინვე, ჩემი შვილი მახსენდებოდა და უკან ვიხევდი. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეუღლე მართლა მიყვარს და არ მინდა, ეს ყველაფერი ვუთხრა, ამით შეურაცხყოფა მივაყენო, გული ვატკინო. იქნებ თქვენ მირჩიოთ, ეს ავადმყოფობა (თუ არ ვიცი, რა დავარქვა) როგორ დავძლიო? იქნებ რომელიმე თქვენგანი ჩემსავით იტანჯება?..“ ■

„არ მინდა, დაქალს ვაწყენინო...“

უცნობი 2:

„მე და ჩემი დაქალი — გვანცა თითქმის მთელი ცხოვრებაა, ერთმანეთს ვიცნობთ, მეტიც — შეიძლება ითქვას, რომ ერთად ვიზრდებოდით, მეზობლებიც გახლავართ, მაგრამ ახლა ერთი და იგივე ბიჭი, ინგლისურის მასწავლებელი შეგვიყვარდა და... გაურკვეველ, ცუდ მდგომარეობაში ვარ, რადგან მასწ-ი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ მის გამო ვერც დაქალს ვაწყენინებ... ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ გვანცამ არ იცის, ის მეც რომ მომწონს. ჰოდა, სიმართლის გამჟღავნების ძალიან მეშინია... რაც შეეხება მასწავლებელს, ჩვენ შორის დაძაბული ურთიერთობაა, რადგანაც ის ცდილობს, ჩემგან თავი შორს დაიჭიროს, აი, გვანცას კი ემესიჯება კიდეც...“ ■

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და უცნობი 2-ის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე 8.58. 25.60.81 მათ თქვენ დახმარების იმედი აქვთ. ■



სამყარო

ლექსებით გადარჩენილი — ლექსებში გადარჩენილი

ლელა ჯიყაშვილი

არ ვიცი, საიდან უნდა დავიწყო... იქნებ სამთავროს ეზოდან... მაშინ ჯერ კიდევ პატარა გოგო — ნინო მაჭავარიანი ფრთხილად დააბიჯებდა ტაძრის ირგვლივ... მცხეთელი არ იყო. ზღვისპირეთიდან ჩამოიყვანეს მშობლებმა. იქ, აფხაზეთში, წებელდაში — ისტორიულ სოფელში იზრდებოდა. წებელდა (ყოფილი წაბალი), სოფელი იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გულრიფშის მუნიციპალიტეტში, წებელდის ქვაბულში... მუსიკასავით ესმოდა ზღვის ხმა, მთიდან მონაბერი გრილი სიოს სისინი და იქაური სოფლების სახელები: აბლუხვარა, აგიში, აზანთა, არასარა, აჭანდარა, გერგემიში, ზემო წყარო, კელასური, კირნათი, მარანი, მზისეული, მრამბა, ქვემო აფიანჩა, ქვემო წყარო, წიფლოვანი... ახლა მცხეთაში იყო, მაგრამ ის მუსიკა მოჰყვებოდა... გულით ხედავდა იქვე ჩამომჯდარი ბერი გაბრიელი. ეს მუსიკაც ესმოდა და კიდევ სხვა სიტყვებიც. ამიტომაც დაუძახა გოგონას და უთხრა: ბალახები მელაპარაკებიან, შენ ექიმი გახდებიო. ასეც მოხდა...

ნინო მართლა ექიმი გახდა.

უბრალო ექიმი კი არა... პირველი ქალი იყო, ე.წ. „შოკის“ მანქანაზე რომ დასვეს. მამაკაცური სიმძიმე მისმა ქალურმა მხრებმა უდრტვინველად ატარა. 2008 წლის 8 აგვისტოს 6 საათზე ცხინვალში ჩავიდა... რუსების მიერ შექმნილი საზღვარი გადალახა. მაშინ არაფერზე უფიქრია, არც უკან დახევა მოსვლია აზრად... იქ ხომ ქართველი ბიჭები იყვნენ და შველას ითხოვდნენ. დააჯილდოეს კიდეც საქართველოში თავდადებისთვის, პატრიოტიზმისთვის და პროფესიონალიზმისთვის.

და მართალია, ამ დრომდე შორი იყო, მაგრამ ბერი გაბრიელი ხედავდა... იმასაც ხვდებოდა, რომ ცოტა ხანში საქართველოს სხეულს ნაჯახით ჩამოაგლეჯდნენ აფხაზეთს, ნინოს ოჯახი მთებით გადმოვიდოდა „დარჩენილ საქართველოში“ და გამოიყოლებდა მუსიკასავით მღელვარე ტალღების ხსოვნასა და გარუსებული სოფლების ტკივილს — ვეღარ ნახავდა წებელდას, აბლუხვარას, აგიშის, აზანთას, არასარას, აჭანდარას, გერგემიშს, ზემო წყაროს, კელასურს, კირნათს, მარანს, მზისეულს, მრამბას, ქვემო აფიანჩას, ქვემო წყაროს, წიფლოვანს...

ხსოვნას ჭრილობაში ჩარჩენილი ბასრი პირივით შემორჩა წებელდაში ნანახი, არძინბასა და იური ვორონოვის სახეები... მეზობლები იყვნენ... არადა, თურმე აქ გეგმავდნენ ყველაფერს. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ ვორონოვები, რომლებიც იოტისოდენა ზიზღს არ ამჟღავნებდნენ ქართველებისადმი, ასე შეიცვლებოდნენ?!. რუსულის მასწავლებელი სვეტლანა ვორონოვა ამაყად ჰყვებოდა, რომ მას ლენინი ახსოვდა, რომელიც მათ ოჯახში ჩამოდიოდა აფხაზეთში... ლენინს არა, მაგრამ დედარუსეთს ახსოვდა ვორონოვების ოჯახი და როცა დასჭირდა, გამოიყენა კიდეც...

სული მასში ნათლულს ხედავდა... ამიტომაც აჩუქა თავისი ხელით მოჭედილ რკინის ჩარჩოში ჩასმული ღვთისმშობლის ხატი...



კედელზე კი გიგო ზაზიაშვილის — ფიროსმანის თანამედროვე მხატვრის აბრაა: „ვიღებთ შეკვეთებს“...

იმ საშინელ გზაზე, რომელიც საკუთარ სახლს აშორებდა მაჭავარიანებს, დედას დიდი ჩანთა მოჰქონდა მოუშორებლად... ამ ჩანთაში არც ოქრო იყო, არც ვერცხლი — აქ ნინოს ლექსები ეწყო, მისი ჯერ პატარა არქივის გულუბრყვილო, ბავშვური წერილები. მერე ამ ლექსებს „გადარჩენილი ლექსები“ დაარქვეს...

გადარჩენილ ლექსებს გადამრჩენი ლექსებიც მიემატა, იმიტომ, რომ იმ ტკივილის გადატანა, რომელიც ნინო მაჭავარიანს წინ ედო, მდუმარედ შეუძლებელი იქნებოდა.

მშობლიური მიწა წაართვეს, მამის საფლავი დააკარგვინეს, ბაბუის — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დავითის ნამსახურები ტაძრებისკენ გზა გადაუკეტეს... მაგრამ სამშობლო სულიერი ღირებულებაა, ამიტომაც „სამშობლოს მიწა აყვავდა სულში“ და ლექსებად გადმოიღვარა.

„მოგონებები სევდიან ნისლებს,
დღეებით ფურცლავს, როგორც ზამთარი

და ტალღა ლეკავს წარსულში ფიქრებს,
ტალღა ბავშვური მზერით გამთბარი...
დევნილობიდან სიყრმეში მიწვევს,
ოცნების მკრთალი საფეხურები...
სანაპიროზე მელიან ისევ,
ჩემი წაშლილი ნაფეხურები“...

ნინო მაჭავარიანის ლექსების კრებულს, რომელიც ახლახან გამოიცა, „წაშლილი ნაფეხურები“ ჰქვია. მოულოდნელი რამ მოხდა: მხატვარმა ელდარ ქავშბაიამ ეს ლექსი რომ წაიკითხა, სურათი უჩვენა: მასაც იგივე დაუხატავს — გაუკაცურებული სანაპირო, წაშლილი ნაფეხურები...

ტკივილი ხომ საერთოა...

დაბრუნებამდე, თბილისში უნდა გაძლონ.

ექიმი, რომელიც ყოველდღიურად ათობით ადამიანს ჩუქნის სიცოცხლეს, თავის ხელისგულისოდენა ბინაში დაბრუნებული, საკუთარ ლექსებში ცოცხლდება.

ეს ბინაც უფლის საჩუქარივითაა: ჯერ ერთი, ტაძრის ეზოშია... მერე, სიძველისა და დარდისგან გადახრილი კედლები აქვს... საღებავგადაცლილი რიკულები... კედელზე კი გიგო ზაზიაშვილის — ფიროსმანის თანამედროვე მხატვრის აბრაა: „ვილებთ შეკვეთებს“... ერთხანს ერთადაც იღებდნენ შეკვეთებს ის და ნიკალა, მერე დაშორდნენ... მაგრამ მაინც, თუ გიგო აქ მუშაობდა, იქნებ ფიროსმანიც მოსულა, ეს გაცვეთილი საფეხურები აუვლია, დაღლილი სხეული ჩამოუსვენებია ამ ოთახში... მერე კი აქედან წასულს მდუმარებაში გაყურსული ჟირაფი დაუხატავს...

ნინოს ცხოვრებასა და ლექსებზე საუბარი არ მოგწყინდება... მაგრამ რაკი წერილი მაინც უნდა დასრულდეს, იქვე დავასრულებ, სადაც დავიწყე: სამთავროში, ბერი გაბრიელი რომ იჯდა და გულის თვალით აკვირდებოდა სამყაროს... ნინო მაჭავარიანის დედას ნათლულს ეძახდა, თუმცა ნათლული არ იყო: სული მასში ნათლულს ხედავდა ალბათ... ამიტომაც აჩუქა თავისი ხელით მოჭედილ რკინის ჩარჩოში ჩასმული ღვთისმშობლის ხატი... რომელიც თავისივე საწოლის ფიცარზე გაუკეთებია...

და ახლა, როცა სულისშემძვრელ მუსიკად მოეძალება წარსულის ზღვის სუნითა და ნიავით შეზავებული ნოსტალგია, ხატებთან მიდის და ლოცულობს...

„დროს მომავალი აცოცხლებს მხოლოდ,
აწმყო ყოველთვის სევდით სავსეა.
ყველა ამბავი ჩაივლის ბოლოს,
და რაც ჩაივლის, ის — ძვირფასია“... ■

გოკიელის ანტიკვარები და ძვლისგან დამზადებული ნამუშევრების გამოფენა

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის ფონდი უნიკალური კოლექციით შეივსო — ბრონისლავ გოკიელის ანტიკვარული ნივთებითა და შალვა ბაბუხადიას ჭედური ხელოვნების ნიმუშებით, რომლებიც მუზეუმს ამ ორმა ადამიანმა გადასცა და მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოიფინა...

თამუნა კვინიკაძე

ირმა გეგიძე, *მუზეუმის რეგისტრატორი:*

— გასული საუკუნის 30-60-იან წლებში ბრონისლავ გოკიელს თბილისში ანტიკვარიატის მაღაზია ჰქონდა. წლების მანძილზე ნაგროვები ექსპონატები მუზეუმს საჩუქრად 1965 წელს გადმოსცა, ეს შეუფასებელი სიმდიდრეა. ახლა იშვიათად წააწყდებით სადმე ირანელ ოსტატთა ნახელავს — ქირმანშალს, მსოფლიოს დიდ და ცნობილ მუზეუმებში იგი მხოლოდ პატარა ნაგლეჯის სახით თუ არის წარმოდგენილი, ჩვენს მუზეუმში დაცული ექსპონატი კი 2 მეტრს აღემატება. გოკიელის გადმოცემით, ეს ქირმანშალი ირანის შაჰის ნაქონია. ეს ძვირად ღირებული ქსოვილი მხოლოდ ირანში იქსოვებოდა. ქირმანშალი იმით არის საინტერესო, რომ თხის ბეწვისგან არის დამზადებული.

— როგორ მოხვდა გოკიელის კოლექციაში, ეს ცნობილი არ არის (ცნობილია, როგორ მოხვდა ქირმანშალი გოკიელის კოლექციაში)?

— როგორც გადმოცემით ვიცით, ირანის შაჰის კარზე ფინანსთა მინისტრად ვინმე აზრუმანოვი მუშაობდა, რომელსაც შაჰმა ეს ქირმანშალი აჩუქა, მან თავის მამას გადასცა, მამამ კი გოკიელის ანტიკვარულ მაღაზიაში მიიტანა.

მეორე არის უცნობი ფერმწერის

ტილო — „მადონა ყრმით“, რომელიც საკმაოდ დაზიანებული იყო; მოხდა მისი რესტავრაცია გოკიელის თხოვნით. მას თან ახლდა წარწერა, ტექსტის მიხედვით გოკიელი მას უძღვნიდა შვილს — ივონას, რომელიც უგზოუკვლოდ იყო დაკარგული და კიდევ ერთ ქალბატონს, რომელიც იმ პერიოდში კულტურის განყოფილების უფროსად მუშაობდა და ეს ნივთები რომ გადმოეცა, გოკიელს მუზეუმის მესვეურებთან დაკავშირებაში დაეხმარა.

— აქ გამოფენილ ფაიფურის ჭურჭელზე რას გვეტყვით?

— მუზეუმში დაცულია ჩინური, პოლონური, საიმპერატორო ქარხანაში დამზადებული რუსული ფაიფურის უნიკალური ნიმუშები, XVII-XVIII საუკუნეების უძველესი ჭურჭელი, ჩინური ლარნაკები, ინგლისური ბისკვიტი, იაპონური ქაშანური და ა.შ. კოლექციის მნიშვნელოვან ექსპონატს წარმოადგენს გაბაშვილის ტილო — „ბუხარელი ებრაელის პორტრეტი“, რომელიც მილიონ-ნახევარ დოლარად არის შეფასებული.

— გოკიელმა მუზეუმს სულ რამდენი ექსპონატი გადასცა?

— სულ 100-მდე ექსპონატია. სამწუხაროდ, ამ ადამიანის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ჩვენთან ინახება ამონარიდი იმ პერიოდის გაზეთიდან (გაზეთის დასახელება უცნობია), სათაურით — „საჩუქრად ქართველ ხალხს“, სადაც ვკითხულობთ: „თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ახალი მდიდარი საექსპონატო მასალით შეივსო, ჩვენმა თანამემამულემ ბრონისლავ ალექსანდრეს ძე გოკიელმა, რომელიც წლების განმავლობაში გულმოდგინედ აგროვებდა ანტიკვარულ იშვიათობას, ქართველ ხალხს საჩუქრად გადასცა ასი დასახელების ნივთი“.

— გოკიელის ფოტო არ არსებობს?

— არა, არც მემკვიდრეების შესახებ არის რაიმე ცნობილი, მხოლოდ ის ვიცით, რომ ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა და ისიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— ყველაზე ძველი ნივთი რომელი პერიოდით თარიღდება?

— შემოწირულობათა შორის ყურადღებას იქცევს ფლორენციაში დამზადებული მაგიდის უნიკალური ეგზემპლარი, რომლის ავტორიც ბარბიერია. იტალიური მაგიდა ბრინჯაოს, მარმარილოსა და ბუნებრივი ფერადი ქვებისგან არის დამზადებული. მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ასევე შავი ხისგან დამზადებული 4-კარიანი თეჯირი, მისი 4-ვე პანო სპილოს ძვლით არის გაწყობილი, გამოყვანილია ქრიზანთემები, სადაფით დაფარული სოკოები. ეს ყველაფერი ძალიან ლამაზი და ძვირფასია.

გოკიელის კოლექციის დათვალიერების შემდეგ, იმ დარბაზში გადავინაცვლე, სადაც შალვა ბაბუხადიას ჭედური ხელოვნების ნიმუშები იყო გამოფენილი. ცოტა ხნის წინ მან მუზეუმს 500 ექსპონატი გადასცა საჩუქრად. ბატონი შალვა 90 წლის არის, სამწუხაროდ, გამოფენაზე მოსვლა ვერ შეძლო, ამიტომ მას შინ ვეწვიე.

— ბატონო შალვა, მუზეუმში გამოფენილი ნამუშევრები დავათვალიერე და ძალიან მომეწონა...

— ასეთი სიტყვები რომ მესმის, მიხარია.

— მიამბეთ, ეს საქმე როგორ დაიწყეთ?

— პენსიაზე რომ გავედი, ვფიქრობდი, რა გავაკეთო-მეთქი? ახალგაზრდობაში ხატვა მეხერხებოდა. ერთ დღეს, სადილობის დროს, კერძში ლამაზი ფორმის ძვალი ვიპოვე. ამოვიღე, გავრეცხე და მასზე ფანქრით ვაჟაფშაველა დავხატე. მერე, სახე რომ

გამომეყვანა, გავფხიკე, ფორმა მივეცი... საბოლოოდ, ცუდი ნამუშევარი არ გამომივიდა. მერე ბინაში პატარა სახელოსნო მოვაწყვე, იარაღები ქლიბებისგან თავად დავამზადე, ელექტრობურღი ვიყიდე, როგორსაც სტომატოლოგები იყენებენ და მუშაობას დიდი მონდომებით შევუდექი. 25 წლის მანძილზე 3000-მდე ნაკეთობა შევქმენი.

— „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, ცნობილი ადამიანები, ისტორიული პირები — ყველას საოცრად მეტყველი სახე აქვს. ეს როგორ მოახერხეთ? ძვალზე მუშაობა რთული არ არის?

— როცა საქმე გიყვარს, სირთულეს ადვილად ძლევ. მინიატიურულ წიგნებს ყდები გავუკეთე. რამდენიმე ნამუშევარი ბარათაშვილის სახლ-მუზეუმსაც შევწირე.

— მასალად რომელი ცხოველის ძვალს იყენებთ?

— ვიყენებ — არა, ვიყენებდი (*იღიმის*): ახლა ვეღარ ვმუშაობ; პატარა ასაკი კი არ მაქვს — 90 წლის ვარ, ბაბუ!.. ჰო, კითხვაზე არ გიპასუხე: მასალად საქონლის ძვალს ვიყენებდი. მოვიტანდი, მოვხარშავდი, ხორცს ვაშორებდი და მერე ვამუშავებდი. ეს საქმე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. თან ვერთობოდი. კარგი იქნებოდა, სპილოს ძვალზე მემუშავა, მაგრამ მოგეხსენებათ, ეს რამდენად ძვირი ჯდება.

— ახალგაზრდობაში რას საქმიანობდით?

— პროფესიით ინჟინერი ვარ. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ბორჯომში „ჩითახევჰესის“ მშენებლობაზე გამანაწილეს. ის სადგური რომ ავაშენე, მერე თბილისში გადმომიყვანეს. ბოლოს „საქწყალპროექტში“ ვმუშაობდი.

— თქვენს ნამუშევრებს პირველად ვის უჩვენებდით ხოლმე?

— ჩემს ქალიშვილს. მაინტერესებდა, როგორ შეაფასებდა. სანამ ძვალზე დავიწყებდი მუშაობას, მანამდე თითბერზეც ვმუშაობდი, მაგრამ მერე თავი მივანებე, ძვლით დავინტერესდი.

— არასდროს გაგიყიდიათ?

— არა. 3000-დან 1500 მაინც გაჩუქებული მაქვს, მთელ ქალაქშია გაბნეული.

— ხშირად ხელოვან ადამიანებს უჭირთ თავიანთი ნამუშევრის სხვისთვის გატანება, გაჩუქება. ალბათ თქვენც გენანებოდათ, არა?

— ჩემი სული და გული მიჰყვებოდა, მაგრამ მინდოდა, სხვები მესიამოვნებინა და ამიტომ ვასაჩუქრებდი. სახლში რომ დავაწყო და მარტო მე ვუყურო, რად მინდა?! ამქვეყნად რომ აღარ ვიქნები, სხვები შეხედავენ და გამიხსენებენ. ■

იგავები „მდოგვის მარცვალსა“ და „საფუარზე“

შორენა მერკვილაძე

მათეს სახარების მე-13 თავში მოთხრობილია მაცხოვრის იგავები „მდოგვის მარცვალსა“ და „საფუარზე“. „იგავი მდოგვის მარცვალზე“ მოგვითხრობს: ცათა სასუფეველი წააგავს მდოგვის მარცვალს, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში; იგი ყოველგვარ თესლზე მცირეა, მაგრამ როდესაც იზრდება, ყველა მწვანილეულზე დიდია, ისე, რომ მოფრინდებიან ცის ფრინველები და მის ტოტებს შეაფარებენ თავს... „იგავი საფუარზე“: ცათა სასუფეველი წააგავს საფუარს, რომელიც დედაკაცმა აიღო და ჩამალა სამ საწყაო ფქვილში, ვიდრე მთლიანად გაფუვდებოდა...

იგავებს განგვიმარტავს მამა **დიმიტრი ვანგულაშვილი**:

— მდოგვის მარცვალში უნდა ვიგულისხმოთ ღვთის სიტყვა, ქადაგება, რომლის გავრცელებაც თავიდან მოციქულებმა დაიწყეს, შემდგომ კი მათმა მემკვიდრეებმა — ღვთისმსახურებმა გააგრძელეს. ღვთის სიტყვა შესაძლოა, მცირედაც კი მოგვეჩვენოს სხვა მოძღვრებათაგან განსხვავებით, რომლებიც უფრო მჭექარე სიტყვებით იქადაგება, მაგრამ შემდგომ ყველა მოძღვრებაზე მეტად იზრდება. მოციქულთა მიერ ნაქადაგები ღვთის სიტყვა ხომ ისე გაიზარდა, რომ მთელი დედამიწა მოიცვა.

ფრინველებში უნდა ვიგულისხმოთ ის ადამიანები, რომლებიც ღვთის სიტყვის, ქრისტიანული მოძღვრების ქვეშ არიან შეფარებულნი, მიმღებნი არიან მოციქულთა ნაქადაგები ღვთის სიტყვისა და მის ჩრდილქვეშ არიან დამშვიდებულნი და დასვენებულნი სულიერად.

ყანაში იგულისხმება წუთისოფელი, ამქვეყნიური ცხოვრება, სადაც უფალმა თავისი სიტყვა, ქრისტიანული მოძღვრება ჩათესა და სადაც ღვთის სიტყვა უნდა გავრცელდეს. უფლის სიტყვა მაინც გავრცელდება, მაგრამ უკვე თითოეული ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული — ჩათესავს თუ არა თავის გულში ღვთის სიტყვას, იზრუნებს თუ არა მის აღმოცენებასა და სულიერი ნაყოფის მიღებაზე.

მდოგვის მარცვლის სიმცირე შეიძლება შევადაროთ თავმდაბლობასაც — უფალი ხომ ყოველივეს თავმდაბლობით იქმოდა. სწორედ თავმდაბალი ადამიანი შეიძლება გახდეს ჭეშმარიტად მიმღები ღვთის სიტყვისა და გაიზარდოს სულიერად. ასეთი კაცი გაცილებით დიდი და მშვენიერი გამოჩნდება ღვთის წინაშე, ვიდრე ამპარტავანი და მედიდური ადამიანი, რომელმაც შესაძლოა, მოისმინოს კიდეც ღვთის სიტყვა, მაგრამ შემდგომში ვერანაირად ვერ პოვებს განვითარებას.

რაც შეეხება „საფუვრის იგავს“, აქაც — საფუარში უნდა ვიგულისხმოთ ღვთის სიტყვა, დედაკაცში კი — დედაეკლესია, რომელიც არის ღვთის სიტყვის მთქმელი, დამუშავებელი და გამცემი. იგავის თანახმად, დედაკაცმა საფუარი სამ საწყაო ფქვილში დაფლა, ღრმად დამალა. სამი საწყაო ფქვილი იგავურად მიანიშნებს, რომ არსებობს სულის სხვადასხვა მგრძნობელობა: შემეცნებითი, ნებელობითი და გრძნობითი, რომელთაც უნდა შეკუერთოთ ღვთის სიტყა, ქადაგება, ქრისტიანული მოძღვრება; ეს ყველაფერი უნდა გავაერთიანოთ. წარმოვიდგინოთ ცალ-ცალკე ფქვილი და საფუარი, მაგრამ როდესაც ერთმანეთში ირევა, სულ სხვაგვარად გარდაიქმნება, გაფუვდება და როდესაც გამოცხვება, ადამიანისთვის სასურველი და მისაღები ხდება. ასევე ხდება ღვთისთვის სასურველი და მისაღები ადამიანის სული მას შემდეგ, რაც სწავლობს ღვთის სიტყვას, შეისისხლხორცებს და სულის მგრძნობელობებთან შეერთებით გაიზრდება სულიერად, — ე.ი. როდესაც ეს ყველაფერი არის ერთ მთლიანობაში მოქცეული.

საფუვრის ფქვილში ღრმად ჩამარხვა მიანიშნებს, რომ ადამიანმა ღვთის სიტყვა ღრმად უნდა დაიმარხოს გულში. თუკი ღვთის სიტყვა გულის ზემოდან დარჩება, გულს ზემოთ მოხვდება, არ გაიზრდება. როგორც ვთქვით, დედაკაცში იგულისხმება დედაეკლესია, რომელმაც ჯერ მოციქულთა მეშვეობით მოგვაწოდა ღვთის სიტყვა, მათ შემდგომ კი ღვთისმსახურთა მეშვეობით გვაწვდის. ადამიანმა კი ღრმად უნდა ჩაიმარხოს თავის გულში, შეაზავოს „სამ საწყაო“ ფქვილთან — სულის მგრძნობელობებთან და გაზარდოს. საფუარი მცირე რაოდენობისაა, მაგრამ ფქვილში ღრმად ჩაფვლისა და დამუშავების შემდეგ, დიდად იქცევა. მაცხოვარი ხშირად იგავებით ასწავლიდა ღვთის სიტყვას, ხშირად მიმართავდა იგავურ თქმას, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველთაგან თქმული: „იგავებით გავხსნი ჩემს პირს, ვიტყვი რაც დასაბამიდან დაფარულია“. სახარებაში დევს ყოვლისმომცველი ინფორმაცია, მაგრამ ეს ინფორმაცია სრულად რომ შეიმეცნოს და გაიგოს კაცმა, ქრისტეს გონება უნდა ჰქონდეს, თუმცა ღვთისმეტყველთა ნაზრევისა და მასში ღვთის მადლის შესვლით, უფალი საშუალებას აძლევს ადამიანებს, ეტაპობრივად გაიგონ, შეიცნონ სახარებისეული სიბრძნე, ღვთის სიტყვა. ერთ-ერთი საშუალებაა იგავების თქმაც. იგავებში უდიდესი საღვთო სიბრძნე დევს. ერთიანად ადამიანის გონება ვერ დაიტევს იმას, რისი თქმაც უფალს ჩვენთვის სურს, მაგრამ ეტაპობრივად — იგავებით, პირდაპირი სწავლებებითა თუ ღვთისმეტყველთა და წმინდა მამათა ნააზრევის მეშვეობით, უფალი გვაძლევს იმ საღვთო სიბრძნეს, რაც ჩვენთვის საჭირო და აუცილებელია.

ორივე იგავის დასაწყისში უფალი ახსენებს სასუფეველს, რომელიც ადამიანმა სწორედ ღვთის სიტყვის მიღებითა და აღსრულებით უნდა დაიმკვიდროს. ადამიანის დედამიწაზე მოსვლის მთავარი მიზანი და დანიშნულება სწორედ სასუფეველში მოხვედრა, მარადიული ნეტარი მდგომარეობის მოპოვებაა. მოძღვრებიც იმისათვის იბრძვიან და მუშაკობენ თავიანთ სულიერ შვილებთან, რომ სასუფევლამდე მიიყვანონ ისინი.

საერთოდ, მიწიერი ეკლესია ნაკლებად საუბრობს ზეცაზე, ზეციურ ნეტარებაზე, უფრო გვასწავლის გზას, როგორ მივიდეთ ზეცამდე, როგორ მოვიპოვოთ სასუფეველი, თუმცა ცხონების მსურველთ ზეციური ნეტარების შესახებაც აინტერესებთ... სასუფეველში არსებული ნეტარი მდგომარეობის შესახებ უფალი მოკლედ გვამცნობს პავლე მოციქულის მეშვეობით მაშინ, როდესაც მესამე ცაზე იქნა ატაცებული. როგორც მოციქული ამბობს: რაც იქ თვალით ნახა, ყურით გაიგონა და გულით შეიგრძნო, ადამიანის ენა ვერ გამოხატავს. ადამიანის გონებას სასუფეველში არსებული მდგომარეობის წარმოდგენაც არ შეუძლია. ეს არის სულიერი, სიკეთითა და სათნოებებით აღსავსე სამყარო, „სადაც არა არს ჭირი, არცა ურვა, არცა სულთქმა“...

მაცხოვარი ბრძანებს, მრავალი სავანე არსებობს მამის წიაღშიო. ვინც მეტად დაიხარჯება ღვთისა და სასუფევლისთვის, მას მეტი და უკეთესი მიეცემა ნეტარების სახით. ამდენად, ადამიანმა არასოდეს უნდა იფიქროს, რომ ზღვარს მიაღწია, მისი სული მზად არის სასუფევლისთვის, ღვთის სიტყვის შესწავლითა და აღსრულებით. წმინდა მამები, რომლებიც სულიერების მაღალ საფეხურებზე იყვნენ ასულნი, წმინდა გვირგვინოსნებიც, რომელთაც მიწიერ ყოფაში არაფერი აკლდათ, უფალს ევედრებოდნენ: მცირედსა ზედა დაგვამკვიდრეო. მთავარია, ღვთის სიტყვა და სჯული უფლის უდიდესი თავმდაბლობითა და მორჩილებით იქნეს აღსრულებული, სხვაგვარად სულიერ ზრდასა და განვითარებას ვერ მივაღწევთ. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქეთევანი თოქურ ივანიძე

1. შკვალი ხანმოკლე ქარიშხალია.
2. ტანკა იაპონური პოეზიის ძველი ჟანრია.
3. პოტოფობია ალკოჰოლური თრობის შიშია.
4. რუსები კატას „ნადაელკა საბაკის“ ეძახიან.
5. ულელი და უნაგირი ჩინელებმა გამოიგონეს.
6. „თუში მეცხვარე“ სოსო ჩხაიძის გადაღებულია.
7. ზაქარია ფალიაშვილმა „დაისი“ სამი ზაფხულის განმავლობაში დაწერა.
8. 15 წლის ასაკში კახა კალაძე სამტრედიის „ლოკომოტივში“ თამაშობდა.
9. ჯუზეპე ვერდი პრემიერ-მინისტრ კავურას თხოვნით გახდა პარლამენტის წევრი.
10. ჰიჩკოკის ფილმისთვის „მოჯადოებულები“ დეკორაციები სალვადორ დალის შექმნილია.
11. „შემწვარი ჰაერი“ — ამბობენ იტალიელები, როცა ყოვლად უსარგებლო საგანზე საუბრობენ.
12. „თუ ბავშვს დაუთმობთ, ის თქვენი მბრძანებელი გახდება. იმისათვის, რომ მორჩილი იყოს, ყოველ წუთს ხელშეკრულება უნდა დაუდოთ“, — წერდა ჟანჟაკ რუსო.
13. „წესიერ ხალხს რომ იარაღი ჩამოართვათ, იგი მხოლოდ ნაძირალებს დარჩებათ“, — ამბობენ იარაღის აკრძალვის მოწინააღმდეგენი ამერიკაში.
14. მუჰამედ ალი თავის მეტოქე ჯო ფრეიზერს დაცინვით ბიძია თომას ეძახდა, რადგან ამ უკანასკნელს შეერთებული შტატების თეთრკანიანი მოსახლეობა უჭერდა მხარს.
15. უამრავი გამოკვლევა არსებობს იმის შესახებ, თუ როგორი ციფერბლატი და ისრები უნდა ჰქონდეს საათს. ამერიკელმა დიზაინერმა დრეიფუსმა მაღვიძარა საათის ციფერბლატი ბიგ ბენის ციფერბლატს მიამსგავსა და კარგა ხანს იკვლევდა მის პრაქტიკულობას. დიზაინერი საათში ერთხელ იღვიძებდა მთელი ღამის განმავლობაში და ამოწმებდა, თუ როგორი გარჩევადობა ჰქონდა საათის ისრებსა და ციფერბლატს კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ სიტუაციაში. ამ გაუთავებელი ექსპერიმენტის გამო დიზაინერს კინაღამ ცოლი გაექცა.
16. სათამაშო ავტომობილების კოლექციონერთათვის დაზიანებული საბურავები ისეთივე პრობლემაა, როგორიც მძღოლისთვის დაშვებული საბურავი. ძველ სათამაშო ავტომობილთა უმრავლესობა თუჯისგან არის დამზადებული და საკუთარი სიმძიმის გამო დროთა განმავლობაში რეზინის საბურავები უზიანდება.

Cooper S „სიცოცხლის მასკარადისთვის“ გაიყიდება

უმსხვილეს ევროპულ საქველმოქმედო აქციაზე — „სიცოცხლის მასკარადი“, რომელიც შიდსთან საბრძოლველად აგროვებს თანხებს, კომპანია „მინიმ“ ჰეჩბეკის Cooper S უნიკალური არასაგზაო ვერსია წარმოადგინა. ავტომობილი კანადელმა დიზაინერებმა — დინ და დენ კეიტენებმა შეიმუშავეს. ისინი ცნობილები არიან ასევე როგორც DSQUARED2. მანქანა აუქციონზე იქნება გატანილი, ხოლო მისი გაყიდვით მიღებულ თანხას შიდსთან ბრძოლის ფონდში შეიტანენ. ავტომობილი წითლადაა შეღებილი, ხოლო ძარას გვერდებზე დუეტის — DSQUAREED2 სავაჭრო ნიშნის ემბლემაა გამოსახული. გარდა ამისა, ახალ მანქანას გაზრდილი საგზაო ხედვა, დამცავი ბადის მქონე უკანა ტონირებული მინები, უკანა კარზე მიმაგრებული სათადარიგო ბორბალი, დამატებითი შუქტექნიკის მქონე, სახურავიანი საბარგული და არასაგზაო ბორბლები აქვს. სალონში კომპასი და ალუმინის ფეხსაგები, ასევე მინის სახურავის დამცავი ბადეა. კომპანია „მინი“ „სიცოცხლის მასკარადს“ 2001 წლიდან ასპონსორებს. ავტომწარმოებელს ყოველწლიურად გამოაქვს საქველმოქმედო აუქციონზე მანქანები, რომლებიც ცნობილი კომპანიებისა და დიზაინერების მიერაა დამზადებული. მათ რიგში იყვნენ: „ვერსაჩე“, „დიზელი“, „მისონი“ და „ფერე“. ■

Joss Developments-ის პირველი მოდელი

ავსტრალიურმა კომპანიამ — Joss Developments განაცხადა, რომ თავისი პირველი მოდელის, კარბონის სუპერავტოს შექმნაზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებულია. ამ საქმეს კომპანიამ 2004 წელს მოჰკიდა ხელი. მელბურნის მოტორშოუზე, რომელიც 1-ელ ივლისს გაიხსნება, ავტომწარმოებელი სიახლის სატესტო პროტოტიპს და აეროდინამიკურ მილში გამოსაცდელად გამზადებული სერიული მანქანის მაკეტს წარმოადგენს. ავტომობილის პირველი კონცეპტუალური ნიმუშები კომპანიამ ამ გამოფენაზე 7 წლის წინ წარმოადგინა. უკანა აძვრის მქონე სუპერავტოს კარბონის მონოკოკი, ნახშირპლასტიკისგან დამზადებული ძარას პანელები, ასევე 500 ცხძ-იანი, მთლიანად ალუმინისგან დამზადებული 8-ცილინდრიანი ძრავა აქვს. მოტორი სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფით მუშაობს; ასეთი აგრეგატით ავსტრალიურ სუპერავტოს 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 3 წამზე ნაკლებ დროში შეუძლია, ხოლო მეოთხედ მილს (402 მ) დაახლოებით 11 წამში გადის. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე კი 340 კმ/სთ-ია. გარდა ამისა, Joss-ის პირველი მოდელი, რომლის მასაც 940 კგ-ს არ აჭარბებს, Toyo-ს საბურავებიანი, 18-დუიმიანი ბორბლების დისკებით აღიჭურვება. ავტომობილის ფასი სავარაუდოდ, 550 ათასი ავსტრალიური დოლარი (დაახლოებით 412,5 ათასი ევრო) იქნება. კომპანიამ ავსტრალიაში პირველი სერიული სუპერავტოს გამოშვება 2004 წელს გადაწყვიტა, თუმცა მალევე მანქანის შექმნაზე მუშაობა შეაჩერეს. შარშან მწარმოებელმა ავტოზე მუშაობა განაახლა, სიჩქარის გადაცემათა კოლოფების მომწოდებელი მოძებნა და მოტორების დაყენების საკითხზე ევროპელ სპეციალისტებთან შეთანხმებასაც მიაღწია. „რამდენიმე წლის წინ მელბურნის გამოფენაზე პუბლიკამ ჩვენი პირველი პროტოტიპი ჩინებულად მიიღო, მაგრამ საავტომობილო ბიზნესის აწყობა იოლი ამოცანა როდია. ამიტომ, მომდევნო რამდენიმე წელიწადი Joss Developments-მა ინვესტიციების ძებნაში, კომპონენტების მომწოდებლებთან მუშაობასა და საჭირო ადამიანების მოზიდვაში დაკარგა“, — განაცხადა ფირმის ტექნიკურმა დირექტორმა, მეტ ტომასმა. ■

პოლონური სუპერავტო Arriera Automotive-სგან

პოლონური კომპანია უახლოეს პერიოდში საკუთარი სუპერავტოს

წარმოდგენას გეგმავს. მწარმოებელმა უკვე გაავრცელა ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია და ფოტოები. შასის კონსტრუქციაში ალუმინი და კარბონია გამოყენებული. მანქანა 6,2-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, 647 ცხძ-იანი ძრავათი იქნება აღჭურვილი. გარდა ამისა, პოლონურ სუპერავტოს ექნება კარბონ-კერამიკული სამუხრუჭე მექანიზმები და წინა ღერძზე 19-დუიმიანი ბორბლების დისკები, 255/30, ხოლო უკანაზე — 20-დუიმიანი ბორბლები, 335/25 ზომის საბურავებით. ავტომობილი აღიჭურვება თბოვიზორით, რომლის საშუალებითაც მძღოლს მანქანის წინ რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე შეეძლება სივრცის დანახვა. თუ მოწყობილობა გარემოსთან ტემპერატურის სხვაობას აღმოაჩენს — მაგალითად, ადამიანის ან ცხოველის გამოჩენის შემთხვევაში, — ელექტროაპარატურა ამის შესახებ მძღოლს მონიტორზე შესაბამისი სურათის გამოსახვით გააფრთხილებს. სიახლის სალონში ტყავის, ალუმინისა და კარბონის დეტალებია გამოყენებული, ხოლო კლიენტის სურვილისამებრ, ინტერიერი შეიძლება, ისეთივე ტყავით გაიწყოს, რომელიც Maybach-ის ლიმუზინებშია გამოყენებული. მანქანა კუპესა და როდსტერის ძარაზე იქნება ხელმისაწვდომი. მისი ფასი ამ ეტაპზე უცნობია. ■

ფეტელი „რედ ბულის“ სახე გახდა

„ფორმულა 1“-ის მოქმედი ჩემპიონი, სებასტიან ფეტელი, რომელიც „რედ ბულის“ ღირსებას იცავს, „ინფინიტის“ ოფიციალური სახე გახდა. პრესრელიზის თანახმად, „შეჯიბრებებისას და „ინფინიტის“ ღონისძიებებზე მრბოლელი აქტიურ როლს ითამაშებს ბრენდისა და მისი მოდელების იმიჯის გამყარებაში“. კომპანია „ინფინიტიმ“ და „რედ ბულმა“ თანამშრომლობის შესახებ 2011 წლის მარტში განაცხადეს. იაპონური მარკა საჯინიბოს სატიტულო სპონსორი და ტექნიკური პარტნიორი გახდა, ხოლო მისი ლოგოტიპები ბოლიდების უკანა ანტიფრთებზე, ცხვირებსა და „რედ ბულის“ მრბოლელთა კომბინეზონებზე გამოჩნდა. გარდა ამისა, არაოფიციალური ინფორმაციით, ამჟამად პარტნიორები საერთო მოხმარების გზებისთვის გათვალისწინებული ზემძლავრი ავტომობილის შექმნას აპირებენ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მანქანა 1,5-2 წელიწადში გაიყიდება. 2010 წელს გერმანელი მრბოლელი სებასტიან ფეტელი „ფორმულა 1“-ის ისტორიაში მსოფლიოს ყველაზე ახალი ჩემპიონი გახდა, როდესაც ტიტულს 23 წლისა და 134 დღის ასაკში დაეუფლა. მიმდინარე სეზონში 5 ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში 118 ქულით, ფეტელი პირველ ადგილზეა. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდეგილი თემურ ივანიძე

ამიტომ კოლექციონერები პერიოდულად ატრიალებენ საბურავებს, რათა მათ მხოლოდ ერთ წერტილზე არ ჰქონდეთ დაწოლა და საკოლექციო ნივთმა ფასი არ დაკარგოს.

17. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში — ანატოლი კარპოვი ბავშვობაში მარკებს აგროვებდა. ერთხელ მასწავლებელს მალაიზიის 14 შტატი ჩამოუთვალა ზეპირად. მალაიზიის შტატები რამ დაგაზეპირებინაო, გაუკვირდა მასწავლებელს. სახლში მალაიზიური მარკები და კარგი მხედველობითი მეხსიერება მაქვსო, უპასუხა მომავალმა გროსმაისტერმა.

18. XVIII საუკუნეში, როდესაც მედიცინა აღმავლობის გზას დაადგა, შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი სამედიცინო განათლების ცენტრად იქცა. ამ სფეროში წინსვლამ შოტლანდიელებს ერთგვარი პრობლემები შეუქმნა: ცოდნის გასაღრმავებლად ექიმებს გაკვეთა-შესწავლისთვის დიდი რაოდენობით გვამები ესაჭიროებოდათ. ისინი ახალდამარხულ გვამში საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიდნენ. ამ მიზეზით ბევრმა შოტლანდიელმა გვამების მოტაცება-გაყიდვა შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ზრდასრული ადამიანის გვამი 16 გინეა ღირდა. ბავშვების გვამები სანტიმეტრობით იზომებოდა და ამის მიხედვით ისაზღვრებოდა ფასი. გამწარებულმა მოსახლეობამ სასაფლაოებზე ეგრეთ წოდებული „მიცვალებულთა სახლები“ ააგო, სადაც გვამებს ათავსებდნენ და მანამდე სდარაჯობდნენ, სანამ გვამი ხრწნას არ დაიწყებდა. ამის შემდეგ გვამი სამედიცინო გაკვეთა-შესწავლისთვის გამოუსადეგარი ხდებოდა და მას მარხავდნენ.

19. ინგლისის მეფე ედუარდ II საკუთარმა ცოლმა იზაბელმა ჩამოაგდო ტახტიდან და საპყრობილეში გამოამწყვდია. მამაკაცების მოყვარულ მონარქს 1327 წლის 27 სექტემბერს რკინის გავარვარებული მარგილი გაუყარეს ანუსში და ისე მოულეს ბოლო.

20. II მსოფლიო ომისდროინდელმა მფრინავმა, ლეიტენანტმა ჯეს დე ბლანკმა გვადალკანალის სიახლოვეს 5 იაპონური „ზერო“ ჩამოაგდო, მეექვსეს ვეღარ გაუმკლავდა და ცეცხლმოდებული თვითმფინავიდან პარაშუტით გადმოხტა. ამერიკელი მფრინავი ადგილობრივ ველურ ტომებს ჩაუვარდა ტყვედ, რომლებმაც იგი მეზობელ ტომს ერთ ტომარა ბრინჯის ფასად მიჰყიდეს. ომის დასასრულს სამშობლოში დაბრუნებული ბლანკი გაიძახოდა, ადამიანებს დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის, საკუთარი თავის ფასი. მე კი ზუსტად ვიცი, რაცა ვღირვარ — ერთი ტომარა ბრინჯიო.

„ავტორების წაკითხული ლექსები მომწონს“

ამჯერად „ერუდიტისთვის“ ჩასაწერად, მსახიობსა და ტელეწამყვანს იმედა არაბულს შევხვდი. ინტერვიუ მუსიკისა და დრამის თეატრში შედგა. „ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ბოლო დროს ცოტა გავზარმაცდი და კითხვას გადავეჩვიე. წლების წინ ფეხბურთის თამაშსაც ვასწრებდი, ქუჩაშიც ვიდექი და წიგნსაც ვკითხულობდი“, — მითხრა და დასძინა, რომ მწერლობაში ყველაზე მეტად, დეტექტივები და სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურა უყვარს.

„რა ხდება, ზოგადი უნარების გამოცდაზე ვარ?“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— იმედა, ინტელექტუალური თამაშები გიზიდავს?

— ძალიან მიყვარს. ისტორია, გეოგრაფია, ინგლისური — იმ საგნების ჩამონათვალია, რომლებსაც სკოლაში ყველაზე კარგად ვსწავლობდი. ვაღიარებ, ტექნიკურ საგნებში 3-იანს ხათრით მიწერდნენ.

— შენს შემოქმედებით საქმიანობაში რა სიახლეა?

— დათო დოიაშვილი ახალი სპექტაკლის დადგმას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით გარკვეული არაფერია, ასე რომ, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვი.

— „სირანო დე ბერჟერაკში“ სერიოზული და საკმაოდ რთული როლი განდო.

— მინდა, მას დიდი მადლობა ვუთხრა. გამიხარდა, რომ მენდო. თავიდან, როცა ეს წინადადება შემომთავაზა, პანიკაში ჩავვარდი, ვერ შევძლებ-მეთქი. არ მიყვარს, როცა არტისტები ამბობენ, — უფ, ამას რა უნდა?! მე ამას გავაკეთებო! ეგრე არ არის, კარგად გაკეთება ძალიან რთულია. ჩემი შიშის საფუძველი ის იყო, რომ არ მქონდა დიდი გამოცდილება. ახლახან 30 წლის გავხდი და „სირანო დე ბერჟერაკი“ მე-10 სპექტაკლია, რომელშიც ვითამაშე და მე-2 მთავარი როლი შევასრულე. ძალიან საინტერესო სამუშაო იყო.

— იღბლიანი ადამიანი ხარ?

— არ ვიცი. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, წლების მანძილზე არც ერთ თეატრში არ ვიყავი (არც ერთმა თეატრმა არ მიმიწვია), სამუშაო არ მქონდა. დღემდე გამოყოლილი მაქვს იმდროინდელი კომპლექსი: ვფიქრობდი, — უნიჭო ვარ? ალბათ ამ საქმისთვის არ ვვარგივარ-მეთქი? ადამიანმა ბევრი უნდა იშრომო, თორემ იღბალი, როგორც მოვა, ისე წავა.

— ძველ რომში დიდგვაროვნები თავიანთი ეზოების დასაცავად, შავ დოგებს იყენებდნენ. სიბნელეში მათი შემჩნევა ძნელი იყო. ამის გამო გაჩნდა ეს გამოთქმა, რომელმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია. რომელ გამოთქმაზეა ლაპარაკი?

— დოგებთან დაკავშირებით არის?

— ეს გამოთქმა სულ 3 სიტყვისგან შედგება, მათ შორის ერთ-ერთი — „ძაღლია“.

— მივხვდი (*იცინის*): „ეზოში ავი ძაღლია“.

— რუანდის დასავლეთ საზღვართან არის საოცარი ტბა — კივუ; მასთან ახლოს მდებარე ვულკანის ამოფრქვევისას ცხელი ლავა წყალში იღვრება. ამის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები ნავებში სხდებიან და ტბაზე დაცურავენ. რა უნდათ მათ იქ?

— ოქროს ეძებენ?

— არა.

— მსმენია, რომ ამოფრქვევის დროს, ლავის შემადგენლობაში ძვირფასი ლითონიც შედის. არა?

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვი. რუანდის მცხოვრებლები ტბაზე მოხარშული თევზის შესაგროვებლად დაცურავენ. რომელია მსოფლიოში ყველაზე წყალუხვი მდინარე?

— ამაზონი.

— „საკმარისია ერთი უბრალო გასეირნება ფსიქიატრიულ კლინიკაში, რათა დარწმუნდე, რომ ძალა არაფერს ნიშნავს“. რომელი გერმანელი ფილოსოფოსია ამ სიტყვების ავტორი?

— ნიცშე ხომ არა?

— გამოიცანი. რა ჰქვია სოსო ჯაჭვლიანის კინოგმირს ფილმში — „ნატვრის ხე“?

— გედია.

— ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი მოთხრობის გმირია გოგი თუშურაშვილი?

— „კუკარაჩასი“.

— ბარონი დენონი ფრანგი გრავიორი, მხატვარი, მწერალი და დიპლომატი იყო, იგი დაწინაურებული იყო ნაპოლეონ I-ის და ლუდოვიკო XVI-ის დროს. ალექსანდრე I მისგან სურათებს და სხვადასხვა ნივთს იძენდა. სად ინახავდა იგი ამ ნივთებს?

— ვერ გიპასუხებ.

— ერმიტაჟში. რა ერქვა ალუდა ქეთელაურის ცოლს?

— (*ფიქრობს*) ვაა! როგორ ვერ გავიხსენე?!

— ლელა. რა პოზაში აქვს ხელები ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდას?

— გადაჯვარედინებული.

— ბელორუსია, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი — ამ ქვეყნებიდან რომელი არ მიეკუთვნება აღმოსავლეთ ევროპას?

— ავსტრია.

— რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებ-

ული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?

— „ქეთო და კოტეში“ არ არის?

— **რა თქმა უნდა. ახლა დაასახელე ერთმანეთზე მიყოლებული 5 დღე ისე, რომ არ გამოიყენო სიტყვები „ორშაბათი“, „სამშაბათი“ და ა.შ.**

— ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი და კვირა.

— **მე გითხარი, კვირის დღეების სახელები არ გამოიყენო-მეთქი.**

— აბა, როგორ უნდა ვთქვა?

— **გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ და ზეგ. „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“ — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— (*ფიქრობს*).

— **გაზეთმა „დროებამ“ ამ სიტყვებს „მეთერთმეტე მცნება“ უწოდა.**

— რაფიელ ერისთავს არ ეკუთვნის?

— **დიახ. რომელი სიმღერა მიეძღვნა შალვა ახალციხელს?**

— არ ვიცი.

— **„შავლეგო“. თბილისში რომელ მოედანს ერქვა ადრე ერევნის მოედანი?**

— თავისუფლების მოედანს; მერე ლენინის მოედანი ერქვა.

— **გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, პომპეუსი, მარკუს კრასუსი — ამ რომაელი სარდლებიდან, რომელმა დალაშქრა საქართველო?**

— პომპეუსმა: საქართველოში მისი სახელობის ხიდიც იყო.

— **თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია ვახტანგ გორგასლის ვაჟის — დაჩის ბრძანებით აშენდა. დაასახელე ეს ეკლესია.**

— ანჩისხატის ტაძარი.

— **რა ერქვა სევილიელ დალაქს?**

— ველარ ვიხსენებ; პირველი ასო მითხარი, გთხოვ.

— **ფ.**

— ფიგარო.

— **რა ერქვა წვეტიან ჯოხს, რომლის დახმარებითაც ძველ რომში საქონელს მიერეკებოდნენ?**

— ეს საიდან უნდა ვიცოდე?

— **ამ სიტყვას დღეს სხვა მნიშვნელობით ვიყენებთ.**

— ვერ გიპასუხებ.

— **სტიმული ერქვა.**

— ა-ა, რა საინტერესოა!

— **„ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის“, „ყინწვისის ანგელოზივით მჭმუნვარე“ — რომელ პერსონაჟს ახასიათებს ასე კონსტანტინე გამსახურდია?**

— შორენა კოლონკელიძეს.

— **რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს?**

— სულიერსაც და უსულოსაც?

— **დიახ.**

— (*ფიქრობს*) მგონი, მივხვდი: სახელი, არა?

— **რა თქმა უნდა. ჯაბას დეიდა ოთარის შვილია; ვინ არიან ერთმანეთისთვის ჯაბა და ოთარი?**

— რა გამოდის, ზოგადი უნარების გამოცდაზე ვარ?

— **ვერ მიპასუხებ?**

— (*პაუზის შემდეგ*) ბაბუა-შვილიშვილი არიან.

— **რა არის მანაგუა?**

— ქვეყანა.

— **მისი დედაქალაქი რომელია?**

— რომელი და... შემეშალა, მანაგუა არის ნიკარაგუის დედაქალაქი.

— **რას ნიშნავს სიტყვა „ბოზი“ მცირე აზიაში?**

— ლამაზს.

— **პოეზია გიყვარს?**

— მიყვარს, მაგრამ რომ გითხრა, ზეპირად ბევრი ლექსი ვიცი-მეთქი, მოგატყუებ. საჯაროდ ლექსებს არ ვკითხულობ. საერთოდ მიმაჩნია, რომ ლექსს კარგად ბევრი ვერ კითხულობს.

— **თავად ვისი წაკითხული მოგწონს?**

— სიმართლე ვთქვა?.. ყველაზე მეტად, ავტორების წაკითხული ლექსები მომწონს. გოგლა ლეონიძე „ყივჩაღის პაემანს“ რომ კითხულობდა, ისე არავისი წაკითხული არ მომწონებია.

— **„წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,/ მწყურვალს დაგტოვებსო, ჩაჰყვები ვინცო,/ ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო — / შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— თუ შეგიძლია, გააგრძელე.

— **„...მე იმ ასაკში არა ვარ ახლა და/ არც იმ ჭკუაზე — ცოლ-შვილს გავეყარო,/ მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და/ პატარა ციცოვ, უნდა დამეხმარო“...**

— მურმან ლებანიძე.

— **გზაზე ერთ მწკრივში რამდენიმე ბავშვი მიდის; პირველმა თქვა, რომ მას უკან 2 ბავშვი მიჰყვება, ბოლომ თქვა, ჩემ წინ 2 ბავშვი მიდისო. სულ რამდენი ბავშვი მიდის გზაზე?**

— ვაიმე! მაგას რა დაიანგარიშებს?!

— **დიდი ანგარიში არ უნდა, კარგად დაფიქრდი და...**

— (*მაწყვეტინებს*) აბა, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*) 3 ბავშვი მიდის, ასეა?

— **რა გინდა, ანგარიში გცოდნია.**

— აბა, შემდეგი კითხვა როგორია?

— **ის 1899 წელს ნეაპოლში დაიბადა. წამოიზარდა თუ არა, ბედის საძიებლად ნიუ-იორკში გაემგზავრა. მალე კრიმინალურმა სამყარომ ჩაითრია. თავიდან დამხმარე ბიჭად იყო ერთ-ერთ ადგილობრივ ბანდაში, მაგრამ მისი ნიჭი მალე შეამჩნიეს და ფუნქცია შეუცვალეს. 1929 წელს იარაღის ტარებისთვის დააკავეს. ციხეში შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა. მეორედ გადასახადების გადაუხდელობისთვის წაუყენეს ბრალი. მან 12 ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვა შეძლო, მაგრამ მსაჯულები პროცესის წინადღეს შეცვალეს და 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სრულ იზოლაციაში, ჩვეულებრივი ტუსაღის პირობებში იმყოფებოდა. დაასახელე ვისზეა ლაპარაკი?**

— ალ კაპონეზე.

— **ჰიმალაელ დურგლებში არსებობს ახალგაზრდა ოსტატთა გამოცდის ასეთი წესი — მოსწავლეს ხის ნაჭერს ესვრიან; რა უნდა ქნას მან დაჭერამდე?**

— არ ვიცი.

— **ხის ჯიში უნდა გამოიცნოს. შაჰ აბას I-მა 1614-1617 წლებში საქართველოდან ტყვედ 10 ათასი ქართველი წაიყვანა. სად მოხდა მათი ჩასახლება?**

— ფერეიდანში.

— **ურალის რაიონში არის ტიპური პროექტით აშენებული თეატრი. იგი თავისი მდებარეობით უნიკალურია და მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. თეატრთან დგას მემორიალური სვეტი, რომელიც აღნიშნავს განსხვავებას სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?**

— არ ვიცი.

— **სცენა ევროპაშია, ხოლო დარბაზი — აზიაში. დაბოლოს, დაასრულე ცნობილი პოეტისა და ფილოსოფოსის, რაბინდრანათ თაგორის გამონათქვამი: „ადამიანის ცხოვრების სიძნელეთა დაძლევის საფუძველი არის კარგი...“**

— ცხოვრება.

— **„...განათლება“.** ■

ფერთა პალიტრა – სახლის ხასიათი

ფერები ადამიანის განწყობილებაზე გავლენას რომ ახდენს, ყველასთვის ცნობილია. ამ ეფექტს დიზაინერები ინტერიერის გაფორმების დროს იყენებენ. ფერების მეშვეობით შეგიძლიათ შეცვალოთ ოთახის სიმეტრია, თქვენ წარმოიდგინეთ, ტემპერატურაც — გახადოთ ის თბილი ან ცივი ტონალობის; ასევე — ვიზუალურად გაუზარდოთ მოცულობა ან შეიქმნათ პატარა მყუდრო სივრცე და ა.შ.

ფერი და მისი აღქმა

რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენნაირივეა გემოვნებაც და ეს გემოვნება დროთა განმავლობაში იცვლება. ახალგაზრდებს ხალისიანი, მკვეთრი ფერები მოსწონთ, ასაკოვნები კი — თბილ პასტელის ტონებს ანიჭებენ უპირატესობას.

მყვირალა ფერები უყვართ ენერგიულ, კონტაქტურ ადამიანებს. მუქი, დამამშვიდებელი ფერები უფრო სიმშვიდის მსურველი, ან მარტოხელა ადამიანების არჩევანია. ასევე ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალინტელექტუალურია პიროვნება, მით უფრო რთული ტონალობები მოსწონს.

ფერის შერჩევა ინტერიერისთვის ძალიან რთულია და ამიტომ კარგი იქნება, მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს თუ არ დაეყრდნობით. სასურველია, გაითვალისწინოთ ოჯახის წევრების გემოვნებაც, მათი ასაკი და ისე გააკეთოთ არჩევანი. მაგალითად, წითელი ფერი, უმეტესწილად ცუდად მოქმედებს ხანდაზმულებზე; არცთუ იშვიათად, იწვევს თავის ტკივილს, უძილობასა და აგრესიას.

ვირჩევთ პალიტრას...

მყუდრო ინტერიერის შესაქმნელად, ავეჯი კარგად უნდა ეხამებოდეს კედლების ფერს. ამიტომ აუცილებელია, წინასწარ გქონდეთ შერჩეული, თუ როგორი იქნება ავეჯი, კედლის სურათები. კაბინეტისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ კონტრასტული ფერები: თეთრი კედლები, შავი ავეჯი; დაკიდოთ მყვირალა პოსტერები კედელზე. ამასთანავე, მცირედი წითელი ტონის შეტანა ინტერიერში (აპლიკაციები, სკამი ან პატარა დივანი) აცოცხლებს ოთახს და სამუშაო განწყობილებას ქმნის. სამუშაო განწყობილების შესაქმნელად ასევე კარგია ლურჯი ფერი და მისი ვარიაციები.

საძინებლისთვის აირჩიეთ დამამშვიდებელი პასტელის ფერები (ღია ყვითელი შეხამებული ყავისფერთან; ანდა ცისფერი ან მწვანე შეხამებული თეთრთან ან ღია ყვითელთან).

მყვირალა, კონტრასტული ფერები ბავშვის ფსიქიკაზე არცთუ დადებითად მოქმედებს — ის შეიძლება ძილის წინ გაჭირვეულდეს და შესაბამისად დაძინებაც გაუძნელდეს. ამიტომ მისი ოთახი უმჯობესია, გააფორმოთ მშვიდი პასტელის ფერებით. ღია ლიმონისფერს დამამშვიდებელი, ამავდროულად, გამამხნევებელი ეფექტიც აქვს, ამასთან ერთად, გაზაფხულის ასოციაციას იწვევს.

მისაღებში კი შეგიძლიათ ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცეთ: მაგალითად, ერთი კედელი შეღებოთ მკვეთრ ფრად, დანარჩენები — მშვიდ ფერებში. სხვადასხვა ფერის კედელი არ ტვირთავს ოთახს, პირიქით — საკმაოდ ორიგინალურად და ჰარმონიულადაც გამოიყურება.

ფერები და არქიტექტურა

პატარა გეჩვენებათ თქვენი ბინა? — გადაღებეთ ღია ფერებში და ვიზუალურად ოთახის სივრცე გაიზრდება. ბნელი ოთახის კედლები ყვითლად ან ოქროსფრად შეღებეთ: ოთახი განათდება და უფრო „თბილი“ გახდება.

ცისფერი კი „გააგრილებს“ თქვენს ოთახს — მით უფრო, თუ ფანჯრები აღმოსავლეთ მხარეს გადის, საიდანაც მზე მთელი დღის მანძილზე ანათებს.

რაც შეეხება თეთრ კედლებს, ისინი ქაღალდის სუფთა ფურცელივითაა, რომლის ფონზეც შესაფერისი ავეჯისა და აქსესუარების დახმარებით შეგიძლიათ მოიწყოთ სხვადასხვა — თქვენთვის სასურველი სტილის ინტერიერი. ასე რომ, მიეცით ფანტაზიას გასაქანი! ■

საგვაფხულო ნიღბები

• მწიფე ბანანი დასრისეთ. წაისვით მთელ სახეზე, ყელზე. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

• ხაჭო, იოგურტი, არაჟანი, მაწონი — სურვილისამებრ აირჩიეთ რომელიმე მათგანი, წაისვით სახესა და ყელზე, გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ.

• აიღეთ ყურძენი, კივი და პომიდორი, გახეხეთ, შეურიეთ ერთმანეთს და ნიღაბი სახეზე დაიდეთ.

• თეთრი პურის ნატეხი დაასველეთ რძეში და სახეზე წაისვით.

• თბილი კარტოფილის პიურე რძესთან ერთად, არაჩვეულებრივად ეფექტიანი ნიღაბია.

• 1 ს/კ შვრიას დაასხით ადუღებული წყალი. ფაფა დაიდეთ სახესა და ყელზე. ■

მამაკაცი და ტელეფონის ნომერი

თუკი ახალგაცნობილმა მამაკაცმა ტელეფონის ნომერი გთხოვათ, უბრალოდ დააკვირდით მის ქცევას და იოლად ამოიცნობთ, როგორი ხასიათი აქვს თქვენს თაყვანისმცემელს.

კომუნიკაბელური

ამ ტიპის მამაკაცი სასწრაფოდ იწერს ნომერს — ქაღალდზე, გაზეთზე, ასანთის კოლოფზე — ერთი სიტყვით, ყველანაირ ნივთზე, რაც კი ხელში მოხვდება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ წინაშეა ცვალებადი ხასიათის ადამიანი. მისთვის უცხოა პედანტურობა, მოწესრიგებულობა, პირიქით — ზედმიწევნით თავისუფლებისმოყვარე, კონტაქტურია, მაგრამ ამავე დროს, სრულებით არ უფრთხილდება ურთიერთობებს. ის უმეტეს შემთხვევაში, კარგავს ასე სპონტანურად ჩაწერილ ტელეფონის ნომერს და სრულებითაც არ ნანობს. მართალია, მეგობრული, მხიარული ადამიანია, მის გვერდით არ მოიწყენთ, მაგრამ სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის არ გამოგადგებათ.

ჯლასიჯური

ამ კატეგორიის მამაკაცი დიდ ინტერესს იწვევს სუსტი სქესის წარმომადგენლებში. ის იღებს ბლოკნოტს და გულდასმით იწერს თქვენი ტელეფონის ნომერს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მამაკაცს ცხოვრება წინასწარ აქვს დაგეგმილი და გარკვეულ განრიგს იცავს; მისთვის ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ამ კატეგორიის მამაკაცი — პუნქტუალური და საიმედო, თუმცა ხშირად მოსაბეზრებელი და უინტერესოა. რაც შეეხება ხანგრძლივ ურთიერთობებს, ის არაფერს გადაწყვეტს მანამ, ვიდრე საფუძვლიანად არ გაგიცნობთ და თქვენი ხასიათის თავისებურებებს სათანადოდ არ შეისწავლის.

ექსტრავაგანტური

ამ ტიპის მამაკაცი მართლაც რომ ექსტრავაგანტურობით გამოირჩევა. მას შეუძლია სთხოვოს ნებისმიერ გამვლელს საწერ-კალამი და ტელეფონის ნომერი ხელისგულზე წაიწეროს. ის ადვილად ინტერესდება საპირისპირო სქესით და მოვლენების სწრაფად განვითარების მომხრეა. ურთიერთობებს ამყარებს შემდეგი პრინციპით: „შეუძლებელი არაფერია და თუკი მაინც არსებობს ასეთი რამ, არა — ჩემთვის“. ამ ტიპის მამაკაცს, როგორც წესი, გატაცება მალე გაუვლის ხოლმე.

გულმოდგინე

ის რამდენჯერმე, თანაც საგულდაგულოდ ჩაიწერს თქვენს ნომერს: გაზეთზე, ბლოკნოტში, საბუთებზეც კი. თუმცა ეს მისი გულმოდგინება ნუ მოგატყუებთ: შეიძლება ითქვას, ეს არის ყველაზე დადებითი თვისება ამ ტიპის მამაკაცისა. ის ვერასდროს მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ის კი არა და, თავისი უმწეობით, უსიტყვო თანაგრძნობას იწვევს. ყოველივე ამის შემდეგ თუ კიდევ შეგრჩათ მასთან ურთიერთობის სურვილი, დაუყოვნებლივ გამოიჩინეთ ინიციატივა.

პერსონა-ინდივიდი

საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებზე გამაოგნებელი შთაბეჭდილების მოხდენა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის მამაკაცის იდეფიქსია. ის დემონსტრაციულად იღებს კალამს და ბლოკნოტს და თითქმის საზეიმო ვითარებაში იწერს „საცნობო“ ნომერს. მას ყველასა და ყველაფერზე მეტად ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს; ყოველთვის საუკეთესოდ გამოიყურება. ეგოისტური ნატურაა და ახლობლების განცდები ნაკლებად აინტერესებს. მანდილოსნებთან ურთიერთობას უმეტესწილად, როგორც კოლექციონერი, ისე უყურებს.

თანამედროვე

მას თქვენი ნომერი მობილური ტელეფონის მეხსიერებაში შეაქვს. ის რაციონალურად თანამედროვე და ნაწილობრივ საიმედოა — ე.ი. თუ მან ჩაიწერა თქვენი ნომერი, აუცილებლად დაგიკავშირდებათ. ის კომფორტის მოყვარული, ამავე დროს საქმიანი და დროის მხრივ საკმაოდ შეზღუდულია. ამიტომ არსებობს საშიშროება, თქვენმა რომანმა ვირტუალური ხასიათი მიიღოს.

ორიგინალური

ამ ტიპის მამაკაცი არასოდეს ჩაიწერს თქვენს ნომერს. გეტყვით, რომ დაიმახსოვრებს... თუმცა ამით მას შთაბეჭდილების მოხდენაც სურს გარშემო მყოფებზე; თავისებური ხასიათი აქვს, რაც ურთიერთობაში დაბრკოლებებს უქმნის. მისთვის მთავარია გაცნობის პროცესი და არა შედეგი. თუმცა თუ გოგონა ნამდვილად მოეწონა, ის მისი ტელეფონის ნომერს მართლაც დაიმახსოვრებს. ურთიერთობის გაღრმავების შემთხვევაში ის ისეთივე ორიგინალური დარჩება. ასე რომ, მასთან არ მოიწყენთ.

■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ვენერიული დაავადებები

ვენერიული სნეულებები კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. ეს დაავადებები უმთავრესად სქესობრივი გზით გადადის, ამიტომ დღეისათვის ექიმები მათ სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებად იხსენიებენ.



ვენეროლოგია ადრე მოიცავდა მხოლოდ ოთხ დაავადებას: სიფილისს (ათაშანგს), გონორეას (ტრიპერს), საზარდულის ვენერიულ ლიმფოგრანულომასა და რბილ შანკრს. დღეისათვის ამ ჯგუფში 20-მდე დაავადება შედის, რომელთაგან მოსახლეობისთვის ზოგი კარგად არის ცნობილი, ზოგი — ნაკლებად (ტრიქომონიაზი, სასქესო ორგანოების სოკოვანი და ვირუსული დაავადებები), ზოგი კი თითქმის უცნობია (ქლამიდიოზი, მიკოპლაზმოზი, ბაქტერიული ვაგინიზმი და სხვ.). სქესობრივი გზით გადაეცემა ისეთი საშიში დაავადებაც, როგორიცაა შიდსი — შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი.

ამ დაავადებათა შესახებ რეალური სტატისტიკური მონაცემები არ გაგვაჩნია, რადგან მრავალი ავადმყოფი თავს არიდებს ექიმ-ვენეროლოგთან მკურნალობას: ვინ — ფსიქოლოგიური ბარიერის გამო (ექიმთან მისვლა ესირცხვილება), ვინ უსახსრობას იმიზეზებს. ზოგი კი თვითმკურნალობით ან ექიმბაშების დახმარებით ცდილობს განკურნებას. გახსოვდეთ — ექიმთან მისვლა არ არის სირცხვილი! სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები ისეთივე დაავადებებია, როგორიც ნებისმიერი სხვა. თუ მაინცდამაინც ვინაობის დამალვა გსურთ, ფუნქციონირებს კაბინეტები, სადაც ავადმყოფს ანონიმურად ჩაუტარებენ გამოკვლევებსა და მკურნალობის კურსს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდები სქესობრივ ცხოვრებას ისე იწყებენ, რომ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა გართულებები შეიძლება შეექმნათ. აუცილებელია, ახალგაზრდობა კარგად იცნობდეს სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათთან ბრძოლის ხერხებს.

ვენერიული დაავადებების გადაცემის გზა

ვენერიული დაავადებები ძირითადად გადაედება დაუცველი (პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კავშირის შედეგად. გარდა ამისა, სიფილისი და შიდსი შეიძლება გავრცელდეს ინფიცირებული სისხლით: ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარებისას, დონორის შეუმოწმებელი სისხლის გადასხმისას, არასტერილური სამედიცინო და საპარიკმახერო ინსტრუმენტების გამოყენებით. სიფილისი შეიძლება გავრცელდეს დაავადებულთან მჭიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობის შედეგად, მისი საგნების მოხმარებით. დაავადება დედისგან ნაყოფსა და ახალშობილსაც გადაედება.

ვენერიული დაავადების ყველაზე გავრცელებული ნიშნები

სქესობრივი გზებით გადამდებ დაავადებათა სიმპტომებია:

- სასქესო ორგანოების მიდამოში მტკივნეული ან უმტკივნეულო წყლულები;
- გამონაყარი (ლაქები, ბუშტუკები, კვანძები და სხვ.);
- საშარდე მილის მიდამოში ქავილის, წვისა და ტკივილის შეგრძნება, რომელიც ძლიერდება შარდვის დროს;
- სასქესო ორგანოებიდან უჩვეულო გამონადენი, ამ მიდამოებში ქავილისა და წვის შეგრძნება, მათი შეშუპება და ტკივილი;
- წვა, ტკივილი და გამონადენი სწორი ნაწლავიდან;
- ლიმფური კვანძების გადიდება;
- ტკივილი „პატარა მუცლის“ არეში;
- მენსტრუალური ციკლის დარღვევა.

ვენერიული დაავადებები ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ არც ერთი ვენერიული სნეულება თავისით არ განიკურნება. იმ შემთხვევაში, თუ სასქესო ორგანოების არეში აღმოგაჩნდებათ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ერთი მაინც ან თუ თქვენს პარტნიორს აქვს ვენერიული დაავადება, მიუხედავად იმისა, გაწუხებთ თუ არა რაიმე, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ თვითმკურნალობა, რადგან შეიძლება, ჩივილები გაგიქრეთ, ეს კი არ ნიშნავს დაავადების დამარცხებას; პირიქით, იგი გადაინაცვლებს სასქესო ორგანოების აღმავალ ნაწილში, გახდება ფარული (უსიმპტომო) და გამოიწვევს უმძიმეს გართულებებს. საწყის სტადიაზე ვენერიულ დაავადებათა მკურნალობა ადვილია, გართულებების შემთხვევაში კი — ძალიან რთული.

იმუნიტეტი ვენერიულ დაავადებათა მიმართ

ვენერიული დაავადებების მიმართ იმუნიტეტი არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მრავალჯერ შეიძლება დაავადდეს. უფრო მეტიც — ადამიანი შეიძლება, ერთდროულად რამდენიმე ინფექციით იყოს ავად.

ფართოდ გავრცელებული ვენერიული დაავადება – ქლამიდიოზი

იმ პაციენტთა 60%, ვინც არაგონორეულ ურეთრიტებს (საშარდე გზების ანთებას) უჩივის, ქლამიდიოზითაა ავად. უშვილო წყვილებთანაც, რომელთაც შარდსასქესო ანთებითი პათოლოგიები აქვთ, იმავე დაავადებას ვხვდებით. ქლამიდიოზი მეორეული უშვილობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანია.

ეს მეტისმეტად ვერაგი პათოლოგიაა, უმეტესად მიმდინარეობს ფარულად. ავადმყოფებმა, როგორც წესი, არ იციან თავიანთი დაავადების შესახებ, არ მკურნალობენ და ექიმთან მხოლოდ მაშინ მიდიან, როცა გართულებები უკვე ჩამოყალიბებულია. დაავადების ძირითადი კერაა ურეთრა (შარდსადენი) და საშვილოსნოს ყელი. ინკუბაციის პერიოდი (დრო გამომწვევის შეჭრიდან სიმპტომების გამოვლინებამდე) საშუალოდ, 10-14 დღეა, რის შემდეგაც ჩნდება ლორწოვანი ან ჩირქოვანი გამონადენი.

რა ჯვალი შეიძლება დაბოვოს ანუ რა გართულება შეიძლება გამოიწვიოს ვენერიულმა დაავადებებმა

ვენერიულ დაავადებას მრავალი სერიოზული გართულება შეიძლება მოჰყვეს. მხოლოდ რამდენიმე მათგანის დასახელება იქნება საკმარისი იმის გასაცნობიერებლად, თუ რაოდენ სახიფათო სენთან გვაქვს საქმე. ეს გართულებებია: უშვილობა, იმპოტენცია, კიბო და სხვა სიმსივნური დაავადებები, „თვითნებური“ აბორტი, საშვილოსნოსგარე ორსულობა, სეფსისი (სისხლის მოწამვლა).

ვენერიული დაავადების თავიდან აცილება შესაძლებელია!

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ვენერიული დაავადებები და შევაფერხოთ მათი გავრცელება, აუცილებელია:

კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება ყველა სახის სქესობრივი კავშირის დროს;

პარტნიორის გაფრთხილება რაიმე უჩვეულო ან საეჭვო ჩივილის შემთხვევაში;

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დადგენისას პარტნიორების ერთდროული მკურნალობა (წინააღმდეგ შემთხვევაში, მკურნალობას ეფექტი არ ექნება). მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საუკეთესო გზაა — მკურნალობის დასრულებამდე სქესობრივი ცხოვრებისგან თავის შეკავება. თუ ეს ვერ მოხერხდა, აუცილებელია, ყოველი კონტაქტის დროს პრეზერვატივის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ პარტნიორისგან განმეორებითი ინფიცირების რისკი.

არ დაიჯეროთ, თითქოს სქესობრივი კავშირის შემდეგ ლუდის დალევა ან ბანაობა დაგიცავთ ვენერიული დაავადებისგან ან შიდსისგან. მცდარია ის აზრიც, თითქოს ძვირად ღირებული მეძავი „სუფთაა“ და არ შეიძლება იყოს ავად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციით ან შიდსით.

არც ქმარშვილიანი ქალები და ქალიშვილები არიან დაზღვეულნი ვენერიული დაავადებისგან და ამიტომ მათთან დაუცველი სქესობრივი კავშირის დამყარება უსაფრთხო არ არის. ■

რიდინგფობია — კითხვისადმი შიში (წიგნის შიში)

ფობია — აკვიატებული მდგომარეობაა. მედიცინაში ფობიის მრავალ სახეს განასხვავებენ. ზოგი მათგანის — მაგალითად, კლაუსტროფობიის (დახურული სივრცის შიში) შესახებ უთუოდ გსმენიათ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თურმე კითხვისადმი (წიგნის შიში) აკვიატებული შიშიც არსებობს და მას რიდინგფობია ეწოდება.

რიდინგფობიას ჯექსონის სინდრომსაც უწოდებენ, რადგან მეცნიერმა ჯექსონმა წიგნში „არააღმქმელი მკითხველი“ დაწვრილებით აღწერა ეს ფენომენი. ავტორის აზრით, ეს მდგომარეობა თავის ტვინის ქერქში ერთგვარი თანდაყოლილი ლაქის, დაცობილი არხების ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მკვდარი ზონის არსებობას უკავშირდება, თუმცა ძნელი სათქმელია, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე კონკრეტულად რა სახის პროცესები იწვევს მას.

რიდინგფობია საკმაოდ რთული და ამავე დროს, საინტერესო ფენომენია. რიდინგფობიით შეპყრობილი მოსწავლეები ხშირად კარგი მეხსიერებით გამოირჩევიან, არ უჭირთ მათემატიკისა და სხვა ტექნიკური საგნების სწავლა, სამაგიეროდ, უძნელდებათ ნაბეჭდი ტექსტის აღქმა. ამის მიზეზად ხშირად, დანაწევრებულ, დამარცვლით კითხვას მიიჩნევენ. გაუმართავი კითხვის დროს შინაარსის აღქმა და ათვისება მართლაც ჭირს. მკითხველს მთელი გულისყური იქით აქვს მიმართული, რომ წინადადება სწრაფად და გამართულად ჩაიკითხოს, ისე, რომ შინაარსსა და აზრს არათუ ვერ იმახსოვრებს, არამედ ვერც კი სწვდება. ყოველივე ამის შედეგად, მოსწავლეს წიგნისა და საზოგადოდ, ნაბეჭდი ტექსტის მიმართ ერთგვარი უსიამოვნო განცდა, გულგრილობა და შიშიც კი ეუფლება. აქედან გამომდინარე, ის საერთოდ უარს ამბობს კითხვაზე.

რიდინგფობია მარტო ბავშვებსა და მოზარდებს როდი ახასიათებთ. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც მოზრდილებიც, რომელთაც თითქოს არ უჭირთ კითხვა, ვერ იმახსოვრებენ წაკითხულს, ბოლოს არ ახსოვთ პირველი თავისა თუ აბზაცის შინაარსი, ვერ გამოაქვთ აზრი. ასეთი ხალხი მოზრდილი ტექსტის, წიგნისა თუ სტატიის წაკითხვისას ისე იტანჯება, კითხვას გაურბის და, ბოლოს და ბოლოს, არასრულფასოვნების კომპლექსი უყალიბდება.

თუმცა რიდინგფობია განუკურნებელი როდია. ის, როგორც ყველა სხვა ფობია, პირობით-რეფლექსურია. თუ შვილს რიდინგფობიის ნიშნები აღმოუჩინეთ, ბევრი წაკითხეთ ხმამაღლა, ყოველი აბზაცის შემდეგ მოაყოლეთ წაკითხულის შინაარსი, უკეთესია — ორჯერ-სამჯერ. თავად ჩაუტარეთ საკონტროლო ტესტებიც. შეგიძლიათ, კითხვისას მისთვის კარგად ცნობილ რაიმე ფაქტთან დაკავშირებით შეკითხვები დაუსვათ, მერე გააგრძელებინეთ და გზადაგზა შეამოწმეთ, როგორ აღიქვა წაკითხული. მთავარია, თავიდანვე დააძლევინოთ ფობია და არასრულფასოვნების კომპლექსი და ყურადღების მოკრებას, გულისყურით კითხვასა და შინაარსზე ყურადღების გამახვილებას თანდათან თავადაც მიეჩვევა. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

* * *

მომაგონდება ყვირილას პირას
მალალი ბზისა ნათალი ტოტი...
პაწაწკინტელა ჯარის საყდარზე
უუძველესი ვარსკვლავი ჯრთოდა...
საყდარში... იდგა ცივი სიბნელე
და უამურთა ლანდთა გნიასი...
აჰა, დიდება გაუქმებული
და ჩუმი ჯვნესა მეღამიასი.

ანა ჯალაღანიძე

სახსოვარი

გალაკტიონ ტაბიძე

◆ „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე — რაა მამული?!“

◆ „ღამე ისე სდუმს, როგორც გატენილი თოფი“.

◆ „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...“

◆ „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს, ჩვენ პოეტები საქართველოსი!“

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-21, 2011

ლაბი — 1. მოხარშული საქმლის (ლობიოს, კორკოტის) სქელი წვენი; 2. თხელი ფენა (ნაღებივით), რომელსაც მოიგდებს თავზე მოხარშული ლობიო, ფაფა და მისთ.

ლაბა — საქმელი — გაცივებით შესქელებული ნახარში ხორცისა (თევზისა), რომელშიც არის ხორცის (თევზის) ნაჭრები.

ლაბა — მთის მოცხარი.

ლაბა — 1. რქებდაგრეხილი ხარი — ბელეშა; 2. საყევრის უღელი, დახრილბოლოებიანი.

ლაბიანი — კარგად მოხარშული, სქელი (ლობიო).

ლაბიერი — ჭერის კოჭებს ზევით აყვანილი კედელი.

ლაბლაბო — პარკოსანი მცენარე.

ლაგაზი — ნოტიო თიხნარი ნიადაგი.

ლაგვანი — დიდი ქვევრი.

ლაგვინი — პირფართო დოქი.

ლავგარდანი — 1. შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლებული არშია — კარნიზი; 2. კლდის თავზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი.

ლავრა ბერძ. — ზოგიერთი დიდი მამათა მონასტრის სახელწოდება — მთავარი მონასტერი.

ლაზარეთი ფრ. — პატარა სამხედრო საავადმყოფო.

ლათაია (ძვ.) — 1. არაკი, იგავი, ანეკდოტი; 2. მიკიბულ-მოკიბული, მიდებ-მოდებული, მოჩმახული ამბები (ლათაიები).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მორიგანი

ეჩხდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-20, 2011

მარი ჯაფარიძე

ზუგდიდში პირველად ვიყავი. „მარშრუტკიდან" ჩამოსულმა იქაურობა მოვათვალიერე. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე — პატარა, კოხტა და მყუდრო ქალაქი აღმოჩნდა. როგორც საშამ მითხრა, ბოლო გაჩერებაზე უნდა ჩამოვსულიყავი და დავლოდებოდი. კარგა ხანს მომიწია დგომამ. მომშივდა კიდეც, მაგრამ ფეხს ვერ მოვიცვლიდი. დავიღალე ფეხზე დგომით და ის იყო, ბორდიურზე ჩამოჯდომას ვაპირებდი, რომ მაღალი, ხმელ-ხმელი მამაკაცი მომიახლოვდა.

— მარგო ხართ? — მკითხა და ჩაიცინა, მაგრამ იმხელა ულვაშები ჰქონდა, ვერ მივხვდი, ეს ირონია იყო თუ ჩემი ამოცნობით გამოწვეული სიხარული.

— დიახ.

— წამო, — თავი გაურკვეველი მიმართულებით გადააქნია. უფრო სწორად, საითაც თავი გააქნია, იმის საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ჩემს მომცრო ზომის ზურგჩანთას ხელი წამოვავლე და უკან მივყევი. ფეხით ძალიან დიდხანს ვიარეთ. ქალაქს გავცდით და ტყეში შევედით. სწორ გზაზე ძლივს ვეწეოდი, იმხელა ნაბიჯებით მიდიოდა და ტყეში ხომ კიდევ უფრო ჩამოვრჩი. ვეღარც კი ვხედავდი, ფეხის ხმას მივყვებოდი. როცა ნაბიჯების ხმაც მიწყდა, დავუძახე, დამელოდე-მეთქი. როგორც იქნა, დავინახე — სიგარეტს ეწეოდა და მაღლა, ცაში რაღაცას შეჰყურებდა. კიდევ ნახევარი საათი ვიარეთ და ერთ ადგილზე გავჩერდით.

— აქ უნდა დაველოდოთ, — ახლაღა ამოიღო ხმა ჩემმა გამცილებელმა.

— კარგი, — ვუთხარი და მაშინვე მიწაზე დავეშვი, რადგან ისეთი დაღლილი ვიყავი, ძლივსღა ვსუნთქავდი.

— მიწაზე არ დაჯდე, გველმა არ გიკბინოს, — ცივი, უემოციო ხმით გამაფრთხილა.

ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ გველის ხსენებაზე არ შემშინებია. ხელი ჩავიქნიე და ხეს ზურგით მივეყრდენი.

აქაც კარგა ხანს ვიცადეთ. როგორც იქნა, საიდანღაც ხმაური შემომესმა. ვიღაც ლაპარაკ-ლაპარაკით მოდიოდა. ფეხებქვეშ ხმელი ტოტების ტკაცუნით მივხვდი, რომ ჩვენკენ მოდიოდა და თანდათან გვიახლოვდებოდა. ჩემი ვარაუდით, ორნი უნდა ყოფილიყვნენ. მართალი აღმოვჩნდი. ასე, 35-ოდე წლის, წვერგაუპარსავი, თმადაუვარცხნელი, 2 მამაკაცი გამოჩნდა. მხარზე ავტომატები ჰქონდათ გადაკიდებული.

ჩემს გამყოლს მიესალმნენ და ცოტა ხანს მეგრულად ლაპარაკი გაუბეს. არაფერი მესმოდა, რას ამბობდნენ, მაგრამ მივხვდი, რომ ახალმოსულები რაღაცით უკმაყოფილო იყვნენ და ჩემს გამყოლს რაღაცას ედავებოდნენ. გულში გავიფიქრე, რომ როგორც კი თბილისში დავბრუნდებოდი, მეგრულის სწავლას შევუდგებოდი — თურმე საჭირო ყოფილა.

როგორც იქნა, მორჩნენ ხელების ქნევას და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკს.

— ამაღამ ტყეში მოგვიწევს გათენება, — მომმართა ერთმა რუსულად.

ცას ავხედე. უკვე მოსაღამოვებული იყო და ალბათ მალე გზას ვეღარ განვაგრძობდით, მაგრამ ცოტა შემეშინდა მათთან ერთად ტყეში დარჩენის და სიბნელეში სიარული მერჩივნა — თითქოს ეს რამეს ცვლიდა.

— კი, მარა ღია ცის ქვეშ? — ვცადე, გამეპროტესტებინა, იქნებ დამეყოლიებინა, რომ ღამითაც გვევლო.

— რა თქმა უნდა... თქვენთვის ტოტებით გადავხურავთ პატარა ადგილს და იმის ქვეშ დაგაძინებთ. შესაძლოა იწვიმოს და არ გაცივდეთ.

— იქნებ მაინც გავაგრძელოთ გზა? მთვარიანი ღამე თუ იქნება, არ გაგვიჭირდება.

— კოცონი აქ დავანთოთ? — მეორეს მიუბრუნდა, თითქოს არც არაფერი მითქვამს.

— ხვალ დილით რომ წამოვსულიყავით, ჯობდა. ამაღამ სად გავათენებდი ღამეს, ამას ალბათ მნიშვნელობა არ ჰქონდა — ზუგდიდში ჯობდა დარჩენა, — მაინც არ მოვეშვი და ლაპარაკი გავაგრძელე.

— არა, რა, იმიტომ მძულს, ქალებს რომ გამოგზავნიან ხოლმე. დაიწყებენ წუწუნს — მანიკიური უფუჭდებათ, ღამით მიწაზე ვერ იძინებენ, სიბნელის ეშინიათ... — ისევ თავის მეგობარს მიუბრუნდა.

— მართალია, თუ ქალია და ასეთი რაღაცების ეშინია, მაშინ სახლში უნდა დაჯდეს და შვილებს მიხედოს...

თითქოს იქ არ ვიყავი, ისე ლაპარაკობდნენ. მაღიზიანებდა მათი მსჯელობა, მაგრამ თავს ვიმშვიდებდი. მათ ხელში უნდა ვყოფილიყავი მთელი ღამე და არ ღირდა ჩხუბი. ჩემი გამცილებელი წავიდა. 2 მამაკაცთან ერთად დავრჩი. ფიჩხის მოგროვება დაიწყეს, კოცონი რომ დაენთოთ.

— ისედაც ცხელა, ცეცხლი რად გინდათ? — გამიკვირდა.

— ახლა ცხელა, გამთენიისას რომ გაიყინები, მერე შეგვეხვეწები, გამათბეთო. თანაც, ცხოველებსა და მცურავებს დავაფრთხობთ. ტყეში არასოდეს გაგითევია ღამე? — ისე გაკვირვებით შემომხედა ერთმა, თითქოს პირველყოფილი თემური წყობილებიდან მოვდიოდი და უკვირდა, სხვაგან სად უნდა გამეთია ღამე, თუ არა — ტყეში?

ამასობაში გვარიანად დაღამდა კიდეც. ერთმა მათგანმა მიწაზე თავისი საწვიმარი ლაბადა დამიგო და წამოწექიო, შემომთავაზა. როგორც ჩანს, ჩემს მზერაში უნდობლობა შენიშნა:

— ნუ გეშინია, ხელს არავინ გახლებს, არ გაწყენინებთ, შეგიძლია, მშვიდად დაიძინო, ჩვენ კი

გიდარაჯებთ, კაციჭამიები და ქალის ხამები არ ვართ.

კოცონთან მივწექი და თავქვეშ ზურგჩანთა ამოვიდე. ასეთ სიტუაციაში პირველად ვიყავი და ცოტა რომანტიკულადაც კი მომეჩვენა. აღარ ვღელავდი. მივხვდი, ეს მამაკაცები მართლა არაფერს დამიშავებდნენ. ცოტა ხანში, დაღლილს მკვდარივით ჩამეძინა. არც მიგრძნია, რომ მიწაზე ვიწექი. შესაძლოა, სხვა დროს რბილ ლოგინსა და გახამებულ თეთრეულშიც კი არ დამძინებოდა ასე ღრმად.

ჩემმა თანმხლებლებმა მზის პირველი სხივების გამოჩენამდე გამაღვიძეს.

— ადექი ქალბატონო, უნდა წავიდეთ, თორემ ამაღამაც ტყეში მოგიწევს დაძინება, — მხარზე შემეხო ერთი.

ტანში მამტვრევდა. როგორც ჩანს, მაინც ვერ გამოვიძინე. საგზალი ჩემს გამყოლებს ჰქონდათ წამოღებული და შეძლებისდაგვარად, ვისაუზმეთ. მჭადი, ყველი, კიტრი, პომიდორი და ცივი ხაჭაპური ისე გემრიელად ვჭამე, ამაზე გემრიელი საჭმელი თუ არსებობდა, არც მეგონა.

მთელი დღე ვიარეთ. მხოლოდ ერთხელ, 15 წუთით შევისვენეთ, რაც გვქონდა დარჩენილი, ვჭამეთ და ისევ დავიძარით. საღამო ხანს დასახლებული პუნქტი გამოჩნდა.

— სად მოვედით? — გამიხარდა, ცივილიზაციის ნიშნები რომ დავინახე.

— გალში.

— კი, მარა ეგ ხომ აფხაზეთის ტერიტორიაა? საზღვარი უკვე გადმოვკვეთეთ? ვერც გავიგე... — ძალიან გაოცებული ვიყავი.

— საზღვრის გადმოკვეთას თუ გაიგებდი, კარგად გექნებოდა საქმე, — გაიცინეს მამაკაცებმა. — ჩვენ იმისთვის ვართ, რომ საზღვარს უნდა აგაცდინოთ.

მთელი საათი დაგვჭირდა ქალაქამდე მისასვლელად.

იმ ღამით ერთ-ერთ ოჯახში მიმიყვანეს ღამის გასათევად, მითხრეს, რომ დილით სხვები მომაკითხავდნენ და მათ უნდა გავყოლოდი, დამემშვიდობნენ და წავიდნენ.

— კი, მაგრამ ღამით მაინც ვერ ივლით და თქვენც დარჩენილიყავით, — გულუბრყვილოდ შევთავაზე.

— ღამით თქვენ გაგიფრთხილდით, ქალბატონო და დაგასვენეთ, თორემ ჩვენთვის ღამე უფრო მოსახერხებელია, — თბილად გამიღიმა.

თითქოს გული დამწყდა, რომ წავიდნენ. მასპინძლები კარგად მექცეოდნენ, თან მყვებოდნენ, გაქათქათებულ თეთრეულში ჩამაწვინეს და 2 დღე და ღამე ტყეში ნათრევს მკვდარივით ჩამეძინა.

დილით თვალები რომ გავახილე, მზე კარგა მაღლა იყო ამოწვერილი. მაშინვე წამოვხტი, ტანისამოსი გადავიცვი და ოთახიდან გავედი. მეგონა, დავაგვიანე-მეთქი.

2 უცნობი მამაკაცი მასპინძელთან ერთად სუფრას მისჯდომოდა და ჩაის სვამდა. მივხვდი, ესენი გამცილებლების „ახალი პარტია“ იყვნენ. მივესალმე და გავუღიმე, მაგრამ კუშტად მიყურებდნენ. შუბლი არ გაუხსნიათ, ისე დამიბრუნეს პასუხი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ძველი, საბჭოთა წყობილების დროინდელი „კოლხოზნიკით“, რომელსაც აღარც ფერი ეტყობოდა და აღარც მანქანას ჰგავდა, ჯერ ოჩამჩირისკენ, იქიდან კი სოხუმისკენ მივჩაქჩაქებდით.

სოხუმში არასოდეს ყოფილვარ, მაგრამ იქ ჩასული მივხვდი, რომ მისი სილამაზის მეასედიც კი არ იყო დარჩენილი. დანგრეულ ქალაქში აქა-იქ დადიოდა ავტომობილი. ნანგრევებისგანაც კი არ იყო გაწმენდილი იქაურობა. ქალაქის ცენტრში ერთი შენობა იყო შედარებით კარგ მდგომარეობაში — გარემონტებული. ალბათ აქ ხელისუფლების წარმომადგენლები ისხდნენ.

მე ერთ-ერთ კერძო სახლთან მიმიყვანეს, რომლის პირველ სართულზეც რაღაც ოფისები იყო განთავსებული. მეორე სართულზე, ერთ-ერთ კარზე მიმითითეს და მითხრეს, აქ გელოდებიანო.

რამდენიმე წუთის განმავლობაში კართან ვიდექი. მეგონა, ჯერ დაბანის, მოწესრიგების საშუალებას მომცემდნენ და შემდეგ საქმეზე დამელაპარაკებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. რაღას ვიზამდი? ამოვიოხრე, გაუბედავად დავაკაკუნე და კარი შევაღე.

ოთახში მაღალი, ქერათმიანი, ჩადგმული მამაკაცი დამხვდა.

— მოდი, მარგო, მოდი, — ისე შინაურულად მითხრა, კარგად დავაკვირდი, ნაცნობი ხომ არაა-მეთქი.

— გამარჯობა, — ხელი გავუწოდე.

— დაიღალე? — მზრუნველად მკითხა.

— დიახ, ცოტა დავიღალე, მაგრამ უფრო მეტად ჭუჭყმა შემაწუხა, — წავიწუწუნე, ყოველი შემთხვევისთვის.

— ყველაფერი იქნება, უბრალოდ, შენი გაცნობა მინდოდა. ახლა წაგიყვანენ იქ, სადაც მოსვენების საშუალება გექნება. მოგვიანებით კი შევხვდებით და საქმეზე ვილაპარაკებთ.

საჭირო დროს, დასვენებული და მოწესრიგებული გამოვცხადდი შეხვედრის ადგილზე.

რამდენიმე სასხვათაშორისო კითხვის შემდეგ პირდაპირ დავალების ახსნაზე გადავიდა.

— ზეგ, დილით, აქედან სატვირთო მანქანას გაჰყვები, რომელიც ზუგდიდამდე წაგიყვანს... იქ გადაჯდები სხვა მანქანაში, რომლის მარკასა და ნომერსაც ჩვენ გეტყვით და ამ სატვირთოს უკან გაჰყვები, წითელ ხიდამდე. სადაც შეჩერდება, სურათით უნდა დააფიქსირო. რამდენ ხანს შეჩერდება, ინფორმაცია ამაზეც უნდა მოგვაწოდო, შემდეგ ტვირთი წითელ ხიდზე საჭირო კაცს გადააბარო და საზღვარზე რომ გადავა, ამის შემდეგ ხარ თავისუფალი.

— კი, მაგრამ რა ტვირთია ასეთი?

— ეგ არავის საქმე არაა და მით უმეტეს — შენი. თუ ამ დავალებას თავს კარგად გაართმევ, მაშინ გაცილებით სერიოზულ საქმეს მოგცემთ. თავიდან ყველა ასე იწყებს, ეს გზა უნდა გაიაროს...

— როგორც ვხვდები, ნარკოტიკებთან მექნება შეხება.

— მარგო, დავალება მიღებული გაქვს... ზეგამდე შეგიძლია, დაისვენო.

— კი, მაგრამ ტვირთის გამყოლად შეგეძლოთ, აქ მცხოვრები აგეყვანათ ვინმე.

— ის საქართველოს ტერიტორიაზე ვერ გადავიდოდა.

— საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება სხვა დახვდეს და იმან გააცილოს...

— შენ აქ იმისთვის ჩამოხვედი, რომ გვასწავლო, როგორ უნდა ვიმუშაოთ? რაც უფრო ბევრი ადამიანია ჩართული პროცესში, მით მეტია რისკი, რომ საქმე ჩავარდება.

— კი, მაგრამ ამ ტვირთს ქართული „კრიშის“ გარეშე მაინც ვერ გაატარებთ და თუ „კრიშა“ გყავთ, რისი გეშინიათ?

— შენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიხარ იქით, რომ კარტი უნდა გავხსნა... ფაქტობრივად, დაკითხვას მიწყობ. ამ თემაზე ლაპარაკი დასრულებულია. სხვა კითხვები გაქვს?

— კი, მაქვს — რამდენს გადამიხდით?

— „სტავკა“ 1.000 დოლარია.

— რაო?! არა, მაგ ფასად ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებ.

— ვინც ამ საქმეზე მუშაობდა, მაგდენს ვუხდიდით.

— ჩვენ ვერ ვითანამშრომლებთ, მე წავალ... ერთი პირობა შემიძლია მოგცეთ მაგ ფასად — რაც მოვისმინე, არსად ვიტყვი.

— მაგარი პირობაა, — გადაიხარხარა მამაკაცმა, — გამოდის, საქმეს არ შეასრულებ და ფული მაინც უნდა გადავიხადოთ იმაში, რომ ჩუმად იყო?

— ასე გამოდის, რადგან ბრმად წამოვედი. საშამ არ მითხრა, რა თანხას გადამიხდიდით — იქ გეტყვიანო. ასე ცოტას არ ველოდი... არ მიღირს გარისკვა... მეორედ ასეთ სისულელეს არ ჩავიდენ.

— რამდენს ითხოვ ტვირთის გაცილებაში? — ხმაზე სიბრაზე დაეტყო მამაკაცს.

— იოლად ამბობთ „გაცილებას“... ამ გაცილების გამო 2 დღე და ღამე ტყეში ვიხეტიალე, კბილებამდე შეიარაღებულ მამაკაცებთან ერთად და ხის ძირში მეძინა. კიდევ ათასი რამ, რამაც დისკომფორტი შემიქმნა... და შენ გინდა მითხრა, რომ „გაცილებაში“ მიხდი ფულს? ფული გზის გამოვლაშიც უნდა გადამიხადოთ... იმ „გასაცილებელში“ რამდენი მილიონის „ტავარია“ ჩატვირთული? არანაირი სურვილი არ მაქვს, ვინმემ ტრეფიკინგის მსხვერპლად მაქციოს. ასე რომ, ან მიხდით მაგ 1.000 დოლარს და შინ მიშვებთ, ან 5 ათასს და ტვირთს გავაცილებ.

— მადა კარგი გქონია.

— თქვენც!

— კარგი, მოვილაპარაკეთ.

— და რომელ ვარიანტზე შეჩერდით?

— მეორეზე — გიხდი 5 ათასს და ტვირთს აცილებ.

— ძალიან კარგი, მოვილაპარაკეთ, — ავდექი და ხელი ჩამოვართვი, თუმცა, არც ის მომეწონა, ასე მალე რომ დამთანხმდა ჩემს პირობაზე, — ფულს აქვე მომცემთ! — ისეთი ტონი მქონდა, ეს მოთხოვნას უფრო ჰგავდა.

— კარგი, მაგაზეც მოვილაპარაკეთ.

მეორე დღეს ოთახიდან გარეთ არ გავსულვარ, საწოლზე ვეგდე და ვფიქრობდი, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ ყველაფერს. თუ ეს თანხმობა მხოლოდ ჩემს გაჩუმებას ითვალისწინებდა, შეიძლებოდა, ცუდი რამ ჰქონოდა ჩაფიქრებული, მაგრამ ერთ რამეში ვიყავი დარწმუნებული — ვიდრე ტვირთს ადგილზე არ მივიტანდი, მანამდე არაფერი მემუქრებოდა.

თავბედს ვიწყევლიდი იმის გამო, რომ ამ საქმეზე დავთანხმდი, მაგრამ ახლა რაღა დროს? შესაძლოა, ოლეგიც ასე შეეწირა... უკვე ღომის ხახაში მქონდა თავი შეყოფილი და ბოლომდე უნდა გამეძლო. თითქმის ყველა ფილმი გავიხსენე, რაც კი მაფიისა და განგსტერების შესახებ მქონდა ნანახი. მერე ჩემს თავზე გამეცინა — ფილმებში ნანახი სიუჟეტები გამიწევდა დახმარებას, თუ სადმე მომკლავდნენ? ამათ ის რომ გაეგოთ, რომ პოლიციის მაღალჩინოსანი ვიყავი, აქვე გამიხვრეტდნენ შუბლს. ცეცხლს ვეთამაშებოდი და ალბათ ბოლომდე არც მქონდა გაცნობიერებული, რა შეიძლებოდა ამ ყველაფერს მოჰყოლოდა.

როგორც იქნა, დადგა ის დრო, როცა სოხუმი უნდა დამეტოვებინა. სატვირთო მანქანაში მძღოლის გვერდით მოვთავსდი, ზურგჩანთა, რომელშიც 5 ათასი დოლარი მედო, მუხლებზე დავიდე და სანამ სოხუმს არ გავცდით, მძღოლს არ დაველაპარაკე. შემდეგ რაღაცები გამოვკითხე, თან ისე ვიქცეოდი, თითქოს, უბრალოდ, დავემგზავრე და ტვირთის შესახებ არაფერი ვიცოდი.

მძღოლი მოზომილ პასუხებს მცემდა. ისიც კი ვერ დავადგინე, იცოდა თუ არა, რა გადაჰქონდა.

სასაუბრო თემა 2-3 საათში ამომეწურა და გავჩუმდი. არც მას უცდია საუბრის გაგრძელება.

ზუგდიდში თვითონვე გააჩერა ერთ-ერთი მაღაზიის წინ და მითხრა, აქ უნდა ჩახვიდეო. რამდენჯერმე გაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა.

როდესაც ადგილიდან დაიძრა, მაშინ დავხედე ფურცელს. მანქანის ნომერი და სერია ეწერა. ალბათ ამ მანქანას უნდა დავლოდებოდი. მივხვდი, მძღოლმა მშვენივრად იცოდა, რა საქმესაც ემსახურებოდა.

ტვირთი ისე გავუშვი აზერბაიჯანის საზღვარზე, რომ ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად გავაკეთე. იმავე საღამოს გადაღებული ფოტოები გადავგზავნე, სადაც საჭირო იყო და ღამით ლევანთან წავედი, რადგან იქ უფრო იმედიანად ვიყავი. თუ ჯერ კიდევ აპირებდნენ ჩემს მოშორებას, ლევანი ჩემს დაცვას შეძლებდა. შესაძლოა, დიდი სისულელე იყო, რასაც ვფიქრობდი, მაგრამ მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორად ვაზროვნებდი და არაფერი მეშლებოდა.

ლევანს ჩემი დანახვა გაუკვირდა და გაუხარდა კიდეც.

საუბარში არ ავყევი — დაღლილობა მოვიმიზეზე და ძილს მივეცი თავი.

დილით სამსახურში ჩვეულებრივად გამოვცხადდი და მთელი დღე საბუთებიდან თავი არ ამიწევია. საღამოს კი სანდრომ შემომირბინა, საქმე მაქვსო, თუმცა, კონკრეტული არაფერი უთქვამს — კარგა ხანს იჯდა და უაზროდ ლაყბობდა. რამდენჯერმე ვუთხარი, თუ საქმე არაფერი გაქვს, წადი, ნუ მაცდენმეთქი, მაგრამ მხოლოდ სიცილით ან ხუმრობით მპასუხობდა. ბოლოს ყურადღებასაც აღარ ვაქცევდი.

ლევანმა შემოიხედა, წასვლას ვაპირებო.

— ვა, სანდრო, როგორ ხარ? — სიძეს ხელის აწევით მიესალმა.

— მიდიხარ, ლევან? დონა შენთან, სახლში დავტოვე და მეც მოვალ მალე, — სანდრომ თითქოს უხერხულობის გასაფანტავად გასცა პასუხი.

რადგან სანდროს დატოვება არ მინდოდა, ცოტა ხანს დავრჩები და მე და სანდრო ერთად წამოვალთმეთქი, ლევანს ვუთხარი. კარგი, თქვენ იცით, არაფერი გააფუჭოთო, გაგვეხუმრა და გავიდა.

ფანჯრიდან დავინახე, როგორ ჩაჯდა მანქანაში და ეზოდან გავიდა. როგორც კი შემოვბრუნდი, სანდროს შევეჯახე. ის ისე ჩუმად დამდგარიყო ჩემ უკან, რომ ვერც კი გავიგე. ფაქტობრივად, მკლავებში ჩავუვარდი. იმასაც ეს უნდოდა — მაშინვე მკერდზე მიმიკრა. ჯერ გავუძალიანდი — უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით, მაგრამ მერე მის სველ და ცხელ ტუჩებს დავნებდი. დივანზე დამაწვინა, კარი გადაკეტა და ჩემთან დაბრუნდა. აცახცახებული ველოდი, როდის შემეხებოდა ისევ და როდის დამატკბობდა თავისი ალერსით.

მხეცივით შემომაცალა ტანისამოსი. რასაც მხდიდა, აქეთ-იქით ისროდა და მშიერი ნადირივით იკლავდა შიმშილის გრძნობას... უეცრად, კარის საკეტი გაჩხაკუნდა. ორივე შევკრთით. ყური მივუგდეთ. ხმაური აღარ განმეორებულა.

სანდრომ კითხვით სავსე თვალებით დამხედა. ხმაური ისევ გაისმა, გასაღები გაჩხაკუნდა და ტანში გამცრა.

— ეს ლევანი იქნება, — ჩურჩულით ვთქვი, — გასაღები მხოლოდ მას შეიძლება, ჰქონდეს.

— რა ვქნათ? — სანდრო ჩემზე არანაკლებ გაფითრებულიყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ „გზა“ №19-20

რუსუდან ბერიძე

თავი IV

ანდრო ლეკიშვილის მომლოდინე ოთარ ორდენიძე კაბინეტში ნერვიულად გადი-გამოდიოდა. ლეკიშვილი მალე გამოჩნდა.

— ცუდადაა საქმე, შეფ! — სკამზე მოწყვეტით დაეშვა იგი.

— ეგ უშენოდაც ვიცი, — ამოიოხრა გამომძიებელმა, — მოკლული ლაზიშვილი ვინ აღმოაჩინა?

— მამამ.

— მშობლებთან ცხოვრობდა?

— არა, მარტო... მაგრამ დედა გულით ავადმყოფი ჰყავს და, ამიტომაც, ყოველ საღამოს მისი ტელეფონით მოკითხვა წესად ჰქონდა. გუშინ საღამოს კი არც დედას შეეხმიანა და არც მის ზარს უპასუხა. ამიტომაც დღეს დილიდანვე მამამ შინ მიაკითხა და...

— ექსპერტები რას ამბობენ?

— ჯერ არაფერს. ოფიციალური პასუხი ხვალ დილით ექნებათ.

— მოკლულის მამას თუ დაელაპარაკე?

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. საწყალი კაცი ჯერ ისევ შოკშია და ჩემი შვილი გამიცოცხლეთო, გაიძახის...

— მეზობლები რას ამბობენ?

— ყველა ერთსა და იმავეს გაიძახის: არც გასროლის ხმა გაგვიგონია და არც ვინმე საეჭვო დაგვინახავსო. ისე შეიძლება, მართლა ვერც გაეგონათ, რადგან კარის მეზობელი ამბობს, — როცა უფროსმა ლაზიშვილმა საძინებელში მოკლული შვილი აღმოაჩინა, მას სახეზე სისხლიანი ბალიში ეფარაო. მკვლელმა ბალიში გასროლის ხმის ჩასახშობად გამოიყენა.

— კარგად მოუფიქრებია... — მაგიდას მიუჯდა და გამომძიებელმა თავი ხელებში ჩარგო.

ამის შემდეგ ოთახში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ბოლოს ისევ ორდენიძემ დაარღვია:

— მაშ ასე, — თავი ასწია მან, — თედო იარაჯული კიდევ ერთხელ უნდა დავკითხოთ.

— იარაჯული? — გაუკვირდა ანდროს.

— ჰო.

— არ მითხარი, ჯერ თავი დავანებოთო?

— ეგ ლაზიშვილის მკვლელობამდე იყო.

— იმის თქმა გინდა, რომ შეიძლება, იარაჯულს ამ მკვლელობასთან რაიმე საერთო ჰქონდეს?

— ამას დრო გვიჩვენებს. ირაკლი სეხნიაშვილის მოძებნაც არ დაგავიწყდეს.

— სხვათა შორის, სეხნიაშვილი 2 დღის წინ ყოფილა ლაზიშვილთან. მეზობელმა მითხრა, სადარბაზოში შემხვდნენ ის და გუგა, სადღაც ერთად მიდიოდნენო.

— მით უმეტეს, საინტერესო იქნება, რას იტყვის. მოკლედ, ორივე ხვალ დილისთვის დაიბარე.

— იქნებ რომელიმე დღესვე მომეცუნცულებინა?

— არა, დღეს მაგათთვის არ მცალია.

— იმ ადამიანებს რა ვუყოთ, შენ მიერ შედგენილ სიაში რომ გვყავს?

— კარგი გამახსენე, — ფეხზე წამოდგა ორდენიძეც, — სია დამიბრუნე.

— რატომ? ის ხალხი აღარ გვჭირდება.

— პირიქით, ზოგის ნახვა სწრაფადაც კი გვჭირდება. ამიტომ შენ იარაჯული და სეხნიაშვილი მოძებნე, სიას კი მივხედავ...

ლალის წინააღმდეგობის მიუხედავად, თემომ მას დაგვიანებით საუზმე ლოგინში მიართვა, თავადაც გვერდით ჩამოუჯდა და სიამოვნებით ადევნებდა თვალს, სახელდახელოდ მომზადებულ ბუტერბროდს გოგონა ნება-ნება როგორ მიირთმევდა და ზედ არომატულ ყავას აყოლებდა.

— გემრიელი იყო, — ყავა ბოლო ყლუპამდე შესვა ლალიმ და ცარიელი ფინჯანი ლამბაქზე ფრთხილად დადგა, — ასეთი კარგი ყავა საიდან?

— კოტ-დ'ივუარიდან, — ტუჩის კუთხე ხელსახოცით მზრუნველად მოსწმინდა გოგონას თემომ.

— საიდან? — გაუკვირდა ლალის.

— შენ რა, გეოგრაფიასთან ისე მწყრალად ხარ, რომ ასეთი ქვეყნის არსებობის შესახებ არ გსმენია?

— როგორ არ მსმენია, ჭკუის კოლოფო, — გაეღიმა გოგონას, — უბრალოდ, ის გამიკვირდა, იქაური ყავა საიდან აქვს-მეთქი?

— მეგობრის მამა მუშაობს იქ და იმას ჩამოაქვს.

— შენთვის?

— არა, თავისი ოჯახისთვის, მაგრამ მერე მისი შვილი მთელ სამეგობროს გვინაწილებს...

— მეგობარი ბიჭია თუ გოგო?

— ხომ არ ეჭვიანობ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა თემომ.

— უბრალოდ მაინტერესებს, თუმცა შეგიძლია, არ მიპასუხო, — ლამბაქი საწოლთან მდგარ ტუმბოზე გადადგა ლალიმ და წამოიწია.

— ადგომას აპირებ?

— აბა, მთელი დღე ხომ არ ვიკოტრიალებ? — ლოგინიდან სწრაფად წამოდგა და ჩაცმა დაიწყო. — იცი, დღეს რამდენი საქმე მაქვს?

— მერე მარტო უნდა დამტოვო? — თავი მოისაწყლა სხიერელმა.

— ადამიანი ყოველთვის მარტოა, ძვირფასო...

— ეს „ძვირფასო“ რა იყო? — ტუჩები უკმაყოფილოდ დაბრიცა თემომ. — უნიჭოდ თარგმნილ უნიჭო ბრაზილიურ სერიალში მგონია თავი.

— ოო, აი, ეს უკვე შენი პრობლემაა, უძვირფასესო, — სხიერელს თავი ორივე ხელით დაუჭირა ლალიმ და ცხვირის წვერზე ხმაურით აკოცა.

— ერთხელაც იქნება, ამ ცხვირის აწრუწუნების გამო ერთი კარგად მიგბეგვავ, — გოგონას ხელები ზურგს უკან ძალით წააღებინა თემომ.

— ცემა მორევაზეაო, — ამბობენ... — ენას მაინც არ აჩერებდა ლალი.

და ის იყო, გახელებული სხიერელი მის ტუჩებს ხარბად დაეწაფა, რომ საწოლის მეორე მხარეს, კიდევ ერთ ტუმბოზე მდგარი ქალაქის ტელეფონის ზარიც გაისმა, რომლის ხმაზეც შემკრთალი ქალ-ვაჟი ერთმანეთს უცბად მოსცილდა.

— ფუ მე ამის... — კინაღამ ბოლომდე შეიგინა გაღიზიანებულმა

თემომ. — ხანდახან მეჩვენება, რომ ზოგიერთი მოცლილი რაღაცნაირად ხედავს, დაკავებული როდის ვარ და მაინცდამაინც მაშინ მირეკავს...

— შენც არ უპასუხო, — ეშმაკურად გაეღიმა ლალის.

— პირიქით, ვუპასუხებ და თუ მართლა რაღაც სისულელისთვის მირეკავს, ერთი კარგადაც მივალანძღავ, — თემო ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— მოგესალმებით, ბატონო თემო, — გაისმა ყურმილში მამაკაცის მორიდებული ხმა, — ისევ ალექსანდრე ელიოზიშვილი გაწუხებთ.

— ისევ ის ელიოზიშვილი, ხომ? — ჩაეკითხა მას სხიერელი, შემდეგ ყურმილს ხელისგული დააფარა და ლალის გადაულაპარაკა, რომ შუა ოთახში გასულიყო და პარალელური ტელეფონის ყურმილი აეღო.

— დიახ, ისევ ის.

— მაშინ ყურადღებით გისმენთ, ბატონო ალექსანდრე.

— მოხარული ვარ, ბატონო თემო, რომ ჩემთან დალაპარაკების სურვილი გაგიჩნდათ, — ისევ თავაზიანად უპასუხა მამაკაცმა.

— მე უფრო მოხარული ვარ, ბატონო ჩემო, მაგრამ იქნებ მაინც პირდაპირ საქმეზე გადახვიდეთ?

— დიახ, რა თქმა უნდა, — მაშინვე დაეთანხმა სხიერელს ელიოზიშვილი, — საქმე ისაა, ბატონო თემო, რომ ნამდვილად მარკეტინგული ფირმა „ალგორითმის“ სახელით გირეკავთ, რომლის ერთ-ერთი მიზანი დამწყები მწერლების ხელშეწყობაა.

— დავუშვათ, მაგრამ პირადად ჩემგან რა გინდათ?

— როგორ? — გულწრფელად გაუკვირდა ელიოზიშვილს. — თქვენც ხომ დამწყები მწერალი ბრძანდებით?

— მერე რა? თქვენთვის დახმარება არ მითხოვია.

— სამაგიეროდ, ბატონმა არჩილმა გვთხოვა.

— ვინ?

— გამომცემლობა „ნოვატორის“ დირექტორმა არჩილ ასათიანმა.

— ასათიანს საიდან იცნობთ? — გაუკვირდა სხიერელს.

— ამის ახსნა შორს წაგვიყვანს, ბატონო თემო და იქნებ სხვა დროისთვის გადაგვედო.

— არსად მეჩქარება.

— თუ ასეა, უნდა ვაღიარო, რომ ამის ახსნის უფლება არ მაქვს.

— მაშინ ის მაინც მიბრძანეთ, აჩიკომ კონკრეტულად რაში გთხოვათ ჩემი დახმარება?

— თქვენი ნაწარმოების გამოცემაში.

— რას გეტყვით, იცით? — ხმას აუწია გაღიზიანებულმა სხიერელმა. — მე და აჩიკო კარგა ხნის წინ შევთანხმდით ყველაფერზე და ჩემი პირველი რომანის გამოცემას სულ მალე თავად აპირებს.

— რა თქმა უნდა, აპირებს, მაგრამ ფულს ჩვენ ვიხდით და, შესაბამისად...

— იმის თქმა გინდათ, რომ აჩიკოზე კი არა, პირველ რიგში თქვენზე ვარ დამოკიდებული? — გააწყვეტინა მამაკაცს თემომ.

— დიახ, სწორად მიმიხვდით, მაგრამ თუ ჩვენ მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობაზე დაგვთანხმდებით, მაშინ თქვენი ნაწარმოები დღის სინათლეს იხილავს...

— თუ არა და, თავში ქვა მიხლია, არა?

— ეგ არ მითქვამს.

— ხომ იგულისხმეთ?

— ბატონო თემურ, იქნებ ჯერ ამეხსნა, თუ კონკრეტულად რას გთავაზობთ. უნდა გითხრათ, რომ თქვენამდე ათამდე თქვენს კოლეგას მაინც ვესაუბრეთ და ჩვენი წინადადება ყველამ სიამოვნებით მიიღო.

— სანამ ჩემს გამომცემელს არ დაველაპარაკები, ვერანაირი სიამოვნების მიღება-მონიჭებას ვერ შეგპირდებით. გასაგებია? — ისევ აუწია ხმას სხიერელმა.

— როგორც ინებებთ, ბატონო თემურ, — სასწრაფოდ დაემშვიდობა მას ალექსანდრე.

— გამაგებინე, რა ხდება? — როგორც კი თემომ ყურმილი დადო, მაშინვე საძინებელ ოთახში გაჩნდა ლალი, — ან ეს ალექსანდრე ელიოზიშვილი ვინ ჯანდაბა იყო? შენ რა, შენი რომანის ყველა გმირს რეალური ადამიანების სახელები დაარქვი?

— ცოტა კიდევ მაცალე და ყველაფერს აგიხსნი, — ყურმილი ისევ აიღო და ნომერი აკრიბა სხიერელმა.

ზარი მალე გავიდა.

— ალო, აჩიკო, თემო ვარ.

— ძმას და მეგობარს ჩემი გულთბილი სალამი, — გაისმა ყურმილში გამომცემლის კმაყოფილი ხმა.

— შენთან სალაპარაკო მაქვს, გცალია?

— შენთვის როგორ ვერ მოვიცლი?

— მარკეტინგული ფირმა „ალგორითმის“ შესახებ თუ გსმენია რაშე?

— როგორ არა. კარგი ფირმაა. მერე?

— მერე ის, რომ ორიოდე წუთის წინ მისმა წარმომადგენელმა დამირეკა და მითხრა, რომ თუ მათ მიერ წაყენებულ პირობებს არ დავთანხმდები, მაშინ ჩემი რომანი დღის სინათლეს ვეღარ იხილავს.

— მართლა ასე გითხრა?

— აბა, ვხუმრობ? რა თქმა უნდა, ასე მითხრა და ისიც დაუმატა, რომ რომანის გამოცემას, თურმე, შენ კი არა, ისინი მიფინანსებენ. მართალია?

— ჰო, კარგი, ნუ ავარდი!.. რა მნიშვნელობა აქვს, წიგნის გამოცემას ვინ დააფინანსებს? — გაღმა შედავება სცადა აჩიკომ.

— ის მნიშვნელობა აქვს, რომ მეგონა, რომანი მართლა მოგეწონა. თანაც, შენი ნაქები ფირმა დაფინანსების სანაცვლოდ რაღაც იდიოტურ კონკურსში მთხოვს მონაწილეობას.

— მერე შენც მიიღე, რაღა! — უცბად აყვირდა ასათიანი. — გვარიშვილობა ხომ არ წაგიხდება?.. ცოტა მეც ხომ უნდა გამიგო, ბოლოს და ბოლოს?

— რა უნდა გაგიგო?

— რა და ჩემი გამომცემლობა ახლა იდგამს ფეხს და რაღაცით მაინც ხომ უნდა დამეზღვია თავი? ბოლოს და ბოლოს, ჩვენ არა მხოლოდ გამოვცემთ წიგნებს, მათ გასაღებაზეც თავად ვზრუნავთ.

— და რატომღაც დაასკვენი, რომ მაინცდამაინც ჩემი წიგნი არ გასაღდებოდა, ხომ?

— მთლად ასეც არ იყო, მაგრამ ბოლომდე რისკზე ჩვენი დიდი მეგობრობისთვისაც ვერ წავიდოდი. ჰოდა, ზუსტად ამ დროს გამოჩნდა „ალგორითმის“ წარმომადგენელი და საინტერესო წინადადებაც შემომთავაზა. ასე რომ, სულ ტყუილად უწოდებ მათ წამოწყებას იდიოტურს.

— მაინც რა შემოგთავაზა?

— რა, თავად კი არაფერი გითხრეს?

— არ მოვუსმინე.

— აბა, შენა ხარ, რა!.. მაშ ასე, როგორც ამიხსნეს, რამდენიმე დამწყები მწერალი მონაწილეობას მიიღებს კონკურსში, რომლის საბოლოო გამარჯვებულსაც პროფესიონალი ჟიური კი არა, თავად მკითხველი გამოავლენს.

— მკითხველი?

— დიახ, ბატონო, — მკითხველი. გამაგებინე, რა არის ამაში ცუდი? პირიქით, ჩემი აზრით, ეს მკითხველის განწყობილების, მისი მაჯისცემის გაგების საუკეთესო საშუალებაც კია და არ მესმის, ასეთ წინადადებაზე რატომ უნდა მეთქვა უარი?

— რატომ არ ჩამაყენე საქმის კურსში?

— სიურპრიზს გიმზადებდი.

— ხუმრობ?

— ვხუმრობ. „ალგორითმთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ვაპირებდი თქმას და არ ვიცი, თავად რატომ გაუსწრეს მოვლენებს და ჩემთან შეუთანხმებლად რატომ დაგირეკეს.

— ეგ შენს ახალ დამფინანსებლებს ჰკითხე.

— ჩვენს დამფინანსებლებს, — გაუსწორა აჩიკომ თემოს.

— გამოდის, რომ თუ ჩემი რომანი მართლა გამოქვეყნდა, მადლობა, პირველ რიგში, „ალგორითმს“ უნდა ვუთხრა?

— ასე გამოდის, მაგრამ არც ის დაგავიწყდეს, რომ მათ შენი არსებობის შესახებ ჩემგან შეიტყვეს.

— არ დამავიწყდება, — ჩაიბურტყუნა სხიერელმა.

— რას გეტყვი, იცი, თემო? რაღაც არ მომწონხარ. გამოდი რა, ხვალ ჩემთან და ყველაფერი პირისპირ გავარკვიოთ.

— ხვალ კი არა, ახლავე გამოვალ შინიდან და ნახევარ საათში მანდ ვიქნები, — უცბად მიიღო გადაწყვეტილება სხიერელმა. შემდეგ ყურმილი დაკიდა და ისევ ლალის მიუბრუნდა: — წავედით, გზაში მოგიყვები ყველაფერს.

ქალ-ვაჟი უკვე კართან იყო მისული, ვიღაცამ ზარი რომ დარეკა.

— ნეტავ, კიდევ რომელ გზააბნეულს გავახსენდი? — ჩაიბურტყუნა თემომ და კარი სწრაფად გამოაღო.

— გამარჯობა, — მაშინვე მიესალმა მას ზღურბლთან მდგარი მამაკაცი, — თემო სხიერელი ბრძანდებით?

— დიახ.

— გამომძიებელი ოთარ ორდენიძე გახლავართ, — სხიერელს საბუთი აჩვენა გამომძიებელმა.

— გამომძიებელი? — გაუკვირდა თემოს. — მოხდა რამე?

— იონა იოსებიძის მკვლელობასთან დაკავშირებით უნდა დაგელაპარაკოთ.

— რაო? — თვალები გაუფართოვდა თემოს. — ვინ მოკლა, რატომ?

— იქნებ ჯერ შინ შემომიშვათ?

— დიახ, რა თქმა უნდა, — განზე გადგა თემო და შემდეგ ლალის მიუბრუნდა: — შენ წადი, თორემ დაგაგვიანდება.

— კი, მაგრამ...

— დაგაგვიანდება-მეთქი, — გააწყვეტინა გოგონას სხიერელმა.

— კარგი, როგორც იტყვი, — უკმაყოფილო ხმით ჩაილაპარაკა ლალიმ და მამაკაცები მარტო დატოვა...

— დაბრძანდით, — შუა ოთახში შესვლისთანავე ფართო სავარძელზე ანიშნა გამომძიებელს სხიერელმა და თავად პირდაპირ მდგარ მეორე სავარძელში ჩაეშვა, — ერთი სული მაქვს, გავიგო, რა მოხდა?

— დავიჯერო, მართლა პირველად გესმით ეს ამბავი?

— რა თქმა უნდა, — გაკვირვებით შეხედა ორდენიძეს სხიერელმა, — მე და იონა მეგობრები ვართ, უფრო სწორად ვიყავით და ეს ამბავი რომ გამეგო, სახლში რა გამაჩერებდა? ასეთი მაინც ვის რა დაუშავა ამ ღვთისნიერმა კაცმა?

— მეც ამის გარკვევას ვცდილობ, — ფეხი ფეხზე გადაიდო სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულმა გამომძიებელმა, — თუმცა ჯერჯერობით იმის თქმა თუ შემიძლია, რომ იოსებიძე 2 დღის წინ, საკუთარ სახლში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს.

— არა რა, — თავი დანანებით გადააქნია სხიერელმა, — სულ გაგიჟდა ეს ხალხი.

— „ხალხში“ ვინმე კონკრეტულს ხომ არ გულისხმობთ?

— არა, სამწუხაროდ...

— იოსებიძე ბოლოს როდის ნახეთ?

— როდის და... — დაიწყო თემომ, მაგრამ სათქმელი მობილური ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა.

— ვუპასუხებ და მერე განვაგრძოთ, კარგი? — ყურმილი ყურზე სწრაფად მიიდო სხიერელმა. — წეღან რომ ჩემთან გოგონა ნახეთ, ისევ მირეკავს.

გამომძიებელმა მას, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

— აუუ, სულ დამავიწყდა! — ლალის პირველი სიტყვების გაგონებისთანავე შუბლზე ხელი იტკიცა სხიერელმა. — კარგი, ახლავე დავრეკავ. საღამოს კი ჩემთან გელოდები და ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნი, — ჩასძახა შემდეგ ყურმილში და ისევ გამომძიებელს მიუბრუნდა: — თქვენი ნებართვით, ერთგან თავადაც დავრეკავ და მერე მობილურს გამოვრთავ, რომ ხელი აღარ შეგვიშალონ.

— დარეკეთ, არსად მეჩქარება, — სხიერელს თვალს წამითაც აღარ აშორებდა ორდენიძე.

თემომ აჩიკოს დაურეკა, შეხვედრა მეორე დღისთვის გადაატანინა, შემდეგ სწრაფად დაემშვიდობა და ტელეფონი გათიშა.

— ახლა მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ, ბატონო ოთარ! — მიუბრუნდა ის გამომძიებელს. — მკითხეთ, რაც გნებავთ...

— იოსებიძე ბოლოს როდის ნახეთ? — კითხვა გაუმეორა ორდენიძემ.

— ზუსტად არ მახსოვს. ალბათ, ასე, 2 კვირის წინ.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— შეიძლება, მეც რაღაც ვიკითხო? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა მას თემომ.

— რა თქმა უნდა.

— ჩემი არსებობის შესახებ იონას კლიენტების სიიდან შეიტყვეთ თუ მეზობლებმა დაგაკვალიანეს?

— ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს?

— აქვს. იმიტომ, რომ თუ ამ საქმეში ქალბატონი ქეთოს ხელი არ ურევია, მაშინ ვერ მივმხვდარვარ, იმხელა სიიდან რა პრინციპით გამომარჩიეთ?

— ეს ჩემი პატარა საიდუმლოა, რომელსაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ.

— რა გაეწყობა... — მხრები აიჩეჩა თემომ.

— იოსებიძე როგორ გაიცანით-

მეთქი? — კიდევ ერთი კითხვა გაუმეორა სხიერელს გამომძიებელმა.

— პროზაულად. დაახლოებით 3 წლის წინ უსამსახუროდ დავრჩი და ფული რომ გამომელია და ჩემი ნივთებიდანაც გასაყიდი თითქმის აღარაფერი დამრჩა, ბაბუაჩემის დანატოვარ ძველებურ ხმალს მივადექი. მშრალ ხიდზე, ერთ ნაცნობს მივუტანე, იმან კი, ასე ვთქვათ, იონა იოსებიძესთან გადამამისამართა. იონამ კი იცით, რა გააკეთა?

— კარგ ფულს გადაგიხდიდათ.

— გადახდით ხომ მართლა კარგად გადამიხადა და, თან, დააყოლა, ამ ხმალს ცოტა შევალამაზებ და 2-3 თვეს შევინახავ. თუ ამასობაში ფულს იშოვი, შეგიძლია, ისევ მოხვიდე და გამოიხსნაო. მართლაც, ფული მალევე ვიშოვე და ისევ მივადექი. სწორედ იმ დღიდან ვმეგობრობთ.

— ხმალი დაგახვედრათ?

— რა თქმა უნდა.

— იოსებიძის მსგავსი უცნაურობების შესახებ უკვე მეც მსმენია.

— თუ საიდუმლო არ არის, ვისგან?

— მისი შეგირდისგან.

— გასაგებია, — მოიღუშა თემო.

— გატყობთ, თედო იარაჯული გულზე დიდად არ გეხატებათ.

— არა, რატომ? — თავი შორს დაიჭირა სხიერელმა. — ჩემთვის ამ კაცს არაფერი დაუშავებია.

— სხვისთვის?

— ალბათ, არც სხვისთვის, მაგრამ...

— ბოლომდე მაინც არ ამბობთ სათქმელს.

— ხომ გაგიგონიათ, გამკეთებელმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა კი — ათასიო. თან, იარაჯულისთვის რაიმეს დაბრალების საბაბიც კი არ მაქვს, მაგრამ არ მომწონს ეს კაცი და რა ვქნა?

— იონასთვის თუ გითქვამთ ამის შესახებ?

— ბევრჯერ.

— რას გპასუხობდათ?

— ხან — რას და ხან — რას. მოკლედ, სიტყვას ბანზე მიგდებდა და მერე მეც შევეშვი.

— თქვენ და იონას ბევრი საერთო გქონდათ?

— საკმაოდ.

— და ამაში არც ასაკობრივი სხვაობა გიშლიდათ ხელს?

— არა. იმიტომ, რომ დიდთან დიდი იყო და პატარასთან — პატარა. ყველანაირ ადამიანთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა. პირადად მე, მასთან ისტორიის სიყვარულმა დამაკავშირა. მგონი, იონამ გამიღვიძა ეს სიყვარული. ნაკითხი კაცი იყო. ისეთ ამბებს მიყვებოდა, ვერც ერთ ისტორიის სახელმძღვანელოში ვერასდროს რომ ვერ ამოიკითხავ. ჩემი პირველი რომანის დაწერის სურვილიც მისი მონათხრობის შემდეგ გამიჩნდა.

— რაზეა თქვენი რომანი?

— სამყაროს გადარჩენაზე.

— საინტერესო თემა აგირჩევიათ.

— ფანტასტიკური სიუჟეტი აქვს: თანამედროვე ადამიანების, უფრო კონკრეტულად კი ახალგაზრდა ქართველი მწერლის უცხოპლანეტელებთან და ძველ ეგვიპტელებთან შეხვედრაზე და სხვა ასეთ უცნაურ რამეებზეა მოთხრობილი.

— უცხოპლანეტელები კიდევ მესმის, მაგრამ ძველი ეგვიპტელები რამ გაგახსენათ?

— იონამ. ძველეგვიპტური და ძველქართული კულტურების ურთიერთობის შესახებ ისეთი საინტერესო რამეები მიამბო, რომ კალმისკენ თავისით გამექცა ხელი... მაგრამ იცით, რა უფრო მაკვირვებს, ბატონო ოთარ?

— რა?

— ეს ყველაფერი ასე დაწვრილებით თქვენ რაში გაინტერესებთ?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ „გზა“ №2-21

მომდევნო დღეები მეტად რთული აღმოჩნდა ნუკისთვის. ის თითქოს მართლაც გასამებული იყო — ერთს მარტო უნდოდა ყოფნა, მეორეს — გიასთან, მესამეს — ზურასთან. გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, თუმცა დანამდვილებით იცოდა, რომ ამ სამიდან საუკეთესო ვარიანტი ზურას გულისკენ მიმავალი გზა იყო. მაგრამ გია? მისი სიტყვები — დაწყებული გავაგრძელოთო?.. ვერ იტყვის, რომ მის ნათქვამში სიყალბე იგრძნობოდა... არასდროს შეუმჩნევია მასში ეს. მაშინ რა უშლის ხელს? იქნებ არ უყვარს და მხოლოდ თავს იტყუებს? იქნებ მასთან ურთიერთობა მხოლოდ მისი აჩქარების (თუ გამოუცდელობის) ბრალია? იქნებ მოულოდნელად თავს დამტყდარმა თავისუფლებამ გაათამამა (თუ გაალაღა) ასე და ვეღარ მოზომა? არც უამისობაა... ყველა სიკეთესთან ერთად, გია ძალიან სიმპათიური მამაკაცია, მხიარული, მომთხოვნი, ტემპერამენტით სავსე, სექსუალური, ქალების გულთამპყრობელი...

ზურა კი... ზურა ძალიან გულჩათხრობილია, ინერტული, ცოტა მძიმე ხასიათი აქვს, არ იბრძვის მისი გულის მოსაგებად... სამაგიეროდ...

სამაგიეროდ, თბილია და მისი ფასი იცის. მთავარი ესაა. გია სულ ატყუებს, ზურას კი ერთხელაც (უფრო სწორად, არასდროს) არ მოუტყუებია იგი.

მთელი 3 კვირა ებრძოდა თავის თავს. ამ ხნის განმავლობაში ზურა ერთხელაც არ უნახავს, არც დაურეკავს. უნდოდა, ბოლომდე დარწმუნებულიყო თავის თავში. თან გიაზეც ფიქრობდა. კიდევ ერთხელ უნდოდა მისი ნახვა. რას მოელოდა ამ შეხვედრიდან, ამაზე ფიქრსაც კი უკრძალავდა საკუთარ თავს.

კიდევ ერთი კვირა გავიდა... ბოლოს მაინც ქუთაისისკენ გაუწია გულმა. თან, საკუთარ ორეულს დაჟინებით არწმუნებდა, რომ იქ გიას სანახავად კი არა, რატის ამბის გასაგებად მიდიოდა...

პალატაში მხოლოდ დედა დახვდა, რომელიც მის დანახვაზე ფეხზე წამოიჭრა და ხელებგაშლილი მიეგება. ჯერ გადაეხვია, მერე ხელებით სახე დაუჭირა და დიდხანს კოცნიდა. ნუკი უხერხულად იღიმოდა მხოლოდ, საპასუხო კოცნა კი ვერ გაიმეტა. რატის გაუხარდა მისი დანახვა. ჩაეხუტა, უსიტყვოდ, უთქმელად...

— თქვენ შემოგევლოთ ჩემო სიცოცხლე, ჩემო ღამაზებო! — ჯული სიხარულით აღარ იყო.

ნუკის ნერვებს უშლიდა ქალის სიტყვები. დედის ასეთ სიხარულს უმცროსი შვილის გადარჩენას მიაწერდა და არა დაკარგული ქალიშვილის დაბრუნებას (თუ გამოჩენას).

— როდის გაგწერენ? — ნუკი საწოლზე ჩამოუჯდა ძმას და ხელზე ხელი გადაუსვა.

— მაქსიმუმ, ერთ კვირაშიო, — ღუღუნა ხმა ჰქონდა რატის.

— ის რას შვრება?.. ვინც დაგეჯახა? — სუნთქვაშეკრულმა იკითხა „იმის“ ამბავი.

— გია? — ჩაერია საუბარში ჯულიეტა. — ერთი წუთით არ მოგვშორებია საწყალი ბიჭი. სხვის შვილს რა უნდა ვუთხრა, როცა ამის ბრალი იყო ყველაფერი.

— გეყოფა, დედა! — უსაყვედურა რატიმ.

— მეყოფა, მეყოფა! ჰო, რა თქმა უნდა, როცა მართალი ვარ, მაშინვე მაჩუმებ, შენი საქმე არ არისო და რომ გაგიჭირდება, მერე ყველაფერი ჩემი თავსატეხი ხდება!

— წავიდა უკვე? — ნუკი კვლავ მტკივნეულ თემას დაუბრუნდა.

— რა წავიდა, სად წავა? — კვლავ ჯულიმ გააგრძელა. — რაც ის გოგო გაიცნო, სულ აქ არის ატუზული. მგონი, ბედი გაეხსნა. კიდევ კარგი, ამას დაეჯახა, თორემ რა ეშველებოდა, — გაიცინა ქალმა.

— ვინ გოგო? — ხმა ჩაუწყდა ნუკის.

— ამის ღამის ექთანი, ქეთინო. ის რომ მორიგეა, დილიდან დაერჭობა ხოლმე აქ და ფეხს არ იცვლის პალატიდან.

— მორჩი რა, ქალო! შენ ვინ გეკითხება! — რატის არ სიამოვნებდა დედის სიტყვების მოსმენა, — დარჩები დღეს? — ნახევარდას მიუბრუნდა.

— ვერა, უნდა წავიდე, — ნაღვლიანად გაუღიმა ნუკიმ.

— ცუდია... რა იქნება, ერთხელ ისე ჩამოხვიდე, რომ ცოტა ხნით დარჩე? აი, ფეხზე რომ დავდგები, მერე მაინც.

— აუცილებლად ჩამოვალ, აბა რა.

საღამომდე დარჩა. დიდხანს ილაპარაკეს სამივემ. მერე რატის ჩაეძინა. ნუკი გარეთ გამოვიდა იმ იმედით, იქნებ სადმე გიას გადავაწყდეო... მოლოდინმა არ გაუმართლა. იმ დღეს მამაკაცი არ გამოჩენილა. არადა, კარგი იქნებოდა, ენახა და საბოლოოდ დარწმუნებულიყო იმაში, რომ ნაძირალა უყვარდა — ყველაზე მატყუარა და ყველაზე უგულო ადამიანი... უყვარდა კი? არა, არ უყვარდა. იმიტომ უნდოდა მისი ნახვა, რომ ერთი რამ ეთქვა მისთვის, მხოლოდ ერთი რამ — რომ მისი გამოჩენა ნუკის ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რომელიც კი ოდესმე ჩაუდენია; ყველაზე შავი ლაქა, რომელიც არასდროს წაიშლებოდა მის გულში. აი, ამის თქმა უნდოდა.

საღამოს წამოვიდა... მთელი გზა, სანამ თბილისამდე ჩამოაღწევდა, გიასა და ზურაზე ფიქრობდა. თითქოს ერთმანეთს ადარებდა. რაც მეტად უღრმავდებოდა, მით უფრო შორდებოდა გიას და უახლოვდებოდა ზურას. თან, სინანულს განიცდიდა, რომ ასე ადვილად მოტყუვდა, ასე სულელურად შეცდა არჩევანში. თუმცა, ისიც იცოდა, რომ ამ საბედისწერო ურთიერთობის დამთავრება არ იყო სამყაროს დასასრული, რომ მას სიცოცხლე ჯერ არ დაუმთავრებია, რომ შეცდომებზე ბევრი რამის სწავლა შეიძლება, რომ ეს გაკვეთილი იქნება მისთვის. ბოლოს როცა ნახა, ეგონა, გაუხარდებოდა, მაგრამ არა. მართალია, ის დაბრუნდა, მაგრამ სულაც არ იყო ისეთი, როგორიც ადრე. მას თითქოს სხვა იერი ჰქონდა, სხვა აღნაგობა. მისი ჩაცმულობაც კი სხვანაირი ეჩვენა. ეს ჩვეულებრივი (ალბათ ბუნებრივი) ამბავი- იყო ნუკისთვის, რადგან თვითონაც შეიცვალა,

უფრო სწორად — გიაზე შეხედულება შეეცვალა. ასეთ დროს სხვა მხრიდან (სხვა კუთხიდან) ხედავ ადამიანს, უყურებ და გიკვირს, აქამდე რატომ მოგწონდა იგი, რა ღირსების გამო, რომელი თვისებები გხიბლავდა... და საყვედურით ავსებ საკუთარ თავს, კიცხავ, ადრე რომ ვერ შეამჩნიე მისი ნაკლოვანებები, მისი უარყოფითი მხარეები...

„არა უშავს, რაც იყო — იყო. მე მოვერევი ულმობელ ცხოვრებას, ვიღებ მის გამოწვევას, გადავბუგავ ბოლოს და ბოლოს, ჩემს უსიამოვნო წარსულს და როცა დავამარცხებ მას, ამ ნახანძრალზე სიყვარულის კოცონს დავანთებ. ამაში კი ზურა დამეხმარება!“ — თითებმომუშტული ფიქრობდა გოგონა.

წავიდეს ახლა და სდიოს ღამის ექთანებს! ის ნუკის სიყვარულის ღირსი არასდროს ყოფილა! ამის გაფიქრებაზე უცნაურად გაეღიმა... გაეღიმა და შვება იგრძნო, რადგან მიხვდა, რომ გიას ცხოვრებაში სხვა ქალის გამოჩენამ მას არჩევანის გაკეთება გაუადვილა...

და ისეთი შვებით ამოისუნთქა, თითქოს დიდი ტვირთი მოეხსნა მხრებიდან... ტვირთი, რომელიც თითქოს ძალად (თუ განგებ) აჰკიდეს ზურგზე და რომელიც მას არასდროს უნდა ეზიდა...

უკვე ბნელოდა, თბილისში რომ ჩამოვიდა. როგორც კი სამკერვალოში შევიდა, გაიძრო მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და საწოლზე მიესვენა. ტერფები უხურდა. გარდიგარდმო გადაწვა საწოლზე, ფეხები მაღლა ასწია და კედელს მიადო. ერთხანს წრიულად ათამაშა ფეხის თითები... ლამაზი, კოხტა თითები... მერე წამოდგა და სააბაზანოში შეიკეტა, წყალი გადაივლო. დიდხანს, დიდხანს იდგა წყლის ჭავლის ქვეშ, თითქოს საბოლოოდ სურდა ჩამოერეცხა ის ტკივილი, რომელიც ახლო წარსულში ყველაზე სანუკვარმა ადამიანმა მიაყენა. ეს თითქოს მისი ერთხელ და სამუდამოდ დავიწყების რიტუალი იყო.

გამოვიდა... თმა გაიშრო და სარკეში თავის თვალებს შეაჩერდა. თითქოს გადაწყვეტილებას იღებდა. თითქოს შიშმაც გაირბინა მის თვალებში... წამიერად... მყისიერად და მსწრაფლ მიიმალა სადღაც... დღეს იანვრის ბოლო დღეა... მოხდეს, რაც მოსახდენია...

და კმაყოფილმა გაიღიმა.

— ვიცი, რასაც ვიზამ და ეს ერთადერთი სწორი ნაბიჯი იქნება ახლა! — მხიარულად შესძახა და წამოდგა. — ან ახლა, ან არასოდეს! — მერე საწოლის ქვეშიდან სამგზავრო ჩანთა გამოიღო და რაღაცას გამალებით დაუწყო ძებნა...

ზურას გული უცნაურად უცემდა. ასეთი აღელვებული დიდი ხანია, არ ყოფილა... ერთდროულად სასიამოვნოც იყო ეს აღელვება და შიშნარევიც... ნუკიმ დაურეკა, შენი ნახვა მინდა და შინ თუ ხარო... არის, აბა, სად იქნება? რომც არ ყოფილიყო, გამოიქცეოდა, სადაც უნდა ყოფილიყო, ყველაფერს მიატოვებდა და გამოიქცეოდა... ნუკი ისე არ დაურეკავდა. ალბათ გადაწყვეტილება მიიღო. ისეთი აღელვებული ჩანდა, ისეთი... როგორიც ახლა თვითონაა. რას ეტყვის? არაო? არაფერი გამოვაო? ჩემი იმედი არ გქონდესო? თუ... თანახმა ვარო? შენთან მინდაო? როგორ უნდა, მალე მოვიდეს, რომ რაც შეიძლება, დროზე მოეღოს მის წამებას ბოლო! ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიოს — შესაძლებელია მას ნუკისთან მომავალი ჰქონდეს თუ აბსურდია ეს ყველაფერი და ილუზიით (თუ ოცნებით) იტყუებს თავს! არა, ჯობია, ცოტა დაიგვიანოს. ჯერ ვერ მოუფიქრებია, როგორ ელაპარაკოს „არას“ და „ჰოს“ შემთხვევაშიც... მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ბევრი (თან ხშირად) უფიქრია...

ზარი დაირეკა. „მოვიდა“, — ზურას სხეული დაეჭიმა. კბილი კბილს დააჭირა და კარის გასაღებად გაემართა. სანამ გააღებდა, შემოსასვლელში დაკიდებულ ოვალურ სარკეში ჩაიხედა. თვალი თამამად გაუსწორა თავის ორეულს და დაბნეულად გაუღიმა, თითქოს ამხნევებსო, შემდეგ დარჩენილი ორიოდე ნაბიჯიც გადადგა და გასაღები გადაატრიალა.

— საღამო მშვიდობისა, — შემოღიმა ნუკიმ და პალტო გაიხადა.

— რა ლამაზი ხარ! — ზურამ ხარბად შეათვალიერა გოგონა.

იგი დაღვრემილი უყურებდა. მის ამ განწყობილებას თითქოს ყველაფერი უწყობდა ხელს — შავი კაბა, შავი ჩანთა, საყურე, ბეჭდები, ხავერდის შავი ლენტი შუბლზე და ზუსტად ასეთივე — ყელზე.

— ჰო, შევეცადე...

— საინტერესოა... — მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა მამაკაცმა, — რისთვის? თუ ვისთვის?

ნუკიმ არ უპასუხა, ალმურმა გადაჰკრა სახეზე...

— მარტო ხარ? — იკითხა გოგონამ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ზედმეტი იყო ეს შეკითხვა, მაგრამ რაღაც უნდა ეთქვა და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

— არა, მარტო არ ვარ, — თავი გადააქნია ზურამ და კარი ჩაკეტა.

— მართლა? ცუდ დროს ხომ არ მოვედი?

— პირიქით, კარგ დროს მოხვედი. თუმცა ჩემს სტუმარს არ გაუხარდება შენი მოსვლა, — ეშმაკურად იღიმოდა მამაკაცი.

— ვინ სტუმარია? — შეშფოთდა გოგონა.

— უცხო არავინ. მე და ჩემი მარტოობა ვართ ერთად. ახლა შენ შემოგვიერთდი და გავმხიარულდებით, ოღონდ — მე და შენ. მას კი მოუწევს აქაურობის დატოვება... იმედია, სამუდამოდ, — თქვა ზურამ და გამომცდელი მზერა მიაპყრო ნუკის, რომელიც მართლაც თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა.

გოგონას ლოყები შეუფაკლდა.

— შეუდარებელი ხარ, — ხმადაბლა წარმოთქვა მამაკაცმა, — და თუ ცუდი ამბის სათქმელად ხარ მოსული, მაინცდამაინც ამ საღამოს ნუ მეტყვი ამას, ნუ გამიფუჭებ იმ ამაღლებულ განწყობილებას, რომელიც შენმა დანახვამ შემიქმნა.

— არ ვაპირებ, — მორცხვად მინაბა თვალები ნუკიმ და შუა ოთახში შეჩერდა, თან რაღაცის მთქმელი მზერა მიაპყრო სიმპათიურ მასპინძელს.

— ეს კარგია, — ზურა ცდილობდა, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა სიმშვიდე და აღელვება არ შესტყობოდა, — დალევ რამეს?

— არა, არ დავლევ... მინდა, ჩემი სათქმელი ფხიზელმა გითხრა, —

თითქოს მის ხმასაც დაჰკარგოდა სიმშვიდე.

— მითხარი, გისმენ, ოღონდ, არ ინერვიულო, კარგი? — ამშვიდებდა მამაკაცი მას მაშინ, როცა თავად საჭიროებდა დამშვიდებას, — მოდი, ჩამოვსხდეთ, ფეხზე ხომ არ ვიდგებით?

ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ, სავარძლებში. ნუკიმ მკერდთან მიტანილი თითები ერთმანეთში გადახლართა და მოუჭირა...

— შენ მე თვალები ამიხილე, ზურა, — დაიწყო ოდნავ გასაგონი ხმით ნუკიმ, — და დამიბრუნე იმედი შეუძლებლის შეძლებისა. ხომ გესმის, რა ძნელია ეს — ამდენი თვის შემდეგ აღმოაჩინო, რომ ჯერ ყველაფერი შესაძლებელია. მე არ ვიცი, რას ვითხოვ... მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — არ ვითხოვ ბევრს. შენ დამიბრუნე სურვილი, ვიგრძნო თავი ქალად... მიჭირს ახლა სიტყვებს თავი მოვუყარო... თან, მრცხვენია... ძალზე უმწეოდ ვგრძნობ თავს... ალბათ ძალიან სუსტი ვარ და ამის აღიარება არ მინდა.

— არსებობს მდუმარე სისუსტე, თუმცა მის უკან ყოველთვის მოიაზრება მხოლოდ ერთი რამ: ბრძოლა, — ზურა მისკენ გადაიხარა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, — შენ ახლა შენს თავს ებრძვი. მე ხომ გითხარი, არ გაჩქარებ-მეთქი... სანამ სათქმელს ბოლომდე იტყვი, ცოტა ხნით მე მომისმინე, კარგი? — თქვა და ფრთხილად შეეხო მის ერთმანეთში გადახლართულ თითებს, თან, რამდენიმე წამით, შემდეგ კვლავ თავის მუხლებს დაეყრდნო, უხერხულად შეიშმუნა და გააგრძელა, — მე ცხოვრების წლები ჯერ კიდევ წინ მაქვს, შემიძლია შენ გაჩუქო იგი. მე ისეთი სიყვარულით მიყვარს ერთი ქალი, როგორითაც მხოლოდ ქალს შეუძლია დაგაჯილდოოს და ამიტომ დანებებას არ ვაპირებ... მთავარია, შენ მომენდო... მე მესმის შენი გულისცემა და თითქოს ვხედავ, რა ხდება იქ... იქ ძალიან დიდი თავისუფალი ადგილია. ჩემთვის ეს ზედმეტია. ვიცი, რასაც გეუბნები. შევეცდები, დაგეხმარო სწორი გადაწყვეტილების მიღებაში... და თუ არაფერი გამოგვივა, ვიმეგობროთ, ეს ხომ მაინც შესაძლებელია.

— რა თქმა უნდა, ეს ერთადერთია, რაც ჯერ კიდევ არასდროს უცდიათ ქალს და მამაკაცს, — ნუკიმ გაღიმება სცადა.

— არ მინდა, მხოლოდ სხვის ჯინაზე გიყვარდე. ეს ძალიან მძიმე ტვირთი იქნება ჩემთვის... და შენთვისაც. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს, ხომ ხვდები...

— ეს არც მე მინდა. მხოლოდ ის მინდა, რომ მიყვარდე ისე, როგორც შენ გსურს. ჩემთვის ეს არის საუკეთესო გამოსავალი.

— თან, ერთადერთი... ნუ ტირი.

— ცრემლები სიხარულმაც იცის, სხვათა შორის.

— ჰო-ო? მაშინ სწორად იქცევი, რომ ტირი.

— ვეღარ დავალაგე სათქმელი...

— სამაგიეროდ, მე ვიცი, რაც უნდა გითხრა. სანამ მოხვიდოდი, არც მე მქონდა დალაგებული და ვნატრობდი, იქნებ დააგვიანოს-მეთქი. ახლა კი, გიყურებ და ზუსტად ვიცი, რაც უნდა გითხრა... ის უნდა გითხრა, რასაც განვიცდი, რასაც ვგრძნობ შენ მიმართ. და რაც აქამდე არასდროს მითქვამს. მე შენ მჭირდები.

— მეც მჭირდები, თანაც, უფრო მეტად, ვიდრე — შენ. არაფერს წარმოვადგენ, ამიტომ ყოველთვის გამიძნელდება საიმედო ადამიანის პოვნა. შენ კი... შენ ისეთი მამაკაცი ხარ, რომლის გვერდით ყოფნაზე ნებისმიერი ქალი იოცნებებს.

— როგორც ჩანს, საშინელი დღე გქონდა, — ხმამაღლა გაიცინა ზურამ, — საიდან მოგაქვს ასეთი აზრები? საოცნებო ქალი შენ ხარ და ჩემზე უკეთ იცი ეს. ნუ სულელობ რაღაცებს.

ნუკი სლუკუნებდა. ზურა ბედნიერი იყო. ისინი ერთად იყვნენ...

— მე ვეცდები, იმაზე ძლიერად შეგიყვარო, ვიდრე შენ გჭირდება ეს, — ცრემლიანი თვალები შეანათა გოგონამ.

მან გაიცინა.

— ფრთხილად, ზედმეტი არ მოგივიდეს, — გახუმრება სცადა.

— შეგიძლია, არ ინერვიულო. ზედმეტი სიყვარული არავის ვნებს, — ღიმილმა გაუნათა სახე.

— როგორ უხდება ერთმანეთს ცრემლი და ღიმილი, ვერ წარმოიდგენ.

— მართლა? არ ვიცი, არასდროს მინახავს ისინი ერთად.

— წამოდი, განახვო! — ზურა წამოდგა, ნუკის ხელი ჩაავლო და შემოსასვლელში, ოვალურ სარკესთან მიიყვანა.

გოგონამ ჩაიხედა... გაიღიმა... მერე თავი გააქნია, მოტრიალდა და მამაკაცს მკერდზე მიეყრდნო. ზურამ მკლავები მოხვია და მძლავრად ჩაიხუტა. ნუკის ესმოდა მისი გულის ძგერა. არეული, დარეული, როგორც მისი სიტყვები, მისი სახე, მისი ქმედება... უეცრად მოეშვა, ბოლომდე მოეშვა და მიენდო ამ გულის ძგერას, ამ ფართო მკერდს, რომელიც ერთადერთ თავშესაფარს ჰგავდა, სადაც უშიშრად შეეძლო დამალვა, სადაც ვერავინ შეაწუხებდა... და მიხვდა, რომ საბოლოოდ სწორედ ამ მკერდზე იპოვა სავანე, რადგან ეს იყო ერთადერთი ადგილი, რომელსაც უბედურება ჯერ კიდევ არ შეხებოდა. სადაც მათ ერთად არაფრის შეეშინდებოდათ.

— არასდროს ეძებო იოლი გზები, ნუკი, — უთხრა ზურამ ჩურჩულით, თან თმაზე აკოცა, — არ თქვა უარი სიყვარულზე, იმ კაცს ნუ გამოიყენებ ამის საბაბად. ის საზიზღრად ხარბი ნაძირალაა და არ მინდა, შენით გამოიკვებოს. ის არ იმსახურებს იმას, მსხვერპლად შესწირო შენი თავი. გამიგე?

ნუკის სუნთქვა შეეკრა. გიას ხსენებამ წამით თავზარი დასცა. ასე ეგონა, მამაკაცი ხვდებოდა, რაც მის წარსულში მოხდა.

— კარგია, რომ დროზე გაშიფრე, თორემ სინანული ცხოვრების ბოლომდე გაგყვებოდა. არა აქვს მნიშვნელობა, მე ვიქნებოდი შენ გვერდით თუ სხვა, მასზე უსიამოვნო მოგონებები მშვიდად ცხოვრების საშუალებას არასდროს მოგცემდა, — ჩურჩულით აგრძელებდა მამაკაცი.

ნუკი კვლავ დაიძაბა, თუმცა მალევე კვლავ მოეშვა. ზურა ვერაფერს ხვდებოდა. ეს კარგი იყო, მას არაფრის ახსნა არ მოუწევდა. ეს კი აშკარად გაუადვილებდა მასთან ურთიერთობას... თავი ასწია და თვალებში შეხედა.

— რა იყო, კიდევ დაგრჩა რამე სათქმელი? — წარბები აზიდა ზურამ და თბილად ჩახედა ცრემლით სავსე თვალებში.

— ჰო.

— აბა, მითხარი. ყურადღებით გისმენ.

— ამაღამ შენთან ვრჩები.

— ეგ ახალი ამბავი არ არის ჩემთვის. ადრეც ბევრჯერ დარჩენილხარ აქ. ის კი არა, ცხოვრობდი კიდეც ჩემთან, ნუთუ დაგავიწყდა?

— არა, არ დამვიწყნია, მაგრამ ამაღამ სხვანაირად ვრჩები.

— სხვანაირად? აბა, ერთი ამიხსენი, რაში გამოიხატება ეს სხვანაირი დარჩენა?

ნუკიმ ჩაახველა, მერე თავი გაითავისუფლა მისი მკლავებიდან, ოდნავ უკან დაიხია და თვალი თვალში გაუყარა.

— მინდა, შევამოწმო, რომ არ ვცდები იმაში, რასაც გული მკარნახობს. მე შენთან მინდა... ახლა... იცი შენ, რასაც ვგულისხმობ.

მამაკაცს თვალები გაუფართოვდა. საოცარი სისწრაფით ეცვლებოდა სახეზე გამომეტყველება. ბოლოს ყრუდ იკითხა.

— და თუ მიხვდები, რომ შეცდი?

— არ ვინანებ, რადგან ჩემი სურვილით ვიღებ ამ გადაწყვეტილებას. ბოლოს და ბოლოს, ქალი ვარ და გარკვეული მოთხოვნილებები მაქვს...

წამით ზურას თათულისთან გატარე-

ბული ის ერთი, საბედისწერო ღამე გაახსენდა. ნუკიც, ისევე როგორც თათული, გააზრებულ ნაბიჯს დგამდა, თუმცა წინასწარ არც ერთმა არ იცოდა, რას მოუტანდა ეს ნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რომ თათულის უყვარდა ის, ხოლო ნუკი ახლა ცდილობდა მის შეყვარებას, ეს 2 შემთხვევა ძალიან წააგავდა ერთმანეთს. ორივე ქალი საკუთარ ბედნიერებასთან მისავალ გზას ეძებდა. ზურა თითქოს გზაჯვარედინზე დამაგრებული ტრაფარეტი იყო — „მარჯვნივ წახვალ, დაიღუპები, მარცხნივ წახვალ, მაინც დაიღუპები“... და მაინც, ერთსაც და მეორესაც უღირდა რისკის გაწევა... იქნება და... ბედს სწეოდნენ... სამწუხაროდ, თათულის არ გაუმართლა, რადგან ზურამ არ ისურვა, გამართლებოდა. ნუკის? ნუკისაც შეიძლებოდა, არ გამართლებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ნუკი თვითონ არ მოისურვებდა ამას.

— დარწმუნებული ხარ? — ფრთხილად დასვა შეკითხვა.

— როგორც არასდროს, — მტკიცედ უპასუხა გოგონამ და თვალი თვალში გაუყარა.

მამაკაცმა ერთი ნაბიჯი გადადგა მისკენ, მხოლოდ ერთი...

შემდეგ წუთებში ზურა გამაოგნებელი სინაზით კოცნიდა გოგონას. იგი თითქოს აიძულებდა ნუკის, მოშვებულიყო, მოეხსნა დაძაბულობა, რომელსაც ძლიერად შეებორკა მისი სხეული, ბოლომდე გახსნილიყო, დაჰყოლოდა მის ნებას და მთლიანად მინდობოდა მას.

— ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი სრულყოფილი... — ვნებიანად ჩასჩურჩულებდა ყურში.

კარგა ხანს დახეტიალებდა ზურა ცხელი ტუჩებით ნუკის სახეზე და ნუკის ეგონა, მისი ტუჩების შეხება ცეცხლოვან ზოლებს ტოვებდა მის გახურებულ კანზე. ეჩვენებოდა, რომ სწორედ ამ მამაკაცისთვის იყო შექმნილი და რომ მათი სხეულები სრულ ჰარმონიაში იყვნენ ერთმანეთთან. როცა ზურამ მხრები მოუშიშვლა და, როგორც იქნა, მის მკერდს შეეხო, გოგონას ყრუ კვნესა აღმოხდა... როგორ უნდოდა, თავბრუდამხვევი სიამოვნება განეცადა, იმაზე მეტი, ვიდრე იმ სხვასთან განუცდია, რომლის სახელის გაფიქრება სულაც არ უნდოდა.

ზურამ აცახცახებული თითებით კაბის ელვა შეუხსნა და ნელა ჩააცურა დაბლა. ნუკიმ გაიგონა, როგორ შრიალით დაეფინა მისი ულამაზესი შავი კაბა იატაკს. გული საგულედან ამოხტომას ლამობდა, სუნთქვა გაუხშირდა და არათანაბარი გაუხდა, ხოლო გულის ცემას გუგუნივით გრძნობდა ყურებში.

მოულოდნელად ზურა გაჩერდა და გამომცდელი მზერა მიაპყრო.

— შენ ამაზე ნებაყოფლობით უნდა წახვიდე. არ მინდა, ჩემ გამო მსხვერპლი გაიღო. შენზეა დამოკიდებული, რას გადაწყვეტ. კიდევ ერთხელ დაფიქრდი, სანამ გვიან არ არის.

— მე მინდა შენთან! უკვე ვიფიქრე ამაზე. ხვალისაზე ხვალ ვილაპარაკოთ, — ჟინმორეულად დაიჩურჩულა და მწველი კოცნით დააკვდა ყელზე მამაკაცს.

ზურას მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ხელში აიტაცა ბუმბულივით მსუბუქი გოგონა და თავისი ოთახისკენ გაემართა...

ქალაქის ტელეფონის წკრიალმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა და მარცხნივ გაიხედა. მის გვერდით ადგილი ცარიელი იყო, ზურა ამდგარიყო. შემდეგ ჭერს ახედა. მამაკაცს სარკმელი გამოეღო და ზამთრის ცივი ქარი ოთახში დანავარდობდა. სწორედ ეს აკრთობდა ჭაღზე ჩამოკონწიალებულ ბროლის „ცრემლებს“. მსწრაფლ წამოდგა საწოლიდან, შიშველ სხეულზე საბანი მჭიდროდ შემოიხვია და ფანჯარაში გაიხედა... სახურავებიდან თითქოს სხვა მზე ანათებდა — უფრო დიდი, უფრო ნათელი და უფრო მწველი... ეს მზე თითქოს ზამთრისას არ ჰგავდა. კმაყოფილი ღიმილი გამოესახა სახეზე. არა, არ შემცდარა. ის, რაც წუხელ მოხდა, სულაც არ იყო სანანებელი. ის, რაც წუხელ მოხდა, სასიამოვნო იყო, იმაზე მეტად სასიამოვნო, ვიდრე მოელოდა...

ტელეფონის ზარი არ წყდებოდა, ზურა კი ყურმილს არ იღებდა. გაუკვირდა. სირბილით გამოვიდა სასტუმრო ოთახში, მაგრამ ველარ მიუსწრო, როგორც კი ტელეფონთან მივიდა, ზარი შეწყდა. ზურას დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა. ალბათ მარკეტში თუ ჩავიდაო, იფიქრა და საძინებელში შესულმა თვალებით თავის ტანსაცმელს დაუწყო ძებნა... მამაკაცს კოხტად დაეკეცა მისი კაბა, საცვლები და სკამზე დაედო. სამკაულებიც ზედ დაეწყო, კაბაზე... ზანტად შეუდგა ჩაცმას, თან, ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე.

უეცრად გასაღების ჩხაკუნის ხმა მისწვდა მის სმენას. თავი ასწია და კარისკენ გაიხედა. შემდეგ ნაბიჯები მოისმა — 1, 2, 3... და ფრთხილი დაკაკუნება მოხურულ კარზე — 1, 2, 3...

— გღვიძავს? — გარედან დაუძახა ზურამ.

— შემო, — მორცხვად გასძახა და მის შესახვედრად დაიძრა.

კარი არ გაიღო. ნუკიმ წარბები შეკრა და როცა მამაკაცმა შემოსვლა დააგვიანა, თავად ჩამოსწია სახელური...

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... ზურას მუჭში მოექცია მიწიდან ძირფესვიანად ამოღებული ენძელები, რომლებსაც გამლღვალი ყინვის წვეთები შერჩენოდა ფოთლებზე.

— ვიპოვე... მეგონა, ვერ მივაგნებდი, მაგრამ მივაგენი, — თვალები უბრწყინავდა მამაკაცს.

— ზურა... — ჩურჩულით აღმოხდა

ნუკის, გაოგნებული ხან ენძელებს მიაშტერდებოდა, ხანაც მის ბედნიერებით გაცისკროვნებულ სახეს, — საიდან...

— გინდა, ერთად შევხვდეთ გაზაფხულს?

— მინდა, — კვლავ აჩურჩულდა.

— აჰა, მაშინ... თებერვალი მინდა, გაჩუქო თავისი ენძელებით. ნაადრევ გაზაფხულს გილოცავ, მეტაფიზიკურო გოგონავ! — მამაკაცმა ენძელებიანი ხელები ასწია, ნუკის თავს ზემოთ გადაუტარა, ჩაეხუტა და ტუჩებზე მოწყურებულად აკოცა...

დღეს ისინი ერთად არიან და ავსებენ ერთმანეთს, როგორც ჰაერი სივრცეს, როგორც მზე სამყაროს. ესმით ერთმანეთის სიხარული, ტკივილი, სურვილიც, სუნთქვაც... ერთი რამ არის მხოლოდ... საიდუმლო, რომელსაც ნუკი მას არ უმხელს. მას კი არა, თავის თავსაც არ ახსენებს იმ ორ ღამეს, ასე რომ დაუბზარა სულისა და გულის კედლები. სინდისი ხშირად ქენჯნის ამის გამო, მაგრამ თავის იმით იმშვიდებს, რომ ეს ყველაფერი მანამდე იყო, სანამ ზურას შეიყვარებდა. წარსული კი... წარსული ისეთი რამ არის, რომელიც ფიქრებში რჩება, როგორც ვირტუალური ცხოვრება, წარმოსახვითის მსგავსი; რომელიც იყო და აღარ არის.

მერე რა? ერთი ასეთი „მორცხვი“ საიდუმლო ხომ ყველა ქალის გულის ბუნაგის ერთ ბნელ კუთხეშია ჩაკირული? ის სულის ტყვეა, მარადიული და უკვდავი ტყვე, რომელიც დღის სინათლეს ვერასდროს იხილავს.

დასასრული

გზა
ბილეთები

ფულით ნაყიდი სიყვარული

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, მივესალმები ყველა მკითხველს და მთელი გულით მოვიკითხავ. ხომ ხართ ისე, მე რომ გამიხარდება და მტერს გული მოუკვდება? ასეც უნდა იყოთ. ბევრი ამბავი უნდა მომწეროთ და თან ისეთი კარგი და საინტერესო, რომ არჩევანის გაკეთება მიჭირდეს. ვოცნებობ, არა? მართალია, ოცნებას კაცი არ მოუკლავს (არც — ქალი), მაგრამ მაინც ჯობია, რომ 50%-ით მაინც ამიხდეს, რაზეც ახლა ვოცნებობ. მოდი, დროს ნუ დავკარგავთ და თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

5 წლის გათხოვილი ქალწულის ამბავი

„ძალიან მაგარი თემაა და ალბათ ბევრი ადამიანისთვის მტკივნეულიც. ჩემს ამბავს მოგიყვებით: 21 წლის ვიყავი (ახლა 29-ის ვარ), როცა მე და ზაზას ერთმანეთი შეგვიყვარდა. ორივე საშუალო ოჯახიდან ვიყავით — არც გვიჭირდა, მაგრამ არც თავზე გადაგვდიოდა. ზაზა ძალიან სიმპათიური, შეიძლება ითქვას, ლამაზი მამაკაცი გახლდათ. ქუჩაში ერთად რომ მივდიოდით, მამაკაცებიც კი თვალს აყოლებდნენ. არც მე ვიყავი მასზე ნაკლები. ლამაზ გოგოდ მივიჩნეოდი და შესაფერისი წყვილი ვიყავით. როდესაც ჩემმა ოჯახმა ზაზა გაიცნო, დედაჩემმა თქვა, კარგი ბიჭია, მაგრამ მერჩივნა, ცოტა მდიდარი ოჯახის შვილი ყოფილიყო და თუნდაც, ასეთი გარეგნობა არ ჰქონოდაო... რადგან ლამაზი ვიყავი, ჩემი ოჯახი იმედს ჩემზე ამყარებდა, რომ ვინმე მდიდარ ბიჭს მოვეწონებოდი, გამიმართლებდა და უზრუნველი ცხოვრება მექნებოდა. თურმე, ზაზას მშობლებიც ამას ფიქრობდნენ. ყველაფერი გააკეთეს, რომ მისთვის კარგი განათლება მიეცათ და მდიდარი გოგოს ოჯახისთვის სასურველი სასიძო ყოფილიყო. როდესაც მე გამიცნეს, იმათაც ასე უთქვამთ, როგორც დედაჩემმა ბრძანა. ამის მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და ურთიერთობას ვაგრძელებდით. მშობლების აზრი კი ერთმანეთს რა თქმა უნდა, დავუმალეთ. ჩემს პოტენციურ სადედამთილოს, ჩემი გაცნობის მერე მოსვენება დაუკარგავს. უფიქრია, თუ ახლა არ ვუშველე ჩემს შვილს და მდიდარი საცოლე არ მოვუძებნე, სადაცაა, მოიყვანს ამ ღატაკ გოგოს ცოლად და დავიღუპებიო. ჩართო საქმეში ყველა ნაცნობ-მეზობელი და მართლაც გამოძებნეს მილიონერი მამიკოს შვილი. ახლა არ დავიწყებ იმის ლაპარაკს, რომ მილიონერი იყო, მაგრამ მახინჯი-მეთქი. ცუდი გოგო არ იყო, მაგრამ მე ნამდვილად ვერ მჯობდა სილამაზით. გააცნეს ამ ჩემს ზაზას და „დავალებაც“ მისცეს, რომ მისი გული უნდა მოენადირებინა. ახლაც არ ვიცი, რა მოხდა, ზაზას მართლა შეუყვარდა ის გოგონა თუ დედის სიტყვას წინ ვერ აღუდგა, მაგრამ ფაქტია — 3 თვის შემდეგ მითხრა, რომ ქორწინდებოდა. ძალზე მძიმედ გადავიტანე ეს ღალატი. ლამის ლოგინად ჩავვარდი. მათ ქორწილში (რომელიც რა თქმა უნდა, სიმამრმა გადაიხადა), შორიახლო ვიდექი და ვუყურებდი საყვარელ მამაკაცს, რომელსაც გვერდს სხვა ქალი უმშვენებდა და გული მიკვდებოდა. თანაც, ზაზას სახეზე სრული ბედნიერება ეწერა. არ ჰგავდა ის ნაძალადევად დაქორწინებულ კაცს. გავიდა ხანი და დედაჩემის ოცნებაც ასრულდა — საკმაოდ მდიდარი საქმრო გამომიჩნდა და არც დავფიქრებულვარ, ისე ვთქვი თანხმობა გათხოვებაზე. სამწუხაროდ, ჩემი ქმარი მდიდარი კი არის, მაგრამ იმპოტენტია — ქალთან ურთიერთობა არ შეუძლია. 5 წელია, გათხოვილი ვარ და ისევ ქალწული ვარ. ჩემი ქმარი მეხვეწება, ოღონდ ნამუსი შემინახე, თავს ნუ მომჭრი და ყველა სურვილს აგისრულებო. მეც, უზრუნველი ცხოვრების ხათრით, ხმას არ ვიღებ, ქმართან დასავით ვცხოვრობ და საკუთარ დედასაც კი არ ვუმხელ ჩემს გასაჭირს. მეკითხებიან, ბავშვს რატომ არ აჩენო? რაზეც ვპასუხობ, რომ რაღაც პრობლემა გვაქვს, მკურნალობა გვჭირდება და აუცილებლად გავაჩენ. სწორედ ამ საბაბით უცხოეთშიც ვიყავით, ჩემი ქმარი საუკეთესო კლინიკაში გადიოდა მკურნალობის კურსს, მაგრამ გვითხრეს, რომ უიმედოა და მას მამაკაცური ფუნქციები არასოდეს აღუდგება. თვითონაც ძალიან განიცდის ამ ამბავს, მაგრამ რა ქნას? მეც, როგორც ჩანს, სიბრალულის გამო გრძნობაც გამიჩნდა მის მიმართ. არ გაგიკვირდეთ, ის ძალიან კარგი ადამიანია. მყავს მანქანა, მაქვს ძვირფასი ტანისამოსი, უამრავი ძვირფასი სამკაული და უზრუნველი ცხოვრება. ბოლო დროს კი ჩემი ქმარი იმაზეც ალაპარაკდა, რომ ჯანმრთელი ქალი ვარ და სექსი მჭირდება. მითხრა, მე ნუ გამაგებინებ, როგორც ქმრიანი ქალები იქცევიან, როცა საყვარლები ჰყავთ ანუ ცდილობენ, დამალონ და ქმარმა არაფერი გაიგოს, ასე მოიქეცი შენც და ვინმე გაიჩინეო. ასე ნებადართული საყვარლის გაჩენა ძნელი ყოფილა. სინდისის ქენჯნა მაწუხებს... ჯერჯერობით ეს საკითხი გადაუწყვეტელია. არ დავიწყებ იმ სისულელის ლაპარაკს, რომ მე ზაზას დავუკავშირდები და მასთან ავიხდენ სექსუალურ ფანტაზიებს-მეთქი. არავითარ შემთხვევაში! ქვეყნად მამაკაცი რომ დაილიოს, მასთან სიახლოვის უფლებას ჩემს თავს არ მივცემ. ახლა თქვენ განსაჯეთ, არის თუ არა ჩემი სიყვარული ფულით ნაყიდი. კარგად, კაროლინა“.

ავი და აშარი დედამთილი

„ჩემი დედამთილი ძალზე საშიში ქა-

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

ლია. მე მისი მოწონებული რძალი ვარ და ასე ვთქვათ, არ მერჩის. მთლად შეხმატკბილებული ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ ასე თუ ისე, ერთმანეთს ვიტანთ და ვუძლებთ. მის გარდა კიდევ მამამთილი (ბიზნესმენი) და უფროსი მაზლი მყავს. მაზლი, თავისი ოჯახით ცალკე ცხოვრობს, რადგან დედამისმა ასე გადაწყვიტა. ნანა (სახელს ვცვლი) აკონტროლებს ოჯახში სიტუაციას, ვინ რა იყიდოს, სად დაიძინოს, რა ჩაიცვას, რამდენი დახარჯოს, სად წავიდეს და ა.შ. თავისი ქმარიც, ჩემიც, და მეორე ვაჟიც მუჭში ჰყავს მოქცეული და მარიონეტებივით ათამაშებს. ჩემი მაზლი და მისი ცოლი თვალში იმის გამო ამოიღო, რომ არ დაეკითხნენ, დაქორწინებულიყვნენ თუ არა. თურმე არ მოსწონდა სარძლოდ ის გოგო და მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, ოჯახი მაინც რომ შექმნეს, მტრად ექცა შვილსა და რძალს. ჯერ შინიდან გაყარა, რის შემდეგაც ცოლქმარი საცხოვრებლად ჩემი დედამთილის სამზითვო ბინაში გადავიდა; მერე ნანამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ ის ბინა უნდა გაექირავებინა და იქიდანაც დაითხოვა. ახლა ისინი ქირით ცხოვრობენ და თავს ძლივს ირჩენენ — ბავშვებსაც და უფროსებსაც ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ნანას ეს სულ არ ადარდებს. მე და ჩემი ქმარი ვეხმარებით, თავი რომ გაიტანონ. თვითონაც მუშაობენ, მაგრამ დიდი შვილები ჰყავთ და უამრავი ფული სჭირდებათ. ერთხელ, რძალ-დედამთილის მორიგი ჩხუბის დროს ნანა რძალს დაემუქრა, შვილებს წაგართმევო. რძალს სიცილად არ ეყო მისი ნათქვამი, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დარწმუნდა, რომ ნანამ მუქარა აასრულა. ნატოს 2 შვილი ჰყავს — ქალ-ვაჟი. გოგონა 16 წლისაა, ვაჟი — 11-ის. გოგონა უკვე იმ ასაკშია, რომ იპრანჭება, ბიჭებს თავს აწონებს, მეგობრებთან თავი მოაქვს... ბებიამ მის სუსტ წერტილს მიაგნო და მზრუნველად მოეკლინა — ტანისამოსს ყიდულობდა, ყველა სურვილს უსრულებდა, მის მეგობრებს კაფესა თუ რესტორანში ეპატიჟებოდა, დაბადების დღეებს უხდიდა... 16 წლის გოგონას მეტი რა უნდოდა? თავი ბებიასთან გაცილებით უკეთ იგრძნო და როცა ნანამ შესთავაზა, ჩვენთან გადმოდი საცხოვრებლადო, არც უყოყმანია, ისე დათანხმდა. დედამისი სულ მთლად დაივიწყა, თავიდან 2-3 დღეში ერთხელ მიდიოდა სანახავად, მერე კვირაში ერთხელ და ახლა თვეები ისე გადის, არც კი ახსენდება, დედა, მამა და ძმა რომ ჰყავს. ბებიაზე ამოსდის მზე და მთვარე. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭუნა უმცროსია, ის ბებიის საჩუქრებს არ ილებს, მასთან ურთიერთობას არ თანხმდება და ბევრი ხვეწნის მიუხედავად, სტუმრადაც კი არ მოდის ჩვენთან. აი, ამის თქმა მინდოდა. იმედია, დრო გავა, გოგონა დაღვინდება და თავის შეცდომას მიხვდება. უსახელო".

მეძავთა „რისხვა"

„სრული უფლება მაქვს, საკუთარ ამბავს მოგიყვეთ, ხომ? გავთხოვდი არც ისე პატარა ასაკში — 30 წლის ვიყავი უკვე. ჩემი მეუღლე ჩემზე 4 წლით უფროსი გახლავთ. ვიფიქრე, გვიან ვთხოვდები, ესეც აღარაა პატარა, უცოლო მამაკაცის ცხოვრება მობეზრებულიც ექნება უკვე, ოჯახის ერთგული იქნება და ბედნიერად ვიცხოვრებთ-მეთქი, მაგრამ სულ ტყუილად მქონია იმედი. ქალებთან დაკავშირებული პირველი კურიოზი ქორწილის ღამესვე მოხდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ქორწილის ღამეს მე და ჩემი ქმარი განმარტოებას ვერ მოვახერხებდით. ამიტომ სასმელზე უარი არ თქვა და ძალიან მაგრად გამოთვრა. გვიან ღამით კი სადღაც გაქრა. ყველანი დავეძებდით, ვნერვიულობდით, — მთვრალია, არაფერი მოიწიოსო, მაგრამ ვერსად მივაგენით. მერე ერთმა მისმა ძმაკაცმა თქვა, მე ვიცი, სადაც იქნებაო და საქმეს მიუჯდა. მარტო არ გავუშვი და თან გავყევი, თუმცა არ უნდოდა ჩემი წაყვანა. ერთ-ერთ სახლს მიადგა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, საუნა იყო. ის შევიდა და მე საპატარძლო კაბით უკან მივყევი. გაოცებული გვიყურებდა ხალხი. ამ ჩემი ქმრის ძმაკაცს ყველა შინაურულად მიესალმა, — ვაა, ცოლი მოიყვანეო? — ჩემზე ჰკითხეს. გიორგი აქ არისო? — იკითხა. კიო, უთხრეს. ცოტა ხანში რომელიღაც ოთახიდან გამოათრია, მთვრალი, წელს ზევით შიშველი... რა ცოლი, რის ქორწილიო, ლუღლუღებდა. რომ დამინახა, კი მიცნო და გაუხარდა, — ვაა, თხოვდები? გიხდება თეთრი კაბაო... უკან უსიტყვოდ გამოვბრუნდი. ტაქსი გავაჩერე და შინ წავედი. მერე რა თქმა უნდა, შევრიგდით, მაგრამ ეს პრობლემა სულ თან გვდევს. მეძავებში სიარულს ვერ გადავაჩვიე... საყვარელი არ ჰყავს, მაგრამ მეძავებში დადის და გაიძახის, სიყვარულს ვყიდულობ, ეს ღალატი არააო. ისიც კი ვერ გავაგებინე, რომ სიყვარულს კი არა, სექსს ყიდულობს, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ღალატი — ღალატია. თქვენ რას იტყვით?" ■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ახდენილი წინასწარმეტყველება". ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„გოგონებს არ მისცე უფლება, დაქალად აღგიქვან“

„აბასა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელთან შეგუება გამიჭირდა“

„გზის“ №20-ში დაიბეჭდა 17 წლის გიოს მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ გარშემო მყოფები გარეგნობის გამო ჩაგრავენ. „იცით, ბევრს „ცისფერი“ ვგონივარ, რადგან ქალური მანერები მაქვს, ხელებით ვლაპარაკობ და გარეგნულად საოცრად ნაზი გახლავართ, სუსტი აღნაგობითა და ლამაზი სახის ნაკვთებით დაჯილდოებული“. როგორც გიო გვწერს, ბიჭები დასცინიან, გოგონები კი ცდილობენ, მასთან იმეგობრონ, მისგან რჩევები მიიღონ, მაგრამ თუ ვინმე მოეწონება და საკუთარ გრძნობას გაუმხელს, ყოველთვის ასეთ პასუხს იღებს: საყვარელო, მისამართი შეგეშალა, მე მამაკაცი არა ვარო. „არ ვიცი, თავი დავიმახინჯო, თუ რა ვქნა, უფრო მამაკაცური რომ გავხდე. ალბათ, სახეზე ბევრი შრამი რომ მქონდეს, ქალებს მოვეწონებოდი...“ გიო იმასაც გვწერდა, რომ პატარაობისას დედა კაბებს აცმევდა, კიკინას უკეთებდა, რადგან ყოველთვის ქალიშვილის ყოლაზე ოცნებობდა და საკუთარ სურვილს ასე იკმაყოფილებდა. „ეტყობა, სწორედ ამის ბრალია, რომ ძალაუნებურად ასეთი, არამამაკაცური მანერები ჩამომიყალიბდა, რასაც სიმართლე გითხრათ, თავად ვერც ვამჩნევ... ჰო, დედაჩემსაც ვეღარ ვიტან. დღე არ გავა, რომ არ ვუსაყვედურო, — ქალივით რატომ მზრდიდი-მეთქი. ვიცი, ამით გულს ვტკენ, მაგრამ ჩემს უბედურებაში ხომ სწორედ ისაა დამნაშავე?“

აურა:

„ჯერ 17 წლის ხარ და ცხოვრება წინ გაქვს. საკუთარ თავს უთხარი, რომ კაცი ხარ და არა ნაზი არსება; დედაშენიც უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ბიჭი ბრძანდები და არა ნანატრი გოგო. თანატოლებს მაგრად დაუდექი, თავს ნურავის დააჩაგვრინებ“.

მაიკო:

„ნუ ნერვიულობ და იცოდე, გარეგნობა არაფერს ნიშნავს; მთავარია, მამაკაცური საქციელი გქონდეს. შენ გვერდით მიგულე“.

თეონა:

„ყოველთვის ვამბობდი, — ბიჭი კაცმა უნდა გაზარდოს-მეთქი. ბიჭებს დაუმეგობრდი, მათთან უფრო მეტი დრო გაატარე“.

რეგბო:

„გიუშ, ნურავის მისცემ უფლებას, შენზე ასე იფიქროს. სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდი, კუნთები დაიყენე და ვინც მსგავს რამეს გაკადრებს, თავის ადგილას მოსვი. მერწმუნე, შენს ცხოვრებაში გოგონები თავად მოვლენ“.

რიჰანა:

„იყავი ის, ვინც ხარ. ვერ ვხვდები, ასე რატომ გექცევიან? პირადად მე, შენნაირი სტილის ბიჭები ძალიან მომწონს. გულს ნუ გაიტეხ! მერწმუნე, შენი შურთ“.

შორენა:

„ინტერნეტში მოძებნე დოკუმენტური ფილმი — „The Secret“ და უყურე. ის, რაც შენ გაწუხებს, უახლოეს მომავალში მოგვარდება, თუ ამ პრობლემის დაძლევის საიდუმლოს გაიგებ“.

გრუზინკა:

„არ ვიცი, ასეთი რამ როგორ უნდა გირჩიო, მაგრამ აჯობებს, თუ გეტყვი: სიგარეტის მოწევა დაიწყე, ქალებში იარე, დააკვირდი, შენ გარშემო ბიჭები როგორ იქცევიან და მათ მიჰბაძე. ისე კი, კარგი იქნება, რჩევას ექიმს თუ ჰკითხავ. წარმატებები!“

ბუსუსა 555:

„გამარჯობა. აუცილებლად იარე სპორტის რომელიმე სახეობაზე, ივარჯიშე და მერწმუნე, ცოტა ხანში გოგონები თავად დაგიწყებენ უკან დევნას. სახის დამახინჯებაზე ფიქრს შეეშვი, ეს აზრი გონებიდან ამოიგდე“.

უცნობი:

„ძალიან კარგია, ლამაზი ნაკვთები თუ გაქვს. იცოდე, ხალხი ამაზე ოცნებობს. სუსტი აღნაგობა მაქვსო, — ამბობ. ჰოდა, ამ პრობლემის მოგვარებაში ვარჯიში, ფეხბურთის თამაში დაგეხმარება. წარმატებები!“

უცნობი 2:

„შენმა წერილმა გული მატკინა. იცოდე, იმ ასაკში ხარ, როცა მსგავსი პრობლემის მოგვარება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამ ნომერზე: 8(68) 99.27.47 შემეხმიანე და ისეთ რჩევას მოგცემ, რომელიც აუცილებლად დაგეხმარება. იცოდე, გოგონების გულის დაპყრობას და ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას შრამების გარეშეც შეძლებ...“

ნიკი:

„შენი კარგად მესმის, რადგან პატარაობიდანვე პაპა მზრდიდა. ჰოდა, როცა წამოვიზარდე, კაბასთან და მაღალქუსლიან ფეხსაცმელთან შეგუება ძალიან გამიჭირდა... მაგ მშვენიერი სახის დამახინჯება და დედისთვის საყვედურების თქმა არაფერს გიშველის; ამას სჯობია, მამაკაცური ხასიათის ჩამოყალიბებაზე იზრუნო. გულს ნუ გაიტეხ, ჯერ მოზარდი ხარ და თუ საკუთარ თავზე იმუშავებ, შენგან ნამდვილი მამაკაცი დადგება. ხომ ამბობდი, — გეი არა ვარო, ჰოდა, ეს ყველას დაუმტკიცე!“

ქავჩ-ანა:

„მეც თინეიჯერი ვარ, მაგრამ თანატოლების არ მესმის. დედას ნუ აბრალებ იმას, რომ „ქალური“ ხარ; რაც ბუნებამ შეგქმნა, სახეზეა. ვერ გამიგია, შვილი დედას როგორ ვერ უნდა იტანდე? იცოდე, მშობელზე უკეთესი არასდროს არავინ გეყოლება. ყველაფერს სჯობს, მას თბილად მოექცე, მიეფერო, თორემ დრო გავა და ყველაფერს ინანებ. წარმატებები!“

ლუნა:

„არ მომეწონა, დედაზე ასე უკმეხად რომ ლაპარაკობ. გთხოვ, მშობელს პატივი სცე. შენ არა გაქვს უფლება, უსაყვედურო. ის, რომ ნაზი მანერების მქონე ბიჭი ხარ და მამაკაცური სახის ნაკვთებიც არ გაქვს, არა მგონია, იმის ბრალი იყოს, პატარაობისას დედა გოგოსავით რომ გაცმევდა და გპრანჭავდა. რაც შეეხება შენს საწუხარს, მთავარი ისაა, რომ გადახრები არა გაქვს და გოგონები მოგწონს. იცოდე, აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომლის გულსაც დაიპყრობ. აბა, შენ იცი, არაფერზე იდარდო, მაგრად იყავი“.

ანი:

„ვერ ხვდები, რომ ასეთი საქციელით დედას გულს სტკენ? ბავშვები ცუდად რომ გექცევიან, ამაში მშობელი ნამდვილად არაა დამნაშავე. მოდი, საკუთარი ქცევის მანერა გააკონტროლე, უფრო მამაკაცურად მოიქეცი, სხვა ბიჭებს მიჰბაძე და მერწმუნე, შენს ცხოვრებაში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. პირველ რიგში, საკუთარ თავს დაუმტკიცე, რომ „შრამების“ გარეშეც, ნამდვილი მამაკაცი ხარ. აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება!“

მისტერ:

„შენი მესიჯი რომ წავიკითხე, გამეღიმა და ვთქვი: ცოდოა, ტო (ცუდი გაგებით არა, რა თქმა უნდა). ჯერ იმას გეტყვი, რომ შენს გამჩენს, თუ მართლა ქალივით „გზმანავდა“, მაგრად მიუქარავს, გამოუსწორებელი

შეცდომა დაუშვია... ბევრი ბიჭია სუსტი აღნაგობის, ხელებით საუბრის მოყვარული (მათ შორის, მეც) და ეს მართლა რამეს რომ ნიშნავდეს, „საგამღიმებლო“ იქნებოდა. ის, რომ სიმპათიური ხარ, ეს ცხოვრებისგან ბოძებული ჯილდოა და უნდა გიხაროდეს, ასეთი იღბლიანი რომ ბრძანდები; გეი კი ყველამ ვიცით, ვინცაა: ბიჭი, რომელიც „დედლისკენ“ არ „იქაჩება“ და რომელსაც „მამლები“ მოსწონს. ასე რომ, ის, ვინც შენზე რაღაცებს ამბობს, თავადაა დასაცინი. ისე, თუ გინდა, რომ ცოტა სხვანაირი „ვიდი“ გქონდეს, ასანთის ღერის თავით ხელზე ნებისმიერი გოგოს სახელი ამოიტვიფრე, ე.წ. „ბაბოჩკის“ ტრიალი დაიწყე, სიარულის მანერა მძიმე და ნელი გახადე, ხმის შეცვლას კი ალბათ იცი, რომ სიგარეტის დახმარებით შეძლებ; 17 წლის ასაკში ცხვირსა და ზედა ტუჩს შორის წვერი პატარა და თითქმის შეუმჩნეველია, ამიტომ ხშირად მოიპარსე. ჰო, ამ ყველაფერს „რეიბანებსაც“ თუ დაუმატებ, ჩათვალე, რომ უკვე სხვა ხარ. იმისათვის, რომ შეიცვალო, საჭიროა სურვილი და გამბედაობა, მაგრამ ეს თვისება თუ არ გაგაჩნია, მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდე, შენი პრობლემა, ასაკის მატებასთან ერთად გაიზრდება ანუ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. ასე რომ, ან დაუყოვნებლივ იმოქმედე, ან შეეგუე იმას, რომ ხშირად დაგჩაგრავენ. P.S. ერთი შენი და მაგ ბიჭების თავი დამანახვა, რა“.

ნინაკა 25:

„ჩემო კარგო, ჩემი საუკეთესო მეგობარიც მსგავს სიტუაციაში იყო, მაგრამ ჩვენი, ამხანაგების დახმარებით ოჯახი შექმნა და მერწმუნე, ახლა მასზე ვაჟკაცური ამქვეყნად არავინ მეგულება. სიამოვნებით გაგიცნობდი. თუ ჩემთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი“.

ლამურ-როსე:

„ძალიან კარგია, გოგონების მიმართ რომ გაქვს ლტოლვა. კარგი იქნება, თუ საკუთარ საქციელს, ლაპარაკის მანერას გააკონტროლებ და სამეგობრო წრეს შეიცვლი ანუ ბიჭებთან იძმაკაცებ. გოგონებს არ მისცე უფლება, მხოლოდ დაქალად ან „ცისფრად“ აღგიქვან. იმედია, ყველაფერი გამოსწორდება“.

ნიკოლო:

„საკუთარი თავი ისეთი უნდა მიიღო, როგორიც ხარ. ალბათ, ჯერ ღირსეული გოგო ვერ იპოვე და ამიტომაც, ყველაფერი უნდა „დაიკიდო“. დედაშენი მართლაც, ცუდად მოქცეულა, მაგრამ ეს ალბათ გამოუცდელობით მოუვიდა“. ■

„ღირს თუ არა „ლოვეს“ გამო ოჯახთან დაპირისპირება?“

„ეგ ტიპი დაივიწყე, თორემ ჩემსავით დაიტანჯები“

„გზის“ №20-ში დაიბეჭდა 14 წლის უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა: „მიყვარს 20 წლის ბიჭი. ჩვენ ერთმანეთის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ, მაგრამ გარდა ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენი პრობლემა ისიცაა, რომ მას კარგი ოჯახი არა აქვს და ეს ყველაფერი ჩემებმა რომ გაიგონ, არ ვიცი, რა მოხდება...“

დანა:

„14 წლის გოგოს აბა, რა გირჩიო, მაგრამ მაინც გეტყვი: ის და მისი ოჯახი ისეთი უნდა მიიღო, როგორიცაა. P.S. „გზა“ ძალიან მაგარი ჟურნალია და მე ყველა ნომერს ვკითხულობ!“

უცნობი:

„ძალიან კარგია, როცა შეგიძლია, შენი და საყვარელი ადამიანის გრძნობებზე ასე დარწმუნებით ილაპარაკო, მაგრამ თუკი შენი ოჯახისთვის ეს ურთიერთობა კატასტროფის ტოლფასი იქნება, მაშინ დაფიქრდი, ღირს თუ არა „ლოვეს“ გამო ოჯახთან დაპირისპირება? P.S. მთავარია, რთულ სიტუაციაში საყვარელი ადამიანი გედგას გვერდით და ყველაფერი შედარებით იოლად გადასატანი იქნება“.

უწუწური:

„რა დროს შენი სიყვარულია? ყველაფერს სჯობს, სწავლას მიხედო. მგონი, შენებს უბრალოდ, ის არ უნდათ, რომ გათხოვებაზე ფიქრობდე და იმ ბიჭის „ცუდი“ ოჯახი არაფერ შუაშია. თანაც, ჯობდა დაგეკონკრეტებინა, რას გულისხმობდი სიტყვებში, — „კარგი ოჯახი არა აქვს?“ გახსოვდეს, მშობლების შეცდომებზე პასუხი შვილმა არ უნდა აგოს. შესაძლოა, მას მართლაც, ცუდი მშობელი ჰყავდეს, მაგრამ თვითონ იმდენად კარგი იყოს, რომ ხელისგულზე გატაროს. P.S. ნუ ამბობ, რომ მის გარეშე ვერ იცოცხლებ. მერწმუნე, ადამიანი ტკივილსაც ეგუება ანუ შენ მის გარეშეც შეძლებ ცხოვრებას, მაგრამ ამის სურვილი არ გაქვს!“

ლუნა:

„მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი გიყვართ, დანარჩენს კი მოევლება. თუ შენი შეყვარებული მოინდომებს, ყველა პრობლემას მოაგვარებს. ჯერ მაინც, პატარები ხართ და ვიდრე სრულწლოვნები გახდებით (რა თქმა უნდა, ამ დრომდე თუ მოიცდით), მანამ იქნებ შენმა „ლოვემ“ ბინა იყიდოს და ცალკე იცხოვროთ. ამბობ, — კარგი ოჯახი არა აქვსო და ნეტავ, რას გულისხმობ? თუმცა, ცოლად მისი ოჯახის წევრებს ხომ არ მიჰყვები? რა ვიცი, სხვა რა გითხრა, მაგრამ სწავლას მეტ დროს თუ დაუთმობ, კარგი იქნება. ეს ცხოვრებაში მეტად წაგადგება, სიყვარული კი ყოველთვის მოვა! გაკოცე“.

ქაჯ-ანა:

„მაოცებთ, რა... ეს 14 წლის ბავშვები რაზე ფიქრობთ? გენაცვალე, ჩვენ რა რჩევა უნდა მოგცეთ? აბა, დაფიქრდი, განა ის შენი პრინცი ღირს იმად, რომ ოჯახის წევრები გადარიო? მეც შენი ასაკის ვარ, მაგრამ მსგავსი რაღაცებით ტვინს ნამდვილად არ ვიღლი. სწავლას მიხედე, სიყვარული კი მერეც გეწვევა. იმედია, გამიგებ. წარმატებები!“

გრუზინკა:

„ყველაფერს აჯობებს, „ლოვე“ ოჯახს გააცნო და მათ აუხსნა, რომ თქვენ ერთმანეთი ძალიან გიყვართ. ისე კი ჯერ 14 წლის ბავშვი ხარ და რა დროს შენი სიყვარულია?..“

გადარეული:

„აბა, ცუდი ოჯახის შვილი რად გინდა? თუ სურვილი გექნება, ამ ნომერზე: 8(51) 16.00.69 შემეხმიანე და ყველაფერს უკეთ აგიხსნი“.

ზურას კნეინა:

„ჯერ 14 წლის ხარ და ჯობია, ისწავლო, სიყვარულზე ფიქრს კი მერეც მოესწრები. ეგ ტიპი დაივიწყე, თორემ ჩემსავით დაიტანჯები. იცოდე, მე არ ვხუმრობ!“

შორენა:

„ჯერ ძალიან პატარა ხარ (არ გეწყინოს) და საინტერესოა, ამ ცხოვრებაში რა გინახავს? მერწმუნე, ბედნიერებისთვის კარგი ბიჭის ცოლობა საკმარისი ნამდვილად არ არის, მას კარგი ოჯახიც უნდა ჰქონდეს. სახლში, სადაც გამუდმებით ჩხუბია, მერწმუნე, ოდესმე შენც გადმოგწვდებიან და არაფრის გამო ცრემლებსაც ხშირად გაღვრევინებენ. ყველაფერს აჯობებს, შენი ამბავი დედას გაუმხილო და ისე მოიქცე, როგორც ის გირჩევს“. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობდი 30-38 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს. პროფესიით იურისტს, რომელსაც უნდა მყუდრო და თბილი ოჯახი ჰქონდეს. ცანცარებმა თავი შეიკავეთ. ბაია29.

2. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, ყოველმხრივ მოწესრიგებულ, თბილისელ მამაკაცს, 40-წლამდე.

მამაკაცები

3. ვარ 53 წლის, ინტელიგენტი მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, მარტოხელა, სიმპათიურ ქალბატონს. მატყუარები ნუ შემეხმიანებით.

4. გავიცნობ გოგოს, 30 წლამდე. დავეხმარები ფინანსურად. მსუქნებმა თავი შეიკავეთ.

5. გავიცნობ გოგოს, 30 წლამდე. დავეხმარები ფინანსურად.

6. გავიცნობ უბრალო, მეოჯახე, საღად მოაზროვნე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით, 31-37 წლისას, თუნდაც განათხოვარს! ვარ გამგები და თავმოყვარე ადამიანი. სოსო.

7. ვეხმაურები ჟურნალი „გზის“ 21-ე ნომერში დაბეჭდილ კუკლას. ვარ ახოვანი, 21 წლის, რომა ბუდუ.

8. ვარ 25 წლის ჭაბუკი. სიამოვნებით გავიცნობ 19-23 წლამდე გოგონას, ოჯახის შექმნის მიზნით. ვინ დამეხმარება დემოგრაფიული პრობლემის აღმოფხვრაში? ჯონი.

9. გავიცნობ გორელ მანდილოსანს. ვარ 36 წლის, უცოლო მამაკაცი.

10. ძალიან მსურს გავიცნო მე-20 ნომრის არ ვიცი, მე-7 თუ მე-8 მესიჯის ავტორი, სახელად ირმა, 27 წლის, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ დასაქმებული.

11. გავიცნობ გოგონას 20-დან 23 წლამდე. ოჯახის შექმნის მიზნით. მსუქნები ნუ შემეხმიანებით. ბაკო, 27 წლის.

12. მინდა გავიცნო 35 წლამდე ასაკის, ლამაზი სულისა და სახის, არამსუქანი ქალბატონი. ვარ განქორწინებული, 39/175/80, დასაქმებული მამაკაცი. დანარჩენი — პირადად.

13. ვარ 35 წლის, ვცხოვრობ თბილისში, ვარ სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 20-დან 40 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით.

14. ვარ 38 წლის მამაკაცი. არაფერი მაქვს ნაკლი იმის გარდა, რომ უკიდურესად მიჭირს მატერიალურად. ვეძებ ქალს, ვინც დამეხმარება მატერიალურად და შემიყვარებს გულწრფელად.

15. გავიცნობ წესიერ და ლამაზ მანდილოსანს.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრეფილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სხვადასხვა

•პატარავ, როგორ ხარ? გული დამწყდა, რომ ცოტა ხანს გელაპარაკე. ვერ მოვიკალი შენი მონატრება, დე... რომ გნახულობთ ალბათ მერე უფრო გიჭირს უჩვენობა, როგორც ჩვენ — უშენობა. ბებიაშენი წუწუნებს, მეც მინდა ნახვა, მენატრებაო, მაგრამ... დე, უზომოდ მენატრები. მიყვარხარ, გკოცნი, გეფერები, გიკოცნი მწვანე თვალებს. ჩემი სიხარული ხარ. შენ იცი, დე... ღმერთმა რა გასაჭირიც მოგვივლინა, უნდა გავუძლოთ... ვიცი, არ შემარცხვენ და მაგრად იქნები. დროებითია ეს ყველაფერი და მერე აღარც გავიხსენოთ. გეხუტები. დედა.

•სიხარულო, ხომ კარგად ხარ? ჩვენ არ გვიშავს. რომ გნახე, დავისვენე ცოტა. ძალიან ვნერვიულობ შენზე, მიხედე თავს და ნერვებს გაუფრთხილდი. ჩვენზე ნუ დარდობ, ისე ვართ, შენ რომ გაგიხარდება. იმ დღეს, შენგან რომ წამოვედით, საბას ჩაეძინა და სახლში გამოეღვიძა. ლოგინიდან იძახდა, მამაო. ძალიან ცელქია, გაგვაგიჟა ყველა, ისეთი ლაპარაკი იცის. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. იმედია, მალე ყველა ერთად ვიქნებით. წერილს გამოვგზავნი სამშაბათს და ალბათ იმ კვირაში მოგივა. ჭკვიანად იყავი და გული არ გაიტეხო. მიყვარხარ. ნინო.

•გიო-66. ვიცი, შვილო, სადაც ხარ, და გულში დარდის ზღვა მოგრევია, არც ის მგონია, სულ მან დარჩები, მალე შენს კერას დაუბრუნდები. ვიცი, რომ ნამი მალე დადნება... ტანჯული დედა ჩაგიკრავს გულში, გადაიყრება ღრუბელი ციდან, და სიხარუ-

ლით შევცურავთ ზღვაში. გია, გილოცავ დაბადების დღეს, 5 ივნისს. გისურვებ მოთმინებას, ჯანმრთელობას, სულიერ სიმშვიდეს და დიდხანს სიცოცხლეს. მარტო ამას ვთხოვ უფალს: ისევ ისეთი ჯანმრთელი, ძლიერი და მაგარი შვილი მაჩვენოს. შენ ხომ დედისა და მამის იმედი ხარ, დარდი და სიხარული ხარ. ღმერთის მფარველობა არ მოგკლებოდეს. გკოცნი უამრავს. დედა.

•მუკი, გიგა ელაპარაკა დირექტორს და ვნახოთ, რა იქნება. სხვა რა გითხრა, მე ყოველღამე მესიზმრები, სულ შენით ვიღვიძებ და ვიძინებ, დავდივარ სამსახურში და ეგაა. მიკაი.

•სიგარეტს ისე ვერ მოსწევ, თუ არ დაარტყი ნაპასი, თუ ერთი გოგო გღალატობს, ყოველთვის გყავდეს ზაპასი. ეს გაითვალისწინეთ, თორემ ინანებთ. ლიფსო. P.S. და არა ლიპსო.

•დაიჯერო სიტყვა „მიყვარხარ“, ამ სიტყვებს ბიჭი ყინულზე წერდა, მოვიდა ზაფხული, ყინული დადნა და სიყვარულიც უეცრად გაქრა. ასეთები ვართ ბიჭები და რა ვქნათ? ლიფსო.

•მუკი, აუ, ახლა უფრო უარესად მიჭირს, რომ გნახე და ვერც გნახე, რაა. მენატრები, მინდა თავი დაგადო და დავიძინო. ნიკუშას ვეღარ ვაწყნარებდი, არ მომყვებოდა, მეტანტებაო. მამიკოსთან დავრჩები და ჩავეხუტოო. ნიამაც ისე ინერვიულა, ახლა უფრო საყვარელია მამიკოო. ორთაჭალა იხურება, პაც. ამიტომ ისევ რუსთავი. მენატრები, მომწერე რა, მიკაი.

•ირაკლი, 6 ივნისს გვაქვს პამანი. მე, გია, გიო და ლუკა გნახავთ. შენ ვერც წარმოიდგენ, ლუკას როგორ ენატრები. ჩემი ირაკლი როდის მოვაო, თამუნას ეუბნებოდა, იმას შემოვევლეო.

•ლი-23, ატარექსია, ჩაგეხუტეთ გულში. სვანის ასული, ჯ.ხავი, შერლოკ ჰოლმს, გამეცნობით? ლაკვასტ, გაიხარე, რუი, კიბორჩხალა, ჯიგრები ხართ. აურა.

•მაარ, მე პირველად გწერთ და გთხოვთ, დამიბეჭდე... ძალიან მიყვარს ჟურნალი „გზა“ და ყოველთვის ვყიდულობ. კლეოპატრა და რუისპირი ძალიან მიყვაარს... ნანჩო.

•დაელოდეთ სიყვარულს! მხოლოდ ის გრძნობს ამას საკუთარ გულსა და გვამში, ვინც ელოდება! როცა გვეჩვენება, რომ იგი მოკვდა ჩვენში, აკი თურმე ჩვენ მომკვდარვართ მასში. სიყვარული თანაზიარი ვნებაა, ლტოლვაა, თანაგრძნობაა, ზიარი ტკივილია... ჩვენ მისი დამორჩილება გვინდა, რომ ჩვენს გიჟურ სურვილებზე იაროს... მერე და რა მალე დავიხევთ ხოლმე უკან, აღმართის ძირშივე ვჩერდებით, სულ უბრალო მიზეზის გამო — გვეშინია... რა უგუნური და სულმოკლეა ადამიანი... ეს ჩემი საყვარელი მწერლის სიტყვებია... და კიდევ გვავიწყდება, რომ მთავარია, შეყვარებული იყო და არა — შეყვარებული გვყავდეს... ნიმა.

•კიბორჩხალაა, გულში მიყვარხარ, ძამიკო. მარი.

•ნიკოლო, შენ რა იდეინი პროტესტანტი ყოფილხარ. :) მართლაც აჯობებს, ნერვებს გაუფრთხილდე, იმიტომ, რომ აქ ეგ ბევრჯერ გამოგადგება და ახლა დახარჯვა არ ღირს. :) ატარექსია.

•ქაჯების დედოფალო, გმადლობ მოკითხვისთვის, სიამოვნებით გაგეცნობოდი, რაღაც ჩარჩოდან ამოვარდნილ ნათურას ჰგავხარ და მაგიტომაც მესიმპათიურები. :) ატარექსია.

•სახლში მისულმა მაგიდაზე ჟურნალს მოვკარი თვალი. „გზა“? გულში რაღაც მშობლიური ვიგრძენი. გულდაწყვეტილმა აღვნიშნე, რომ ძალიან დიდი ხანი იყო, „გზა“ აღარ წამეკითხა.

•მარი, ახლა იცი, როგორ წვიმს? გეგონება, დედამიწა თავზე მენგრევაო. :) მე კიდევ, დავრბივარ წვიმაში. მოგიკითხავთ ყველას. მიყვარხართ! გენაცვალოთ თქვენი გიჟი WANDERER-ი.

•გამარჯობა, დიკი ანგელს მივმართავ: არ ინერვიულო, წნევა არ ამიწევს და დაიმახსოვრე, შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება. კუსასო.

•ვაიმე, იცით, რა მინდა გითხრათ? ამ რამდენიმე ნომრის წინ გადავწყვიტე, გოგონების ნომრები ამომეღო „მობილიზაციიდან“ და დიკი ანგელის ნომერს არ გადავაწყდი? გაგიჟებული სწერს ზურას, შემირიგდიო და კიდევ კაცებს ეძებს აქ... ვაიიი, სირცხვილოოოო... რა გვიშვრება ეს სააკაშვილი, არა?

•მისტერ, შენ სოფლის მასაზე კი არა, შეიძლება ქალაქის ნაღებ საზოგადოებაზეც მეტი კულტურა და შეგნება გქონდეს. P.S. იეთიმ გურჯმა კაცი სძებნო, 100-ორიაო. კუნკულა.

•მარი, მე თქვენი დიდი ხნის გულშემატკივარი ვარ, ყოველთვის ვკითხულობ „გზავნილებს“ და მგზავნელების შემოქმედებასაც კარგად ვიცნობ.

•3კ198 გი, დღეს დაგირეკავს, გამიხარდა წერილები და წიგნი რომ მიგიღია. გი, უკვე საშინლად გამიძნელდა უშენობა, როდის მოვა 31. ძილი დავკარგე.

•ეი! შენ, ვიღაც უნიკოვ, ცდები, ცოტა კი არა, მაგრად მაკლია და ეგ არის ჩემი ღირსებაც (I SUPPOSE SO). დავარცხნილ-დაყენებული, სრულყოფილი ნაროდი, შორს ჩემგან! ნიკოლო.

•პროვინციელო კუნკულა, მიკვირს, ერთ სმს-ში ამდენ ხეპრეობას როგორ ატევ? ნაომიკო, ფეხი რამეს არ წამოჰკრა. მარი, თვალთმაქცების მტლაშამტლუში არ მოგბეზრდა? ნიკოლო.

•როგორ ხართ? ქაჯეთ, მაგაში ბოდიშის მოსახდელი არაფერია! მთავარია, რომ ჩემი მაწანწალა დაიკო ხარ. კიბორჩხალას და კუტრინას გაცნობა მინდა. მოგიკითხავთ! WANDERER.

•მარ, ძალიან მომწონს „გზავნილები“ და სულ ვკითხულობ ხოლმე. ერთი კითხვა დამებადა ამასთან დაკავშირებით, რატომ აკლებთ შენს სტატიებს ნელ-ნელა გვერდებს? GREEN GIRL17.

•როგორ ხართ, ჩემო ტკბილებო? ალბათ არც გახსოვართ, :) მაგრამ არა უშავს. მომენატრეთ და ამ პატარა გულში მიყვარხართ. მოეფერეთ ერთმანეთს. სულ თქვენი ტკბილი ნუჩი!

•3კ198 გი, უკვე დაცხა, დილიდან თავი მტკივა, არ ვიცი, ამინდის ბრალია თუ შენთან შეხვედრის მოლოდინით ვარ აფორიაქებული. ასეთ პერიოდებში თითქოს განსაკუთრებით მენატრები.

•3,198 გია, როგორ ხარ? მე კარგად ვარ. დედიკოს არ ვაწვალებ. უკვე მაგრად ვცურავ. თოფს ვწმენდ. შენი შემწვარი მწვადი მოგვენატრა. ჯესი კარგადაა, დაკუნტრუშებს. საბა.

•მაპი3, მეც შენნაირი თავგადაკლული ვარ ბარსაზე, უზომოდ მიყვარს ბარსა და მესი! რას ერჩით ლუნას ლექსებს? მე ძალიან მომწონს და თქვენი არ ვიცი! გაკოცეთ! WANDERER.

•მისტერ, არ გეთანხმები, რადგან დედაქალაქში მცხოვრებლები ხოხბის შვილები არ არიან! თვით ხოხობიც კი არ ყოფილა ქალაქელი! ასე რომ, ყველა ერთნაირი არაა. WANDERER.

•3კ198 გი, უფალს ვთხოვ, შენს კარგად ყოფნას. არ მეგონა, თუ ამოდენა განსაცდელი მოგველოდა. ვცდილობ, ღირსეულად გავუძლო. სულ ვფიქრობ, როგორ ხარ მანდ. მიყვარხარ, ბუუს. თეა.

•3კ198 ბუუს, ნერვები ისეთ დღეში მაქვს, ცხოვრებაში რომ ფეხბურთისთვის არ მიყურებია, ვზივარ და ბარსასა და მანჩესტერის თამაშს ვუყურებ და ბარსას ვუჭერ მხარს. ვზივარ ტელევიზორთან და ამ წამს ანგარიში 2:1 გახდა, ბარსას სასარგებლოდ. ნეტავ ყველა ჩემი ნატვრა ასე ასრულდეს, მალე დამიბრუნდე. ცრემლებამდე მენატრები. თეა.

•„სიყვარულით“ — ბოლოში კი მიუწერია თავისი გზავნილისთვის ეს სიტყვა ლუნას, მაგრამ ადრეც შემიმჩნევია, ცოტა ღვარძლი გაჰკრავს მის წერილებს. ლუნა, არ გინდა.

•მაპი3, 16 წელია, ბარსას ვგულშემატკივრობ. გუშინ ბარსამ კიდევ ერთხელ დაგვატკბო თავისი ლამაზი თამაშით. მანჩესტერიც დიდი გუნდია, მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა. ჯ. ხავი.

•მაი, შენ ხომ ხვდები, შენთვის ვაკეთებ ყველაფერს. მიყვარხარ. ალიმა.

•კიდევ მე დაგითმე, ორი დღე უმისამართოდ ვიხეტიალე მაი, სადამდე? დავიღალე, გთხოვ, მორჩი თამაშს. ორშაბათს მივდივარ სიღნაღში. მორჩა•.

•კაკადუ, მაგრად მენატრები, სულ შენ მახსენდები და იცოდე, შენთან ვარ. დღეს წოპე ვნახე და მომიკითხეო. კატოს უბანში ბინა გაყიდეს და აზრი არა აქვს. მოკლედ.

•სიხარულო, ადექი, სამსახურში გაგვიანდებაااა!!!

•კაკადუ, გვიყვარხარ და გვენატრები. თავს გაუფრთხილდი. ვიცი, მალე გნახავთ ჩვენ გვერდით. ნათია და კახა.

•კასკუ, შენ ჩემი სუნთქვა და ჰაერი ხარ, ჩემი სიყვარული და არსებობა. ძალიან, ძალიან მენატრება შენთან მოხუტება და მოფერება. აბა, შენ იცი, როგორ ყოჩაღად დამხვდები. მაიკები ნაკურთხია, ზოლიანიც, ეგ ჩაიცვი. ჩემო სიხარულო, ბევრი ხალხი არ მომყავს შეგნებულად, რომ არ დაგგრუზო. სახლში წმ. ნიკოლოზის ხატი გვყავდა და შეგეწევა. ჩვენკენ ახალი არაფერია, ოდესღაც ხომ დამთავრდება ეს კო-

შმარი. ჰოდა, ჩვენც ამ დღის იმედით გავიმაგროთ თავი. კუს, მიყვარხარ, მიყვარხარ სიგიჟემდე. შენი ლიკუნა.

•კასკუ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, მესიჯებს რაც შეიძლება გვიან ვწერ, რომ იქნებ რამე ახალი იყოს, მაგრამ ყველაფერი ძველებურადაა, ჩვენ კარგად ვართ. ერთი წუთით ჩვენი დარდი არ გქონდეს, დედიკო ყოჩაღად და მაგრად არის, შენი ხათრით კიდევ უფრო მაგრდება, შენც, ჩვენი ხათრით მაგრად უნდა იყო, ხომ იცი. მონატრებამ და ლოდინმა გაგვაგიჟა, ეს არის, რასაც ვერაფერს ვუხერხებთ, ყველა საუბრის თემა შენამდე მოდის, ყველაფერი შენ გიკავშირდება, მოგიკითხა ყველამ, დიდი სიყვარულითა და მონატრებით. მიყვარხარ, მიყვარხარ უსაზღვროდ, გეფერები და გკოცნი გულში, ველოდებით პარასკევს. აბა, შენ იცი, ყოჩაღად, ჩემო სიცოცხლევ, ქეთი.

•ჩემო სიცოცხლევ, ძაან მაგრად მიყვარხარ. გკოცნი ტკბილ და მთრთოლარე ტუჩებში. გოგა, უზომოდ მიყვარხარ. ახლა მინდა, რომ ლამაზი, თაფლისფერი თვალები ჩაგიკოცნო. მარი.

•ნუგო30-ს, ჩემი ტელეფონის ნომერი გადაეცით. არ დაბეჭდოთ.

•მარორიტა, როგორ ხარ? ძალიან კარგი ხარ და იმედს ვიქონიებ, რომ დამიბეჭდავ. ნუგო30-ს მინდა მივმართო. ეტყობა, უკვე გარეთაა. იქნებ შეხვედროდი იმ გოგოს, რომელიც ასე გიყვარდა? ყოველთვის არის შანსი, დაიწყო ცხოვრება თავიდან. თუმცა, მასაც ასე თუ უყვარდი, არ უნდა მიეტოვებინე, ასე მძიმე წუთებში, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ქალები ხშირად ვუშვებთ შეცდომებს. მისთვისაც ძნელი იქნებოდა ეს. რაც შეეხება მეგობრებს, რომლებმაც დაგივიწყეს, მათზე გული ნუ დაგწყდება, ნამდვილი მეგობრები არ გყოლია გვერდით და ძალიან კარგი, რომ ეს უკვე გამოააშკარავე. რაც შეეხება მეორე ნახევრის ძებნას, ის შენ არ უნდა ეძებო, თვითონ უნდა შეგხვდეს ცხოვრების გზაზე. იმედია, ყველაფერს მოაგვარებ. ქვრივი.

•რომ მიღალატა, მეც ვუღალატე და სამაგიერო ამით გადავუხადე. ღალატსაც გააჩნია.

•ბარემ ვიტყვი ერთსაც, რა, ვისაც მე არ ვევასები, ჯერ ადუღებული წყალი დალიოს, მერე გამოიხეხოს კბილები და მერე მახსენოს, დამიწყნარდით. დიკი ანგელი.

•რატი, ძალიან მინდა სიყვარული, შენში კი ამას ვერ ვხედავ და ამიტომ ველარ გნახავ. კარგად იყავი და აღარ დამიმესიჯო პირადზე. დიკი ანგელი.

•ჩემს თავს ვულოცავ სკოლის დამთავრებას. სოფო, კაი გოგო ხარ, რომ დაამთავრე სკოლა. :) მალე ატესტატსაც აიღებ და ეგაა. :) მართლა კაი გოგო ვარ. გავაფრინე. დიკი ანგელი.

•მაპი, შეგნება არ გაქვს იმდენი, ხალხს თავი რამე ღირებულით დაამახსოვრო და ამიტომ ცდილობ ლუნას გაკრიტიკებას. ვერ ხვდები, რომ სასაცილო თავად ხარ?

•ვიცი, ბევრი ვერ გამიგებს, მაგრამ ვეძებ ადამიანს, რომელსაც მეგობრობა შეეძლება. გამიგებს და რჩევას მომცემს. ვარ 17 წლის. ლიზი123.

•დასვენება მინდა დიდი ხნით ყველაფრისგან, აღარ მინდა ამდენი პრობლემები და დარდები. ღმერთო, შენ მიშველე. ამინ! ბუცა.

•ღამე ხშირად მეღვიძება, ვერ ვიხსენებ სადა ვარ, სულ დავკარგე სასოება, დარდმა, ფიქრმა დამღალა, შავი თმა და წვერი მქონდა, დარდით გავხდი ჭაღარა, ახლა უკვე ბებერი ვარ, აღარა ვარ ბაღანა, ველარ უკრავს ძველებურად, ჩემი დაფი, ნაღარა, საცოდავად დავჩანჩალებ, მუხლი მიჭრის აღარა, თვალმაც სინათლეს მოუკლო, ხანა ვხედავ, ხან არა, გაქრა ჩემი სიამაყე, ტანმა თავი დახარა... შალვა ბაციკაძე.

•ეს რა ცუდი დრო დაგვიდგა, ძველად გვერჩივნა ყველასა, იქნებ როგორმე დავუძვრეთ, ამ გაიძვერა მელასა, შემოგვდგომია რუსეთი, აუტანია წერასა, ჩვეული ველარ ელევა სხვისა ჯიქნების წველასა, ჩვენ აქეთ-იქით დავდივართ, ყველასგან ვითხოვთ შველასა. ის მაინც ისე გვიყურებს, როგორც მელია — ძერასა, უცუნა თუ არ ვაჭამეთ, ეგ არ მოიშლის ღრენასა. შალვა ბაციკაძე.

•ვისაც ჯერ არა სმენია მტრისა ტყვიისა წივილი, მის სულში როგორ ჩააღწევს, ლტოლვილის გულისტკივილი. ვინ შეგვიბრალებს საბრალო, ან სად გაგვივა ჩივილი, ვის რა ფეხებზე ჰკიდია ეგ შენი გულის ტკივილი, ყველა გულგრილად მიყურებს, არვინ მაღირსა ღიმილი, მისთვის დავიწყე საბრალომ, გულამოსკვნილი ტირილი. ტანჯვით უნდა ვლო დღეიდან წუთისოფელი ჩემია, მტერი მაინც არ გვისვენებს, სისინებს, როგორც გველია. შალვა ბაციკაძე.

•„გზის“ წინა ნომერში დაიბეჭდა სტატია ერედველ ქალბატონზე, ნათელა ქრისტესიაშვილ-ტარიელაშვილზე. ჩემი სოფლელი და თანაკლასელი გახლდათ. მინდა, ლექსი მივუძღვნა მის ხსოვნას... ვინ მოთვლის საქართველოსა, რამდენი გმირი ჰყოლია, მათ შორის გამორჩეულან ბევრი მამაცი ქალია, ვინ იფიქრებდა ოდესმე, გმირობას თუ ჩაიდენდა ოთხმოცი წლისა ქალია. რუსები სახლში მიუხტნენ, წინ გადაუდგა ქალია, სულ აქეთ-იქით მიჰყარა, დაუბრიალა თვალია. სახლში არავინ შეუშვა და ჩაუკეტა კარია. არ აპატიეს მხეცებმა და შეუმტვრიეს კარია, სულ ავტომატით ჩაცხრილეს, შეუპოვარი ქალია. მოგვიკლეს უწმინდურებმა, ქართველი გმირი ქალია. იგლოვეთ ერედველებო, დარეკეთ გლოვის ზარია, ასეთი ამბის გამოგონეს, გულზე გამიჩნდა ბზარია, თვალთაგან ცრემლი მდიოდა, ტიროდა ყველა ქალია. რუსი თავის ხალხს დაიცავს და ანადგურებს სხვისასა, ამით ვერასდროს მიაღწევთ, მხეცებო თქვენსა მიზანსა, ქალს კაი ძაღლი არ დაჰყეფს, მით უფრო, ამდენ ხნისასა, მას ტყვია რაღად უნდოდა, დიაცს ოთხმოცი წლისასა, ისედაც ცოტა დრო ჰქონდა, მიმდგარს სიკვდილის პირასა... შალვა ბაციკაძე.

•მაპი3-ს მინდა გამოვეხმაურო: ჩემო საყვარელო, მე პირადად ლუნას ლექსები ძალიან მომწონს, ჰაეროვანი და ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ლექსები აქვს. მე დღემდე მეგონა, რომ ლუნა სხვადასხვა პოეტის ლექსებს წერდა „გზაში“. არ ვიცოდი, მას თუ ეკუთვნოდა. ახლა უფრო ვაფასებ ამ ადამიანს, ამის შემდეგ. მართლა სირცხვილი და სასაცილოა, შენი უაზრო სიტყვების ფრქვევა. კიდევ ერთი, დიკი ანგელს მინდა მივმართო: ადამიანს როცა აწყენინებ, მერე იმაზე აღარ უნდა გქონდეს პრეტენზია, შენგან წასვლა რომ მოინდომოს. მოვიკითხავ ულიბკას, ნანი ბებოს, ემიგრანტს, მემეს და ლუნას. ძალიან მიყვარხართ. ირმა.

•მარ, პირველად გწერ და მინდა მოგითხრო ჩემი ამბავი, რომელიც ეხება სიყვარულს, მაგრამ არა — ფულით ნაყიდს, არამედ ნამდვილს. როდესაც იგი დავინახე, იმ წამსვე შემიყვარდა. მასაც შევუყვარდი... ის ჩემზე ორი წლით უფროსია და აგრეთვე ჩემი საუკეთესო მეგობრის ნათესავი. სწორედ მან გამაცნო ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი. ბევრი დრო გავატარეთ ერთად, მაგრამ დადგა ის დღე, როცა ჩვენ ერთმანეთს უნდა დავმშვიდობებოდით. 2 დღე ვტიროდი, მაგრამ ის წავიდა სხვა ქვეყანაში, რადგან სასწრაფო საქმე გამოუჩნდა. 2 წელია, განშორების სევდა მიდევს გულში. მენატრება. მიყვარს...

•ქეთის ლაშასგან მესიჯი მოუვიდა, უნდა გნახოო. ქეთი გახარებული წავიდა. ქეთის თქმით, ლაშა ქეთის ცივად შეხვდა და არც კი გადაკოცნა, ისე უთხრა, არ მიყვარხარ, მე მხოლოდ მამაშენის ფულის გამორჩენას ვდილობდი, არ მიყვარხარ და არც არასოდეს შემიყვარდებიო. არასოდეს დამავიწყდება ქეთის თვალები. როცა სახლში მოვიდა, ტიროდა და ბედს იწყევლიდა. მარ, გთხოვ, ეს ამბავი დამიბეჭდო. ვიცი, რომ ლაშა „გზას“ ხშირად კითხულობს და მინდა, აქედან მივმართო: ლაშა, დრო მოვა და ინანებ, რომ ქეთის ასე მწარედ მოექეცი. მას შენ მართლა უყვარდი, მაგრამ შენ ის არ დააფასე და იმ ლამაზ გრძნობას, რასაც ქეთი გრძნობდა, არ გაუფრთხილდი. ქეთის ისევ უყვარხარ. თამუნა.

•მარორიტ, მე და ფიფქია ექსკურსიაზე ვართ. :) სამგორის აუთვისებელი ნაწილის დასათვალიერებლად ვართ. ექსკურსია ნამეტნავად რომ გაგვიგრძელდა, იქვე არსებულ ფურნეში შევკუსკუსდით, ერთი შოთი გავაძვრეთ და ხეზე ავედით. მივირთვით და ახლა უაღრესად ძალაგამოცლილები ვბრუნდებით სახლში. ფატიი, ნელა ჭამე. ქაჯების დედოფალი.

•მაპი3, არ ვიცი, რა გითხრა, ან კი ღირს რამის თქმა? არა მგონია. ხომ იცი, ერთი მერცხლის ჭიკჭიკს აზრი არ აქვს. სიკეთეს გისურვებ! დროებით. ლუნა.

•როგორ მიყვარდა შენი/ გულთა და თვალთა სიღრმე/ სულის სიმაღლე შენი.../ შენი ოცნება ყველა/ სიტყვები ტკბილი ერთ დროს,/ როგორ მათბობდა, მწვავდა,/ შენი ტრფობა და კოცნა,/ სხვისას არაფრით ჰგავდა.../ როგორ მინდოდა კიდევ,/ გამევლო შენი გზებით,/ დამძინებოდა ტკბილად,/ მაგ შენი ნაზი ხმებით,/ როგორ მსურდა და მწვავდა/ თვალთა სინათლე შენი,/ ტანის სიდიდე მწველი/ და გულის სივრცე შენი.../ შენი ხელების სითბო,/ როგორ მითბობდა კისერს,/ ვერ დამავიწყებს ვერც დრო,/ შენს

მამაკაცურ იერს.../ შენი სურნელი ტანის/ ერთ დროს მიბნევდა თავგზას/ მახსოვს, რამდენჯერ ჩუმად,/ ცრემლით გავსცქერდი შენს გზას... ლუნა.

•მარიშკა, მინდა რაღაც მოგიყვე: არსებობს ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობა ჩხუბითა და ლანძღვით დავიწყე. ერთხელაც დამირეკა და ლაპარაკს შევეეთ, ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ და დავმეგობრდით. სულ მირეკავდა, ვლაპარაკობდით ყველასა და ყველაფერზე. ერთხელაც ჩემს დეიდაშვილს პრობლემები შეექმნა, ძმაკაცთან იჩხუბა და ჯანმრთელობის მხრივ საქმე „ნიტოდ“ ჰქონდა. რაიონში ცხოვრობს. მობილური დაქალს დავუტოვე და რამდენიმე დღით წავედი. ეს ჩემი მეგობარი თურმე რეკავდა კარგა ხანს. დაქალმა უპასუხა, ქეთი სოფელშია და მისი მობილური მე მაქვსო. იცით, რა უთხრა შეძენილმა დაქალმა ამას? ქეთი რომ მოვა, გადაეცი, რომ ნაგავია და გულს მაშინ ვატკენ, როცა არ ელოდებაო. რომ დავბრუნდი, დაქალმა მისი ნათქვამი გადმომცა და ძალიან გავბრაზდი. კიდევ რეკავდა, მე არ ვპასუხობდი, ლაპარაკის სურვილიც არ მქონდა. ეგოისტ ადამიანებს ოდითგანვე ვერ ვიტანდი. რეკვას რომ აღარ მორჩა, მივწერე: რატომ მირეკავ, მე ხომ ნაგავი ვარ? ეგოისტი ხარ და შენთან ლაპარაკის სურვილიც აღარ მაქვს-მეთქი. რეკვით რომ ვერაფერს გახდა, იმანაც მომწერა: მე თუ ეგოისტი ვარ, შენ უზრდელი ხარ, რომ არ მპასუხობ, დაფიქრდი იცოდე, ახლა დაგირეკავ, თუ არ მიპასუხე, ხატს გეფიცები, ცხოვრებაში აღარ დაგირეკავო. დარეკა. გაბრაზებამ მძლია და არ ვუპასუხე ისევ. ჩემზე მხოლოდ იმიტომ გაბრაზდა, რომ იმის მოსასმენად არ მეცალა, თუ როგორ გათხოვდა და დაფეხმძიმდა. ერთხელ საერთო მეგობარმა მითხრა, იმ შენს დაქალს ბევრი შვილი ეყოლებაო. უცებ ვერ მივხვდი და ვკითხე, ეგ როგორ-მეთქი? მიპასუხა, თუ გაინტერესებს, მას ჰკითხეო. საღამოს მომდის თამუნას სმს-ი, ჩემთან საქმე გქონიაო. შენთან არანაირი საქმე არ მაქვს-მეთქი, ვუპასუხე. ასე დამთავრდა ეს ექსპრომტად შემდგარი მეგობრობა. ეგ ყოფილი დაქალი ნამია, საერთო მეგობარი კი გრუზინკა. ნამი, შენ ჩემთან შეცდი, თუმცა დამნაშავედ მაინც მე მიგაჩნივარ. მე გაპატიე ყველაფერი. გრუზინკას რომ ვეკითხები შენზე, მპასუხობს, მას ჰკითხეო.

•დღემდე მჯეროდა, რომ დაბრუნდებოდი ბოთ, მაგრამ დღეს... რა აზრი აქვს ლოდინს, როცა არ დაბრუნდები. ჩემს გულში მოუშუშებელ ტკივილად დარჩები...

•გამარჯობა მარი, ძალიან მატკინე გული, სმს-ი რომ დამიბლოკე. დიდი მადლობა.

•მე მიწის ციცქნა საკინძე ღილი ვარ, ლეგენდად ქცეული „დედის ჩაწვეთებული ცრემლი“, შენი წინაპრების პატარა ნაწილის ლამაზი, უკვდავი სული. მეამყება, რომ ია ვარ, სამოთხიდან მოსული ქართული ენის პირველი სიტყვის საწყისი სიმღერა. სევდიანი ქალი.

•შენი თვალები მე მინახავს სხვადასხვაგვარად: ხან ქარიშხლიან მღელვარებით, ხან მშვიდად, წყნარად, ხან ზაფხულის მზის ელვარებით გაბრწყინებული, ხან შემოდგომის ღამესავით ჩამუქებული. ხან მთის კამკამა ტბის სიწმინდით გამომზირალი, ხან მოღუშული, სევდიანი, ხან მოცინარი და მინდა ვნახო, როს ესიზმრებათ ტკბილი სიზმარი, წამწამთ ჩრდილში მიმალული ნაწილისგვარი. მინახავს ცრემლით დანამული, დასველებული, ხან მოქანცული, ხან მკვირცხლი და დასვენებული, ზოგჯერ ჩემს ლექსებს რომ დანათის მათი მშვენება და ჩემს თვალებსაც დაუკარგეს მათ მოსვენება. აამღელვარეს, დაამსგავსეს საწვიმარ ღრუბლებს, მე კი, მე ბრიყვი, მათ მშვენებას ვუმღერ და ვუმღერ! სევდიანი ქალი.

•ჭიამაია, ჭიამაია, სადა გაქვს ბინა, თავშესაფარი, მოდი, დასახლდი ჩემს ხელისგულზე, კურთხეულ იყოს შენი სახელი... საით მიფრინავ, ჭიამაია? სევდიანი ქალი.

•როგორ ხართ, ხალხო? :) მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის სათქმელად შემოვირბინე: ჩემი გაუჩინარების მიზეზი ის არ არის, რაც თქვენ გგონიათ. :) ასე რომ... რუისპირი (GREEN).

•მობილი-ზაციავ, რამე გაწყენინე? მიდი, პირდაპირ მითხარი, მზად ვარ. :) არაფერი, ხომ? გმადლობთ. :)

•ვინც ჩემზე ცუდი რამე თქვას, პირი გაუპოს... ერთა

• გამარჯობა, მარი. ვარ „გზის“ აქტიური მკითხველი ათენიდან. მალიშას მინდა ვურჩიო, წაიკითხოს გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები, თუ აკლდათ ინტელექტი სოფლელებს.

• წუნია გასათხოვარი/ კრილოვი/ გასათხოვარი ქალი, ქმარს ეძებდა მისთანას, რომ ჯერ იმისი მსგავსი, არ ენახოს ქვეყანას. გვარიშვილი მდიდარი, ლამაზი და ჭკვიანი, ახალგაზრდა და თანაც, ორდენ-ჩინებიანი, სხვების უარისმყოფი, ცოლის მოსამსახურე, მისი მონა-მორჩილი და თვალებში შემყურე. რომ თითქმის გულისთქმითაც არ გაცვალოს სხვაზედა და თვითონ კი ვერ დაძრას, კრინტიც მის ქცევაზედა, ასე შემკულს ყოვლიფრით, ნეტავ სად, ვინ ნახავდა? როგორც გასათხოვარი, მის გულში ისახავდა? ახალგაზრდა კაცები ტყვილად იხიბლებოდნენ და როგორც ტაფლს ბუზები, გარს ისე ეხვეოდნენ. ამბობდა, სულ სხვა არის, ჩემი იდეალიო, არა აქვთ რა მისთანა, რომ ზედ დამრჩეს თვალიო, რად ღალავენ უბრალოდ, ამდენ მაშუალებსო? ესენი თუ შევირთე ნეტავი ჩემს თვალებსო! და ან კი რა მაჩქარებს? სად წამივა ქმარიო? იმათი არჩევანი ხომ ჩემს ხელში არიო? ამისთანა ქცევით მოიშორა მან ყველა და მოტრფიალეთა გუნდიც მალე შემოეთხელა. აღარავინ თხოულობს, არც უგზავნის მაშუალს, მაგრამ თავის იმედი მაინცა აქვს ლამაზ ქალს. გადის დრო და ახლოსაც არავინ ეკარება! ახლა-კი რომ გათხოვდეს, თვითონაც ეჩქარება, აწ აღარ გავარისხებ, გულდიდობით ღმერთსაო, წინანდელ საქმროებში, ავირჩევ ერთ-ერთსაო. იხედება სარკეში, უკვირდება თავის თავს, და რას ხედავს საბრალო? იმისთანა მტერს და ავს! სახედამჭკნარს, ფერმიხდილს, შეჰპარვია ჭაღარა, და რომ იყო მისთანა, ველარ არის... აღარა... დაფაცურდა, ახლა კი აღარ ვიტყვი უარსო და პირველი ვინც მითხოვს, გადავიწერ ზედ ჯვარსო და მართლაც რომ არ დარჩეს, სრულად გაუთხოვარი, იშოვა როგორც იქნა, ვიღაც ოხერი ქმარი. ნანი დუმბაძე.

• მაარ, როგორ ხარ, სიხარულო? იცი, მე თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ თითქმის არც გწერთ. ახლა კი დიდი სურვილი მაქვს, მეც ჩაგერთოთ და მეც ვიაქტიურო სხვებთან ერთად. მოვიკითხავ რუისპირს, კლეოპატრას, ატარექსიას და სხვას. ქაჯების დედოფალო, მისტერ და ნაომი, კარგები ხართ. იმედია, ჩემს მესიჯს ვიხილავ „მობილი-ზაციაში“. გკოცნით ყველას. ნეტიკო.

• მე-18 ნომრიდან ნომერს ვერ ვიგებ. პასუხად მაძლევს, გაარკვიეთ „მობილი-ზაციაშიო“. დამეხმარეთ.

• წმინდა გიორგი დაგლოცავთ, ალალმართალი შვილსაო და დაგიფარავთ მარადჟამს, თქვენ კალთა ღვთისმშობლისაო, ზეცით უფალი გაკურთხებთ, მოგცემთ წყალობას თვისასო!

• გეხუტე იდეალურ აზრებში, ოცნებასავით ლამაზ სულში გესათუთებით. ჩემთვის მგზავნელებზე მეტი ხართ. ბრავო თქვენ!

• ქაჯეთ, ძალიან საყვარელი გოგო ხარ, უზომოდ მახარებს შენი ჩემდამი დამოკიდებულება. არ გავიწყდები და მერწმუნე, არც მე დამავიწყდები. გაიხარე.

• ჩემსავით დაკარგულებო, სად დაიკარგეთ, ჰაა? მოგიკითხავთ და გთხოვთ, ჩემსავით დიდხანს ნუ გაქრებით ხოლმე. მართლა ძალიან მიყვარხართ ყველა, ძველები, ახლებიც და ვინც აწი შემოგვიერთდება, ისინიც. ოღონდ, ეს ფუჭი და ჰაერზე ნათქვამი სიტყვები არ არის, გულით ვამბობ. იასამანი.

• „გზის“ მთელ კოლექტივზე ვგიჟდები, ნამდვილი პროფესიონალები ხართ. ყველა სტატია ძალიან საინტერესოა. დიდი მადლობა ამისთვის. წარმატებებს გისურვებთ.

• ბედნიერების ვგავარ მაცნეს, ან ბედთან მე რა მაქვს დასამდური. სიყვარულისფერ ჩოხას მაცმევს, ამური, ჩემი ტრუბადური! სიო სულში მაღვრის მზის არიებს, სევდავ, თუ შეძელი, გამიძელი. დღეს სიყვარული სტუმარია და მე ვარ მისი მასპინძელი! მე დღეს უნდა გექმნე უსურვაზად გადარეული და გათანგული და დღეს თამადად ჩვენს სუფრაზე იქნება თვითონ სიყვარული.

• ჩემო კარგო მარჩელო, ახლა წავიკითხე შენი სმს და მეგონა, ჩემსას ვკითხულობდი. თითქმის ერთნაირი ხასიათი გვაქვს და ერთნაირად ვფიქრობთ. სასწაულია, რა.

• მივესალმები სრულიად „გზის“ მოსახლეობას... სულ არ მაინტერესებს, უნდა გამეცნოთ, გესმით? მარტო მეგობრულები... გამეცანით, გამეცანით, გამეცანით, გამეცანით...

• ბოლოკ, ცხოვრებაში არაფერმა შეგაშინოს. მთავარი ის არის, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. ღმერთი გვფარავდეს ორივეს, ჩემო ცხოვრება. მიყვარხარ. მენატრები უზომოდ.

• ზ.რ. ტკივილამდე მიყვარხარ. ძალიან ძლიერ. იმდენი რამის თქმა მსურს და ვერ ვახერხებ. ყველაზე უფრო იმაზე მწყდება გული, რომ 19-ში ვერ გნახე. ახლა კი გვიანია.

• ზოგიერთის დაბრუნება გამიხარდა. მარ, აღარ დაგვტოვო, რა.

• საინტერესოა, მარ, რა გაწყენინა ასეთი დიკი ანგელმა, რომ ყველა ნომერში ბოდიშს გიხდის? თან მესიჯებს მაინც უბეჭდავ. არ მოგბეზრდა? თავხედია, ვერ ატყობ? შენ როგორ გადმოგწვდა? მიაბლოკ-მიაიგნორე, რა, რას აშლევინებ ნერვებს?

• როგორ ხართ, საყვარელო და ტკბილო ხალხო? რუი, გაკოცე, კაქი ხარ. ყველამ გაიხარეთ, მპუაა. :-) „გზაშიც“ დაიძაბა სიტუაციაო... :-(კაით რა, ხალხო.

• მე ფიფქს მოვყევი, ციდან მომავალს/ და „გზის“ ფურცლებზე სათუთად მავალს/ თუკი მიმიღებთ, თუკი გამიგებთ/ გადავიფიქრებ აქედან წასვლას./ ვინ იცის, იქნებ ბედმა მითხრას სეკრეტი თქვენი გულისა,/ რომ შეგიყვაროთ, რომ შემიყვაროთ,/ უცნობი მგზავრი მომავალისა.

• გადავიღალო ერთ დღეს იქნება,/ მომწყინდეს, იქნებ შენზე ოცნება,/ ალბათ ოდესღაც მოგენატრება/ ჩემი პატარა ხელის ფერება,/ ძლიერ დამღალა, ამ საოცარმა, ლამაზმა გრძნობამ../ მომენატრება, მე შენი ტრფობა,/ მომენატრება, ვიცი, ეს გრძნობა/ შენზე ფიქრებში კვლავ დაღამდება,/ ეს ჩემი გული, ცრემლით სველდება,/ შენზე ოცნება კვლავაც გამყვება/ მომენატრება, მე შენი ტრფობა./ თითქოს დამთავრდა, შენ მიმართ გრძნობ,/ თითქოს კვლავ ცოცხლობს, ეს საოცარი, ლამაზი გრძნობა.

• აქ პირველად ვარ, ბევრმა დამაინტერესა, სახელშივე ინტრიგაა. იცით, რა ლამაზია მაისი იმერეთში?

• შენი გული უკვე სხვას ეკუთვნის, მაგრამ იცოდე, ჩემი გულიდან არასოდეს წაიშლები. შენ ხომ ჩემი დიდი სიყვარული ხარ, რომელიც შეუძლებელია დავივიწყო. მიყვარხარ.

• აღფრთოვანებული ვარ ზოგიერთის სექსუალური შესაძლებლობის აფიშირებით. იქნებ ასეთებს რომანების წერაში ეცადათ ბედი? არავინაა დედამიწის ცენტრი. ეცადეთ, თქვენი ამპარტავნება და გადამეტებული პატივმოყვარეობა დაძლიოთ, რადგან სხვების თვალში სასაცილონი არ გამოჩნდეთ. კეთილი სურვილებით.

• მინდა ვწერო, ვწერო ბევრი, ვიცი მოხვალ, თუმც არ გელი, ჩამომართვით ყველამ ხელი, ვისაც გიპყრობთ ლექსი მწველი. მე არა ვწერ დიდებისთვის, ჩემს ლექსებს არ უნდათ ტაში, ვწერ იმას, მე რასაც ვფიქრობ და არასდროს გაგცვლით სხვაში. აქ ვარ, რადგან არის ჩუპი, აქ ვარ რადგან არის ბევრი, ვისთანაც ღირს მეგობრობა, მე რითმებით მათთვის ვმღერი. აქ ლიმონაც ბრწყინავს, როცა მოვა, იპყრობს მუდამ სმენას, ისე აგვრევს, გაგვახარებს, ჟრუანტელი გვივლის ყველას. აქ ვიპოვე კიკო, დუჩი, აქ ვიპოვე მე სხვაც ბევრი და ჩემებო, ყველას ერთად, მუდმივად გვფარავდეს ღმერთი. მის რეალის გული ძგერს და ტვინიც მუშავდება თქვენთვის, მისი რითმა და გრძნობები, თქვენს სიყვარულს მუდამ ეტრფის.

• ვგიჟდები ჩვენს მგზავნელებზე. რუისპირი, ძალიან საყვარელი ხარ. ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. გკოცნით ბევრს. მარი, უსაყვარლესი ხარ.

• ჩემო ბოლოკ, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. სულით და გულით შენთან ვართ ყოველთვის, ყოველ წუთს და ყოველ წამს. სულ შენ გახსენებთ. იმედი გვაქვს, რომ მალე გნახავთ.

• ახალო კაცო, ნუ ხარ ასეთი კატეგორიული. ყველას თავისი სიმართლე აქვს და შენ არავის ადვოკატად არ გამოდგები, ისევე, როგორც მე. გისურვებ, ღირსეული ადგილი დაგემკვიდრებინოს „გზაში“. აქ საოცრად კარგი და მეგობრული ხალხია და მჯერა, სიკეთესა და ზრდილობას დაგიფასებენ. მშვენიერი ლექსი იყო, მასე გააგრძელე.

• ვაჟა, ძალიან მენატრები. მაგრად უნდა იყო. გთხოვ, თავს მიხედე. წერილს ვერ გიგზავნი. ვახომ მითხრა, „გზას“ კითხულობსო. თუ მოვახერხე, წერილს მოგწერ. ძალიან მიყვარხარ.

• ფუ, ამ თავხედ გოგონებზე ნერვები მეშლება. ე.ი. სხვა მგზავნელები დებილები ვართ, თქვენ — პროფესორები. ზნეობას და უზნეო ხალხს თავად უზნეოები იცავენ.

• მალადი, გმადლობ ნდობისთვის. ადრევე რომ მცოდნოდა, შეცდომა აღარ

მომივიდოდა. სამარე ვარ, მე და ნიკა ვამუშავებთ.

•ბედნიერებად მეყოფა შენი ასეთი ტრფიალი, ხარ ჩემი გულის დამჭრელი, ამურის ტკბილი ისარი. ძალიან მომნატრებია შენი თვალების ციალი. გაკოცე, ზღვისფერთვალებავ.

•სეხნიას: აქ ამ სახელით მე ვარ და საკუთარ ამბიციებს ამ სახელს ნუღარ დაუკავშირებ ან რამე განმასხვავებელი მოიფიქრე. ის 2 მესიჯი მე არ მეკუთვნის.

•ეჰ, ჩემო კარგო, სიტყვა არ გამიტეხია, მარა აქ სხვა საზომია და დატოვა მარიმ ჩემი ლექსები კონკურსგარეშე.

•გამარჯობა მარი დეიდა, ვარ 11 წლის. დიდი ხანია ვკითხულობ „გზას“ და ძალიან მინდა, გავხდე მგზავნელი... იმედია, მიმიღებთ (თუ არ მიმიღებთ, ვიტირებ).

•გამარჯობა, მგზავნელებო. აქამდე არ წამიკითხავს „გზავნილები“ და ახლა აქ, გერმანიაში წავიკითხე. ძალიან კარგები ხართ, ერთმანეთს რომ ასე ანუგეშებთ. შვილი დავტოვე მოხუცი დედის იმედზე. ძალიან მიჭირს. ხანდახან თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობ, მაგრამ ჩემს შვილებს რა ეშველებათ? კარგები ხართ. ტკბილი სიტყვაც წამალია, ნუგეში კი მალამო.

გილოცავ!

•ძაან საყვარელ ხალხს, ერთმანეთის ბიძაშვილებს — იაგო, ვოვა და მაკა ხიჯაკაძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს, 29, 30, 31 მაისს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას.

•რიტა ჯავახიას: დაიკო რიტ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. ოცნებების ასრულებას, დიდ და ლამაზ სიყვარულს. გისურვებთ ბედნიერ მომავალს, შენთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად. გფარავდეს ღმერთი. გკოცნით, ნატა და ედო.

•ვოვა ხიჯაკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ლამაზ მომავალს და სუფთა, უმანკო სიყვარულს გისურვებ, სიხარულო. უფლისგან ყოფილიყავი დალოცვილი მუდამ. ნინო წიქარიშვილი.

•ხაშურში მცხოვრებ ბაჩო ნებიერიძეს დაბადების დღეს, 1-ელ ივნისს ულოცავენ მაია, ბაქარი და ბადრი. იხარე ბაჩო, შენს მეუღლესთან, სოფოსთან და ტყუპთან. მარია.

•სოფიკო, გილოცავ დაბადების დღეს, 6 ივნისს. მიყვარხართ შენ და შენი ტყუპი. მაია ბარათელი.

•ნოდარ ჯაშიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 1-ელ ივნისს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, თემურისთან და თორნიკესთან ერთად. იხარე და იბედნიერე. დორდენ.

•ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს შვილიშვილს, საბა ვაშაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 3 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გილოცავ ჩემო კარგო გიორგობის დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეს. მინდა იცოდე, რომ ვამაყობ შენით. გთხოვ, მაგრად იყავი, გაუფრთხილდი შენს თავს. ყველაფერი მოგვარდება.

•ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მეგობარს, ნანკა სიხარულიძეს ვულოცავ სიყვარულის დღეს. სულ სიყვარულსა და სიხარულში გაგევლოს მთელი ცხოვრება. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო, თუ როგორ მიყვარხარ. გკოცნი და მენატრები. ნინიკო.

•ჩემს მძახალს, დალი მასურაშვილს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგთენებოდეს. მანანა.

•ნინიკო, გილოცავ პატარას დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაგეზარდოს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

•ქუთაისში, საფიჩხიაზე, ტარიელ მინდაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ივნისს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად.

•ჩემს პატარა ვაჟკაცს, ოთიკო მამალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 მაისს. უკვე 3 წლის გახდი და დიდი კაცი ხარ. გაიხარე და გაიზარდე, შენს ძმიკოსა და დაიკოსთან ერთად. ღმერთმა უბედნიერესები გამყოფოთ, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. ნანიკო მამიდა.

•ჩემს საყვარელ მამას, თამაზ მერაბიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. შენი შვილი, ნატალია.

•ხაშურში მცხოვრებ ზაზა ელოშვილს ვულოცავ 9 ივნისს, 24 წლის იუბილეს. ზაზ, გისურვებ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად.

•მარიკო წიკლაურს ვულოცავ 5 ივნისს, დაბადების დღეს. საყვარელო ადამიანო, დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. თინი.

•აღდგომის დღესასწაულს ვულოცავ მთელ თიანეთს და ჩემს კოლეგებს, სკოლაში. უფალი გფარავდეთ! მიყვარხართ. მალე მენახოთ ბედნიერნი.

•ჩემს ნათლიას, ლამაზ და მშვენიერ რუსუდან ფაილოძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ივნისს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ და გკოცნი.

•მარი, გილოცავ დაბადების დღეს, 9 ივნისს. გისურვებ უფლის მფარველობას, ჩემო თოჯინავ. შენი სიცოცხლე, მამუკა.

•მარი, პირველად გწერთ. უფლის აღდგომას, გიორგობას გილოცავთ. მიყვარხართ. საქართველოში ახლა ჩამოვედი და მომეცი საშუალება, მოგეფეროთ. დამიბეჭდე, რა.

•საკუთარ თავს მინდა დაბადების დღე მივულოცო, ჰა მარი, ხომ დამიბეჭდავ? გაიხარე. მადლობა თქვენ, რომ არსებობთ.

•თბილისში, ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგს, ნანა კობიაშვილს ვულოცავ გიორგობას. ნანუჩი, მალე გეპოვოს ჭეშმარიტი სიყვარული. გფარავდეს უფალი.

•ჩემს მონატრებულ მეგობარს, ათენში დროებით მყოფ ლაურა მიგრიაულს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნი. ნანი.

•ხატი, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ვანო მაისურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. ჩემო პატარა ანგელოზო, მიყვარხარ და მენატრები. შენი ბებია.

•მარინა სადუნიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთს თავისი წყალობა შენი ცხოვრების გზაზე დაებერტყოს.

•ნანა დიასამიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. გაიხარე და გამრავლდი, გფარავდეს ყოვლადწმინდა. გკოცნი, თამილა.

•რუსუდან ტაბატაძეს ვულოცავ დაბადებისა დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფლის კალთა. გკოცნი.

•მამუ, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ნიკა ჯაფარიძესა და მარინა ლაკობას ვულოცავ დაბადების დღეს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. ნანა.

•ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს დედას, ნატალი გურგენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. რწმენით, სიკეთითა და სიყვარულით გეცხოვროს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ნატა გურგენიძეს: დაბადების იმ ლამაზ ღამეს შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცია. ლალი.

•18 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავთ ნატო გურგენიძეს. ვუსურვებთ გაზაფხულისამებრ წარმტაცი და აყვავებული ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა. სიყვარულით, მეგობრები.

•დაიკო, 4-ში დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ შენი ოცნების ასრულებას. ჩემი ლამაზი, ძაან მიყვარხარ, უფალი გფარავდეს. ასევე ჩემს თავსაც ვულოცავ იუბილეს.

•გამარჯობა სიხარულო. გილოცავ მეუღლის დაბადების დღეს. არაფერი იჯავრო, ადრე თუ გვიან, ყველაფერი მოგვარდება. მთელი ცხოვრებაა წინ. გელით. გვიყვარხარ და გვენატრები. ელენე.

•საყვარელ დედას, ირმა მუშკუდიანს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელ და ულევი სიხარულით სავსე ცხოვრებას.

•ჩემს საყვარელ დეიდას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს გი-

სურვებ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ.

•ჩემს სიცოცხლეს, თემურ მალაქმანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ულევ სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფალი, ჩემო სიხარულო.

•7 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ანგელოზს, მარიკუნა გელაშვილს. რწმენით, სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემო კუდრაჭავ.

•ჩემს სიცოცხლეს, ლაშიკოს ვულოცავ დაბადების დღეს და ქუთაისობას. სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემთან და ჩვენს მერცხლებთან ერთად, სიხარულო. უფალი გფარავდეს.

•ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, ირინა ნათაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, მონატრებული დედიკო, თინა.

•მეგობარს, გულო ბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ საუკეთესო სურვილების შესრულებას. საყვარელ ოჯახთან ერთად გაიხარე, ჩვენო საყვარელო. გულო, გილოცავენ მეგობრები.

•ჩვენო ბათურიკა, ძალიან გვენატრები. გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და სულ მალე ოჯახთან ყოფნას. ჩათვალე, რომ რაც ხდება, ძალიან ცუდი სიზმარია და მალე გათენდება. ყველაფერი ჩაივლის და მალე გნახავთ. არ დაგავიწყდეს არასოდეს, რომ სიმართლის და სიკეთის სანთელი არასოდეს ქრება. აბა, შენ იცი ბუბუ, მაგრად იყავი. გკოცნით. გვიყვარხარ და სულმოუთქმელად გელით. დროებით ათენში მცხოვრებ გაბუნია მანანას დიდი სიყვარულითა და ლამაზი სურვილებით მინდა მივულოცო დაბადების დღე. შენი სიცოცხლის ყოველი დღე ყოფილიყოს მზის შუქივით ბრწყინვალე და ნათელი. გისურვებ ბევრ ლამაზ წელს.

•ჩემო ლამაზო, უპირველეს ყოვლისა, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. არ მოიწყინო, გამაგრდი. მალე გაივლის დრო და ისევ ოჯახთან იქნები. აბა შენ იცი, მაგრად იყავი.

•ხაშურში გელას და მაიკოს ვულოცავთ შვილის, პატარა თორნიკეს დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და სასახელო გაზარდოს. გკოცნით შორიდან და მენატრებით.

•6 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ 3 წლის უნახავ და სიგიჟემდე მონატრებულ შვილიშვილს, გიორგი ლაშქარაშვილს. წმინდა გიორგის კალთა და ძალა გფარავდეს, ჩემო სიხარულო, მუდამ. გაიხარე და გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. მიყვარხარ და მენატრები. გკოცნის გულში მაკა ბებო.

•სალონიკში დროებით მცხოვრებ ჩემს დაიკოს, ლიანა კოღუას ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ივნისს. დაი, ბედნიერი და გახარებული მეყოლე, მთელი ცხოვრება. ხათუნა.

•ჩემს მონატრებულ შვილებს, თეონა და ნატა კობახიძეებს მინდა მივულოცო 7 და 19 ივნისი, დაბადების დღე. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. ვარდობის თვეში დაიბადეთ და ია-ვარდით ყოფილიყოს თქვენი მომავალი მოფენილი. თქვენი დედიკო.

•ჩემს მონატრებულ შვილს, ზურა მამაცაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 ივნისს. გისურვებ ჯანმრთელობას, გახარებას, შენს მეუღლესთან და მომავალ პატარასთან ერთად. გამიმრავლდი ქვეყანაზე, ჩემო შვილო. გკოცნის დედა ნინო.

•ათენში დროებით მყოფ მეგობარს, რუსუდან ლაბაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ვარსკვლავი ბევრია, მთვარე კი ერთი, სიცრუე ბევრია, სიმართლე ერთი, ამ ქვეყანაზე ხარ ერთადერთი, ჩემო მეგობარო, გფარავდეს ღმერთი.

•ყველას გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარით და გფარავდეთ მისი მადლი და ძალა (რა მეშველება? ამ კვირას „გზა“ არ ჩამოიტანეს).

•ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, მანანა ლაცაბიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ივნისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, დედიკო ნინა.

•SWEET GIRL-ს ვულოცავ დაბადების დღეს. ძალიან, ძალიან მიყვარს.

•ჩვენს საყვარელ შვილს, თიკო ლომიძეს 30 აპრილს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ დიდ სიხარულს და ლამაზ მომავალს! დედა, მამა და ნინო.

•მალხაზ და მაიკო თაბაგარებს 30 აპრილს ვულოცავ დაბადების დღეს. იყავით მუდამ ასეთი ლამაზები და ნიჭიერები! თქვენი თანაკლასელი და მეგობარი.

•საყვარელ მამიკოს, დათო აბაშიძეს ვულოცავთ იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და ყველა ოცნების ასრულებას.

•ნათია სვანო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, საყვარელ ქმარ-შვილთან და ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. გკოცნი.

•ნათია სვანო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას და სიხარულს გისურვებთ. მრავალს დაესწარი ზვიადთან, ანანოსა და ოჯახთან ერთად.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

•ჩვენს ბიძაშვილს, თორნიკე მუხაძეს ვულოცავთ გიორგობას და დაბადების დღეს, 7 ივნისს. თოკო, გისურვებთ კარგ სწავლას და ოცნებების ასრულებას.

•მარიკუნა, ჩვენს უტკბეს და უსაყვარლეს SWEET GIRL-ს ვულოცავ იუბილეს! თათ, ღვთის წყალობა, ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და წარმატებები! გკოცნი გულში. CRAZY GIRL.

•მახო, 7 ივნისს შენი დაბადების დღეა. გილოცავ. გამიმრავლდი და ბედნიერი მიმყოფოს ღმერთმა შენი თავი. სიდო ბაბო.

•ათენში მყოფ ჩემს მეგობარს, ნელი აკოფაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. სიხარულით სავსე ცხოვრებას, ოჯახთან ერთად. გკოცნი. მარი.

•მარი დეიდა, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი, ჯანმრთელი და გახარებული მენახე, ქმარ-შვილთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. გკოცნი. ხატია.

•ჩემს საყვარელ მამიდას, ლილი წიკლაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ყოველივე კარგს გისურვებ. გაიხარე და იდღეგრძელე... ნატალია.

•8 ივნისს დუდანა თხელიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბებო, 65 წლის ხდები. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ძალიან, ძალიან გვენატრები, ჩემო სიცოცხლევ. ძალიან უყვარხარ ყველას, გფარავდეს უფალი, გკოცნით და გეფერებით.

•9 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავ დავით გულიაშვილს. ბედნიერებას გისურვებ. მიყვარხარ. შენთვის ნაცნობი უცნობი.

•ლიაკო, გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ლამაზუკა, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ ცხოვრებაში... და ჩვენ რომ ვიცით, კიდევ იმას. :) თუთიყუში.

•ხათუნა, 30 მაისს გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, კეთილის მსურველებით. გფარავდეს ღმერთი. სიყვარულით, შენი ქმარ-შვილი, დათო, მარი გუგა ჩიორაშვილები.

•ჩემს სიცოცხლეს, აჩიკო ვერულაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, ღმერთი იყოს შენი მფარველი და მრავალს დაესწარი, ჩემთან ერთად. მაკო.

•კუკა, ჩემო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს, 10 ივნისს. გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენი სიცოცხლე.

•წმინდა გიორგი დაგლოცავთ, ალალმართალი შვილსაო და დაგიფარავთ მარადჟამს, თქვენ კალთა, ღვთისმშობლისაო, ზეცით უფალი გაკურთხებთ, მოგცემთ წყალობას თვისასო. მრავალ გიორგობას დაგასწროთ უფალმა, ჩემო ძვირფასო მარი და ჩემო საყვარელო მგზავნელებო!

•გიორგობაა დღესაო, ფერი შესცვლია მზესაო. დღეს მისი მადლი გფარავდეთ, გულით ვისურვე ესაო, მუდამ მის მადლით დაფარულს, გხედავდეთ ბედნიერსაო...

•მარინა სიამაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ივნისს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. იყავი ბედნიერი. ძალიან მიყვარხარ. შენი მეგობარი, ნია.

დასაწყისი იხ. გვ. 17

— საავტორო უფლებების დაცვაში მაგალითი შეიძლება ავიღოთ უნგრელებისგან. პატენტების ბიზნესში ჩადება ძალიან კარგად არის აწყობილი ისრაელსა და გერმანიაში; გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა (ღვინის, ყველის დასახელებებში და ა.შ.) — საფრანგეთში, იმიტომ, რომ მათ ამის დიდი ტრადიცია აქვთ. რაც შეეხება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას, ეს ევროპის ქვეყნებში უფრო მაღალ დონეზეა. მაგალითს ისეთი სახელმწიფოებისგან ვიღებთ, რომლებმაც განვითარების ჩვენნაირი ეტაპი გაიარეს.

— ის დავები რა ეტაპზეა, რომლებიც ქართულ ღვინოებთან დაკავშირებით გაქვთ?

— ჯერჯერობით არ დასრულებულა. შპს „დოზორცევი და შვილები“ 1999 წლიდან ეწეოდა ქართული ღვინის დისტრიბუციას აშშ-ში, მერე გადაწყვიტა, ყველაზე გაყიდვადი ბრენდები — „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“ აშშ-ში დაერეგისტრირებინა, როგორც საკუთარება, რის შედეგადაც 2006 წლიდან ამ ბრენდებზე ექსკლუზიური უფლება მიიღო. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნული ბრენდების ბაზარზე გატანაში ქართულ კომპანიებს არ ზღუდავდა. როცა „საქპატენტში“ 18 დასახელების ქართული ღვინის საქართველოს საკუთრებად დარეგისტრირების საკითხი დავაყენეთ, მასთან წინააღმდეგობაში მოვედით. შევთავაზეთ — დაგვიბრუნოს ბრენდი, გამოცხადდეს საქართველოს საკუთრებად და შემდეგ მივცემთ გამოყენების უფლებას. ჯერჯერობით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საქმეში ჩვენი ადვოკატები არიან ჩაბმული...

— ეს თავის დროზე ვის მიერ დაშვებული შეცდომის ბრალია?

— თავის დროზე ეს ქართველების უყურადღებობის გამო მოხდა, კერძოდ — იმ კომპანიის, რომელიც ამ ბრენდების დისტრიბუციას ახდენდა. როგორც დოზორცევი ამბობს, მას აქვს ქართული კომპანიის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომლითაც (ვერ გეტყვით, ასე რატომ მოხდა) დისტრიბუციაზე ექსკლუზიური უფლება მიანიჭეს. არადა, მათ არ ჰქონდათ უფლება, ბრენდი მიეყიდათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბრენდი მათი საკუთრება არ იყო.

— ეს მოლაპარაკება ჩვენთვის მისაღები პასუხით რომ არ დამთავრდეს, მერე რას აპირებთ?

— მერე იძულებული ვიქნებით, პეტიციის წესით გავასაჩივროთ ამერიკის საპატენტო უწყებაში. იურიდიული თვალსაზრისით, ყველა საფუძველი გვაქვს, რომ „ხვანჭკარა“ დავიბრუნოთ: ეს არის ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და ამის დამტკიცება შეგვიძლია. თავის დროზე დოზორცევს ამერიკელებმა სწორედ ამ მიზეზით, ორჯერ უთხრეს უარი რეგისტრაციაზე. მას დისტრიბუციის პრობლემას არ შევუქმნით, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბრენდების მესაკუთრე — საქართველოა.

— ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის?

— არა, შესაბამისობაშია. მცირე ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საკანონმდებლო პაკეტს ვამზადებთ. მაგალითად, „საქპატენტი“ იცავს ახალ ჯიშებს, მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი ტრადიციული ჯიშების დაცვაზე. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მოვამზადეთ კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ტრადიციული ჯიშების დაცვა. ხშირია შემთხვევა, როცა ქართული ჯიშის ყურძნის გამოყენება ხდება და სამართლებრივი ბაზის არარსებობის გამო, ქართული რომ არის, ამის დამტკიცება ჭირს. აღარაფერს ვამბობ ქართულ ნაგაზსა (რომელსაც ყველა „კავკასიურს“ ეძახის) და ქართულ ფუტკარზე. ვფიქრობთ, კანონპროექტი სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებითაც მოვამზადოთ.

— წინა წლებთან შედარებით იმატა თუ არა იმ ადამიანთა რიცხვმა, რომლებსაც პატენტის აღებაზე თქვენთან განაცხადი შემოაქვთ?

— რა თქმა უნდა, განაცხადების რაოდენობამ იმატა. წელიწადში 500-დან 600-მდე პატენტი გაიცემა. რაც მთავარია, ადრე გამოგონებების უმეტესობა მხოლოდ ფურცელზე რჩებოდა და გამომგონებელს ამისგან არანაირი შემოსავალი არ ჰქონდა. საერთაშორისო გამოცდილება გავითვალისწინეთ: არაერთ ქვეყანაში არსებობს ე.წ. ტრანსფერების ცენტრები, სადაც ამ გამოგონებების ბაზაში განთავსება, მარტივად რომ ვთქვათ — გაყიდვა ხდება. ამ საქმის აწყობაში უცხოელები გვეხმარებიან. გარდა ამისა, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს ვაძლევთ შესაძლებლობას, დამატებითი შემოსავალი გაუჩნდეთ. მაგალითად, ისრაელში ასეთი სქემა არსებობს: თუ რომელიმე მეცნიერთანამშრომელს აქვს გამოგონება, ინსტიტუტი აფინანსებს პატენტის აღებას და მერე ამ პატენტს ყიდის; ინსტიტუტსაც და გამომგონებელსაც თავ-თავიანთი წილი ერგებათ. უმაღლეს სასწავლებლებს გამოგონებების კომერციალიზაციით უდიდესი შემოსავალი აქვთ. ამ მეთოდს საქართველოშიც ვნერგავთ.

— რა საფასურის გადახდაა საჭირო პატენტის მისაღებად?

— სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა თანხაა გადასახდელი. შეღავათები გვაქვს პენსიონერებისთვის, მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის — მათთვის საფასურის 90%-ს სახელმწიფო იხდის. საქართველოში დაპატენტების ხარჯი ძალიან დაბალია. იმისთვის, რომ ეს პატენტი ღირებული გახდეს, მნიშვნელოვანია, რომ პარალელურად მოხდეს განაცხადის შეტანა აშშ-ის საპატენტო უწყებაში, როგორც ამას ისრაელში აკეთებენ.

— აშშ-ში რატომ?

— იმიტომ, რომ იქიდან ხდება პატენტის ბაზაში შეყვანა. აშშ-ში საბოლოო ეტაპამდე მისვლა ცოტა ძვირი ჯდება, მაგრამ გაყიდვიდან შემოსავალს იღებ. პატენტის მისაღებად შემოტანილ განაცხადს ჯერ ფორმალური ექსპერტიზა უტარდება, მერე — არსებითი; პატენტი 9-11 თვის განმავლობაში, ყველა ეტაპის გავლის შემდეგ გაიცემა. ძალიან მნიშვნელოვანია სასაქონლო ნიშნების (ბრენდების) რეგისტრაციაც. წინა წლებში ისე ხდებოდა, რომ თავიანთ პროდუქციას უცხოელები უფრო ხშირად არეგისტრირებდნენ საქართველოში; ქართველების აქტივობა ნაკლები იყო.

— ახლა რა ხდება?

— რატომ არის მნიშვნელოვანი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია — ამ თემაზე არაერთი შეხვედრა გავმართეთ. ამ შეხვედრებს უქმად არ ჩაუვლია: ბოლო დროს ქართულმა კომპანიებმა თავიანთი სასაქონლო ნიშნების დარეგისტრირება მასობრივად დაიწყეს. ეს კარგი ტენდენციაა. ფინანსური კრიზისის დროს, განცხადებების რაოდენობამ ცოტა იკლო, მაგრამ ბოლო წლებში გაიზარდა. უცხოეთში ხშირად ადგენენ ბრენდების რეიტინგს. ეს პრაქტიკა საქართველოშიც უნდა დავამკვიდროთ.

— ჩვენს ქვეყანაში ახლახან ევროპის საპატენტო უწყების ექსპერტები იმყოფებოდნენ. მათი ვიზიტის მიზანი რა იყო?

— ჩვენ უცხოურ ორგანიზაციებთან ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ, გვინდა, რომ საქართველო ევროპის საპატენტო ორგანიზაციის წევრი გახდეს. მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი, ჩვენთან ჩამოსულები იყვნენ ქიმიკოსები და ქიმიაში ექსპერტიზის დონეებზე სემინარი ჩაატარეს. ინტელექტუალური საკუთრება — ჩვენი სიმდიდრეა, შეუფასებელი განძია, მას დაცვა და პატრონობა სჭირდება. ■

ტაიმ-აუტი

ნაციონალური კერძები მწერებით

ბამბუკის შემწვარი მატლები

ტაილანდი, ჩინეთი და ლათინური ამერიკა

თუ ევროპელები სადილს წვნიანითა და ბოსტნეულის სალათით იწყებენ, ტაილანდელები ბამბუკის შემწვარ მატლებს მიირთმევენ. ეგზოტიკური კერძი გემოთი პოპკორნს ჰგავს. სხვათა შორის, პოპკორნზე დიდი მოთხოვნილებაა, რის გამოც, მატლებს სპეციალურ სათბურებში ამრავლებენ. ევროპისა და აზიის სუპერმარკეტებში დაფასოებული ბამბუკის შემწვარი მატლები იყიდება.

ხოჭოს მწვადი

აღმოსავლეთ ინდონეზია

მსხვილ, გრძელულვაშიან ხოჭოებს ინგლისელები ხოჭო-თხის რქებსაც ეძახიან. ისინი პალმის ხეებზე ბინადრობენ. ამბობენ, რომ შემწვარ ხოჭოს ბეკონის გემო აქვს.

ყველი მატლებით

სარდინია

CASU MARZU ჰქვია ყველს, რომელშიც დაძველების შემდეგ მატლები ჩნდება. იგი აფროდიზიაკად ითვლება და, მას როგორც წესი, მატლებიანად მიირთმევენ. ყველის დაგემოვნების დროს ადამიანს აუცილებლად სათვალე უნდა ეკეთოს, რათა 1 სმ-იანი მატლებს 15 სმ-ზე შეუძლიათ ახტომა და დეგუსტატორს შესაძლოა, თვალშიც ჩაუხტნენ. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ ყველით ვაჭრობა აკრძალული იყო და მას მხოლოდ შავ ბაზარზე ნახავდით. 2010 წელს CASU MARZU სარდინიის კულტურულ ღირებულებად აღიარეს და მას შემდეგ იგი თავისუფალ გაყიდვაშია.

მუხლუხოს ჩირი

სამხრეთ აფრიკა

აფრიკის ბაზრებში მუხლუხოს რამდენიმე სახეობა — ჩირი, მარინადი, შებოლილი — იყიდება. ეგზოტიკურ ინგრედიენტს ფაფებსა და სხვადასხვა სოუსს უმატებენ. მუხლუხოს ქალები და ბავშვები აგროვებენ. ყველას საკუთარი ხე აქვს მონიშნული, რადგან მუხლუხოს სხვის ხეზე შეგროვება სირცხვილად მიიჩნევა.

მოხარშული კრაზანა

იაპონია

იაპონურ კერძებს — ხატინოკოსა და ძიბატინოკს კრაზანისა და ფუტკრებისგან ამზადებენ. მათ ძირითადად, ხანდაზმული იაპონელები მიირთმევენ, რომლებსაც ომის შემდგომ წლებში მოუხდათ ცხოვრება. იაპონიის ზოგ ტავერნაში ლუდზე მისაყოლებლად შემწვარ კრაზანებს მოგართმევენ. სოფელ ომატიში დელიკატესია კრაზანების ორცხობილა. სხვათა შორის, მწერების კერძი იაპონიაში საკმაოდ ძვირი ღირს. ტოკიოსა და დიდი ქალაქების სუპერმარკეტებში დაკონსერვებული ფუტკრები იყიდება.

შემწვარი ჭიანჭველები

მექსიკა, კოლუმბია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა

კალიის შემდეგ ჭიანჭველა საჭმელად ვარგისი ყველაზე პოპულარული მწერია. კოლუმბიის კინოთეატრებში პოპკორნის ნაცვლად შემწვარ ჭიანჭველებს ყიდიან. ყველაზე გემრიელი მწერები ავსტრალიაში ბინადრობენ. ჭიანჭველები მცენარის ტკბილი ნექტრით იკვებებიან. „ტკბილი ჭიანჭველები“ აბორიგენთა დელიკატესია.

წყლის ბაღლინჯო

ტაილანდი, ვიეტნამი, ფილიპინები

აზიაში წყლის ბაღლინჯოები 12 სმ-მდე იზრდებიან. ამიტომ ტაილანდელები მათ ზეთში კარტოფილი ფრისავით წვავენ. შემწვარ ბაღლინჯოს კრევეტის გემო აქვს.

ჯალია ავოკადოს სოუსით

მექსიკა, ჩინეთი

მექსიკელი დიასახლისი კალიას ხარშავს, წვავს, აშრობს, მარინადში დებს. ჩინეთში კალიების მწვადს ამზადებენ, უგანდაში — წვნიანს.

ნემსიყლაპია

ბალი

ბალიზე ნემსიყლაპიებს მიირთმევენ. მას ან გრილზე წვავენ, ან ქოქოსის რძესა და სანელებლებში ხარშავენ.

ტარანტულის მწვადი

კამბოჯა, იაპონია

ნიორსა და მარილში ამოვლებულ, ნაკვერჩხალზე შემწვარ ტარანტულს ქათმისა და თევზის გემო დაჰკრავს. ტარანტულის მწვადს (გიგანტური მწერი 28 სმ-მდე იზრდება) იაპონიაშიც მიირთმევენ. ლაოსსა და ახალ გვინეაში წვრილ ობობებს ზეთში ხრაკავენ.

დაბოლოს, ბუნებაში სულ 1462 საჭმელად ვარგისი მწერია. ■

მსოფლიოს საუკეთესო ზოოპარკები

სინგაპური

ზოოპარკი ტროპიკულ ტყეში, 28 ჰექტარზეა გადაჭიმული. იქ არ არის გალიები და ვოლიერები და ყველა

ცხოველი თავისუფლად დასეირნობს. მათთვის იდეალური პირობებია შექმნილი. სტუმრებს ზოოპარკის დასათვალიერებლად შეუძლიათ, ნავი იქირაონ ან იქ მინიატიურული მატარებლით იმოგზაურონ და დღესასწაულების მოწყობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე დაბადების დღე ან ქორწილი გადაიხადონ.

ფინეთი

ქვეყნის ჩრდილოეთით გაშენებული პარკი ლაპლანდიიდან 80 კმ-ში მდებარეობს. ზოოპარკში 60 სახეობის ცხოველი ბინადრობს. დამთვალიერებლებს თხილამურებით სრიალი, ირმებისა და ძაღლების მარხილებით სეირნობა შეუძლიათ. ზოოპარკის ტერიტორიაზეა ფინეთის ყველაზე დიდი ვეტერინარული კლინიკა.

ლონდონი

უძველესი ზოოპარკი 1828 წლის 27 აპრილს გაიხსნა. თავდაპირველად იგი სამეცნიერო ცენტრი იყო, სადაც ცხოველების შესწავლა და მათზე დაკვირვება ხდებოდა. პირველი დამთვალიერებელი პარკში 1847 წელს შეუშვეს. ზოოპარკში 755 სახეობის 16 ათასი ცხოველი ბინადრობს.

პრაღა

ზოოპარკში უნიკალური ცხოველების გარდა, 300 სახეობის უჩვეულო მცენარის ნახვაც არის შესაძლებელი. პარკს წელიწადში მილიონი სტუმარი ჰყავს. მათთვის მხიარული კონკურსები ეწყობა. მაგალითად, ორანგუტანგის დაბადების დღეს ცხოველთან ვოლიერში იმ დამთვალიერებელს უშვებენ, რომელიც მასთან შესვლას ყველაზე მეტად ისწრაფვის.

იერუსალიმი

ზოოპარკი 1940 წელს გაიხსნა. აქ მდებარეობს ხელოვნური ტბები, მდელოები და ჩანჩქერები. დამთვალიერებლები ტბებზე ნავებით ისეირნებენ, ხოლო პარკის ტერიტორიაზე — საბავშვო მატარებლით. ზოოპარკის ტერიტორიაზე „ბიბლიური ბუნების კუთხე“ მდებარეობს, სადაც ძველი პალესტინის ლანდშაფტია აღდგენილი. პარკის სიმბოლო ნოეს კიდობანია.

ტაილანდი

ზოოპარკი დამთვალიერებლებისთვის 24 საათის განმავლობაში ღიაა. ღამის სტუმრები ვოლიერებთან ტრამვაით მიჰყავთ და ფარნის შუქზე ცხოველთა შესახებ უყვებიან. დღისით დამთვალიერებლებს აღმოსავლეთში ყველაზე დიდი, მუსიკალური შადრევნის, ლოტოსების ტბის და, რა თქმა უნდა, ცხოველების ნახვა შეუძლიათ. ზოოპარკის ტერიტორიაზე ბავშვებს სხვადასხვა გასართობი — სათამაშო მოედანი, გასეირნება მინიმატარებლით და შემეცნებითი ცენტრი ელის.

ბერლინი

ზოოპარკი 1844 წლის 1-ელ აგვისტოს გაიხსნა. მას ყოველდღიურად 2,6 მლნ ადამიანი სტუმრობს. აქ 1500 სახეობის ცხოველი ჰყავთ დამწყვდეული.

ბაღდადი

ქვეყანაში არსებული საომარი ვითარების გამო ზოოპარკი თითქმის განადგურდა. 2002 წლის მონაცემებით, 650 ცხოველიდან მხოლოდ 35 დარჩა. ზოგი შიმშილით მოკვდა, ზოგიც მაროდიორთა მსხვერპლი გახდა. ახლა ზოოპარკს ბუნების დამცველი ენტონი ლოურენსი ჰპატრონობს. მისი ხელშეწყობით ზოოპარკში ცხოველთა რიცხვი 1070-მდე გაიზარდა.

ავსტრალია

„ავსტრალია“ 1970 წლის 3 ივნისს ბობ და ლინ ირვინებმა, ტელეწამყვან სტივენ ირვინის მშობლებმა გახსნეს. სტივენი წყალქვეშა ბინადრებზე სიუჟეტის გადაღების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა და ზოოპარკის ტერიტორიაზეა დაკრძალული. ირვინებს გადაწყვეტილი აქვთ, 2011 წლის ბოლომდე ერთ-ერთ ტბაზე ხელოვნური კუნძული ააშენონ, სადაც მადაგასკარიდან ჩამოყვანილ ცხოველებს დაასახლებენ.

მაიამი

იდეალური კლიმატის გამო სხვადასხვა ქვეყნიდან და კონტინენტიდან ჩაყვანილი ცხოველები თავს შესანიშნავად გრძნობენ. გარდა ამისა, პარკში 300 სახეობის ეგზოტიკური ფრინველიც ჰყავთ.

■

მოამზადა *რუსუდან* *გელაშვილმა*

ანეკდოტები

* * *

სვანი დირექტორი მდივან ქალს ორ ფურცელს აძლევს ნაბეჭდი ტექსტით:

— ერთი ორიგინალია, მეორე ქსეროასლი. შეადარე, შეცდომა არსად იყოს გაპარული.

* * *

ორი ქირურგის დიალოგი:

— როგორ ჩაიარა ოპერაციამ?

— არა, რა! ნარკოზით საინტერესო არ არის!

* * *

ავტობუსი გაჭედილია. ჭარბწონიანმა ქალბატონმა უკვე მესამედ დააბიჯა ფეხი გამხდარ, მელოტ კაცს.

— მოეჭიდეთ რამეს, ბოლოს და ბოლოს, ქალბატონო! — მოთმინებიდან გამოვიდა კაცი.

— გაქვს რამე მაგნაირი? — იქედნურად იკითხა ქალმა.

* * *

სვანი მეორედ ჩავიდა პარიზში. ხედავს ეიფელის კოშკი ისევ თავის ადგილას დგას:

— აუ, ამათ კიდევ ვერ იპოვეს ნავთობი...

* * *

ფსიქოანალიტიკოსთან პაციენტი მივიდა, დივანზე ჩამოჯდა და ხმას არ იღებს. გავიდა ნახევარი საათი. ფსიქოანალიტიკოსმა ვეღარ მოითმინა:

— დიდხანს ვისხდებით ასე ჩუმად? აღარ მეტყვით, რა გაწუხებთ?

— ცოლი, ექიმო, ცოლი. იმდენს ლაპარაკობს, მთელი დღე არ ჩერდება. აი, თქვენთან კი კარგია — სიწყნარეა...

* * *

— რატომ ხარ გაბრაზებული?

— გუშინ ბიჭი შემეძინა.

— მერე, არ გიხარია?

— რა გამახარებს, თუ კაცი ხარ! აწონეს სამშობიაროში და 3 კილო და 600 გრამიაო. მოვიყვანე სახლში, ავწონე და ზუსტად 3 კილო აღმოჩნდა. რა ყველგან საკუთარი სასწორით უნდა იარო, ამის დედა ვატირე!

* * *

სვანს თავის მოკვლა უნდოდა და შეცდომით საკუთარი ტყუპისცალი ძმა მოკლა.

* * *

თვითმფრინავი ჰაერში ამოყირავდა და თავდაყირა მიფრინავს.

სტიუარდესა მგზავრებს ამშვიდებს:

— ნუ ღელავთ, მფრინავი ცხვირში წამალს ჩაიწვეთებს და ისევ ჩვეულებრივად ვიფრენთ.

* * *

— რატომ წევს შენი ცოლი საავადმყოფოში?

— ღილი ამიწყდა კოსტიუმზე. დამიკერე-მეთქი, ვთხოვე და არ დააკერა.

— მერე?

— მერე ავიღე და მე დავაკერე... ცხვირში!

* * *

ქუთაისში ჭიაკოკონობაზე ეშმაკის ბორბალი დაწვეს.

* * *

გამომძიებელი ბრალდებულს ეკითხება:

— ეს დანა გეცნობათ?

— მეცნობა.

— აჰა, ესე იგი, გეცნობათ?!

— ჰო, აბა, რა იქნება, უკვე მესამე კვირაა, ყოველდღე მაჩვენებთ.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. რისი მუზა იყო ბერძნულ მითოლოგიაში თალია?
2. სადაური იყო წარმოშობით ლადო ასათიანი?
3. რისი ჯიშია „დუთმა“?
4. დაასახელეთ მსახიობი ქალი, რომელსაც ელდარ რიაზანოვი საკუთარ თილისმას ეძახის.
5. დაასრულეთ ალფრედ ჰიჩკოკის სიტყვები: „შეიძლება, დამნაშავე ციხიდან გამოიყვანო, მაგრამ ...“.
6. ვის ეკუთვნის სიტყვები: „კაკ ჟე ბეზ ზოლოტა, ბეზ სერვიზა, ბეზ ბლატა?! ვოტ ტოლკო ბეზ სოვესტი მოჟნა!..“?
7. რა არის „პრესშპანი“?
8. ნაცისტური პარტიის ეს მაღალჩინოსანი 152 სანტიმეტრი გახლდათ სიმაღლეში და 45 კილოგრამს იწონიდა. კოჭლი, სუსტი, ტანმორჩილი, თითქმის ჯუჯა მიზანთროპი „ჭეშმარიტი არიელის“ კარიკატურას ჰგავდა. მიუხედავად ასეთი ფიზიკური მონაცემებისა, იგი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ქალებში. გამუდმებით იცვლიდა საყვარლებს, ცოლის საყვედურებს კი ცინიკურად პასუხობდა, რომ გერმანიისა და ფიურერის საკეთილდღეოდ მისი დაუღალავი შრომა მცირეოდენ კომპენსაციას იმსახურებდა. დაასახელეთ იგი.
9. ლუვრის ექსპონატთა სიაში 779 ნომრით აღრიცხული ეს ნახატი ალვის ხის თხელ ფიცარზეა შესრულებული. დაასახელეთ იგი.
10. ვინ არის იტალიური პოეზიისა და ლიტერატურის ფუძემდებლად აღიარებული?
11. რა დაარქვა სტეფენსონმა თავის განთქმულ ორთქლმავალს?

* * *

— გუშინ ჩვენს მდინარეში ასკილოიანი თევზი დავიჭირე.

— იტყუები! ჩვენს მდინარეში მაგხელა თევზები არ არის. აბა, მაჩვენე!

— ვიცოდი, მაინც არ დამიჯერებდით და გავუშვი.

* * *

— რისთვის ზიხარ? — ეკითხებიან ციხეში გურულს.

— პატარა შეცდომა მომივიდა.

— რაში შეცდი?

— ჩემი ასდოლარიანი ამერიკულზე 2 მილიმეტრით მოკლე აღმოჩნდა.

* * *

— უკაცრავად, ქართველი ბრძანდებით?

— ხელფასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კი!

* * *

2 ნარკუშა ქუჩაში დგას. გამოჩნდა პოლიციის მანქანა. ერთი ეუბნება მეორეს:

— გაიღიმე, პატრული მოდის!

გავიდა 2 საათი:

— ნულარ იღრიჯები... უკვე კამერაში ვართ.

* * *

ექიმი ოპერაციის წინ პაციენტს ამშვიდებს:

— ნუ გეშინიათ, ეს ჩემი მეცხრამეტე ოპერაციაა... ოდესღაც ხომ უნდა გამომივიდეს!..

* * *

ექიმი პაციენტს:

— ესე იგი, თქვენ ეროტიკული სიზმრები გაწუხებთ?

— მაწუხებს-მეთქი არ მითქვამს მე!..

* * *

— იცი, კენიაში მარათონული სირბილისათვის სპორტსმენებს როგორ ამზადებენ?

— როგორ?

— 10 კენიელი გარბის და 9 მშიერი ლომი მისდევს.

* * *

— იცით, თქვენს კბილებს საფრთხე ემუქრება!..

— რას ამბობთ, ექიმო, მე სისტემატურად ვიხეხავ კბილებს...

— ჰო, მაგრამ თქვენ ჩემს ახალთახალ „აიფონს“ დააჯექით!

* * *

საკონდიტროში მოხუცი კაცი შევიდა და გამყიდველს ეუბნება:

— 5 ცალი სკლეროზი მომეცით, რა.

— ასეთი ნამცხვარი არა გვაქვს.

— როგორ არა გაქვთ, გუშინ ვიყიდე თქვენთან.

— გაიხსენეთ, იქნებ სხვა სახელი ერქვა?

— როგორ გავიხსენო, გაქანებული ეკლერი მაქვს!..

* * *

ლოგინში:

— ოჰ, რა კარგი ხარ, კარლ!

— მე კარლი კი არა, ჰეროლდი ვარ!

— როგორ, განა დღეს ხუთშაბათი არ არის?!

* * *

ასამართლებენ მატარებლის მემანქანეს, რომელმაც მატარებელი რელსებიდან გადააგდო:

— მოჰყევით, როგორი იყო საქმის ვითარება?

— მიმყავს მატარებელი, ვხედავ, ლიანდაგზე ოსი ზის.

— მერე, ვერ გადაუარე?! — ველარ მოითმინა რკინიგზის უფროსმა.

— სადაც დავეწიე, იქ გადავუარე.

* * *

სვანები პეინტბოლს თამაშობენ, გაუთავდათ ტყვიები. დააძრეს ჯიბიდან ფუნჯები და ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. კომედიის.
2. ლეჩხუმელი.
3. ნესვის.
4. ლია ახეჯაკოვა.
5. „დამნაშავიდან ციხეს ვერასდროს გამოიყვან“.
6. მიხაილ ჟვანეცკის.
7. თხელი, მკვრივი, დაპრესილი მუყაო.
8. იოზეფ გებელსი.
9. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“.
10. დანტე ალიგიერი.
11. „რაკეტა“.

ჰოროსკოპი

2-8 ივნისი

ვეძერი

განმარტოება საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ წარსული და დაგეგმოთ მომავალი. სამსახურებრივი საქმეების მოგვარებაში დახმარება კოლეგებს სთხოვეთ.

ჯუჯი

შემოსავალი გაგეზრდებათ, რაც საშუალებას მოგცემთ, პრობლემები მოაგვაროთ. კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად.

ტყუპი

შემოქმედებითი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პერიოდია. რომანტიკული ურთიერთობა შესაძლოა, ქორწინებით დაგვირგვინდეს. მოერიდეთ კონფლიქტს თანამშრომლებთან.

ჯიგრისხიტი

ახალი იდეების განხორციელებისთვის ხელსაყრელი პერიოდია. უქმეებზე ნათესავებთან სტუმრობა და წარსულის გახსენება სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნით.

ლომი

ახალი საქმიანობა წარმატებას მოგიტანთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისა და უცხოელებთან ურთიერთობისთვის. უქმეები მშობლებთან და საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ყანწუდი

საქმიანი და პირადი პრობლემები პარტნიორთან ერთად მოაგვარეთ. დოკუმენტების შედგენისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

სასწორი

უამრავი საქმის მოგვარებას დაგავალებენ, რაც გამოცდილებას შეგძენთ. საყვარელ ადამიანთან ბედნიერი იქნებით, თუ მის მიმართ მეტ სითბოსა და მზრუნველობას გამოიჩენთ.

ბრიტანდი

მთელი კვირა მხიარულებასა და გართობაში ჩაივლის. საქმეების შესრულებისას ნუ აჩქარდებით. მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

ეფუვიდდიოსანი

თქვენ სასიკეთოთ მოაგვარებთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხს. მეგობრებთან გართობა ყველა უსიამოვნებას დაგავიწყებთ.

თხიუს რეჟა

საქმიანი შეხვედრებით დატვირთული კვირა გელით. ძალების აღსადგენად და ენერგიის მოსამატებლად, თავისუფალი დრო სუფთა ჰაერზე გაატარეთ.

ეიბიწყუდი

კვირის დასაწყისში მატერიალურ გასამრჯელოს მიიღებთ, რაც სურვილების ასრულების საშუალებას მოგცემთ. უცნობებს გულს ნუ გადაუშლით.

თევზეიტი

კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად. მეგობრებთან მატერიალურ სიდუხჭირეზე ნუ იწუწუნებთ. კვირის ბოლოს განწყობილებას საყვარელი ადამიანის საჩუქარი გამოგისწორებთ.

ტიბეტური ჰოროსკოპი ზოდიაქოს აღმოსავლური ნიშნებისთვის

(დასასრული. დას. იხ. „გზა“ №20)

მაიმუნის წელში დაბადებული

მამაკაცი — მხიარული, ენერგიული და მიზანსწრაფული ადამიანია. უიღბლოა მისი ქორწინება ვეფხვთან. ბავშვობაში ძაღლის ნაკბენი გაუმიზეზდება. კრიტიკული ასაკია — 25, 37, 61 და 80 წლები.

ქალი — უყვარს დღესასწაულები; ხალხთან ურთიერთობა. მგრძნობიარეა. საყვარელი ადამიანისთვის უკან არაფერზე დაიხევს. კრიზისული ასაკია — 24, 37, 64, 73 და 85 წლები.

მამლის წელში დაბადებული

მამაკაცი — წარმატებას მიაღწევს შემოდგომასა და ზამთარში დაბადებული. მეცნიერება, ხელოვნება და ხელსაქმე იტაცებს. უიღბლოა ქორწინება კურდღელთან. ვაჟის მამა გახდება. კრიტიკული ასაკია — 11-12, 15 და 20 წლები.

ქალი — საქმიანი და შრომისმოყვარეა. სიმდიდრეს ადვილად დააგროვებს. ბევრი მეგობარი ჰყავს. ყოველთვის გემოვნებით აცვია. კრიზისული ასაკია — 22, 38, 47, 64 და 83 წლები.

ძაღლის წელში დაბადებული

მამაკაცი — ადვილად სწავლობს უცხო ენებს. გემოვნებით იცვამს. უამრავი რომანი და რამდენიმე ქორწინება ელის. თებერვალსა და სექტემბერში მოერიდოს ავადმყოფებთან შეხვედრას. კრიზისული ასაკია — 11, 25, 48 და 50 წლები. ქორწინება უიღბლოა ღორთან და ძაღლთან.

ქალი — იმპულსურია, მაგრამ წყენას ადვილად ივიწყებს. წარმატებას გაზაფხულსა და ზაფხულში დაბადებული ადვილად მიაღწევს. ხშირად ცალმხრივი სიყვარულის გამო იტანჯება. იღბლიანი იქნება მისი ქორწინება ცხენთან. კრიზისული ასაკია — 60 და 90 წლები.



ღორის წელში დაბადებული

მამაკაცი — გაზაფხულსა და ზაფხულში დაბადებული ადვილად გამდიდრდება. ქალები აღმერთებენ. უიღბლოა ქორწინება გველთან. იღბლიანია კურდღელთან და ღორთან. თუ მარჯვენა ხელზე ხალი აქვს, გოგონების მამა გახდება. კრიზისული ასაკია — 3, 9, 16, 19 და 60 წლები.

ქალი — ცხოვრებას კეთილდღეობასა და სიმშვიდეში გააატარებს. ქორწინება იღბლიანია ცხენთან და ღორთან. გოგონას დედა გახდება. კრიზისული ასაკია — 10, 19, 50, 60 და 70 წლები. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მანდოლინა; 2. ნიკარაგუა; 3. ფორმა; 4. ლაბადა; 5. ანარქია; 6. დეკემბერი; 7. ბე; 8. სევდა; 9. საბო; 10. მონტანა; 11. მაჯა; 12. დაირა; 13. მარალი; 14. ტაჯიკეთი; 15. ატლასი; 16. აიოვა; 17. აკონკაგუა; 18. ტატრა; 19. რანდევუ; 20. ვალსი; 21. ანათემა; 22. ალპინისტი; 23. ყაყაჩო; 24. ლორკა; 25. თალგამი; 26. ლიფსიტა; 27. მონაკო; 28. ირანი; 29. პროფილი; 30. ვისკი; 31. იარა; 32. ისლი; 33. ფარაონი; 34. ამბიცია; 35. სასა; 36. იენა; 37. ოტელო; 38. რა; 39. სილიო.

სურათებზე: 1. მადონა; 2. გაი რიჩი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. სომეხი მწერლის, ჰოვანეს თუმანიანის ცნობილი მოთხრობა; **ა**. სამხედრო ნადავლი; **ე**. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **რ**. შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი; **თ**. ურაოს მცემელი სამჭედლოში; **ე**. ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **თ**. რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება? **დ**. სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ისოსის, შემდეგ კი გავგამელას ბრძოლაში დაამარცხა; **ა**. ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **დ**. საჯარო კამათი; **ა**. კვაშალი — ბუ, ტატიშვილი — წრუწუნა, ბაღაშვილი — ჩხიკვი, წიკლაური — ?; **ი**. მონასტრის წინამძღვარი; **ს**. რა ერქვა ვიტო კორლეონეს უფროს ვაჟს მხატვრულ ფილმში „ნათლია“? **ვ**. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა ალბერტ აინშტაინი; **ე**. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **ნ**. რა ერქვა ლენინის ცოლს? **ე**. მეგრული კერძი, ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნით; **თ**. ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **გ**. მათემატიკური მოქმედება; **ზ**. ვისიმე მეფობის ხანა; **ა**. განთიადი, გარიჟრაჟი; **ს**. იაპონური ნაციონალური ჭიდაობა; **თ**. მცენარე, რომლის გათლილი ტოტისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ა*. დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ნ*. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე*. ვინ არის ბელზებელი? **რ*. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ*. ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ა*. სამცხის მმართველთა ტიტული; **დ*. ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გრუშე; **ა*. ანფასი; **ე*. ეპარქია; **რ*. როსინი; **თ*. თაობა; **ე*. ერმაკი; **დ*. დიუმა; **ა*. არშინი; **დ*. დიანა; **ა*. არსენა; **ი*. იაპონია; **ს*. სეული; **ვ*. ვერონა; **ე*. ემისია; **ნ*. ნიაგარა; **ე*. ებრაელი; **ჩ*. ჩადრი; **ვ*. ვუალი; **ე*. ელეგია; **ნ*. ნიყვი; **თ*. თავადი; **ა*. ამერიკა; **ნ*. ნადეჟდა; **ე*. ეგრისი; **რ*. რვეული; **თ*. თიბათვე; **ა*. არარატი; **დ*. დიონისე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

უფასო მუშას პური არ დაეყვედრებაო

იაპონური სენსაცია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

1	7	8	2	3	6	5	9	4
9	3	4	5	1	7	2	8	6
6	5	2	8	4	9	7	3	1
4	8	3	6	2	5	1	7	9
2	9	6	1	7	8	3	4	5
7	1	5	4	9	3	6	2	8
8	4	1	3	6	2	9	5	7
3	6	9	7	5	4	8	1	2
5	2	7	9	8	1	4	6	3

6	1	4	8	7	2	9	3	5
2	5	9	4	6	3	8	1	7
7	8	3	5	1	9	2	6	4
4	6	7	3	8	5	1	9	2
9	2	8	7	4	1	3	5	6
1	3	5	9	2	6	7	4	8
8	4	6	1	9	7	5	2	3
3	7	1	2	5	4	6	8	9
5	9	2	6	3	8	4	7	1

2	3	9	8	1	6	7	5	4
1	4	5	9	2	7	8	3	6
8	7	6	4	5	3	9	2	1
3	5	2	1	9	4	6	8	7
6	1	4	7	8	5	2	9	3
9	8	7	3	6	2	1	4	5
7	2	8	5	4	1	3	6	9
5	6	3	2	7	9	4	1	8
4	9	1	6	3	8	5	7	2

* მარტივი

	3			2				8
				5				4
		4	3			6		
	6			7			2	
		8	9			3		
	5		6	3			4	
		5			1	7		
4				8				
2				6			9	

** საშუალო

5				9			7	6
	6			2			1	
2					6		9	
	3				2		6	
4			9					1
	7			5	1		4	
	8		6					2
	2			3			8	
3	9			7				4

*** რთული

		4			2		7	
	7				3		8	
	6			8	7			1
	3				1	9		5
1				9				6
6		5					1	
7			3	2			5	
	2		7				6	
	5		1			8		

ფოტოკუჩიოზები



„გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები

ვიმეცადინოთ ზაფხულის არდადეგებზე



სიახლე!

გვერდების რაოდენობა: 100 გვ
ყდა: რბილი
ამ წიგნში მოთავსებულია საინტერესო, სახალისო, ფერად-ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებული სვარჯიშოები, დავალებები, თავსატეხები და ამოცანები, რომლებიც პატარებს მეორე ჯლასში შესწავლილი მასალის გამტკიცებაში დაეხმარება. ზაფხულის ხანგრძლივ არდადეგებზე მეტად მოსახერხებელი იქნება ერთ წიგნში თავმოყრილ დავალებებზე მუშაობა და ბავშვებიც მხიარულად და ხალისით განიმტკიცებენ ცოდნას ყველა შესწავლილ საგანში.

ფასი: 10.99

თხუპნია ცუგა

სიახლე!

გვ. რაოდ.: 16 გვ
ყდა: მაგარი
ფორმატი: 20X26
წაიკითხეთ ეს შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრაციებით გაფორმებული წიგნი თხუპნია ლეკვზე და გაიგეთ, როგორ გამოაცხო მან თავის მეგობარ გოჭუნასთან ერთად ტალახის ღვეზელი.

ფასი: 19.99

ტაბილეული პატარებისთვის

ფასი: 15.99

სიახლე!

გვ. რაოდ.: 61 გვ.
ფორმატი: 21,5X27,5
ყდა: მაგარი
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ გემრიელი ჯერეების მომზადება მხოლოდ უფროსებს შეუძლიათ, მაგრამ როცა ამ პატარა დიასახლისებისთვის შექმნილ წიგნს გადაშლით და მარტივ, სახალისო რეცეპტებს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ თურმე ნაირ-ნაირი ნუგბარებისა და სასუსნავების მომზადებას დედის დახმარების გარეშეც იოლად შეძლებთ. ხომ გაინტერესებთ, როგორ უნდა გამოაცხოთ „დედოფლის ნამცხვარი" ან „ნამცხვარი-მანქანა? ეს წიგნი ნამდვილად დაგეხმარებათ, სასიამოვნოდ გააოცოთ თქვენი მეგობრები.

ტყის ამბები

სიახლე!

გვ. რაოდ.: 9გვ,მუყაო
ყდა: ბალიშა
ეს შესანიშნავი პაზლებიანი წიგნი ხუთ პატარა, სახალისო ამბავს მოგითხრობს. პაზლები ერთმანეთში აურიე, შემდეგ წაიკითხე ტყის ამბები და შეეცადე, ეს მხიარული თავგადასავლები პაზლების საშუალებით ლამაზ ნახატებად აქციო.

ფასი: 11.99

ფერიების ამბები

სიახლე!

გვ. რაოდ.: 9გვ,მუყაო
ყდა: ბალიშა
იცი, რა შეუძლია ამ ჯადოსნურ პაზლებს? ხუთივე გვერდების პაზ-ლები ერთმანეთში აურიე, შემდეგ წაიკითხე ამბები. პაზლებით ააწყვე შვენიერი სურათები, რომლებიც ამ ამბებს ნახატებით მოგიყვებიან.

ფასი: 11.99

თუთიყუშ ჭაკოს თავგადასავალი

სიახლე!

ფორმატი: 21.61 X 30.52
გვ. რაოდ.: 88
ყდა: ბალიშა

ფასი: 19.99

მისი თავგადასავალი ხალისიანი, მიმზიდველი და მომნუსხველია. ჯითხულობ და ჭაკოსთან ერთად განიცდი, გიყვარს, გეშინია, ხან გაოცდები, ხანაც გულიანად იცინებ... მოკლედ, ეს არის შემეცნებითი პოემა ყველასათვის, ვისაც იტაცებს მოგზაურობა საინტერესო ამბებისა და ადამიანების სამყაროში. თუ ჯითხვით დაიღლებით, ჩართეთ თანდართული დისკი. მისი მეშვეობით, ამ საოცარ ისტორიას მსახიობი რამაზ იოსელიანი მოგიყვებათ.

დინოზავრები



სიახლე!

ფორმატი: 25.5X28.5
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი

ფასი: 16.99

ეს სამგანზომილებიანი წიგნი, თავისი მოძრავი ილუსტრაციებით დინოზავრებს თქვენს წინაშე ცოცხლად წარმოაჩენს! იმოგზაურე დინოზავრების საოცრებებით აღსავსე ერაში. აქ შეხვდებით უზარმაზარ, მრისხანე მტაცებლებს. გაიგებთ თუ რომელი დინოზავრი ითვლება ყველა დროის უდიდეს მფრინავად და რა თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია ეულოცეფალუსს!

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

Elos

სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე

29 00 66 29 47 47

თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

დაუჯერებლად დაბალ ფასად!

ყველაფერი ერთად თქვენი კომფორტისთვის

- ჯანმრთელობა
- ჰიგიენა
- სილამაზე

სითი ფარმა
CITY PHARMA

ყველაზე დიდი ფარმაცევტული სუპერმარკეტი!

მის.: პოსტავას ქ.75 (მორეინალის ტერიტორია)

Facebook: city pharma – სითი ფარმა

ეჯოჯერი ეს კუპონი, წარადგინე სითი ფარმაში და მიიღე საჩუქარი დაწესებულებაზე!

მის: პოსტავას ქ.75 (მორეინალის მიმდებარე ტერიტორია)

სახელი, გვარი:
ირინა ბერიაშვილი
პროფესია:
დიასტატი
ასაკი:
47 წლის
მსოფლიო
კულინარია
1 იტალიური სამზარეულო
6-დან
13 ივნისამდე
სპეციალური ფასი 10 ლარი
მხოლოდ „პვირის პალიტრის“
მკითხველისთვის
სერიის წიგნები:
1. იტალიური სამზარეულო
2. მექსიკური სამზარეულო
3. არგენტინული სამზარეულო
4. ჩინური სამზარეულო
5. ფრანგული სამზარეულო
6. იაპონური სამზარეულო
... და სხვები
ვოლტერბერი